

როზა ბიძინაშვილი
საერთო ცნობები კანაფის კულტურის ავ-კარგიანობაზე
ცნობარი



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2020

ცნობარის შემდგენელი: როზა ბიძინაშვილი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, სამკურნალო მცენარეების სექტორის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

რედაქტორი: ნონა ანთაძე, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

რეცენზენტი: ლამარა ასიეშვილი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

სატიტულო ყდაზე: ჩვეულებრივი კანაფი - Cannabis sativa

ტექსტში მოყვანილი ფოტოსურათები ამოღებულია <https://www.google.com/> სხვადასხვა საიტებიდან

© როზა ბიძინაშვილი
© Roza Bidzinashvili

ISBN 978-9941-8-2730-3

*„ეს ცხოვრება უსასრულო ნუ გგონიათ,
მოეფერეთ, მოეფერეთ ერთმანეთს!“*

შესავალი

გვარი კანაფის (*Cannabis L.*) წარმომადგენლები მიეკუთვნებიან კანაფისებრთა (*Fam. Cannabaceae Martynov*) ბოტანიკურ ოჯახს. გვარის სისტემატიკასთან დაკავშირებით, ბოტანიკოსებს შორის ორი მოსაზრება განიხილებოდა. პირველი მოსაზრების მომხრეები კ. ლინეის მსგავსად ამტკიცებდნენ, რომ გვარი კანაფი მონოტიპურია, ანუ შეიცავს მხოლოდ ერთ სახეობას. სხვები - ჟ. ბ. ლამარკის მიმდევრები, გამოყოფდნენ ძირითადად ორ სახეობას - „სამხრეთის“ და „ჩრდილოეთისას“. ამ მოსაზრების ავტორებს მთავარ განმასხვავებელ ნიშნად მიაჩნდათ ნარკოტიკული ნივთიერებების სიჭარბე სამხრეთის ფორმებში. ისე აეწყო, რომ საბჭოთა კავშირში 1920-1930-იან წლებში ჭარბობდა მეორე მოსაზრება. ამ პერიოდში მიღებული იყო ვიწრო, ლოკალური სახეობების გამოყოფის ტენდენცია, სახეობის ასეთი დანაწევრების მომხრეებს შორის იყო ნ. ი. ვავილოვი და მისი მოწაფეებიც. დღესაც, ჩვენს ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს მტკიცებულებები, რომ გვ. კანაფი მოიცავს სამ სახეობას: 1. *Cannabis sativa L.* - სათესი (ჩვეულებრივი) კანაფი; 2. *C. ruderalis* *Ianisch.* - ველური ანუ რუდერალური კანაფი; 3. *C. indica* *Lam.* - ინდური კანაფი.

მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ნაბიჯი კანაფის სისტემატიკის ისტორიაში იყო ამერიკელი მეცნიერების ე. სმოლის და ა. კრონქვისტის მიერ 1974 წელს წარმოდგენილი ფართო მიმოხილვითი სტატია, სადაც დადასტურებული და დასაბუთებული იყო კანაფის მონოტიპური გვარის იდეა. მათ მიერ შემოთავაზებული იყო გვარის ერთადერთი სახეობის მარტივი და ლოგიკური კლასიფიკაციის სქემა, რომლის თანახმად, ის იყოფა

ორ ქვესახეობად, ხოლო თითოეული მათგანი თავის მხრივ ორ ნაირსახეობებად:

1. Cannabis sativa L. subsp. sativa - სათესი კანაფი, ქვესახეობა სათესი

Cannabis sativa subsp. *sativa* var. *sativa* - სათესი კანაფი, ქვესახეობა სათესი, ნაირსახეობა სათესი

Cannabis sativa subsp. *sativa* var. *spontanea* - სათესი კანაფი, ქვესახეობა სათესი, ნაირსახეობა ველური

2. Cannabis sativa subsp. indica (Lam.) E.Small. & Cronquist - სათესი კანაფი, ქვესახეობა ინდური

Cannabis sativa subsp. *indica* var. *indica* - სათესი კანაფი, ქვესახეობა ინდური, ნაირსახეობა ინდური.

Cannabis sativa subsp. *indica* var. *kafiristanica* - სათესი კანაფი, ქვესახეობა ინდური, ნაირსახეობა კაფირისტანული.

მოცემულ სქემაში ქვესახეობები განირჩევიან სელექციის მიმართულების თვალსაზრისით (ბოჭკოს, ზეთის ან ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველობა). ქვესახეობების შიგნით ნაირსახეობების ცალკეული წყვილი წარმოადგენს კულტივირებულ ან ველურად მოზარდ მცენარეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ: 2005 წელს C. Hilling-ის მიერ გამოქვეყნდა კანაფის დეტალური კვლევის შედეგები, რომელმაც გამოიყენა კვლევის უახლესი მეთოდი, დაფუძნებული დნმ-ის სტრუქტურის ანალიზზე. ზოგადად, კვლევის შედეგები ადასტურებს ე. სმოლისა და ა. კრონქვისტის კონცეპციას, თუმცა, ავტორი გვარი კანაფის სისტემატიკის ახალ ინტერპრეტაციას იძლევა. ვრცელი გენეტიკური მასალის ანალიზზე დაყრდნობით, ჰილინგი ამტკიცებს რომ, ინდური და სათესი კანაფი წარმოშობილნი არიან სხვადასხვა გეოგრაფიული ცენტრიდან, რომლებიც თავდაპირველად ერთმანეთისგან იზოლირებულნი იყვნენ და ამ ფორმებს შორის თანდათანობითი გადასვლა არ ხდებოდა (ყოველ შემთხვევაში, გენეტიკური თვალსაზრისით),რის გამოც

უკვე არსებობს საკმარისი საფუძველი, როგორც მკვლევარი ამტკიცებს, რომ ისინი ქვესახეობებად კი არ იქნეს მიჩნეული, არამედ ცალკეულ სახეობებად.

ამასთან, მრავალი სისტემატიკოსი მიიჩნევს, რომ ჰილინგის კვლევებმა ძირეულად არ შეარყია გვარი კანაფის მონოტიპური კონცეფცია და უმთავრესად ეყრდნობიან სმოლისა და კრონქვისტის ყველაზე დასაბუთებულ და გავრცელებულ მონაცემებს.



SATIVA



INDICA



RUDERALIS

**ჩვეულებრივი
ანუ სათესი კანაფი,**

ინდური კანაფი,


**რუდერალური
ანუ ველური კანაფი**

თანამედროვე კლასიფიკაციის თანახმად, გვარი კანაფი (*Cannabis*L.) მოიცავს ერთ სახეობას, ორი ქვესახეობით:

- *Cannabis sativa* L. subsp. *sativa* — სათესი კანაფი
- *Cannabis sativa* subsp. *indica* (LAM.) E.SMALL & CRONQUIST — ინდური კანაფი ადრე გამოყოფილ მესამე სახეობას *Cannabis ruderalis* JANISCH. - ველურ კანაფს, ამჟამად არა აქვს დამოუკიდებელი რანგი და წარმოადგენს ჩვეულებრივი კანაფის - *Cannabis sativa* subsp. *sativa* სინონიმს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქიმიური და მორფოლოგიური განმასხვავებელი ნიშანთვისებები, რომელთა საფუძველზე გამოყოფილია ქვესახეობები, ყოველთვის არ არის ნათელი და გამოკვეთილი, დამოკიდებულია ზრდის პირობებსა და ადგილმდებარეობაზე და მუდმივად ცვალებადობს.

ინგლისურ ლიტერატურაში „კანაბის“ (ინგლ. Cannabis) ტრადიციულად უწოდებენ ფსიქოტროპულ კანაფს, რომელიც მედიცინაში გამოიყენება, ხოლო კანაფი (ინგლ. hemp) - შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო კულტურას.

<http://wiki-org.ru/wiki/-Конопля>



შივა და კანაფი

გაეროს კონვენციები ნარკოტიკულ საშუალებათა კონტროლის შესახებ

კანაფი და მისი პროდუქტები შეყვანილია ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა ნუსხაში და ავალდებულებს ქვეყნების ხელისუფლებას, მკაცრად გააკონტროლონ მისი შენახვა, გამოყენება, რეალიზაცია, იმპორტი, ექსპორტი, წარმოება და მოშენება.

არსებობს სამი ძირითადი საერთაშორისო შეთანხმება ნარკოტიკების კონტროლის შესახებ, რომელთა მიზანია ნარკოტიკების შესახებ ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შექმნა.

- 1961 წელი: ერთობლივი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ;

-1971 წელი: კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ;

-1988 წელი: კონვენცია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ.

1961 წლის ერთობლივი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ

ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთობლივი კონვენციის თანახმად, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა, გამოყენება, რეალიზაცია, იმპორტი, ექსპორტი, წარმოება და კულტივირება დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნით.

1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ

კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ აწესებს საერთაშორისო კონტროლს ფსიქოტროპულ საშუალებებზე და განაზღვრავს 1961 წლის კონვენციით დადგენილ ნარკოტიკული საშუალებების ნუსხას.

1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ

1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ განსაზღვრავს ყვე-

ლა იმ მრავალმხრივ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ და, ამ კუთხით, ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითად ასპექტებს, როგორცაა ექსტრადიცია ან სამართლებრივი დევნის გადატანა და განხორციელება სხვა ქვეყნებში.

3.1.2 გაეროს კონვენციები ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და შენახვის შესახებ

1961 წლის კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა აკრძალულია გარდა კანონით განსაზღვრული ცალკეული შემთხვევებისა (ეს შემთხვევები განისაზღვრება ადგილობრივი კანონმდებლობით).

1961 წლის კონვენციის 36.1 (ა) მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის დებულებებს, რომლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა ითვლება დანაშაულებრივ ქმედებად იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია წინასწარი განზრახვით და თუ აღნიშნული დანაშაული მძიმე კატეგორიას განეკუთვნება, სასჯელის სახით გათვალისწინებულია პატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ზომები. კონვენციის ამ მუხლით, ასევე, განსაზღვრულია საერთაშორისო დანაშაულის გამოძიების პროცედურა.

1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლში, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სისხლის სამართლის დანაშაულსა და მის წინააღმდეგ შესაბამის სანქციებს, მითითებულია ის ძირითადი პრინციპები, რაც უნდა გაითვალისწინონ შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნებმა თავიანთ კანონმდებლობაში ზემო აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებაში. ამ მუხლის თანახმად, ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა სისხლის სამართლის დანაშაულია, ხოლო დანაშაულის გაცნობიერება (მაგ. თუ პიროვნება, რომელსაც ნარკოტიკულ ნივთიერებებს აღმოუჩენენ ათვითცნობიერებდა, რომ ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას) დანაშაულებრივი ქმედების ელემენტია, რაც ყოველთვის შეიძლება დადასტურდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებებით.

3.1.3 გაეროს კონვენციები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შესახებ

1961 წლის კონვენციის 35-ე მუხლი განსაზღვრავს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. ამ მუხლის თანახმად, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეთანხმებაში მონაწილე მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო დონეზე.

1961 წლის კონვენციის 36.1 (ა) მუხლის თანახმად, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა (კერძოდ: ნარკოტიკების ტრანსპორტირება, იმპორტი და ექსპორტი) არის დანაშაულებრივი ქმედება და, შესაბამისად, დასჯადია იმ შემთხვევებში, თუ ჩადენილია განზრახ ან წარმოადგენს მძიმე დანაშაულს, ამ შემთხვევაში, სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. 1971 წლის კონვენციის 21-ე მუხლის თანახმად, შეთანხმების მონაწილე მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო დონეზე ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლში, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სისხლის სამართლის დანაშაულსა და მის წინააღმდეგ შესაბამის სანქციებს, მითითებულია, რომ შეთანხმების მონაწილე მხარეებმა საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით ადგილობრივ კანონმდებლობაში უნდა დაადგინონ ის ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვა ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად.

3.1.4 გაეროს კონვენციები სასჯელის ალტერნატიული ზომების შესახებ

1961 წლის კონვენციის 36.1 (ა) მუხლის თანახმად, მძიმე დანაშაულისთვის სასჯელის სახით უნდა იქნეს გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა. ამ მუხლით მნიშვნელოვნადაა გამიჯნული ნარკოტიკის მომხმარებელთა და არამომხმარებელთა მიერ ჩადენილი დანაშაული. ნარკოტიკების მომხმარებელის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შეთანხმების მონა-

წილე მხარეებმა (ქვეყნებმა) შეიძლება გაითვალისწინონ თავი-სუფლების აღკვეთის დამატებითი ან ალტერნატიული ზომები: მკურნალობა; შემეცნებითი პროგრამები; რეაბილიტაცია; სოცი-ალური ინტეგრაცია.

<http://www.incb.org/e/conv/1971/index.htm>;

<http://www.incb.org/e/conv/1988/index.htm>.

„ადამიანებო, გაუფრთხილდით ჯანმრთელობას,
ნუ ეთამაშებით სიცოცხლეს!“

საერთო მონაცემები ჩვეულებრივი (სათესი) კანაფის -
Cannabis sativa var. sativa კულტურაზე



Cannabis sativa var. sativa - ჩვეულებრივი კანაფი

ბოტანიკური დახასიათება

ჩვეულებრივი იგივე სათესი კანაფი ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფესვი მთავარლერძაა, თითისტარისებრი აგებულების, რომლის სიგრძე და სისქე დამოკიდებულია ნიადაგის პირობებისაგან. კარგად გაფხვიერებულ მინერალურ სასუქიან ნიადაგში მისი სიგრძე 2 მ აღემატება. ჭაობიან ნიადაგებში, პირიქით, მთავარი ფესვი იშვიათად აღწევს 30-40 სმ სიგრძეს. მთავარი ფესვის ფუძესთან ვითარდება პირველადი, მეორადი და მესამეული წყების გვერდითი ფესვები წვრილი, სქლად დახლართული ფესვის ჩინჩლით. მოქმედი ფესვების მთავარი მასა ვითარდება ნიადაგის ზედა ფენაში, დაახლოებით 10-40 სმ-მდე, ხოლო ფესვების ცალკე დანატოტები ჩადის მიწაში 80 სმ-მდე და უფრო ღრმადაც. ვეგეტაციის საწყის ფაზაში კანაფის ფესვთა სისტემის საერთო წონა არ აღემატება მიწისზედა მასის მთელი წონის 10-15%-ს. თუ მხედველობაში მივიღებთ მცენარის ტანის


სიმძლავრეს და მიწისზედა მასის სწრაფად ზრდის უნარს, შეიძლება დავასკვნათ, რომ კანაფს თავისი ფესვთა სისტემა შედარებით სუსტად აქვს განვითარებული. ამით უნდა აიხსნას, კერძოდ, კანაფის დიდი მოთხოვნილება ადვილად ხსნად საკვებ ნივთიერებებისადმი.



კანაფის ფესვთა სისტემა

კანაფის ღერო სწორმდგომია, მარტივი, იშვიათად დატოტვილი, ქვედა მხარეს მომრგვალო, ზედა ნაწილში ექვსწახნაგოვანი, დაღარული, მთელ სიგრძეზე დამუხლული, დაფარულია არც თუ ხშირი ჯირკვლოვანი ბეწვებით; ჩვეულებრივ აღწევს 1,5 -2მ სიმაღლეს, განსხვავებით ქვე-სახეობებისაგან, რომლებიც ბევრად მაღლებია. ნორჩ ასაკში ღერო წვნიანია, მოგვიანებით გამერქნებული. თეთრი მერქანი ლაფანითაა გარშემორტყმული, რომელიც შედგება მქრქალი-მომწვანო ქერქისაგან, მათში ჩაფლული ლაფნის კონებით. სიმწიფის გარკვეულ სტადიაში ლაფანი ადვილად სცილდება მერქანს - ფაქტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დეკორტიკაციისათვის (decortication - "ქერქის გაცლა") . ღეროს სისქე მერყეობს 6-დან 20 მმ-მდე. ნათესარების სიხშირიდან გამომდინარე აღინიშნება დაუტოტავი ღეროები

(ხშირ ნათესებში), ან ძლიერ დატოტვილი (მეჩხერ ნათესებში), ამ შემთხვევაში ღეროს სისქე 6 სმ აღწევს. ხშირ ნათესარებში გაზრდილი ღეროები ქვედა ნაწილში გამრუდებულია, ე. წ. „ქარის ნალუნი“, რაც წარმოიქმნება ახალგაზრდა ასაკში ქარის წნევისაგან.



ღეროს სტრუქტურის განმასხვავებელი ნიშნები
სათესი ბოჭკოვანი კანაფი (მარცხნივ), ინდური კანაფი
(მარჯვნივ)

ღეროს სტრუქტურის მიხედვით კანაფი სელის ღეროს მსგავსია. განივ ჭრილზე კანაფის ღეროს კარგად ემჩნევა შემდეგი ძირითადი შრეები: 1. ღეროს გარეგანი ქსოვილი (კანი) შედგება მრავალწახნაგოვანი ფორმის უჯრედებისაგან. 2. მის შემდეგ ქერქის პარენქიმული შრე ბოჭკოვანი კონების რკალით, რომელიც იძლევა ბოჭკოს; 3 კამბიუმის შრე; 4. მერქანი; 5. გულგული, რომელიც სიმწიფის პროცესში თანდათან ხმება და მხოლოდ მერქნის შრის შიდა კედლებზე რჩება.

ყვავილობის დროს გულისებრი ქსოვილი იხლიჩება და წარმოქმნის ღრუს. ლაფნის კონები ღეროს ზედა ნაწილში განლაგებულია ხშირად, ქვედა ნაწილში - მეჩხერად. კანაფის ელემენტარული ბოჭკოს სიგრძე 4-5 სმ-ია და უფრო მეტი. ლაფნის კონები ერთმანეთში გადახლართულია და შეწყებებულია პიგნოპექტინით.

კანაფის ღეროში კამბიუმის მოქმედების შედეგად წარმოიქმნება ლაფნის კონების მეორე შიდა რგოლი, მის შემდეგ ასევე ვითარდება მესამე და მეოთხე რგოლები. მეორადი ლაფნის კონები განლაგებულია ღეროზე უთანაბრად. მამრობითი ინდივიდები (ბიჭა კანაფი) შეიცავს 20-25 % ბოჭკოს, მდედრობითი (დედალი კანაფი) – 15-20%. ბოჭკოთი განსაკუთრებით მდიდარია ღეროს ქვედა ნაწილი, ზედა ნაწილში კი მხოლოდ პირველადი ბოჭკო შეინიშნება. ღეროს მთელი მასის წონიდან ბოჭკოიანი კონების რკალზე მოდის 25%-მდე, ხოლო მერქანზე - 55-60%. ბოჭკო შედგება ცელულოზის, ჰემიცელულოზის, ლიგნინისა და სხვა ნივთიერებებისაგან. ბოჭკოს რაოდენობა და ხარისხი მჭიდროდაა დაკავშირებული თვით ღეროს მორფოლოგიასა და აგებულებასთან, ღერო, რომელსაც ახასიათებს გრძელი მუხლთშორისები, ჩვეულებრივ, უფრო მაღალი ხარისხის ბოჭკოს იძლევა, ვიდრე მოკლე მუხლთშორისებიანი. ბოჭკოს გამოსავალსა და ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს კანაფის ჯიშის მახასიათებლები, ნიადაგური და კლიმატური პირობები, გამოყენებული სასუქი და კულტურის აგროტექნიკა.

კანაფის შემადგენელ ყველა ნაწილისაგან განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ღერო - ბოჭკოს შემადგენელი მთავარი წყარო.

ღეროს მუხლთშორისებში ფოთლები ვითარდება, რომლებიც დანაკვეთელია, მწვანე, მოგრძო-ყუნწისებრი, თანაფოთლებიანი, ქვედა - თათისებრ რთული, 5-7 (იშვიათად 9) ვიწრო, კიდედაკბილული ფოთოლაკებით, მოპირისპირედ განლაგებული, ზედა - სამნაკვითიანი ან მთლიანია, მორიგეობითი.

კანაფი ორსახლიანი მცენარეა. მამრობითი და მდედრობითი ყვავილები სხვადასხვა მცენარეზეა განვითარებული. მამრობით მცენარეებს ბიჭა-კანაფს ემახიან, ხოლო მდედრობითს - დედალ კანაფს, ერთმანეთისაგან ყვავილედით განსხვავდებიან. მამრობით ეგზემპლიარებში ყვავილები შეკრებილია

რთულ მტევნისებრ ან საგველა ყვავილედებად, განლაგებულია გვერდითა ტოტებზე ან ღეროს წვეროებზე; მათი ყვავილსაფარი 5 ნაკვითიანია, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის, მტვრიანა

5, დაკიდული, მიმაგრებულია ყვავილსაფრის ნაკვთების ძირში, საკმაოდ დიდი ზომის სამტვრე პარკებით.



ჩვეულებრივი კანაფის პლანტაციები

ხოლო მდედრობით ინდივიდებში (დედალი კანაფი) ყვავილები შეკრებილია ურთიერთდაახლოებულ, ილლიურ მჭიდრო თავთავისებურ ყვავილედებად. მდედრობითი ყვავილები უყვავილსაფროა და შედგება პატარა, ძირში პარკისებრი თანაყვავილისაგან, რომელიც სფეროსებრ ნასკვზე ირგვლივაა შემოხვეული. თანაყვავილი ნაყოფობისას ზედვე რჩება და ზრდას აგრძელებს, სვეტი ორადაა გაყოფილი, შებუსვლია. ჩვეულებრივ მამრობითი მცენარეების რაოდენობა მდედრობითთან შედარებით რამდენადმე ნაკლებია და ეს შეფარდება დაახლოებით მუდმივია. ნარგაობებში მამრობითი ინდივიდების არსებობისას, გათვალისწინებული უნდა იყვეს მოსავლის აღების დრო, ვინაიდან მამრობითი ეგზემპლარები უფრო ადრე ვითარდებიან მდედრობითთან შედარებით. ყვავილობის შემდეგ მათი ზრდა წყდება, ხოლო ბოჭკო სწრაფად მერქნიანდება და კარგავს თავის ელასტიურობას.



ჩვეულებრივი (სათესი) კანაფი

ზრდის დასაწყისში ბიჭა და დედალი კანაფი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ უკვე 3-4 კვირის შემდეგ ბიჭა-კანაფი აშკარად გამოირჩევა თავისი უფრო მაღალი და წვრილი ტანით, ფოთლების ნაკლები რაოდენობით და უფრო გრძელი მუხლთ-შორისებით. ბიჭა კანაფი ყვავილობას იწყებს დედალ კანაფის მსგავსად ან 3-5 დღის მოგვიანებით, ხოლო სამხრეთულ ფორმებში კი ბიჭა-კანაფი ყვავილობას იწყებს 10-15 დღით უფრო გვიან, ვიდრე დედალი კანაფი, რომლის ყვავილობა გრძელდება 15-20 დღე. კანაფი ჯვარედინ-დამამტვერიანებელი მცენარეა, იმტვერება ქარის საშუალებით. ყვავილობის დროს შეუფერებელმა ამინდმა შეიძლება შეაფერხოს კანაფის სრული განაყოფიერება, რის შედეგად მოსავალი საგრძნობლად მცირდება, მაგრამ ამის აცილება ხელოვნური დამტვერვითაა შესაძლებელი. ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ ადიდებას თესლის მოსავალს, ხელს უწყობს აგრეთვე ზეთის შემცველობის ზრდასაც. განაყოფიერებიდან თესლის სრულ მომწიფებამდე 30-40 დღეა საჭირო. ადრეული ჯიშების სავეგეტაციო პერიოდი 115-125 დღეა, საშუალოსი 130-140, საგვიანო ჯიშების 150-160. სათესი კანაფის ყვავილობა (განსხვავებით ველური ქვესახეობისაგან) იწყება მოგვიანებით, აგვისტო-სექტემბერში.

კანაფის ნაყოფი ერთთესლიანი კაკლუჭაა, მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმის, ოდნავ მობრტყო გვერდებიანი, ორსაგდულიანი, მონაცრისფრო შეფერილობის, მოზაიკური მოხატულობით, ნაყოფის სიგრძე 4,3 მმ-ია, დიამეტრი - 2,7-3,3 მმ. თესლი გარშემორტყმულია თხელი, მუქი მწვანე ფერის კანით. შეიცავს საშუალოდ 30-35% ზეთსა და 18%-მდე ცილას. თესლში ზეთის რაოდენობა საგრძნობლად იცვლება გეოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით. ჩრდილოეთში 23-30%-ს შეადგენს, სამხრეთ რაიონებში კი 34-35%-ს აღწევს. 1000 თესლის წონა 9-22 გ-ია.

<http://ep-z.ru/posadki/travyi/konoplya>

<http://selekcija.ru/konoplya-botanicheskoe-opisanie.html>



ჩვეულებრივი კანაფის თესლები

კანაფის სქესი

განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს ფემინიზირებული ხარისხის სათესი მასალიდან (თესლებიდან) აღმოცენებულ მცენარეებში სქესის განსაზღვრა. რამდენიმე წლით ადრე მსგავსი ცნობები მდებდრობითი და მამრობითი ეგზემპლარების დიფერენციაციის შესახებ ოქროს ფასს წარმოადგენდა, თუმცა ამჟამად ბევრი გროვერი სულ უფრო მეტ ინფორმაციას აზიარებს.

კანაფის რეგულარული თესლებიდან მიღებულ მცენარეებში, საქმე სხვაგვარადაა - კანაფის სქესის განსაზღვრისათვის საჭიროა შედეგზე ორიენტირებული უეჭველი (სწორი) ხერხის (საშუალების) ცოდნა. რეგულარული სათესი ბაზიდან შეიძლება განვითარდნენ როგორც მდედრობითი (დედალი კანაფი), ასევე მამრობითი სქესის (ბიჭა-კანაფი) მცენარეები. მაგრამ გროვინგის შედეგები, საბოლოო პროდუქტი და უმთავრესად ბუჩქის სქესობრივი იდენტიფიკაცია დამოკიდებულია მეკანაფეზე.



კანაფის მდედრობითი ინდივიდები

როგორც უკვე ავლინშნეთ, კანაფი ორბინიანი მცენარეა, ანუ მდედრობითი და მამრობითი ყვავილელები წარმოიქმნება სხვადასხვა ბუჩქებზე. მაგრამ მათ გარდა გვხვდება ჰერმაფროდიტებიც, როდესაც ორივე სქესის გასამრავლებელი ორგანოები ვითარდება ერთ ბუჩქზე, რაც ართულებს მისი სქესის განსაზღვრას, განსაკუთრებით გამოუცდელ გროვერისათვის. ვიზუალურად კანაფში პირველადი სასქესო ნიშნები გამოიხატება შემდეგში:

- ზრდის თავისებურებები
- ღეროს აგებულება
- ფოთლების კონცენტრირება
- ყვავილელების ადრეული ფორმირება

მცენარის სიცოცხლის პირველ 6 კვირაში მათი გარჩევა მეტად რთულია. ვიზუალური გარჩევა უფრო შედეგიანია მეშვიდე კვირიდან.

რატომ არის აუცილებელი მცენარის სქესის განსაზღვრა?

თუ კანაფის მამრობითი მცენარის გამოზრდა მდედრობითთან ერთად ხდება, აუცილებლად დგება დამტვერვის ეტაპი. სწორედ ეს პროცესი იწვევს მდედრობითი სქესის ბუჩქების მოსავლიანობისა და მისი ხარისხის დაკლებას.

განსაზღვრის ყველაზე მარტივი ალგორითმია:

- ამა თუ იმ სქესის განსაზღვრისათვის რეგულიარულად უნდა შემოწმდეს ცალკეული მცენარე.
- მამრობითი ინდივიდები თავის ნიშან-თვისებებს ავლენს მდედრობითზე უფრო ადრე: მე-7-11 დღეზე დახურულ სივრცეში; ხოლო ღია გრუნტში გამოყვანის შემთხვევაში მე-20-22 დღეზე .
- ბუჩქის სქესის გამოცნობა შესაძლებელია ყვავილობამდე.
- მომწიფების სისწრაფე, მამრობითი მცენარეების განვითარება მდედრობითთან შედარებით დაახლოებით 7-21 დღით ადრე ხდება; ცალკეულ ჯიშში მამრობითი ინდივიდების გარჩევა მდედრობითისაგან ადვილია ყვავილელების ადრეულ ფორმირებაში - გასქელებულ ღეროსა და ყლორტს შორის, ვეგეტაციის პერიოდში წარმოიქმნება 21-35 დღის შემდეგ.
- კანაფის მამრობითი მცენარის სიმაღლე განასხვავებს მას მდედრობითისაგან; მამრობითები - ნაკლებ დატოტვილია და გააჩნიათ წაგრძელებული მუხლთშორისები, ხოლო ბუჩქის უფრო დატოტვილი სტრუქტურა, კომპაქტური იერსახე დამახასიათებელია მდედრობითი სქესისთვის.
- მდედრობითი ბუჩქებისთვის დამახასიათებელია მსხლისებრი ფორმის ყვავილეები, თეთრი ხაოიანი ბეწვების სტიგმით. მამრობითი ინდივიდების ყვავილეები შეკრებილია მტევნებად, ფორმით სფეროსებრია, შემდგომში ღებულობს ბანანის ტიპის წაგრძელებულ ფორმას, დამახასიათებელია სტიგმის უქონლობა.

კანაფის მდედრობითი მცენარეები ხასიათდებიან არსებითი უპირატესობით, კერძოდ - ფისის გაძლიერებული გამომუშავება, კანაბინოიდების ტგკ-ს მაღალი შემცველობა, რომელიც წარმოადგენს მომქმედ ფსიქოაქტიურ კომპონენტებს. მამრობით ეგზემპლარებშიც აღინიშნება კანაბინოიდები, თუმცა მნიშვნელოვნად მცირე კონცენტრაციის.

სათესი ბაზა ფემინიზირებული თესლებით - ყველაზე საიმედო და უპრობლემო ხერხია 96% შემთხვევაში მდედრობითების მისაღებად. აღარ იქნება საფიქრალი, რომ მომავალში უშეცდომოდ განისაზღვროს კანაფის სქესი.



კანაფის მამრობითი ეგზემპლარები

კულტურული კანაფის მამრობით მცენარეებს ზრდიან ერთადერთი მიზნით - მტვრის მარცვლის გამოსამუშავებლად და თესლების წარმოსაქმნელად მდედრობითი ბუჩქების განაყოფიერებისათვის. გროვერისათვის, რომელიც მიისწრაფვის მაქსიმალური მოსავლისათვის, მამრობითი ბუჩქები ფასეულობას არ წარმოადგენს, ხოლო სელექციონერებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი გენები ახდენს მიღებული ჰიბრიდის გენეტიკაზე გავლენას.

როგორ უნდა გაირკვეს კანაფის ბუჩქების სქესი ადრეულ სტადიაზე?

ერთადერთი, მრავალი მეკანაფე-სპეციალისტისა და ამატორების მიერ გამოცდილი მეთოდი ადრეულ სტადიებში კანაფის სქესის განსაზღვრის კლონური მეთოდია. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში:

- ბუჩქიდან ჭრიან მცენარის ნაწილს - კლონს;
- მოჭრილ ნაწილს რგავენ დახურულ სივრცეში;
- ადგენენ განათების რეჟიმს, 12 სთ დღე-ღამეში;
- ეს კლონი უკვე 14 დღის შემდეგ იწყებს ყვავილობას, რითიც ავლენს სქესობრივ კუთვნილებას.
- კლონი ყვავილობს დონორ მცენარეზე უფრო ადრე.

რას უნდა მივმართოთ მამრობით მცენარეებთან მიმართებაში?

პასუხი ერთადერთია - მათი მოცილება!

მოშორების ხერხი მეტად მარტივია:

- ამოითხაროს იდენტიფიცირებული მამრობითი ბუჩქები;
- შემთხვევითი დამტვერვის თავიდან ასაცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება განვითარებულია თუ არა მტვრიანების ჭოტაკები.
- მოცილებული მამრობითი მცენარეების უტილიზირება უნდა მოხდეს მათი სხვა მიზნებისათვის გამოსაყენებლად და არა მათ გასაშრობად შემდგომი გამოყენების მიზნით.

<https://quality-seeds.com/novosti/pol-konopli>

დამატებითი ინფორმაცია გენეტიკოსებისაგან:

კანაფის ქრომოსომების დიპლოიდური ნაკრები უდრის 20: ცხრა წყვილი - აუტოსომებია, ერთი - სქესობრივი ქრომოსომები. მდედრობით ეგზემპლარებში სქესობრივი ქრომოსომები წარმოდგენილია X-ქრომოსომებით, რომლებიც აუტოსომებზე

რამდენადმე მსხვილია; მამრობით ინდივიდებს ერთი X-ქრომოსომა შეცვლილია Y-ქრომოსომით, რომელსაც აქვს მსხვილი წერტილის ფორმა. სქესობრივი ქრომოსომების ჰომოზიგოტურობა მდედრობითისა და ჰეტეროზიგოტურობა მამრობითის წარმოადგენს ბუნებაში გავრცელებულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სქესის რიცხოვნობის თანაფარდობას.
https://t.semyanich-semena.online/articles/istoricheskie_korni_kush



INDICA



SATIVA



ჩვეულებრივი (*Cannabis sativa*) და ინდური კანაფის (*C. indica*) განმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშან-თვისებები

ინდური კანაფის *Cannabis sativa* subsp. *indica* (LAM.) E.SMALL & CRONQUIST ძირითადი მაჩვენებლები

ინდური კანაფი სხვადასხვა კლასიფიკაციაში განიხილება ან დამოუკიდებელი სახეობის, ან სათესი კანაფის ქვესახეობად *Cannabis sativa* subsp. *indica* (LAM.) E.SMALL & CRONQUIST.



ინდური კანაფი

კანაფის ეს სახეობა პირველად 1783 წელს აღწერა ჯ. ლამარკმა. ერთწლოვანი, ორბინიანი ბალახოვანი მცენარეა. ჩვეულებრივ ანუ სათეს კანაფთან შედარებით დაბალია (1,5 მ-მდე სიმაღლის). მდედრობითი ეგზემპლარები როგორც წესი, უფრო მაღალია და უფრო განვითარებული, ვიდრე მამრობითი. ფოთლები ყუნწიანია, 5-7 თათისებრდაყოფილი, საერთო ცენტრიდან სხივებად გადაშლილი; ცალკეული ნაკვეთლები მოგრძო-ლანცეტისებრია, ხერხისებრდაკბილული, მოლურჯო – მომწვანო ფერის, ზოგჯერ მოწითალო ძარღვებით. მამრობითი ყვავილები შეკრებილია რთულ საგველასებრ ყვავილელებად, მათი ყვავილსაფარი შედგება 5 თეთრი ფოთოლაკისაგან და 5 ჩამოკიდებული მტვრიანისაგან. მდედრობითი ყვავილელები (გირჩები) - მსხვილია, წებოვანი, ფოთლების უბეებში მჯდომარე, ერთფოთოლაკიანი ჯამისებრი ყვავილსაფრით, რომელიც ნას-

კვზეა შემოხვეული. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მდიდარია ეს ფოთოლაკი ჯირკვლოვანი ბეწვებით, განისაზღვრება მცენარეული პროდუქტის - *Summitates Cannabis indicae, hashish, marijuana*, ფარმაცოლოგიური თვისებები. მამრობითი მცენარეები, გადაყვავილებიან და მწიფდებიან რამდენიმე კვირით ადრე მდედრობით ინდივიდებთან შედარებით. ნაყოფი - თესლურაა, უფრო მსხვილი და მომრგვალო, ვიდრე სათესი კანაფის, გარსითაა დაფარული, ზოგჯერ მოზაიკური ნახატით. მის წარმოშობას უკავშირებენ ავღანეთში ჰინდუკუშის მთას. ამ რაიონების მკაცრი და ცვალებადი კლიმატის გამო, ინდური კანაფის კულტივაციისათვის ყველაზე ხელსაყრელს ზომიერი კლიმატი წარმოადგენს.


კანაფის ქვესახეობებიდან განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც მისი შემფასებლებიდან, ასევე მედიკოსების მხრიდან ინდური კანაფი იწვევს. სწორედ ეს სახეობა შეიცავს ყველაზე დიდი რაოდენობით კანაბინოიდებს, რაც შესაბამისად მარიხუანას მძლავრ ეფექტს განაპირობებს. მისი სასიცოცხლო ციკლი 4-5 თვეს შეადგენს, თესლის აღმოცენებიდან მოსავლის აღებამდე, თუ ეს კლასიკური ფოტოპერიოდული ჯიშია.



დახურულ გრუნტში გამრავლებული ინდური კანაფი

თესლის აღმოცენებისა და ღივის დაფესვიანებიდან იწყება კანაფის სავეგეტაციო პერიოდი (ინტენსიური ზრდის, ბუჩქის

ფორმირებისა და მწვანე მასის წარმოქმნის) საშუალოდ 4-6 კვირა გრძელდება. ამ დროისათვის აუცილებელია კანკაშა სინათლის სიჭარბე (სინათლის დღე არა უმცირეს 14 საათისა, უკეთესია 18-20 სთ), ინტენსიური მორწყვა დაახლოებით 5-7 დღეში ერთხელ (ნიადაგი 2-3 სმ სიღრმეზე უნდა იყვეს მშრალი და არა გადამშრალი), ზომიერი, მაგრამ საკმარისი, აზოტით მდიდარი გამოკვება (თვეში 1-2-ჯერ). pH უნდა შეადგენდეს 6,0 -7,5.



ინდური კანაფის მდებრობითი ყვავილეები

ინდიკა კარგად რეაგირებს SOG (ფოტიკების კლონირება) და LST (bending fotik და avtik) მეთოდებზე. ყვავილობაზე მცენარეები გადადიან მაშინ, როდესაც დღის სინათლე მცირდება 14-12 საათამდე, ხოლო ყვავილობისა და ნაყოფმსხ-მოიარობის პერიოდები დაახლოებით 6-8 კვირას შეადგენს. ამასთან მამრობითი ეგზემპლარები ყვავილობენ და

გადაყვავილდებიან 1-2 კვირით ადრე მდედრობითთან შედარებით. ინდური კანაფი მომწიფების პერიოდში საჭიროებს გამოკვებას, გაჯერებულს ფოსფორით და კალიუმით, ხოლო მოსავლის აღებამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე მცენარეს აზიმ-შილებენ.

<http://www.budzdorow.net/конопля-индийская-konoplya-indiyskaya/>



ინდური კანაფის თესლები

ინდური კანაფის ჯიშები

სიდბანკები

კომპანია-მიმწოდებელი, რომელიც კანაფის ჯიშებს სთავაზობს მომხმარებელს ეწოდება seedbank - სათესლე ბანკი. თესლის შერჩევის პროცესში გადამწყვეტი შეიძლება იყოს მწარმოებლის სანდოობა და პატიოსნება. კატალოგში quality-seeds.com ნახავთ თესლებს საუკეთესო სათესლე მცენარეებიდან მთელს მსოფლიოში.

დღევანდელი მდგომარეობით, სიდბანკების მიერ სპეციალურად გამოყვანილი ჯიშების ფართო ასორტიმენტს შორის ყვე-

ლაზე მძლავრი ინდური და ინდიკა-დომინანტური ჰიბრიდებია. ინდური კანაფის სამრეწველო ჯიშები ხასიათდება ფისის შემცველობაში ტგკ-ს მაღალი (საშუალოდ 15-18%-ზე არა ნაკლები) შემცველობით. ამასთან ფისები იმდენად ბევრია, რომ ყვავილედები მთლიანად დაფარულია სქელი, წებოვანი მასით. ასევე, მარიხუანას ინდიკას ჯიშებში მოიპოვება თავისი მნიშვნელობით მეორე აქტიური ნივთიერება კანაბინოიდ-კანაბიდიოლი (კბდ). ის არ ავლენს უშუალოდ ფსიქოგენურ აქტივობას, თუმცა ხასიათდება მძლავრი სამედიცინო პოტენციალით.

ტგკ და ტერპენოიდებთან სხვადასხვა კომბინაციებში, კბდ-ს შესწევს უნარი ამა თუ იმ ჯიშს მიანიჭოს დამახასიათებელი ეფექტი **ცერებრალური** დამბლის სინდრომის, დასუსტებული ორგანიზმის, ნერვული და კუნთოვანი დაჭიმულობის მდგომარეობის, ტკივილებისა და გულისრევის დროს.

სწორედ ასეთი Stone გამოვლინებებს უწოდებენ ინდიკის ეფექტს. მიუხედავად ამისა, სუფთა ინდიკა - დიდი იშვიათობაა. უფრო ხშირად გვხვდება ჯიშები, რომლებიც შეიცავს ჩვეულებრივი და რუდერალური კანაფის გენებს, მაგრამ ინდიკა მკვეთრად დომინირებს.

ყველაზე პოპულარულ, მძლავრ, თერაპიული პოტენციალით გამორჩეული ჯიშებიდან აღსანიშნავია შემდეგი: Afghani #1; OG Kush; Blueberry; White Widow; Nothern Lights; Mazar და სხვ.

სიდბანკები



GanjaSeeds - ერთ-ერთი პირველი სიდბანკია პოსტ საბჭოთა სივრცეში. პროფესიონალი სელექციონერების გუნდი 10 წელზე მეტია იკავებს ლიდერ პოზიციებს კანაბისის თესლების ბაზარზე და სთავაზობს მომხმარებელს როგორც კლასიკურ, ასევე ახალი ჯიშების კანაბისის ხარისხიან თესლებს.



Ganja VIP - სიდბანკი, რომელმაც ააფეთხა ბაზარი საავტორო ჯიშების უნიკალური კოლექციით. ამ ბანკში თესლების ღირებულება სხვებზე მაღალია, მაგრამ ხარჯი გამართლდება ხარისხიანი ჰიბრიდით, მისი არომატით, ეფექტით და მოსავლიანობით. სიდბანკის გუნდი იმდენად გატაცებულია **Marvel** კომიქსებით, რომ ჯიშებს კომიქსის გმირების სახელები დაარქვა.



Bang Seeds - ყაზახი ბრიდერების ბანკია. დაბალი ფასები არ აისახება კულტივაციის შედეგად მიღებული პროდუქტის ხარისხზე. სიდბანკში წარმოდგენილია უნიკალური ავტომოყვავილე ფემინიზირებული და ფოტოპერიოდული ფემინიზირებული სტრეინები.



GanjaLiveSeeds - სელექციონერების ინტერნაციონალური გუნდია, რომელიც კანაბისის კლასიკური ჯიშების ელიტარულ თესლებს გთავაზობთ. კომპანიის კაკლები ტესტირებულია სხვა და სხვა განედებზე ღია და დახურულ გრუტში.

ინდური კანაფის - *Cannabis indica* -ს გამოზრდის თავისებურებები

თუ გამოვალთ მცენარის დასახელებიდან, მაშინ ინდოეთი სწორედ ის ადგილია, სადაც იზრდება ინდური კანაფი, რაც ნაწილობრივ მართალია, ვინაიდან მისი ბინადრობის ისტორიულ არეალად მიიჩნევა ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი, განსაკუთრებით ჰინდუკუშის მთიანი მასივები. სწორედ აქედან, ინდური კანაფი რომელსაც სამშობლოში ღვთის მიერ ბოძებულ საჩუქრად მიიჩნევენ, გავრცელდა მაროკოში, ჩინეთში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში და ა.შ.

ამგვარად, ისტორიულად ინდიკა ითვლება უფრო მეტად მთის მცენარედ, რომელიც იზრდება ხშირი ქარების, მოკლე ზაფხულის სეზონის, დღისა და ღამის ტემპერატურის 10° C-მდე ცვალებადობით. ინდიკა, განსხვავებით სითბოს მოყვარული ჩვეულებრივი კანაფისაგან, უპირატესობას უფრო დაბალ ტემპერატურას (18-24°C) ანიჭებს და მდგრადია გვალვებისადმი. აღმოცენება და განვითარება ინდურ კანაფს ღია გრუნტში ძალუძს უკვე მაშინ, როდესაც ღამის ტემპერატურა 10°C-ზე უფრო დაბლა არ ეშვება, ხოლო დღის ტემპერატურა შეადგენს 18-20°C. ინდური კანაფის ფენოტიპი შემდეგნაირია:

- დაბალი, როგორც წესი 1-1,2 მ (იშვიათად 1,5 მ) სიმაღლისაა.
- დაბუჩქვა - ვარჯით გვაგონებს პირამიდას ან ნაძვის ხეს.
- ფოთლები მსხვილია, მკვრივი მუქი-მწვანე.
- ცენტრალური ღერო მასიურია, მკვრივი.
- გირჩები მჭიდროდაა განთავსებული.
- თესლები ასევე უფრო მსხვილია ჩვეულებრივ კანაფთან შედარებით.


ინდური კანაფი ბუნებრივად უფრო მეტად გავრცელებულია ავღანეთსა და პაკისტანში, ამასთან პაკისტანის ნაირსახეობას ხშირად არ ახასიათებს სახეობისათვის დამახასიათებელი ფართოფოთლები. ინდური კანაფი შეიცავს დიდი რაოდენობით ტგკ და ტრადიციულად მოჰყავთ ფსიქოტროპული მედიკამენტების: bhanga, მარიხუანა, ჰაშიში და მათი წარმოებულების წარმოებისთვის. კულტივირებულია ინდოეთში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანში, ინდონეზიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, თურქეთში, ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, მექსიკაში, სამხრეთ ამერიკაში, უმთავრესად არალეგალურად. ინდური კანაფის გაშენება კანონით აკრძალულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში.

http://www.fito.nnov.ru/special/misc/cannabis_sativa/https://dic.academica.ru/dic.nsf/ruwiki/141739

ქიმიური შემადგენლობა

კანაფის ზოგიერთი ქვესახეობა (კერძოდ, ინდური კანაფი - *Cannabis sativa subsp. indica* (Lam.) E.Small. & Cronquist) შეიცავს 400-ზე მეტ განსხვავებულ ქიმიურ ნივთიერებებს. მოწვევის დროს პიროლიტიკური გარდაქმნის შედეგად ისინი ტრანსფორმირდება 2000 ქიმიურ ნივთიერებად. მარიხუანას 400 ინგრედიენტისაგან 70-ზე მეტს შეადგენს კანაბინოიდების ჯგუფი (ბუნებაში არსებობს დაახლოებით 60-მდე კანაბინოიდი (*Tetrahydrocannabinol*, *Cannabinol*, *Cannabidiol*, *Cannabigerol*, *Cannabichromene* და სხვ.), განსაკუთრებული (თავისებური) აგებულების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც მხოლოდ კანაფში გვხვდება. ძირითადი კომპონენტი, რომელიც მარიხუანას ფსიქოაქტიურ თვისებებზეა პასუხისმგებელი დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლია (შემოკლებულად დელტა-9-ტგვ ან ტგვ). მისი ქიმიური ფორმულაა $C_{21}H_{30}O_2$. მაგრამ მარიხუანას ჯამური ეფექტი განისაზღვრება ყველა აქტიური კანაბინოიდებით: დელტა-8-ტგვ, რომლის შემადგენლობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ტგვ-ზე, კანაბინოლი (კზნ) ათჯერ უფრო ნაკლებ აქტიურია ტგვ-სთან შედარებით, კანაბიდიოლი (კზდ) - არ ფლობს ფსიქოაქტიურ თვისებებს.

ტგვ შემცველობა, ისევე როგორც სხვა კანაბინოიდების დამოკიდებულია ქვესახეობაზე. კანაფის ინდურ ქვესახეობაში ტგვ-ს გარდა შესამჩნევი რაოდენობითაა ტგვ-ს ანალოგი დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბივარინი (ტგვ) და კანაბიდიოლი, მცირე რაოდენობით - კანაბიდივარინი, კანაბიხრომინი, ცის-დელტა - 9-ტგვ, კანაბივარინი და კანაბინოლი. კვალის სახითაა - კანაბიგეროლი, კანაბიციკლოლი და ბუთილის ანალოგი ტგვ, კზნ და კზდ. კზნ და კზდ პროპილის ჰომოლოგები: კანაბივარინი და კანაბიდივარინი მათი ჯამური შემადგენლობის 0-დან 20%-მდე შეადგენს. ნეიტრალური კანაბინოიდების გარდა აღინიშნება სხვადასხვა სახის კანაბინოლის მჟავები, განსაკუთრებით ფისებისა და ზეთის ფორმების სახით.



კანაფის ძირითადი კომპონენტების დელტა-9-
ტეტრაჰიდროკანაბინოლი (ტგკ)
და კანაბიდიოლის (კბდ) ფორმულა

კანაბინოიდების გარდა კანაფის შემადგენლობაშია სხვადასხვა კლასის მრავალი ნივთიერება: ტერპენები, სტეროიდები, ნახშირწყლები, ფენოლები, კარბონული მჟავები, აზოტის შემცველი ნივთიერებები, ალკალოიდები და სხვ.

კანაფის (მარიხუანა) მშრალი ღეროები და ფოთლები შეიცავს 2-4% ტეტრაჰიდროკანაბინოლს, 0,30% კანაბინოლს, 0,05% კანაბინოლის მჟავების სხვა წარმოებულებს. კანაფის სელექციურ ჯიშებში ტგკ შემცველობა შეიძლება გაზრდილი იყვეს 20%-მდე, ან პირიქით, მინიმალურ რაოდენობამდე იქნეს დაყვანილი, სელექციის მიზნებიდან გამომდინარე.

ზემო აღნიშნულის გარდა, ახალი გამოკვლევებით კანაფი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან შენაერთებს ფლავონოიდებს, ეს არის ბუნებრივი ნივთიერებების ჯგუფი, რომლებიც როგორც ცნობილია, ხასიათდება ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო და ანტიკარცენოგენური თვისებებით. 1986 წელს ლონდონის უნივერსიტეტის მკვლევარმა მერილინ ბარეტმა პირველად მოახდინა იდენტიფიცირება კანაფის ორი ფლავონოიდის, რომლებიც ცნობილია **კონფლავინი ა** და **კონფლავინი ბ** სახელით. დადგინდა, რომ ორივე მათგანი ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით და 30-ჯერ უფრო ეფექტურია ასპირინზე.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა მცენარეებში აქტიურად მიმდინარეობს ფლავონოიდების შესწავლა, ათეული წლების განმავლობაში კანაფში არ არსებობდა კონკრეტული მონაცემები მათ ბიოსინთეზზე. ამჟამად, კანადის მკვლევარების მიერ დადგენილია, თუ როგორ ქმნის მცენარე ამ მნიშვნელოვან გამაუმტკივნეულ მოლეკულებს. „ჩვენს მიზანს შეადგენდა გაგვერკვია ამ მოლეკულების წარმოქმნის მექანიზმი, რაც ჩვენს დროში მეტად მარტივია“ - აღნიშნავს ტარიკ ახტარი, ბიოლოგი გველფის (აშშ) უნივერსიტეტიდან. გენომიკისა და ბიოქიმიის მეთოდების გამოყენებით, მკვლევარებმა შეძლეს განესაზღვრათ, რომელი გენები იყვნენ პასუხისმგებლები ამ ორი კონფლავინის შექმნაში. კვლევის შედეგები წარმოადგენს ჩვეულებრივ კანაფში (*Cannabis sativa*) უნიკალური გენეტიკური გზის პირველ მტკიცებულებას, რომელიც იყენებს ორ ფერმენტს „კონფლავინ ა და ბ“ შესაქმნელად.

მაგრამ მცენარიდან ამ შენაერთების გამოყოფა და გასუფთავება უბრალოდ მიზანშეუწონელია. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, კონფლავინები მცენარის მთელი წონის მხოლოდ 0,014% შეადგენს. ამიტომ, ანთების საწინააღმდეგო ნივთიერებების მისაღებად, მცენარის გასაშენებლად უდიდესი ფართობებია საჭირო. მცენიერები ამჟამად მუშაობენ იმ ბიოსისტემის შესაქმნელად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება კონფლავინების სინთეზირებული ვერსიის წარმოება საჭირო რაოდენობით.

„ნათელია, რომ აუცილებელია შემუშავდეს ალტერნატივები მწვავე და ქრონიკული ტკივილების მოსახსნელად, რომლებიც გადის ოპიოიდების ჩარჩოებიდან“, ამბობს ტ. ახტარი. მართლაც, სამედიცინო დაწესებულებებში გამოკვლევები სულ უფრო ხშირად აჩვენებს, რომ პაციენტები ტკივილების მწვავე შეტევებით უპირატესობას ანიჭებენ სამედიცინო კანაფს სხვა ოპიოიდებთან შედარებით, რომლებიც იწვევს მათზე დამოკიდებულების პროვოცირებას - ასე, რომ მომავალი კანაფისაა, აღნიშნავენ მკვლევარები.

<https://www.popmech.ru/science/news-495872-konoplya-okazalas-v-30-raz-effektivnee-aspirina/>

ცხოველებზე და ადამიანებზე ჩატარებული გამოკვლევებით, კანაფის ექსტრაქტები იწვევს ორჯერ ან უფრო მეტ ხანგრძლივ ეფექტს, განსხვავებით ტეტრაჰიდროკანაბინოლისაგან.

<https://7lafa.com/pageanswer.php?id=35421>

ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც იწვევს გაბრუნებას (დაბანგვას), უმთავრესად თავმოყრილია წებოვან ნივთიერებაში - ოქროსფერ ფისში, რომელიც გამოიყოფა კანაფიდან გარემო პირობების მავნე ზემოქმედებიდან დასაცავად. ჯირკვლები, რომლებიც ფისს გამოიმუშავენს, მთელ მცენარეზეა განთავსებული, ფესვისა და თესლის გარდა. მდედრობითი ყვავილების თანაყვავილებზე ისინი განსაკუთრებით მსხვილია და კარგად ჩანს გამადიდებელ მინაში (მსგავსია პატარა გამჭვირვალე სოკოების). ფისი შეიცავს კანაბინოიდების მაქსიმალურ რაოდენობას, რის გამოც აქტიურად გამოიყენება ფსიქოტროპული პროდუქტების წარმოებაში. გავრცელებული აზრის მიუხედავად, მაღალი ფისიანობა, ყოველთვის არ არის გამორჩეული ფსიქოტროპული თვისებების მანიშნებელი. კანაფის ზოგიერთ ქვესახეობის (უმთავრესად ინდური კანაფის ჩრდილოეთის ჯიშები) ფისში ნამდვილად ჭარბობს ტგკ, მაგრამ სხვა უმრავლეს ჯიშებში ის შედგება კბდ, კბნ და სხვა ფსიქოტროპული კანაბინოიდებისაგან, ხოლო ტგკ მათში მცირე რაოდენობით მოიპოვება.

კანაფის თესლი შეიცავს 30-38% ცხიმოვან ზეთებს, რომლებიც უმთავრესად შედგება უჯერი ცხიმოვანი მჟავების გლიცერიდებისაგან (ლინოლენის, ლინოლენოლის და ზეითუნის). ნაპოვნია ცილებიც, ამინომჟავებიც (გლიკოლი, ალანინი, ვალინი, ლეიცინი, იზოლეიცინი, ფენილალანინი, ტრეონინი, ტირაზონი, ასპარგინის მჟავა, ტრიგონელინი, ოქსიპროლინი და სხვ.), ნახშირწყლები, კვებრაზრტის სპირტი, ფენოლური შენაერთები (კანაბინოლი და კანაბიდიოლი) და ალკალოიდების კვალი.

https://kopilkaurokov.ru/biologiya/prochee/ekologhiia_rastienii

კულტივაცია

კანაფის კულტივაცია სხვადასხვა მიზნით წარმოებს. მრეწველობაში მისი ნედლეული გამოიყენება სამედიცინო (კანაბინდიოლი), სათბობი, სამრეწველო (კანაფის ზეთი), ქაღალდის, სამშენებლო და სხვა დარგებში, აგრეთვე უხეში მცენარეული ბოჭკოს წარმოებაში. ასევე, მცირედ, არალეგალურად ხდება მისი მოშენება ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემცველობის გამო.

Cannabis -ის ხემოტიპები				
ხემოტიპი	პროდუქტი	დომინირებული კანაბინოიდები	ტგკ შემადგენლობა	შეფარდება კბდ/ტგკ
ნარკოტიკული	მარიხუანა, ჰაშიში, კანაბინოიდები	გკ	1 %-20 %	0,14-0,4
შუალედური	არ არის	ტგკ, კბდ	0,3 %-1,0 %	0,5-2,0
სართავი	ბაგირი, ტანსაცმელი, ზეთი, კოპტონი	კბდ	0,3 % -ზე მცირე	2-17

კანაფის წარმოება მემცენარეობის უძველეს დარგს მიეკუთვნება. 1956 წლის მონაცემებით, ჩვეულებრივი კანაფის ნათესებს საბჭოთა კავშირში საერთო ფართობით პირველი ადგილი ეკავა (620 000 ჰა), რითიც ბევრად უსწრებდა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა იტალია, უნგრეთი, ავსტრია, საფრანგეთი, რუმინეთი და გერმანია.

კანაფის წარმოების ძირითადი დარგები იყო:

1. კანაფის ორმაგი გამოყენება ბოჭკოს და თესლის მისაღებად;

2. ბოჭკოს მისაღებად;
3. მეთესლეობა - მაღალხარისხოვანი თესლების გამოზრდისა და ერთდროულად ბოჭკოს მისაღებად.

სელისა და კანაფის წარმოება ითვლებოდა სოფლის მეურნეობის მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად. კანაფის საწარმოო ჯიშები, რომლებიც მინიმალური ოდენობით (0,1%) შეიცავს ტგკ, სამი ან მეტი წლის განმავლობაში გარდაიქმნებიან ნარკოტიკების შემცველ ჯიშებად. რასაც უკავშირებენ მათ დამტვერვას ველურად მოზარდი კანაფის მტვრით, რომელიც ვრცელდება 5-12 კმ-ზე, რის გამოც მწარმოებლები სათესად იყენებენ უფრო ნაადრევი რეპროდუქციების თესლს, ამასთან თაობათა რიცხვი განისაზღვრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებით.

ფსიქოტროპულ ჯიშებთან საბრძოლველად შეიძლება გამოყენებული იქნეს არანარკოტიკული ჯიშების მტვრიანებით (მათი ზომაა 25-30 მიკრონი, ხოლო სიცოცხლისუნარიანია 14 დღე-ღამე) იმ ტერიტორიის დამტვერვა, სადაც იზრდება ველური ან უკანონოდ მოყვანილი კანაფი.

ტექნიკური კანაფის ძირითადი მწარმოებლები, გადამამუშავებელი და სამომხმარებლო ორგანიზაციები, რომლებიც კანაფის პროდუქციასთან მუშაობენ, პირობითად შეიძლება დაიყოს:

- კომპანიები, რომლებით თვითონ ზრდიან და გადამამუშავებენ ტექნიკურ კანაფს .
- კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ტექნიკური კანაფის მოყვანას და ახდენენ მათ რეალიზებას ქერელის ან თესლების სახით.
- გადამამუშავებელი კომპანიები (მომხმარებლები).

<https://t.semenarnia.zone/tales/kultivirovanie-konopli>

ბიოლოგიური თავისებურებები

კანაფის სათესლე მასალა, რომელიც მიიღება სამკალი მანქანით ან კომბაინით, ჩვეულებრივ შეიცავს ბევრ მინარევს და ხასიათდება მაღალი ტენიანობით. ამიტომ, თესლების გალენჯვის შემდგომ, საჭიროებს წინასწარ გასუფთავებას, შრობას, საბოლოოდ გასუფთავებას და დახარისხებას. წინასწარი დასუფთავებისათვის იყენებენ მარცვლების გამასუფთავებელ მანქანას. შრობას ატარებენ დახურულ კალოებზე, სადაც თესლებს შლიან 3-10 სმ სისქეზე და პერიოდულად გადააბრუნებენ, რათა აიცილონ ჩახურება. ნოტიო ამინდში და თესლების მაღალი ტენიანობისას რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნეს თესლის საშრობები, არა უმეტეს 40-45°C ტემპერატურისა. საბოლოო დამუშავება ხდება თესლის გამასუფთავებელ მანქანებში, ხოლო დახარისხება პნევმატურ დასახარისხებელ მაგიდაზე.

კანაფის სათესი თესლი, დანაგვიანებასა და აღმოცენებასთან დაკავშირებით ხარისხის მიხედვით იყოფა 3 კლასად. აღმოცენების განსაზღვრას ატარებენ 1000 თესლის გალივების გზით. თესლები 75%-იანი აღმოცენებით ითვლება არაკონდიციურად. სათესი მასალის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია - სიმსხო (1000 თესლის მასა), რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს ჯიშისათვის დამახასიათებელ პარამეტრებს. კულტურული ჯიშების თესლების წონა შეადგენს 9-26 გ/1000 ცალი/. უფრო დაბალი მაჩვენებლების 8გ /1000 ცალი/ შემთხვევაში შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ აღნიშნული ჯიში გავლურდება ან გადაშენდება. გამოკვლევების თანახმად, ერთი და იგივე ჯიშის მსხვილი თესლები უფრო მაღალი აღმოცენებით ხასიათდება, ვიდრე წვრილები.

სათესად გამოყენებული თესლები, უნდა შიცავდეს ტენიანობას არა უმეტეს 13%, ჯიშისათვის დამახასიათებელ ფერს და სიკაშკაშეს, ერთიან გარსს, ობის ლაქების, დაზიანებებისა და ბზარების გარეშე. კონდიციური თესლები, რომელთა ტენიანობა 10-12%, 3-4 წლის განმავლობაში ინარჩუნებენ აღმოცენების უნარს.



კანაფის აღმონაცენი



კანაფის აღმონაცენი

(ლებნები და პირველი წყვილი ნამდვილი ფოთლები)



**კანაფის ზრდა-განვითარების დინამიკა
(აღმონაცენიდან ზრდასრულ ეგზემპლარამდე)**

კანაფის თესლი გაღივებას იწყებს 1-2⁰ სითბოს პირობებშიც. მაგრამ სწრაფი და ერთდროული აღმოცენების მისაღებად საჭიროა ნიადაგის ტემპერატურა 8-10⁰ აღწევდეს. სუსტი ყინვები მიწუს 5⁰-მდე დიდ ზიანს აყენებს კანაფს აღმოცენების დროს, მაგრამ შემდგომ პერიოდებში დაბალი ტემპერატურა თვალსაჩინოდ აფერხებს მის ზრდა-განვითარებას. სითბოს პირობებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა ზრდის პირველი ორი თვის განმავლობაში (მაისი-ივნისი), თუ ამ პერიოდში, განსაკუთრებით კოკრობა-ყვავილობისას, ტემპერატურა 15⁰-ზე ნაკლებია, კანაფის ზრდა მეტად შენელებულად მიმდინარეობს, რაც გავლენას ახდენს მოსავალზეც, მაგრამ სასუქების მეშვეობით კანაფის კვების გაძლიერება საგრძობლად ამცირებს მაის-ივნისში დაბალი ტემპერატურის უარყოფით გავლენას.

აღმონაცენი, გაღივებიდან პირველი წყვილი ნამდვილი ფოთლების წარმოქმნამდე, ზრდის საწყისი სტადიაა. კანაფში სულ რამდენიმე დღეში წარმოიქმნება აღმონაცენი, რის გამოც შეუძლებელი ხდება აღმოცენებამდე ნიადაგის დაფარცხვა. ლებნებს შორის ვითარდება ნამდვილი ფოთლების პირველი წყვილი, რომლებიც შედგება ფართო, ბოლოში წაწვეტებული და კიდე დაკბილული ფირფიტისაგან. შემდეგომში ლებნები ჭკნება და ცვივა, ხოლო პირველი წყვილი ფოთლების უბეებში ვითარდება მეორე წყვილი ნამდვილი ფოთლებისა, რომლებიც შედგება სამი ნაკვეთისაგან. ამასთან ღეროს სიმაღლე 5-10 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ღია გრუნტში აღმონაცენის 10 სმ-ის ზევით, აუცილებელია გამეჩხერება. აღმოცენებიდან ყვავილობამდე პერიოდი 75-120 დღეს შეადგენს.

კანაფი ტენის მოყვარული მცენარეა, მასზე მკვეთრად მოქმედებს ნალექების რაოდენობა და მათი განაწილება თვეების მიხედვით მთელი ვეგეტაციის მანძილზე. ყველაზე კარგ მოსავალს მაშინ იღებენ, როდესაც ნიადაგის ტენიანობა სრული ტენტევადობის 70-80 % უდრის. ამის გათვალისწინებით, კანაფის დასათესად ირჩევენ დადაბლებულ ადგილებს, სადაც ყველაზე უხვი მოსავალი მიიღება.

მშრალი ნივთიერების ერთი ერთეულის შექმნაზე კანაფი 1,5-2-ჯერ მეტ წყალს ხარჯავს, ვიდრე ხორბალი ან შვრია (ტრანსპირაციის კოეფიციენტი 600-800). თუმცა გარკვეულ პირობებში კანაფი გვალვებს უძლებს, მაგრამ თვალსაჩინოდ მცირდება მისი პროდუქცია, რადგან ვეღარ ახერხებს სიმაღლეზე ზრდას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამხრეთული კანაფის ტრანსპირაციის კოეფიციენტი ერთი მესამედით უფრო ნაკლებია, ვიდრე შუა რუსეთის კანაფისა. განათების ხანგრძლივობის შემცირება აჩქარებს მსხმოიარობას და კანაფის შემოსვლა-მომწიფებას.

https://kopilkaurokov.ru/biologiya/prochee/ekologhiia_rastienii

აგროტექნიკა

ადრეულ წლებში საკარმიდამო მეურნეობებში კანაფისათვის გამოყოფილი იყო სპეციალური ნაკვეთები - საკანაფეები. სადაც უხვი განაყოფიერების საშუალებით წლების მანძილზე კანაფის უცვლელად თესვის შემთხვევაში კი ახერხებდნენ ბოჭკოსა და თესლის შედარებით დამაკმაყოფილებელი მოსავლის მიღებას. თუმცა ასეთ განმეორებით თესვას თან სდევს უარყოფითი შედეგებიც; უწყვეტი თესვა იწვევს სხვადასხვა მავნებლებისა და კელაპტარას ძლიერ გავრცელებას; განმეორებითი თესვის პირობებში, მისი მოსავლის გვიან აღების გამო, ბრკოლდება ნიადაგის დროული დამუშავება და ადრე შემოდგომაზე ნაკელის შეტანის შესაძლებლობა. ამის შედეგად უწყვეტად თესვას მოსდევს ბოჭკოსა და თესლის მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება.

კანაფი კარგად ვითარდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნიადაგში საკმაო რაოდენობითაა წყალი და ადვილად ასათვისებელი საკვები ნივთიერებები. მათდამი დიდი მოთხოვნილების ერთ-ერთი მიზეზია კანაფის არათანაბარი ზრდა. დათესვის შემდეგ პირველი 20-30 დღის განმავლობაში კანაფი მეტად ნელა იზრდება და შესაბამისად, მცირე რაოდენობით საჭიროებს წყალს და საკვებ ნივთიერებებსაც, მაგრამ მომდევნო 30-40 დღის

პერიოდში მოთხოვნილება მათ მიმართ მკვეთრად იზრდება, რაც იმიტია გამოწვეული, რომ ამ პერიოდში იქმნება ღეროს მოსავლის თითქმის $\frac{3}{4}$ ნაწილი და ამ მნიშვნელოვანი მასის შესაქმნელად მცენარე იყენებს 50-70%-მდე წყალს და სრული ვეგეტაციის მანძილზე საჭირო აზოტისა და კალიუმის მთელი რაოდენობის დაახლოებით 75%-ს.

კანაფი საუკეთესო მოსავალს იძლევა საშუალო სიმკვრივის ღრმა, ორგანული ნივთიერებებით მდიდარი და დადაბლებული რელიეფის ნიადაგზე; მძიმე თიხნარი ნიადაგები, რომლებიც ადვილად განიცდიან ზედაპირულ წაკირვას, ნაკლებად გამოსადეგია მისთვის, ვინაიდან ასეთ პირობებში ძნელდება მისი აღმოცენება. კანაფი კარგად იზრდება დანალექ, მდინარის მიერ მოლამულ ჭალის მიწებზე და აგრეთვე, ნემომპალა-ჭაობიან ნიადაგებზეც, ოღონდ საკმაოდ კულტურულ მდგომარეობაში მათი მოყვანის შემდეგ. კანაფის კულტურის ძირითად რაიონებში კანაფს თესავენ სხვადასხვა დონით გამოტუტვილ შავმიწა, მუქ და ღია ფერის ნიადაგებზე. ამასთანავე, კანაფისათვის ყველაზე შესაფერისია დადაბ-ლებული, აღმოსავლეთის მშრალი და ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან დაცული და ნაკლებად დაჩრდილული ადგილები, სადაც კანაფი იძლევა უმაღლეს მოსავალს; ასევე უხვი მოსავლისათვის უნდა შეირჩეს დამშრალი და კარგად ათვისებული ნაჭაობარი მიწები, სადაც გრუნტის წყლები მიწის ზედაპირიდან 80-100 სმ-ზე ახლოს არ არის.

ნიადაგის დამუშავება შედგება 4-5 სმ-ზე აჩეჩვისა და მზრალად ხვნისგან. ძველი საკანაფეები წინასწარ უნდა გაიწმინდოს წინა მოსავლიდან დარჩენილი კაჭაჭებისაგან, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი და დაიწვას მავნებლების, კერძოდ, სიმინდის ფარვანას მოსასპობად, რომელიც ზამთარში ამ კაჭაჭებში ბუდობს. ხვნა უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება ადრეულ ვადებში.

ტორფიან ნიადაგს ხნავენ უშუალოდ წინა კულტურის აღების შემდეგ, ხოლო ახლად ათვისებულ ტორფნარებს - ივლის-აგვისტოში, შუა ზაფხულში ასეთი ადგილების ხვნას ის

უპირატესობა აქვს, რომ მომავალ გაზაფხულზე კანაფის თესვის დროისათვის ბალახი უკვე კარგად იქნება დაშლილი და ნიადაგშიც საკმაო რაოდენობით დაგროვდება მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებები. კანაფის მოსავლიანობაზე არა მარტო ხვნის დრო, არამედ სიღრმეც დიდ გავლენას ახდენს. სხვადასხვა კვლევებით დადგენილია, რომ 22 სმ-ზე ხვნა და 3ა-ზე 40 ტონა ნაკელის შეტანა, იძლევა იმდენსავე მოსავალს, როგორც 15 სმ-ზე ხვნა და 90-მდე ტონა ნაკელი. ვინაიდან ღრმა ხვნა იწვევს ნიადაგის ბუნებრივი სიმდიდრის ამოძრავებას, რაც ხელს უწყობს სასუქების ბევრად უკეთ განოციერებას.

კანაფის სათესად გამზადებულ ნაკვეთებზე, რა წესითაც არ უნდა იყოს ნიადაგი მზრალად დამუშავებული, ზამთარში დაუფარცხავ მდგომარეობაში უნდა იყვეს. ადრე გაზაფხულზე მზრალი უნდა დამუშავდეს ფარცხით და შემდეგ ჩატარდეს კულტივაცია 6-8 სმ სიღრმეზე. ასეთი გაფხვიერება მეორდება უშუალოდ თესვის წინ მძიმე თიხნარ ნიადაგებზე, რომლებიც ადვილად იკვრება, განსაკუთრებით, ცივ და წვიმიან ამინდში საჭირო ხდება მზრალის აოშვა, 12-15 სმ -ზე გადახვნა.

არადამაკმაყოფილებლად დამუშავებულ და თესვისათვის ცუდად მომზადებულ ნიადაგებში თესლის მინდვრული აღმოცენება მკვეთრად მცირდება და აღმონაცენებიც სუსტად ვითარდება, ვინაიდან ახლად ზრდადაწყებული კანაფი, სრულად ვერ იტანს პირშეკრულ და გამკვრივებულ ნიადაგს. /ჯაფარიძე, 1975, 1979/;

<http://agrolib.ru/rastenievodstvo/item/f00/s00/e0000910/index.shtml>

განოციერება

კულტურულ მცენარეთა შორის კანაფი ყველაზე უკეთ პასუხობს ნიადაგის განოციერებას. სასუქებით უზრუნველყოფილ კანაფს კარგი მოსავლის მოცემა შეუძლია ყოველგვარ ნიადაგზე. კანაფისათვის იყენებენ როგორც ორგანულ, ისე მინერალურ სასუქსაც. ნაკელი შეაქვთ დასათესად ხნულის მომზადების დროს, კანაფის თესვამდე ერთი წლით ადრე. ნაკელის ნორმა

იცვლება ნიადაგის ხარისხის, წინა წლებში შეტანილი სასუქების რაოდენობისა და აგრეთვე წინამორბედთა ხასიათის მიხედვით. ჩატარებული მრავალრიცხოვანი ცდა მოწმობს, რომ საშუალო ღირსების ნიადაგებზე (დეგრა-დირებული შავმიწები, კორდიან-ეწერიანი ნიადაგები და სხვ.) გაშენებული საკანაფეებისათვის საკმარისია 40 ტონა ნაკელი 3ა-ზე. ნაკელისა და მინერალური სასუქების ერთად გამოყენების შემთხვევაში ნაკელის ნორმა სათანადოდ მცირდება. სხვა ორგანული სასუქებიდან ნაკელის გარდა იყენებენ ნაკელის წუნწუხს, ტორფს, კომპოსტს, მწვანე სასუქს.

ორგანული სასუქების გარდა, კანაფის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების მძლავრი საშუალებაა მინერალური სასუქები, რომლებიც მოქმედებენ არა მარტო მოსავლის რაოდენობაზე, არამედ ხარისხზეც. ცალკე ელემენტებიდან კანაფისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს აზოტს, მისი დადებითი გავლენა თავს იჩენს მეკანაფეობის ძირითად რაიონებში და ყოველგვარი თვისებების ნიადაგებზე. აზოტთან ერთად ფოსფორისა და კალიუმის შეტანა, გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა ვიდრე ფოსფორი ან კალიუმი. მინერალური სასუქების ნორმა დამოკიდებულია ნიადაგის ნაყოფიერებასა და თესლბრუნვაში წინამორბედთა ხასიათზე. თანახმად ლიტერატურული მონაცემებისა, საკანაფეში შესატანად საკმარისია: 3ა-ზე 45 კგ აზოტი, 30-30 კგ ფოსფორი და კალიუმი, ტორფიან ნიადაგებზე კი საჭიროა ფოსფორისა და კალიუმის უფრო გადიდებული ნორმა: ფოსფორი არა ნაკლებ 90 კგ და კალიუმი 150 კგ.

მინერალური სასუქების საუკეთესო დროდ მიჩნეულია შემდეგი ვადები:

- აზოტიანი სასუქებისათვის - გაზაფხული, ნიადაგის კულტივაციის დრო;
- გრანულეული სუპერფოსფატისათვის - ორი ვადა: ნორმის 2/3 მზრალად ხვნის დროს, დანარჩენი 1/3 თესვის დროს მწკრივებში.
- კალიუმიანი სასუქებისათვის - მზრალად ხვნის დროს.

<https://www.rosflaxhemp.ru/fakti-i-cifri/okonople/agrotehnika.html>

თესლის მომზადება სათესად

თესვის წინ კანაფის თესლი უნდა გაიწმინდოს ყოველგვარი მინარევებისაგან და დახარისხდეს. დასათესად იღებენ წინა წლის მოსავლის თესლს, რომლის გაღივების უნარი არ უნდა იყოს 90-95%-ზე, ხოლო სიწმინდე - 98%-ზე ნაკლები. კანაფის თესლის ხარისხი დიდ გავლენას ახდენს ნათესის სიხშირეზე, თანაბრად განვითარებაზე, მოსავლის ერთდროულად მომწიფებასა და საბოლოოდ კანაფის მოსავლიანობაზე.

თესვა

გაღივებისათვის საჭირო ტენითა და ტემპერატურით კანაფის უზრუნველსაყოფად თესვა ტარდება ადრეულ ვადებში, როდესაც ნიადაგის ზედა ფენები 8-10⁰-მდე თბება. კანაფი უნდა დაითესოს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, სულ 3-4 დღეში. თესვენ მწკრივებად, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მიმართავენ ჯვარედინად და მობმევით თესვას. თესვის ნორმა დამოკიდებულია ჯიშზე, ნიადაგის პირობებსა და თესვის წესებზე. მიღებულია კანაფის შემდეგი სათესი ნორმები:

- ბოჭკოსა და თესლის მისაღებად დათესილი კანაფისათვის 100-110 კგ ჰა-ზე;
- მწვანედ ასაღები სამხრეთული კანაფისათვის 80-90 კგ კანაფის თესლის ჩათესვის საუკეთესო სიღრმეა მძიმე და ტენით მდიდარ ნიადაგზე 3-4 სმ, მსუბუქ ქვიშნარ და მშრალ ნიადაგებზე 4-5 სმ; თუ ნიადაგის ზედა ფენა გამომშრალია, ჩათესვის სიღრმეს ადიდებენ 5-6 სმ-მდე.

<https://ogorodniki.com/article/semena-i-posev-konopli>

ნათესის მოვლა

შესაფერისი ტემპერატურისა და ნიადაგში ტენის საკმაო რაოდენობის პირობებში კანაფი თესვიდან უკვე მესამე-მეექვსე დღიდან იწყებს აღმოცენებას. ნათესის შემდგომი მოვლა გამოიხატება სარეველების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ კანაფი მთლიანი მოთესვის წესითაა დათესილი, სარეველების მოსასპობად საჭიროა მარგვლა. სათესლე ნაკვეთებზე პირველ კულტივაციას ატარებენ ნათესებში მწკრივების შემჩნევისთანავე, ხოლო მწკრივთაშორისების მომდევნო თოხნა-კულტივაციას კი ყოველი 10-12 დღის შემდეგ.

კანაფის მოვლის სამუშაოთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოკვებისა და ხელოვნური დამტვერვის მნიშვნელობა. ამ უკანასკნელს მიმართავენ ბიჭა-კანაფის მასობრივი ყვავილობის დროს; ახორციელებენ თოკით ან მცენარეთა ძლიერი შერხევის საშუალებით. ასეთი წესით ხელოვნურ დამტვერვას მიმართავენ 2-3-ჯერ.

მოსავლის აღება

კანაფის მოსავლის აღებას ერთგვარი თავისებურება ახასიათებს, რაც დაკავშირებულია ამ მცენარის ორბინიანობასთან. ბიჭა-კანაფის დაყვავილების შემდეგ, ე. ი. იმ მომენტიდან, როდესაც მამრობითი მცენარის ბოჭკო უკვე სრულიად მომწიფებულია, დედალი კანაფის თესლის შემოსვლას კიდევ 30-35 დღე სჭირდება. ამიტომ, იმისდა მიხედვით, თუ რა მიმართულებისაა კანაფის კულტურა - ორმხრივი (როგორც ბოჭკოს, ისე თესლის მიღება), თუ ერთმხრივი - მარტოოდენ საბოჭკოე, რაც გულისხმობს კანაფის აღებას სიმწვანის ფაზაში, მოსავლის აღების წესიც სხვადასხვანაირია.

კანაფის კულტურის ორმხრივი მიმართულების შემთხვევაში მოსავლის აღებას იწყებენ ბიჭა-კანაფის მოგლეჯით; ამის საუკეთესო დროა მასობრივი ყვავილობის ფაზა, როდესაც მცენარე მოყვითალო ელფერს ღებულობს, ფოთოლი კარგავს თავის ნო-

რმალურ მუქ-მწვანე ფერს და ცვივა, წვეროს ყვავილებიც ცვივა ოდნავი შერხვევითაც კი; ბიჭა-კანაფის აღება უნდა დამთავრდეს 7-8 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სწრაფად მზარდი დედალი კანაფი ისე ძლიერ ფარავს მას, რომ შემდეგ მისი გამოჩენა უკვე ძნელი ხდება. გარდა ამისა, მოსავლის გაჭიანურებული ალების დროს ვეღარ ეღებულობენ თანაბარი ხარისხის ბოჭკოს. ბიჭა-კანაფს ხელით გლეჯენ, გამოაქვთ მინდვრიდან, კრავენ 10-12 სმ სისქის კონებად და ცდილობენ მაშინვე გადაიტანონ დასალბობად, რადგან ახლად მოგლეჯილი მცენარეები უფრო ადვილად ღებება და უფრო მეტსა და უკეთესი ხარისხის ბოჭკოს იძლევა.

სამხრეთული კანაფის როგორც ბიჭა, ისე დედალ ეგზემპლარებს სიმწვანის ფაზაში იღებენ. ასეთი ნათესების ალებისათვის უმჯობესია ის დრო, როდესაც ბიჭა-კანაფი დაამთავრებს ყვავილობას. ამ ვადაზე ალების შემთხვევაში ბოჭკო მოუმწიფარი და სუსტი გამოდის, ხოლო დაგვიანებით აღება იწვევს ბიჭა და დედალი კანაფისაგან მიღებულ ბოჭკოებს შორის მეტად თვალსაჩინო განსხვავებას, ამ დროსაც მოსავლის აღება არ უნდა გაგრძელდეს 5-9 დღეზე მეტ ხანს.



ტექნიკური კანაფის მოსავლის აღება შესაბამისი ტექნიკით

რადგან დედალ კანაფს იყენებენ როგორც ბოჭკოს, ისე თესლის მისაღებად, ამიტომ მოსავლის ალების ვადა განისაზღვრება თესლის ნორმალურად მომწიფების მომენტით. საუკეთესო ვადად

მიჩნეულია ის დრო, როდესაც თესლი მომწიფდება ყვავილედის შუა ნაწილზე. ამ მომენტისათვის ყვავილედის ზედა ნაწილისა და მისი დანატოტების წვეროებზე, შემოუსვლელად დარჩენილი თესლი მომწიფებას დაამთავრებს უკვე ალების შემდეგ შრობის დროს. აღნიშნულ ვადაში დედალი კანაფის ალება მინიმუმამდე ამცირებს თესლის ჩაცვენიით გამოწვეულ დანაკარგებს და ამასთან უზრუნველყოფს ბოჭკოს უმაღლეს მოსავალს. მათი ალება უნდა დამთავრდეს 7-10 დღის განმავლობაში, რადგან დაგვიანებას მოსდევს ერთის მხრივ, თესლის დიდი დანაკარგი, ხოლო მეორეს მხრივ, ბოჭკოს ხარისხის გაუმჯობესება.

აღებულ დედალ კანაფს ჯერ კრავენ ძნებად, გაშრობის შემდეგ, რასაც მზიანი ამინდის შემთხვევაში სჭირდება 4-5 დღე, გადააქვთ კალოებზე გასალეწად. თესლის გამოლეწვის შემდეგ ხდება ჩალის დახარისხება და სალბობებში გადატანა. თესლს კი აშრობენ ტენიანობის 12-13 %-მდე და ინახავენ მშრალ შენობაში. <http://agrolib.ru/rastenievodstvo/item/f00/s00/e0000910/index.shtml>

კანაფის მავნებლები და დაავადებები

ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც კანაფი მოიცავს არის დეფიციტი და პროფიციტი საკვები ნივთიერებების, მწერები, სოკოები და ობი, აგრეთვე შეცდომები მცენარეების მოვლაში.

საკვები ნივთიერებების დეფიციტსა და პროფიციტს შეადგენს: აზოტი, კალიუმი, ფოსფორი, მაგნიუმი, მარგანეცი, მოლიბდენი, გოგირდი, თუთია, ბორი, კალციუმი, სპილენძი, რკინა.

კანაფის მავნებლებიდან და დაავადებებიდან უმთავრესია: კანაფის რწყილი, ფოთოლმხვევი, ღეროს პეპელა, ობობასნაირი ტკიპა, მუხლუხები, ჭირჭინები, ლორწო და ლოკოკინები, თრიფსები, ფრთათეთრა, სცარიდები, ციკადები, მინერები, ფქვილოვანი მატლი, ობობასებრი ტკიპა, თრიპსები, ნაცრისფერი ლაქიანობა, მცენარეული მდილი; სოკოებიდან: ობი, სეპტორიოზი, ფუზარიოზი, ფესვისეული სიდამპლე, ფქვილოვანი ცვარი.

მოვლასთან დაკავშირებული პრობლემები: გადახურება, სინათლის დამწვრობები, რწყვის გადაჭარბება, წყლის დეფიციტი, ქიმიური დამწვრობა, არასწორი PH.

ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს რომელიმე ნივთიერების მაღალი ან დაბალი შემადგენლობა. გროვინგის დროს, მცენარეებში შეიძლება წარმოიქმნას პერიოდული ცხრილის რომელიმე ელემენტის სიჭარბე ან ნაკლებობა, რომლებიც აუცილებელია კანაფის განვითარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ნივთიერების დეფიციტი შეიძლება წარმოიქმნას სტრესიდან, მაგალითად, მცენარეების გადარგვის შემდეგ. არის იმის ალბათობა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, მცენარე თვითონ გაძლიერდეს და გააგრძელოს აქტიური ზრდა. მიუხედავად ამისა, მაღალი მოსავლის მისაღებად ყოველი სატკივარი ოპერატიულად უნდა აღირიცხოს და განიკურნოს.

მლილი

მცირე ზომის, რბილტანიანი მწერია. სიცოცხლის ეტაპისა და გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მლილი შეიძლება იყოს თეთრი, მწვანე, ყვითელი, შავი, ყავისფერი ან წითელი ფერის. ზოგიერთი ინდივიდები, რომლებსაც „კოლონიზატორებს“ უწოდებენ, გამოირჩევიან ფრთების არსებობით. მოზრდილ ინდივიდებს ულვაშებიც გააჩნიათ.

სიმპტომები: მლილი კოლონიებად ცხოვრობს, ყველაზე ხშირად ირჩევს ქვედა ტოტებსა და ფოთლებს. მლილით დაზიანებული ფოთლები სუსტდება და ყვითლდება. მცენარეზე დაბუდებული მწერები სწრაფად მრავლდება, რომელთაც ძალუძთ რამდენიმე კვირაში მცენარის განადგურება.

პრობლემის გადაჭრა: კვირაში ერთხელ საჭიროა მცენარეების შემოწმება. მლილის აღმოჩენის შემთხვევაში, მცირე ფართობებზე, ამუშავებენ ინსექტიციდური საპნით, ფიტოვერმით, ენტობაქტერიით და სხვა მსგავსი საშუალებებით.

მუხლუხები

სიმპტომები: მუხლუხების არსებობის უმთავრეს ნიშანს წარმოადგენს შექმნილი ფოთლები, რომლებიც შეიძლება დაზიანებული იყოს გვერდებზე ან შუაგულში. გარდა ამისა მწერები ფოთლებზე კვალის სახით სტოვებენ ყავისფერ ან მოშავო ქუჩყს, რომელიც მათი ცხოველმოქმედების პროდუქტს წარმოადგენს.

პრობლემის გადაჭრა: მუხლუხები არ არის მრავალრიცხოვანი და კარგად შესამჩნევია, ამიტომ ყველაზე მარტივ მეთოდს მათთან საბრძოლველად ხელით შეგროვება წარმოადგენს. თუ პრობლემა უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს, უნდა გამოყენებულ იქნეს მავნებლების საწინააღმდეგოდ არსებული ყველა საშუალება, კერძოდ: ლეპიდოციდი, ბიტოქსიბაცილინი ან მათი ანალოგები. უფრო რადიკალურ საშუალებათა რიცხვს მიეკუთვნება ქიმიური პრეპარატები, ისეთი როგორცაა - კარატე ან პოვიკურტი.

ჭრიჭინები

სიმპტომები: ჭრიჭინები მუხლუხას ანალოგიურად ფიზიკურად იკვებებიან მთელი მცენარით.

პრობლემის გადაჭრა: მცირე ფართობებზე იყენებენ ხალხურ მეთოდებს, აზინდის ნახარშს ან წითელი წიწაკის დაფქვილ ნაყოფებს. ყურადღება უნდა გამახვილდეს არა უშუალოდ მცენარის დამუშავებაზე, არამედ მცენარის ირგვლივ ფართობზე (მიწაზე), სადაც ჭრიჭინები სოროებს იწყობენ. თვით მცენარეს ამუშავებენ ისეთი ქიმიური საშუალებებით, როგორცაა დეცისი და კარბოფოსი. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს პრეპარატები საშიშია ადამიანებისთვისაც, რის გამოც დაუშვებელია მათი გამოყენება ყვავილობის სტადიაში.

სციარიდები

სციარიდის მატლები იბუდებენ გრუნტის ზედა ფენაში, 5-8 სმ სიღრმეზე. თუმცა, კანაფის ფოთლები არ წარმოადგენს მათ მთავარ რაციონს, ისინი ფესვებს აყენებენ გამოუსწორებელ ზი-

ანს, რაც ფოთლებზეც მოქმედებს და იწვევს მათ შენელებულ ზრდას. სციარიდებით განსაკუთრებით რთული ფორმებით და-ზიანებისას, მცენარეები შეიძლება დაილუპონ. მცირე ზომის, ფრთიანი მწერებია, ზრდასრული ინდივიდები 3-4 მმ ზომისაა, შავი ან მუქი ყავისფერი შეფერილობის. ახალგაზრდები - ბაცი ნაცრისფერებია და უფრო მცირე - 2-3 მმ ზომის. ამ სახეობის მატლები აჭარბებენ ზომებში მოზრდილ ინდივიდებს, აღწვენ 3-5 მმ, არიან თეთრი შეფერილობის, შავი ფერის თავით.

სიმპტომები: უმთავრეს სიმპტომს, რომელიც რთულია არ შეინიშნოს, ქინქლების გუნდია, რომლებიც მცენარის ირგვლივ დაფრინავს. ასევე, გრუნტში შესამჩნევია მიკროსკოპული თეთრი ფერის მატლების არსებობა. რთულ შემთხვევებში სციარიდების ეპიდემია მოქმედებს მცენარეებზე, რომლებიც სუსტდება, ჭკნება, ფოთლები ყვითლდება და იფარება ლაქებით.

პრობლემის გადაჭრა: უნდა შეჩერდეს მცენარეების მორწყვა. სციარიდები მრავლდება მხოლოდ ტენიან გარემოში. სწორედ ზედმეტი მორწყვა ხდება მათი წარმოქმნის მიზეზი. თუ ეპიდემიამ დიდი მასშტაბები არ მიიღო, ნიადაგის გამოშრომა იწვევს მათ გაქრობას. სციარიდების ნარჩენებს ანადგურებენ ინსექტიციდების საშუალებით. საუკეთესოდ ითვლება ორგანული პრეპარატები, რომელთა შემადგენლობაშია ბაქტერია **bacillus thuringiensis**. მსგავსი პრეპარატები ფართო სპექტრით გამოირჩევა, მაგ.: ლეპიდოციდი, ბიტოქსი-ბაცილილინი, ფიტოვერმი და სხვ. მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ვეგეტატიურ სტადიაში.

ციკადები

ციკადების გარეგანი იერსახე, განსაკუთრებით შეფერილობა მეტად მრავალფეროვანია. ბუნებაში არსებობს ამ მწერის 20000-ზე მეტი სახეობა. მათი ზომები მერყეობს რამდენიმე მმ-დან 1 სანტიმეტრამდე. ესენია ექვსფეხიანი, მბტუნავი მწერები. განმასხვავებელი ნიშანია, უკანა წყვილ ფეხებზე „კბილანების“ არსებობა.

სიმპტომები: ციკადების ნაკბენს არჩევენ ფოთლებზე დიდი რაოდენობის მკრთალი წერტილების წარმოქმნით, რომლებიც თანდათან ყავისფერ ან ბრინჯაოსფერ შეფერილობას ღებულობს. წერტილები დიდი რაოდენობით წარმოიქმნება და განსაკუთრებით შესამჩნევია სიმშრალის დროს, როდესაც მწერები გაძლიერებულად იწყებენ მცენარიდან ტენის შესრუტვას. განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში, ფოთლები ყვითლდება და ხმება.

პრობლემის გადაჭრა: რეგულარულად უნდა ხდებოდეს მცენარეების შემოწმება მწერის ნაკბენების აღმოსაჩენად, განსაკუთრებით მშრალ ამინდში. მათ საწინააღმდეგოდ იყენებენ სპინოსადის ფუძის ინსექტიციდს, რომელიც ადამიანისათვის უსაფრთხოა და ადვილად იშლება მზის სინათლეზე. მცენარეთა დამუშავებას ახდენენ ინსექტიციდური საპნითაც.

მინერები

მოცემული მავნებლის სახელი არ მიეკუთვნება კონკრეტულად რომელიმე მწერს, ესაა საერთო დასახელება მატლების, რომლებიც ცხოვრობენ მცენარის ფოთლებს შიგნით.

სიმპტომები: მინერები კვალის სახით სტოვებენ გვირაბებს ან უსწორო ფორმის ლაქებს, რომლებიც გამოირჩევა უფრო ბაცი ფერით და შიგნიდან სიცარიელით.

პრობლემის გადაჭრა: აცილებენ დაზიანებულ ფოთლებს, იყენებენ სპინოსადის ფუძის ინსექტიციდებს, ასევე იხმარება ინსექტიციდი აკტელიკი, ამავდროულად გასათვალისწინებელია მათი ტოქსიკურობა.

ფქვილოვანი მატლი

ფქვილოვანი მატლი, პატარა, აქტიური მწერია, 3-6 მმ ზომის, თეთრი ან ვარდისფერი შეფერილობის. დაფარულია თეთრი ფხვნილისებრი ნაფიფქით, სხეულის გვერდებზე ჯაგარი აქვთ განვითარებული.

სიმპტომები: მცენარეებზე წარმოიქმნება თეთრი ფხვნილისებრი ნაფიფქი, პარაზიტების აქტიური კონცენტრაციის საყვარე-

ლი ადგილებია ფოთლების უბეები ან ნორჩი ყლორტები. მცენარის ზრდა-განვითარება შენელებულია.

პრობლემის გადაჭრა: ყველანაირ მავნებელ მწერებთან ბრძოლის პირველ ეტაპს წარმოადგენს მათი მაქსიმალურად შესაძლებელი ფიზიკური განადგურება. იყენებენ ინსექტიციდურ საპონსაც, ქიმიური ღონისძიებებიდან ეფექტურად ითვლება სისტემური ინსექტიციდების გამოყენება, რომელთა შესხურება უნდა ჩატარდეს მხოლოდ მცენარეების განვითარების ვეგეტატიურ სტადიაში.

ლორწო და ლოკოკინები

სიმპტომები: ფოთლების ჭამა; ლორწოს კვალი მცენარეზე და მის ირგვლივ, რომლებსაც სტოვებენ ეს მავნებლები მოძრაობისას. განსაკუთრებით ეტანებიან ნორჩ ფოთლებს.

პრობლემის გადაჭრა: ბრძოლა ქიმიური ინსექტიციდებით.

ობობასებრი ტკიპა

ობობასებრი ტკიპა - წვრილი მწერია - 0,5 მმ ზომის, პრაქტიკულად შეუიარაღებელი თვალით შეუმჩნეველია. შეფერილობით თეთრია, ნაცრისფერი ან მწვანე.

სიმპტომები: ფოთლებზე წვრილი, მოთეთრო ან მოყვითალო ლაქები, რომლებიც თანდათანობით ყვითლდება და ხმება. დროის განმავლობაში ფოთლები და ყვავილედები იფარება აბლაბუდით.

პრობლემის გადაჭრა: გაყვითლებული ფოთლების მოცილება; მცენარეების დამუშავება ქიმიური საშუალებებით. ვინაიდან ეს ტკიპა ობობასნაირია, ჩვეულებრივი ინსექტიციდები მათ ვერ ერევან. აუცილებელია აკარიციდების ან ინსექტოაკარიციდების გამოყენება. გამოდგება უფრო მისაწვდომი პრეპარატები - აკტელიკი, ფიტოვერმი, ნეორონი, აკტოფიტი, აკარინი.

თრიპსები

თრიპსი - მწერია მოგრძო სხეულით, შავი, ნაცრისფერი ან მურა ფერის. მატლები თეთრია, ყვითელი ან ნაცრისფერი. მოზრდილი თრიპსი 1-2 მმ ზომისაა.

სიმპტომები: მცენარე იფარება ნაცრისფერი, ბრინჯაოსფერი ან ყვითელი შეფერილობის სხვადასხვა ფორმის სიმპტომებით. თანდათანობით ფოთლები სრულად ყვითლდება და ხმება.

პრობლემის გადაჭრა: მცენარეებს ამუშავებენ ინსექტიციდური საპნით. ღია გრუნტში შესხურებას აწარმოებენ ქიმიური საშუალებებით, ისეთებით, როგორცაა ფიტოვერმი, ვერმიტეკი, აგრავერტინი, აკტელიკი. ინსექტიციდებით დამუშავება რამდენჯერმე ხდება, თითო კვირის ინტერვალით.

ფრთათეთრა

ფრთათეთრა ფრთიანი მწერია, 1,5-3 მმ სიგრძის. ფრთები დაფარულია ცვილისებრი ნაფიფქით, რომელიც ფქვილს მოგვაგონებს.

სიმპტომები: მთავარ სიმპტომს წარმოადგენს მწერების სიჭარბე, რომლებიც დაცოცავენ მცენარეზე და დაფრინავენ მის ირგვლივ. ფოთლის მეორე მხარეს მატლების კოლონიები აღინიშნება. დაზიანებული ფოთლები პირველად იფარება თეთრი ნაფიფქით, შემდეგ შავდება. კანაფის საერთო განვითარება მნიშვნელოვნად მცირდება, ფოთლები ყვითლდება, ზოგჯერ იგრიხება და ხმება.

პრობლემის გადაჭრა: მცენარეს უნდა მოსცილდეს დაზიანებული ფოთლები. საბრძოლველად იყენებენ ჩვეულებრივ ფუმისატორს, ინსექტიციდურ საპონს. მასშტაბური დაზიანებისას ამუშავებენ ინსექტიციდებით - აკტარა, ფიტოვერმი, აკტელიკი.

ობი

სიმპტომები: ობი განვითარების სტადიიდან გამომდინარე შეიძლება იყვეს თეთრი, მუქი ნაცრისფერი ან ყავისფერი, იშვიათად მუქი იასამნისფერი. ყველაზე ხშირად ობი ვითარდება ყვავილელებში. ასეთი ადგილები მუქდება, ხდება უფერული

ან ხმება, იმ დროს, როდესაც მცენარის სხვა ნაწილები ჩვეულებრივ გამოიყურება. მათი წარმოქმნის მიზეზია სოკო - ნაცრისფერი ბოტრიტისი (*Botrytis cinerea*), რომელიც სხვადასხვა გზით ვრცელდება - უმთავრესად ქარით და წვიმით. დაავადების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, კერძოდ - დარგვისას უნდა შეირჩეს ისეთი ადგილები, რომელიც ქარით ადვილად ნიავედება, არ დაირღვეს რწყვის რეჟიმი.

პრობლემის გადაჭრა: მცენარის ობით დაზიანებისას, საჭიროა მცენარეები სრულად განადგურდეს, გაუმჯობესდეს ჰაერის ცირკულაცია, ტენიანობა ნორმის ფარგლებში ჩატარდეს. დაზიანებული ყვავილელების გამოყენება საშიშია ჯანმრთე-ლობისთვის.

სეპტორიოზი (ყვითელი ლაქები)

სიმპტომები: ფოთლებზე ვითარდება მრგვალი ყვითელი ლაქები და თანდათანობით ახლებიც წარმოიქმნება. ლაქების კიდეები უფრო მუქია შუა ნაწილთან შედარებით. ლაქის ცენტრში ვითარდება მუწუკის მსგავსი მაგარი ბორცვაკი ან პატარა შავი წერტილი. სეპტორიოზი წარმოადგენს გვარი *Septoria* - სოკოთი დაზიანების შედეგს. მათი განვითარების ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს თბილი და ტენიანი გარემო პირობები.

პრობლემის გადაჭრა: დროულად უნდა მოხდეს დაავადებული ფოთლების მოშორება, რათა შემცირდეს სოკოს სპორების მინიმუმამდე შემცირება. უნდა გაუმჯობესდეს ჰაერის ცირკულაცია მცენარის ირგვლივ, გასუფთავდეს გრუნტის ზედაპირი. ყვავილობამდე შესაძლებელია მათი დამუშავება ფუნგიციდებით, განსაკუთრებით სპილენძის შემცველი ფუნგიციდებით.

ფესვისეული სიდამპლე

სიმპტომები: ფესვები ჭკნება, ღებულობს ყავისფერ შეფერილობას და ობისა და სიდამპლის უსიამოვნო სუნს. პროგრესირების შემთხვევაში ფესვები ღორწოთი იფარება. ფესვის სიდამპლეს

იწვევს ზოგიერთი ბაქტერიები და სოკოები. კატალიზატორი შეიძლება იყოს მაღალი ტემპერატურა.

პრობლემის გადაჭრა: მათი მკურნალობა მეტად რთულია, ღია გრუნტში დაავადებულ მცენარეებს ძირფესვიანად თხრიან და ანადგურებენ.

ფქვილისებრი ცვარი

სიმპტომები: ფოთლებზე აღინიშნება თეთრი ლაქები, რომლებიც შედგება ფქვილის მსგავსი მტურისაგან, თანდათან ობით გუნდებად იკვრება და ღებულობს მურა შეფერილობას. გამომწვევი მიზეზებია - მაღალი ტენიანობა, ფოთლების მაღალი სიმჭიდროვე.

პრობლემის გადაჭრა: მცენარეების დამუშავება ფუნგიციდებით და ბიოფუნგიციდებით. საუკეთესო საშუალებად ითვლება პრეპარატები - SM-90, ფიტოსტერინი - მ, ალირინი - ბ, გამაირი, ფსევდობაქტერინი -2 და პლანრიზი.

გადახურება

სიმპტომები: ფოთლების გაყვითლება, ყვითელი ან ყავისფერი ლაქები ფოთლებზე, ფოთლების კიდეების დაგრეხვა, ყვავილობის სტადიაში ახალი „გირჩების“ განვითარება, პირდაპირ ძველებზე, რაც ცნობილია „მელიის კუდის“ სახელით.

პრობლემის გადაჭრა: ყურადღება უნდა მიექცეს ამინდის პროგნოზს, ცხელ დღეებში უნდა გაიზარდოს რწყვის რაოდენობა. რწყვა უნდა ჩატარდეს საღამოს ან ადრე დილით, რათა გამოირიცხოს წყლის აორთქლება. გადახურებულ მცენარეებს რამდენიმე კვირა სჭირდება სრული აღდგენისათვის.

რწყვის გადაჭარბება

სიმპტომები: გადაჭარბებული რწყვის შემდეგ აღინიშნება ფოთლების ჭკნობა და სიყვითლე.

პრობლემის გადაჭრა: წყლის გადაჭარბებით გამოყენებისას, მცენარეებს რამდენიმე დღის განმავლობაში უწყლოდ სტოვებენ. შემდგომ, მცირე დოზებით უნდა აღდგეს მორწყვის ნორმალური გრაფიკი.

წყლის ნაკლებობა

სიმპტომები: ფოთლების ჭკნობა, რაც სწრაფად გადადის მორწყვის შემდეგ. ქრონიკულმა უწყლოობამ შეიძლება გამოიწვიოს ფოთლების გაყვითლება და საკვები ნივთიერებების დეფიციტი.

პრობლემის გადაჭრა: ყურადღებით უნდა მოხდეს მორწყვის გრაფიკის შესწავლა და რღვევის მიზეზების დადგენა.

<https://rastamaster.info/397-bolezni-i-vrediteli/>

სათესი კანაფის სამეურნეო გამოყენება

სათესი კანაფი - სასურსათო და ტექნიკური კულტურაა. მას ორი მიზნით იყენებენ, სართავ და საზეთე მცენარედ. თავისი ძირითადი დანიშნულებით სართავი მცენარეა, რომელსაც ბამბისა და სელის შემდეგ მესამე ადგილი უკავია. მისი ღეროდან მიღებული ბოჭკო ეკუთვნის გრძელსა და უხეში ბოჭკოების ჯგუფს და ახასიათებს მნიშვნელოვანი სიმაგრე. ამასთან ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც ადამიანს გამძლე ტანსაცმელი აჩუქა. კანაფის ღეროების ბოჭკო ცნობილია ქერელის სახელითაც, საფუძვლიანად განირჩევა დალპობის წინააღმდეგ გამძლეობით და მდგრადობით, განსხვავებით სელისა და ბამბის ბოჭკოსაგან, რის გამოც შეუცვლელია იმ ნივთებისა და მასალების დასამზადებლად, რომლებიც მუდმივად ტენიან გარემოში იმყოფებიან. მაგალითად: იალქნების, თევზსაჭერი ბადეების, ბაგირების, კანაფის, შპაგატის, თოკების, კარვების, ბრეზენტის, მეხანძრის ხელთათმანების, ცხენის კაზმულობის, ტომრებისა და სხვათა დასამზადებლად. თუმცა კანაფის ბოჭკოსაგან ამზადებენ უფრო თხელ საცვლის ქსოვილებსაც, პირსახოცებს, სუფრებს. ნარჩენებს, რომლებიც წარმოიქმნება კანაფის

ბოჭკოს გადამუშავებისას, უწოდებენ ძენძს. მისით გმანავენ (ჩურთავენ) სახლების ხის კედლებს, ფანჯრებს, კარებებს. საუკეთესო მასალაა მანქანა-მექანიზმების გასაწმენდად.

კანაფის ბოჭკოს გამოსავალი ღეროების საერთო მასის დაახლოებით 20-25%-ია.

კანაფის თესლიდან მიღებული ზეთი ეკუთვნის შრობადი ზეთების ჯგუფს. მას ახასიათებს სპეციფიური სუნი და იყენებენ როგორც საჭმელ ზეთს. თესლი შეიცავს 30-35% მუქი-მოყვითალო-მწვანე შეფერილობის ცხიმოვან ზეთებს, რომელიც საკვები მნიშვნელობით პირველობას უთმობს მხოლოდ მზესუმზირისა და სელის ზეთებს. კულინარული გამოყენებისათვის, მას ასუფთავებენ (ახდენენ რაფინირებას). კანაფის ზეთის ძირითადი მასა მიდის ოლიფის, ლაქისა და საღებავების დასამზადებლად. იხმარება საპნის ხარშვის წარმოებაშიც. თესლში 30-35% ზეთია, 18-23% ცილა, 20%-მდე სახამებელი, 15%-მდე უჯრედისი და 4, 5 %-მდე ნაცარი.

კანაფის თესლიდან ზეთის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი კოპტონი - მაღალი ღირსების კონცენტრირებული საკვებია შინაური ცხოველებისათვის. მშეიერ წლებში ის სიკვდილისაგან ადამიანებსაც იცავდა. კოპტონის ქიმიური შემადგენლობა ასეთია: წყალი 12%, ცილები 31,8%, ცხიმი (ზეთი) 10%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერება 18 %, უჯრედისი 20,2%, ნაცარი 8%. კანაფის თესლი საყვარელი საკვებია მრავალი მგალობელი და დეკორატიული ჩიტებისთვის.

კანაფისაგან მარტო ზეთს არ ღებულობენ. ჯერ კიდევ XIX ს-ში იქნა შემჩნეული, რომ კანაფის შემგროვებლები, ზოგჯერ საოცარ შეგრძნებებს განიცდიდნენ; გაირკვა, რომ კანაფი ნარკოტიკს წარმოადგენდა.

ბოდლერი თავის ნაწარმოებში „ხელოვნური სამოთხე“ ამ შეგრძნებებს ასე აღწერს: „ასე გგონია, რომ ნერგისაგან წარმოიქმნება უცნობი სული, რომელიც იწვევს თავბრუსხვევას, ტრიალებს ჯერ ფეხების ირგვლივ, შემდეგ კი ცბიერად მიეპარება ტვინს და ქარიშხალივით იფეთქებს, ზოგჯერ კი ღრმად ჩაგაფიქრებს.“

სხეულის ნაწილები სუსტდება და უარს ამბობს მომსახურება-ზე“.

ამდენად, არა მხოლოდ სასარგებლო თვისებებით გახდა კანაფი ცნობილი, უფრო მეტიც, ამჟამად ამ მცენარეს არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს განსაკუთრებულ პოპულარობაზე ბოჭკოსა და ზეთზე - უკვე მრავლადაა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი შემცვლელები როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური წარმოშობის.



1820 წლამდე ყველა ნაწარმი, ნახელავი, ნაკეთობები მზადდებოდა კანაფისაგან

ამის მიუხედავად კანაფს იცნობენ მთელ მსოფლიოში. უფრო სწორედ, სამყაროსთვის ცნობილია მარიხუანა, ჰაშიში, ანაშა, რომლებიც სწორედ ამ მცენარის - კანაფის პროდუქტს წარმოადგენს.

კანაფი ახდენს სინთეზირებას და ბუნებრივია, აგროვებს ფოთლებში, განსაკუთრებით წვეროსეულში, ფისოვან კანაბინის ზეთს და სხვა განსხვავებული ქიმიური შემადგენლობის ნივთიერებებს, რომლებიც დამახასიათებელი სუნით გამოირჩევა და ხასიათდება განსაკუთრებული თვისებით, ადამიანში გამოიწვიოს ეიფორია.

კანაფის მოყვავილე წვეროსეული ყლორტები დიდი ხნის განმავლობაში ყურადღებას იპყრობდა როგორც კარგი გამაუმტკივნეული საშუალება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ „ნეტარ“ მდგომარეობას, რომელსაც ეს ნივთიერება იწვევდა, ადამიანი იმდენად სწრაფად ეჩვეოდა, რომ ხდებოდა მისი მონა და მუდმივად სჭირდებოდა მისით ორგანიზმის შევსება. ამჟამად ამ ნივთიერებებს და მისგან მიღებულ პროდუქტებს ნარკოტიკებს უწოდებენ, ერთმნიშვნელოვნად ვსაუბრობთ ადამიანის ორგანიზმისათვის მათ მავნებლობაზე, განსაკუთრებით კი დამლუპველია მისი ფსიქიკისათვის.

კანაფი ბოსტნისა და ბალის სანიტარია. ბაღში ხეებზე არ აღინიშნება მღილი, თრიფსები, კარტოფილი არ ზიანდება ფიტოფტორით, თუ იქვე იზრდება კანაფი. ფუტკრები არ ზიანდებიან ტკიპებით და ა.შ.

კანაფი - უნიკალური ტექნიკური კულტურაა ფართო გეოგრაფიით, მისი კულტივირების უმდიდრესი ისტორიით და სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების ათი ათასობით (არ არის გადაჭარბებული) საშუალებით. 1938 წელს ამერიკამ მას მიანიჭა სახელი „**მცენარე მილიარდი დოლარის**“, ვინაიდან სწორედ კანაფი იყო პირველი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელმაც ასეთ უზარმაზარ ტვირთბრუნვას მიაღწია.

კანაფის გამოყენების ისტორიული ფაქტები

ითვლება, რომ მცენარე კანაფი პირველად იზრდებოდა ცენტრალური აზიის სტეპებზე, კერძოდ, თანამედროვე მონღოლეთისა და სამხრეთ ციმბირის ტერიტორიაზე. მისი გამოყენების ისტორია 12000 წელს მოიცავს, რაც ამ მცენარეს აყენებს ადამიანის მიერ გამოზრდილ უძველეს კულტურათა რიცხვში.

კანაფის დამწვარი თესლები ნაპოვნი იქნა ყორღანულ სამარხებში, ახ.წ.აღ.-მდე 3000 წლის წინათ. ჩინეთსა და ციმბირში 2500 წლის წინათ დამარხულ კეთილშობილი ადამიანების ზოგიერთ აკლდამაში აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობის მუმიფიცირებული ფსიქოაქტიური კანაფი.

პირველი მოხსენიება კანაფის სამკურნალო მნიშვნელობაზე მიეკუთვნება ახალ წ.აღ.-მდე მესამე ათასწლეულის დასაწყისს. ჩინელმა იმპერატორმა ფუ ხისმა მოიხსენია რაღაც მა (მკვლევარები ამ სიტყვას თარგმნიან როგორც კანაფის ადგილობრივ დასახელებად), რომელსაც როგორც გავრცელებულ წამალს ისე ახასიათებს. პირველი წერილობითი ჩანაწერები დათარიღებულია 4000 წლით ადრე ახალ ერამდე ჩინეთის სამკურნალო საშუალებების კრებულებში. მაგ.: მცენარე გამოიყენებოდა ანესტეზიის სახით ქირურგიული ოპერაციების დროს. ისტორიაში ისიცაა ნათქვამი, რომ 2737 წელს ახალ ერამდე კანაფი მოიხსენიება ჩინეთის იმპერატორის შენ ნუნგ პენ-ცაოს ყველაზე ძველ სამედიცინო ტრაქტატების წიგნში „ჯადოსნურ“ მცენარედ; მას მოიხმარდნენ როგორც საკვებს, სანელებელს, სახალხო მედიცინისა და სამრეწველო პროდუქტს. შუ-კინგჰის ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, რომ კანაფის ფოთლებისგან მალარიის საწინააღმდეგო წამალს ამზადებდნენ. დღესაც ერთ-ერთ პროვინცია გუანსი-ჩუანში 300 ათასი მაცხოვრებელიდან ასზე მეტი ადამიანი საუკუნეს გადაცილებულია, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობას და სიჯანსაღეს მკვლევარები მათ რაციონს მიაწერენ - ყოველ დღე კანაფის თესლის წვნიანი და ბრინჯის ღვინო, რომელსაც ამ სოფლის ტრადიციით დღემდე ორჯერ ღებულობენ.

ადამიანები კანაფის გამრავლებას 8000 წლის წინათ მისდევდნენ, რაც დასტურდება ასევე ჩინურ წყაროებში მითითებული ცნობებით ამ მცენარის გამოზრდის შესახებ, რომლებიც მიეკუთვნება ჩვ.წ.აღ.-მდე VIII — IX საუკუნეებს.

105 წელს ჩვ.წ.აღ.-მდე ჩინელმა ტზაილუზმა კანაფიდან ქალაქის დამზადების წესი გამოიგონა. იაპონიაში ქალაქის დამზადებას კანაფიდან VI საუკუნეიდან მისდევდნენ. არაბებმა კანაფიდან ქალაქის დამზადების ხერხი ჩინელებისაგან გადაიღეს VII ს-ში.

ჩინელმა ფერმერებმა, რომლებიც ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, კანაფი კორეაში შეიტანეს 2000 წლით ადრე ახალ ერამდე. კანაფი მოხვდა სამხრეთ აზიის ნახევარ-კუნძულზე 2000

და 1000 წლებს შუა პერიოდში ახ.წ.აღ.-მდე, იმ დროს როდესაც რეგიონში შეიჭრნენ არიელები - ხალხი, რომლებიც საუბრობდა უძველეს ინდოევროპულ ენაზე.

კანაფი ფართოდ გამოიყენებოდა ინდოეთში, სადაც აღიარება მოიპოვა როგორც საკრალურმა ბალახმა. ინდოეთში ამზადებდნენ განსაკუთრებულ სასმელს კანაფისა და რძისაგან, რომელიც ანესტეზირებული მოქმედებით ხასიათდებოდა, ხოლო მანამდე ორი საუკუნით ადრე ეგვიპტელები კანაფს იყენებდნენ ანთებისა და გლავუკომის სამკურნალოდ (მისი მტკერი იქნა ნაპოვნი რამზეს II მუმიაზე).

დიდი ხნის მანძილზე კანაფის მოყვანა წარმოებდა მხოლოდ ჩინეთის, მონღოლეთისა და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიებზე.

ამავე დროს, ჯერ კიდევ V ს-ში ახ.წ.აღ.-მდე კანაფს იცნობდნენ სკვითები, რომლებიც მომთაბარეობდნენ რუსეთისა და უკრაინის თანამედროვე ტერიტორიებზე. ისინი იყენებდნენ მის ბოჭკოს (რომლისგანაც ტანსაცმელს ამზადებდნენ) და თესლებს, რომლებსაც ყრიდნენ ცეცხლში და მის ბოლს ისუნთქავდნენ.

https://t.semyanich-semena.online/articles/istoriya_konopli.

მრავალი მკვლევარის აზრით, კანაფი ასევე მოხსენიებულია ებრაულ წიგნში ზენდ-ავესტში, ათი საუკუნით ადრე ახ.წ.აღ.-მდე. კანაფი შუა აღმოსავლეთში მოხვდა 2000 და 1400 წლების პერიოდს შორის, როგორც ფიქრობენ სკვითების - მომთაბარე ინდოევროპული ხალხის მიერ. სწორედ მათ მიერ იქნა შეტანილი დღევანდელი რუსეთისა და უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ტერიტორიაზე, ვინაიდან მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ამ ადგილებში.

ჰეროდოტეს მიხედვით კანაფი ჩრდილოეთ ევროპაში ახ.წ.აღ.-მდე XV საუკუნეში სკვითებმა შეიტანეს და მას შემდეგ მთელ ევროპას მოედო. ჰეროდოტეს დამსახურებით ჩვენამდე მოაღწია სკვითების განწმენდის რიტუალის აღწერამ: „სკვითები იღებენ კანაფის თესლებს და სქელი ქსოვილის კარვებში შეყუჟულები, ყრიან გავარვარებულ ქვებზე, სადაც ისინი ავრცელებენ ოხშივარს, რომელსაც არ შეეძრება საბერძნეთის არცერთი

ორთქლის აბანო, ეს ორთქლი კი სკვითებში დიდ სიხარულს იწვევს“ (IV-V საუკუნე ახ.წ.აღ-მდე).

სკვითებისათვის ორთქლის აბანო და კანაფის შეხრჩოლება ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. მიიჩნევენ, რომ აქ იგულისხმება განწმენდის ცერემონია, რასაც ძალიან ხშირად ატარებდნენ. ამ შემთხვევაში კანაფი გამოდიოდა ისეთ საშუალებად, რომელიც ამყარებდა კონტაქტს მიცვალეზლებთან და იჭრებოდა მათ „ყოფაში“, გადიოდნენ ჩვეულებრივი ადამიანური მდგომარეობის საზღვრებს გარეთ, რათა დაკავშირებოდნენ მთელ კოსმოსს, ხილულს თუ უხილავს.“

<http://ec-dejavu.ru/c-2/Cannabis.html>.

პლინიუს უფროსი, რომელიც ბუნებისმეტყველი ფილოსოფოსი, „ბუნების ისტორიის“ (*Naturalis Historia*) ავტორი (დაიბადა ახ.წ.აღ.-ის 23 წელს) კანაფს მოიხსენიებს როგორც სარიტუალო, საკვებ და სამკურნალო მცენარეს, ფესვებს როგორც საუკეთესო საშუალებას სახსრების ტკივილის დროს, ფოთლების ნაყენს - მუცლის შებერილობის და ასევე ოტიტის სამკურნალოდ.

ასევე 200 წლით ადრე ახ.წ.აღ.-მდე კანაფი წამლის სახით გამოიყენებოდა ელადაში, ხოლო 100 წლის შემდეგ რომში, რაც დასტურდება დიოსკორიდის შრომებით. მსგავს პრაქტიკას ჰქონდა ადგილი შემდგომ ეპოქებშიც - გვიანი ანტიკურიდან ახალ დრომდე.

ბერძნული წარმოშობის რომაელმა ექიმმა დიოსკორიდმა, რომელიც ვროპული ფარმაცოლოგიის მამად მიიჩნევა (ახ.წ.აღ.-ის I საუკუნე), თავის განთქმულ ნაშრომში “De Materia medica” („სამკურნალო საშუალებები“), სისტემატიკურად აღწერა 500-ზე მეტი მცენარე, მოახდინა მათი დაჯგუფება მორფოლოგიური პრინციპით. კერძოდ, მის მიერ პირველად აღწერილი კანაფიც. დიოსკორიდის აღწერა საკმაოდ მოკლეა: „სათესი კანაფი. ზოგიერთები მას უწოდებენ კანაბიუმს, სხვები - „სხენოსტროფონს“ (სლაიდერი), „ასტერიონს“ (ვარსკვლავისებრი). მცენარე, რომელიც ძალიან სასარგებლოა გამძლე ზაგირების დასამზადებლად. ფოთლები იფნის მსგავსია, უსიამოვნო სუნით და მრგვალი ნაყოფებით, რომელთა დიდი რაოდენობით მიღება

იწვევს უნაყოფობას. ნედლი მწვანე კანაფის ჩაწვეთება ყურებში, შველის ყურის დაავადებებს“. მცენარის ფსიქოტროპულ თვისებებზე დიოსკორიდი არაფერს ამბობს.

ათასობით წლების წინათ მიაჩნდათ, რომ ფსიქოტროპული ან კანაბინოიდების შემცველი მცენარეები ზრდის წარმოსახვის უნარს, რომელიც დაგვეხმარება ისეთი რამეების აღქმაში, რაც ჩვენი ცნობიერებისათვის მიუწვდომელია, ზოგი მათგანი სულს კურნავს, ზოგი კი სხეულს და რაც მთავარია – სიამოვნებას განიჭებს, საკვებსაც ხომ ასეთი დანიშნულება აქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომელმაც სიამოვნება უნდა მოგვანიჭოს.

კანაფი გამოიყენებოდა ევრაზიის კონტინენტის სხვადასხვა რეგიონებში - თანამედროვე ინგლისიდან შორეულ აღმოსავლეთამდე. შუა საუკუნეებში კანაფი უკვე მოჰყავდათ ფაქტიურად ევრაზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ყველა ქვეყანაში. დასავლეთით მისი გავრცელების მიუხედავად კანაფის ფსიქოტროპული თვისებები, როგორც ჩანს, არ გამქრალა. როგორც პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შემსწავლელი გერმანელი სპეციალისტი ჰიუგო ობერმეიერი აღნიშნავს, ძველი გერმანელებისა და გალო-რომანელებისათვის ცნობილი იყო კანაფის მოწვევა ყალიონების საშუალებით. მეხუთე საუკუნეში გერმანიაში ანგლო-საქსების შეჭრის შემდგომ კანაფი მოხვდა ბრიტანეთში. კანაფის თესლები ასევე აღმოჩენილი იყო ვიკინგების ხომალდებში, მე-9 ს-ის შუა პერიოდში.

შემდგომ საუკუნეებში კანაფი დასახლდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში - მოგზაურობდა აფრიკაში, მიაღწია სამხრეთ ამერიკას მე-19 ს-ში და გააგრძელა გზა ჩრდილოეთისაკენ - ჩრდ. ამერიკამდე.


<https://www.facebook.com/wineandfoodtourismacademy/posts>

ყველა აღნიშნული მონაცემი იმის დადასტურებაა, რომ კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობდა ამ მცენარეს და მის მრავალფეროვან თვისებებს.

საინტერესო ცნობები კანაფზე
კანაფმა დაიწვა უბეღესი ქალაქი დანგრევისაგან 1500 წლის
განმავლობაში



ელორა



ელორას მღვიმე



ელორას მღვიმე

ინდოელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ კანაფმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ინდოეთის შტატის მახარაშტრას, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარე ელორის უძველესი ნაგებობების დაცვის საქმეში. ელორა აგებულია V და X საუკუნეებს შორის და შედგება 34 მონასტრისა და ტაძრისაგან. წარმოადგენს ინდური კლდის არქიტექტურის უბრწყინვალეს ნიმუშს.



ელორას ფრესკები

ინდოელმა მეცნიერებმა ბხიმრაო ამბედკარას უნივერსიტეტი-დან შეისწავლეს გამოქვაბულების სამონასტრო კომპლექსის ელორას # 12 მღვიმედან აღებული თაბაშირის ნიმუშები. მათმა შესწავლამ სკანირებული ელექტრონული მიკროსკოპისა და ინფრაწითელი სპექტროსკოპისა და სტერეომიკროსკოპიის მე-თოდების საშუალებით აჩვენა, რომ მათ შემადგენლობაში სა-თესი კანაფის (*Cannabis sativa*) 10 %-მდე აღინიშნებოდა.

ნიმუშებში აღმოჩნდა როგორც ყლორტების ფრაგმენტები, ასევე მცენარის ფოთლების ნაკუწები. ელორაში ნაპოვნი ნიმუშების შედარებისას ქ. აურანგაბადის მახლობლად მოზარდ კანაფის ნედლე მცენარესთან, გაირკვა, რომ ეს ერთი და იგივე ბიოლო-გიური სახეობაა. მეცნიერების ვარაუდით, კანაფის, თიხისა და კირის ნარევი გამოიყენებოდა როგორც დამაკავშირებელი ნივ-თიერება, ამავე დროს, სამშენებლო მასალას ანიჭებდა სიმყარეს. ამასთან ერთად, კანაფიანი ბათქაში ახდენდა ტენიანობის დო-ნის რეგულირებას და აფრთხობდა მავნებელ მწერებს. ამ სახით დამზადებულმა ბათქაშმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მღვი-მეებისა და ციხე-დარბაზების და იქ არსებული ფრესკების იმ სახით შენარჩუნებაში, რა სახითაც ბუდისტური ბერების მიერ იყო განხორციელებული. ელორას 1983 წელს მიენიჭა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი.

P.S. ინდოეთში კანაფი 5000 წლის წინათ იყო მოშინაურებული. მას იყენებდნენ საკვებად, ზეთის წარმოებაში, ბოჭკოს მისაღე-ბად და სამედიცინო მიზნებისათვის. ინდუისტები კანაფს წმინ-და მცენარედ მიიჩნევდნენ და მას იყენებდნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებში და დღესასწაულებზე ჩვენს დროშიც.



კანაფი ინდუიზმში



კანაფი ძველ ჩინეთში

- კანაფს მომავლის მცენარესაც უწოდებენ.
- ჩინურ მითოლოგიაში ერთ-ერთი პერსონაჟია კანაფის ქალწული - უკვდავი ფერია, ქალთა სიმბოლური მფარველი, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლის ელექსირთან.

- პეროდოტე ასე აღწერდა სკვითების ორგიებს: „ისინი ყრიდნენ კანაფის თესლებს ცხელ ქვებზე და სიამოვნებისგან ბლადნენ და გაჰკიოდნენ.“
- ჩრდილოეთ აფრიკაში - კანაფი ბედნიერების წყაროა.
- ინდოეთში ((VIII-VI ს. ახ. წ. აღ.-მდე) ქურუმი-ბრახმანები ამზადებდნენ კანაფის მაგარ ნახარშს, რათა ღვთაებას მიახლოვებოდნენ.
- 1533 წელს ინგლისში მეფე ჰენრი VIII გამოსცა „ბრძანება კანაფზე“, რომელიც ცალკეულ ფერმერს აუცილებელი წესით ავალდებულებდა კანაფის დათესვას. სხვა წყაროების თანახმად, იგი აწესებდა გადასახადს იმ ფერმერებზე, რომლებიც უარს ამბობდნენ კანაფის ან სელის მოყვანაზე.
- მე-17 ს-ში ინგლისსა და დანიაში გამოიცემოდა დედოფლის „მითითებები კანაფზე“, რაც კანაფის გამოზრდას ავალდებულებდა თითოეულ ფერმერს.
- აშშ-ის ერთ-ერთ დამაარსებელს თომას პეინს ეკუთვნის გამონათქვამი: „ყველაფერი რაც აუცილებელია ჩვენ უხვად გვაქვს, კანაფი ჩვენთან იზრდება ჭარბადაც კი“ (კანაფიდან იმ დროს ამზადებდნენ სხვადასხვა სახის საქონელს).
- ლაკოტას და ჩეროკის ინდიელები მას უწოდებენ „თეთრ-კანიანების მიერ შემოტანილ ერთადერთ სიკეთეს“.
- მე-17 და 18 ს-ში კანონის საწინააღმდეგოდ ითვლებოდა კანაფის მოშენებაზე უარის თქმა. 1763-1769 წლებში ვირჯინიის შტატში მის გამოზრდაზე უარის შემთხვევაში შეიძლება ციხეში აღმოჩენილიყვნენ.
- 1883 წლამდე აშშ-ში ქალაქის 75-90% მზადდებოდა კანაფისაგან.
- აშშ-ის პირველი კონსტიტუციის ეგზემპლარები დაიბეჭდა კანაფისგან დამზადებულ ქალაქზე. მოგვიანებით, 1930-იან წლებში ამ ქვეყანამ ფაქტიურად აკრძალა კანაფის სამრეწველოდ წარმოება.
- წიგნის „ალისა საოცრების ქვეყანაში“ პირველი ეგზემპლარები დაიბეჭდა კანაფისგან დამზადებულ ქალაქზე. ხო-

ლო მის ავტორს ლუის კეროლს უყვარდა მარიხუანას მოწევა.

- გასული საუკუნის დასაწყისში კანაფის მყარ ქაღალდზე იბეჭდებოდა დოლარის კუპიურები.
- 1916 წ. აშშ-ის პარლამენტმა ივარაუდა, რომ 1940 წლისთვის ქაღალდის მთელი პროდუქცია კანაფიდან იქნებოდა მიღებული.
- სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლება კანაფის გამოზრდის წასახალისებლად ღებულობდა მთელ რიგ ღონისძიებებს. ასე მაგ.: აშშ-ში 1942 წელს გამოუშვეს ფილმი - „კანაფი გამარჯვებისათვის“ **“Cannabis for Victory**, რომელიც ხელს უწყობდა მისი მოშენების პროპაგანდას.
- ვინსენტ ვან გოგი და რემბრანდტი ხშირად ხატავდნენ კანაფის ტილოებზე.
- ორიგინალური ჯინსები Levi Strauss კანაფისგან დამზადდა.
- კანაფის ზეთით და არა დიზელის, ჰენრი ფონდის პირველი ავტომანქანა დაიდრა.
- კანაფის ფოთლის გამოსახულება ურყევად ასოცირდება ნარკოტიკულ საშუალებებთან. რის გამოც გერმანელი პოლიციელების უნიფორმაზე, რომლებიც მონაწილეობენ ნარკოტრაფიკთან ბრძოლაში, გამოსახულია მისი ნიშანი.
- კანაფის გამოსახულება აღინიშნება რუსეთში, ტულის ოლქის გერბსა და დროშაზე, აგრეთვე სოფ ეპიფანის და ბრიანსკის ოლქის ქ. სურჟის გერბებზე.
- კანაფს მრავალი მოთხრობა და ლექსი მიეძღვნა. აღსანიშნავია:

Иван Тургенев, «Бежин луг» (Записки охотника), 1851; Иван Тургенев, «Ася», 1857; Шарль Бодлер, «Вино и гашиш как средства для расширения человеческой личности» (эссе, пер. В.О.Лихтенштадт-Мазина), 1858; Шарль Бодлер, «Поэма гашиша» (пер. В.О. Лихтенштадт-Мазина) глава II. Что такое гашиш? 1858; Антон Чехов, «Скука жизни», 1886; Антон Чехов, «Степь», 1888; Анастасия Вербичкая, «Ключи счастья», 1909; Иван Бунин, «Древний человек», 1911; Дмитрий Гайдук, «Растаманские народные сказки»;

Фёдор Сологуб, «Чёртовы качели», 1907; Саша Чёрный, «На крыльце» (из цикла «Русские миражи»), 1930; Ольга Берггольц, «Повесть о тринадцатом товарище», 1936; Александр Твардовский, «Дом у дороги», 1942; Илья Сельвинский, «О родине», 1947 და სხვა მრავალი.

<https://pixel.in.ua/konoplja-sohranjala-drevnjaju-derevnju-ot/>;

<https://www.vladtime.ru/nauka/476752> ©

<https://a.hstr420.net/history-of-cannabis-12000-year-with-man/>

<https://www.florapassionis.com/hemp-future-plant/>;

<https://ru.wikiquote.org/wiki/Конопля>

რითია სასარგებლო კანაფი?

მცენარე უძველესი დროიდან ცნობილია როგორც სართავი, საკვები და სამკურნალო მნიშვნელობის მცენარე. ათასეული წლების განმავლობაში სხვადასხვა ხალხის პრაქტიკაში იხმარებოდა ადამიანებისა და ცხოველების სამკურნალოდ; გამოიყენებოდა მცენარის წვენი, თესლები, ფესურა. კანაფის გამონაწურები, ნახარშები და ნაყენები ითვლებოდა ეფექტურ საშუალებად ნიკრისის ქარის, ოტიტისა და დამწვრობის დროს. ინდური კანაფისგან განსხვავებით, ჩვენს სარტყელში კულტივირებული სათესი კანაფი არ ფლობს მნიშვნელოვან ფსიქოაქტიურ თვისებებს, რის გამოც ტრადიციულად მის თესლებს იყენებდნენ საკვებად, ხოლო ბოჭკოსაგან ამზადებდნენ ქსოვილებს, თოკებს, ბაგირებს, ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს.



კანაფის კულტურა ძველ რუსეთში

რევოლუციამდე, რუსეთის ცენტრალური ოლქების მაცხოვრებლებს მოჰყავდათ ევროპაში წარმოებული მთელი მოცულობის 40%. საბჭოთა პერიოდში კანაფი ერთ-ერთ უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენდა და მის ნათესებს უზარმაზარი ფართობები ეკავათ. მრეწველობაში ფართოდ გამოიყენებოდა კანაფის ბოჭკო, კანაფი და კანაფის ზეთი.



ჩვეულებრივი კანაფის პლანტაციები საბჭოთა კავშირში



კანაფის მოსავლის აღება რუსეთში /Foto: cs6.livemaster.ru

საბჭოთა კავშირში კანაფი ერთ-ერთ მთავარ სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენდა. მან ქვეყნის ბიუჯეტში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც ახლა გაზმა და ნავთობმა. ამ სტატუსს ამყარებს „ხალხთა მეგობრობის“ შადრევანი მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევების (ВДНХ) გამოფენაზე. შადრევანის ცენტრში, ხორბლის ძნისა და მზესუმზირას ყვავილელების გვერდით, განლაგებულია კანაფის ყლორტები.



ხალხთა მეგობრობის შადრევანი მოსკოვში

ჯერ კიდევ 50-იან წლებში კანაფი მიეკუთვნებოდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ სასოფლო-სამეურნეო კულტურას ყოფილ საბჭოთა კავშირში. თუმცა დაწყებული 80-იანი წლებიდან ამ მცენარის მოყვანა საერთოდ აიკრძალა.

რუსეთში ბოლო წლებში ინტენსიურად მიმდინარეობს ტრადიციული კულტურის აღდგენა-მოშენება; მისი მოყვანა წარმოებს სხვადასხვა რეგიონებში: ორლოვის, პენზის, ნოვოსიბირსკის, კალინინგრადის და სხვ., რესპუბლიკა მორდოვიასა და ალტაის მხარეში. ტექნიკური კულტურიდან აწარმოებენ უხეშ ქსოვილებს, ბაგირებს, თოკებს. 2016 წელს კანაფის მთლიანმა მოსავალმა შეადგინა 620 ტონა, რომელიც 25%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებლებთან. თუმცა ეს მოცულობა ერთი პროცენტითაც კი ვერ აკმაყოფილებს ქვეყნისთვის აუცილებელი ნედლეულის მოთხოვნილებას. 2017 წელს კულტურის ნათესები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 57 %-ით და შეადგინა 4,5 ათასი ჰა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ესაა საკმარისი, რის გამოც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამუშავებს პროგრამას დარგის დამატებითი სუბსიდირებისათვის.

<https://iz.ru/663639/roksana-avetisian/konoplia-vozvrashchaetsia-napolia>

მსგავსი ტენდენციები, ტექნიკური კანაფის კულტივირების აღინიშნება მთელ რიგ ქვეყნებში (2017-2019წწ.) ტიბეტში, ჩინეთში, ტაილანდში, კანადაში, ყაზახეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, მოლდოვაში, უკრაინაში და სხვ.



ბიზნეს-იდეა: ტექნიკური კანაფი ბრუნდება რუსეთის მინდვრებზე

<https://www.openbusiness.ru/biz/business/kak-otkryt-biznes-po-vyrashchivaniyu-tekhnicheskoy-konopli/>



კანაფის კულტურა ტიბეტში <https://www.google.com>

კანაფის ტექნიკური ჯიშების თანამედროვე გამოყენება

ამჟამად, მრავალი წლის დავიწყების შემდეგ, თანდათანობით ხდება კულტურის აღდგენა. კანაფის ტექნიკური ჯიშებიდან ამჟამად აღიზრდებიან ხარისხიან ტანსაცმელს, თეთრეულს, ბალიშებს, გადსაფარებლებს, ლეიბებს, ფეხსაცმელს, ჩანთებს და ა.შ., რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდება სელის ნაწარმს, პირიქით. კანაფის პროდუქციის უპირატესობა შეაფასა ათასობით მომხმარებელმა და მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდება.

1937 წელს აშშ-ში დაიწყო კანაფის საწინააღმდეგო კომპანია, რომელმაც შემდგომში მთელი მსოფლიო მოიცვა. ქალაქისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მამამთავრები კანაფში ხედავდნენ სერიოზულ საშიშროებას საკუთარ ბიზნესში და დაიწყეს მისი „ნარკოტიკული“ პიარი. 1961 წელს საბჭოთა

კავშირი, მსგავსად სხვა ქვეყნებისა, შეუერთდა გაეროს კონვენციას „ნარკოტიკულ საშუალებებზე“, რომლის თანახმადაც კანაფი მიჩნეულ იქნა სამიშ ნარკოტიკად. კონვენციის რატიფიცირება მეტად ფატალური აღმოჩნდა ამ უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის. აკრძალვამ იმოქმედა კანაფის ყველა ჯიშზე, თვით ტექნიკურზეც (სამრეწველო), რომლებიც არ შეიცავდნენ აკრძალულ ნივთიერებებს. ყველგან დაიწყო მისი ნათესების განადგურება, მრავალ ქვეყანაში საერთოდ აიკრძალა მისი კულტივირება.



პარალელურად დაიწყო ფსიქოაქტიური ნივთიერებების მცირე რაოდენობის შემცველი კანაფის ტექნიკური ჯიშების სელექციის განვითარება, მისი მრავალმხრივი სასარგებლო თვისებე-

ბიდან გამომდინარე. მცენარე კულტურაში ნაკლებმთხოვნია, მისი გამოზრდა არ საჭიროებს პესტიციდებსა და ჰერბიციდებს. ფესვი, ღერო, ყვავილედის და ნაყოფები - საშიში კი არა, სასარგებლოა ადამიანისათვის. ამ მცენარის ირგვლივ წარმოიქმნა მრეწველობის მთელი დარგები. საწარმოო მიზნებისათვის მოჰყავთ სპეციალური, ტექნიკური ჯიშები, რომლებშიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემცველობა მეტად მცირეა - არა უმეტეს 0,01%.

ამჟამად, მთელ მსოფლიოში 200-მდე საწარმოა, სადაც წარმოებს კანაფის გამოზრდა, კვლევა და გადამამუშავება. კანაფის ნაწარმისადმი მოთხოვნამ გამოიწვია ევროპაში სათესი ფართობების გაზრდა, მატულობს საწარმოების რიცხვი, რომლებიც მისგან ამზადებენ სხვადასხვა საქონელს. კანაფის პროდუქციის წარმოებით ლიდერობს ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, აზიის ქვეყნები და ლათინური ამერიკა.

რითია სასარგებლო კანაფის თესლი?



თესლებიდან მზადდება:

- კომპიკორმი შინაური ცხოველებისა და ფრინველთათვის;

- საპონი, შამპუნი, გელი და სხვა კოსმეტიკა;
- მედიკამენტები (კერძოდ, გამაუმტკივნეულები)
- სასმელები (გაზიანი წყალი, ლუდი, არაყი, ვისკი)
- პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი, მშრალი საუზმე.

პირდაპირი უკუჩვენებები კანაფის თესლების გამოყენებაზე არ არსებობს. მცირე რაოდენობით მათი მიცემა შეიძლება ბავშვების, ფეხმძიმე და მემუძური ქალებისათვის. ნეგატიურ რეაქციას იწვევს მარტოოდენ ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

კანაფის თესლების პოზიტიური თვისებები და სარგებელი უზრუნველყოფილია მხოლოდ რეკომენდირებული დოზის (2-3 სადილის კოვზი) დაცვით. მისი დარღვევა იწვევს შემდგომი სიმპტომების წარმოქმნას:

- თავის ტკივილი;
- თავბრუსხვევა;
- საჭმლის მონელების დარღვევა;
- ოფლის გამოყოფის მომატება;
- გულის რიტმის აჩქარება;
- გულის წასვლა.

საჭმელში გამოყენებისას თესლები არავითარ უარყოფით ეფექტს არ ახდენს ადამიანის შეგნებაზე. სარგებელი და მავნებლობა გამოწვეულია მისი ქიმიური შემადგენლობით. მისი სამკურნალო თვისებები გამომდინარეობს ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელი ნივთიერებების შემცველობიდან, ესენია B, A, C, E ჯგუფის ვიტამინები, რკინა, კალციუმი, სპილენძი, ნატრიუმი, თუთია, მაგნიუმი, ცხიმოვანი ზეთები, ანტიოქსიდანტები და კარატინოიდები. ამ მდიდარი ნაკრებიდან გამომდინარე სახალხო მკურნალებმა შექმნეს კანაფის თესლებით მკურნალობის მრავალი რეცეპტი. რეგულარული გამოყენება იწვევს შემდგომ ეფექტს:

- უმჯობესდება ძილი და მახსოვრობა;
- უმჯობესდება კუჭნაწლავის ტრაქტის მუშაობა, ნორმალიზდება ნაწლავების მიკროფლორა, ხდება ტოქსინებისა და სხვა მავნე ნივთიერებებისგან განთავისუფლება;

- ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკა;
- ინკურნება კანის დაავადებები (ეგზემა, ფსორიაზი);
- უმჯობესდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედება და ნორმალიზდება წნევა;
- იწვევს ბაქტერიციდულ და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედებას;
- უმჯობესდება ემოციონალური ფონი;
- ხელს უწყობს კუნთების ჯანმრთელობის შენარჩუნებას (თესლები შეიცავს მაღალხარისხოვანი მცენარეული ცილების, მრავალ პრაქტიკულად სრულ ნაკრებს, რომლებიც წარმოადგენენ კუნთების მშენებარე მასალას);
- იწვევს წონის დაკლებას (ამცირებს მადას და მავნე საკვებისადმი მოთხოვნილებას; ამასთან აჩქარებს მეტაბოლიზმს, რაც ხელს უწყობს ზედმეტი კილოგრამებისაგან განთავისუფლებას);
- ახდენს შაქრიანი დიაბეტის პროფილაქტიკას; მასში შემავალი B2 და ომეგა-9 აქვეითებს სისხლში შაქრის დონეს, ხოლო მანგანუმი აძლიერებს ინსულინის მოქმედებას. ასევე ეს ნივთიერებები ხელს უწყობს გლუკოზის ენერგიად გარდაქმნას.

თესლების გამოყენების წესები

კანაფის თესლებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღება რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი:

- ნედლი სახით - დაღეჭვით და წყლის დაყოლებით;
- გაღივებული (ხორბლის მარცვლების მსგავსად);
- მსუბუქად დახალული და მზესუმზირასავით მიღება;
- სხვა კერძებში დამატება.

თუ კანაფის თესლებს სხვა მცენარეებთან თანაფარდობით გამოიყენებთ, შესაძლებელია მიღებულ იქნეს სხვა დამატებითი სარგებელი ორგანიზმისათვის. ყველაზე სასარგებლო დანამატებია:

- გოჯის (*Licium barbarum*) ნაყოფები - ვიტამინ C-ს განძია. აძლიერებს იმუნიტეტს და ხელს უწყობს ჯანმრთელ და მაგარ ძილს;
- პუერარია (*Pueraria hirsuta*) - იხსნის ალკოჰოლისა და სიგარეტისადმი მიდრეკილებისაგან;
- ქურქუმა (*Curcuma longa*) - აუმჯობესებს კუჭნაწლავის ტრაქტის მუშაობას და აფერხებს კიბოს დაავადებების წარმოქმნას;
- აშვაგანდა (*Ashvagandha himalaya*) - აუმჯობესებს ფსიქოემოციონალურ მდგომარეობას;
- კუნელი და სამკურნალო კატაბალახა (*Crataegus ssp, Valeriana officinalis*) - ასტაბილურებს გულის მუშაობას;
- ჟენშენი (*Panax ginseng*) - ამცირებს ქოლესტერინის დონეს;
- ვარდისფერი როდიოლა (*Rodiola rosea*) და კრაზანა (*Hypericum perforatum*) - ამაგრებს გულსა და სისხლძარღვებს, აუმჯობესებს გუნება-განწყობას.

კანაფის რბე



მისი მეორე სახელია - „ახალგაზრდობის სასმელი“. ის აძლიერებს ძვლებსა და კბილებს, ხელს უწყობს ბავშვების სრულფასოვან განვითარებას. მაგრამ საკმაოდ ცხიმოვანი პროდუქტია, საჭიროა ზომიერების დაცვა.

ინგრედიენტები: კანაფის თესლი - 450 გ, ადუღებული წყალი - 750 მლ, თაფლი - 1-2 სადილის კოვზი.

დამზადების წესი:

- თესლები დაალბეთ ღამის განმავლობაში ცივ წყალში;
- გახეხეთ ბლენდერში და შეურიეთ თაფლი და წყალი;
- მიღებული ნაკრები გადაწურეთ.

თაფლის ნაცვლად შეიძლება სხვა ნატურალური დამატკობ-
ლების დამატება, მაგ., ბანანი ან კაკაო. რძის დაღვევა შეიძლება
საუზმის დროს ან მთელი დღის განმავლობაში.

კანაფის თესლების ფაფა



ფაფის დამზადება მარტივია. საჭიროა ნახევარი ჭიქა თესლების
ღამის განმავლობაში ცივ წყალში დალბობა, შემდეგ ქვაბში გა-
დატანა და მოხარშვა. გემოვნებით უმატებენ მარილს და სანე-
ლებლებს. როგორც კი თესლები გადაიშლება ფაფა მზადაა.
შეიძლება დამატებით სხვა ინგრედიენტების გამოყენება, მაგ.
ხახვის.

კანაფის ზეთი



კანაფის ზეთი მაღალი კალორიობით გამოირჩევა, 900-მდე კალორია 100 გ პროდუქტზე. 99,9 გ შეადგენს ცხიმები, 0,01 გ - წყალი. აქვს ბაცი მწვანე შეფერილობა და ნიგვზის გემო. შეიცავს სასარგებლო ნივთიერებების მაქსიმუმს, ვინაიდან მას ლებულოზენ ცივი გამოწურვის გზით. მასში განსაკუთრებით სასარგებლოა ლინოლინის მჟავა, რომელიც ორგანიზმმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ გარე გარემოდან. ის უზრუნველყოფს უჯრედების ჯანმრთელ მუშაობას, ხელს უწყობს უჯრედშორის კავშირებს და ზედმეტი კილოგრამებისაგან განთავისუფლებას.

კანაფის ზეთით მკურნალობა მისი ანტისეპტიკური და ანტიოქსიდანტური თვისებებიდან გამომდინარე წარმოადგენს კიბოს დაავადებების კარგ პროფილაქტიკას. ზეთი გარეგანი გამოყენებითაც გამოირჩევა, აჩქარებს ჭრილობების შეხორცებას და ფლობს გაუსნებოვნების ეფექტს. კოსმეტოლოგიაში მეტად ფასეულია, ვინაიდან მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ტონუსს და აახალგაზრდავებს კანს.

ზეთში შემავალი მთრიმლავი ელემენტებიდან გამომდინარე აჯანმრთელებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, რის გამოც რეკომენდირებულია მისი გამოყენება გასტრიტისა და წყლულების დროს.

კანაფის აღმონაცენი



კანაფის აღმონაცენი შეიცავს ცხიმოვან უჯერ მჟავებს, B ჯგუფის ვიტამინებს, კალციუმს, უჯრედის და სხვა მიკრო და მაკროელემენტებს, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის. წარმატებული გაღივებისათვის საჭიროა შემდეგი მოქმედებების შესრულება: გადარჩეულ და გარეცხილ თესლებს დაახლოებით 5 საათის განმავლობაში ალბობენ წყალში; ამოტივტივებულ დაჩუტულ თესლებს ყრიან; დარჩენილ თესლებს კიდევ ერთხელ რეცხავენ და ათავსებენ ნოტიო ქსოვილზე ან მარლაზე; ზემოდან აფარებენ კიდევ ერთ ნოტიო ქსოვილს; ქსოვილის გაშრობისას, დამატებით ატენიანებენ; თესლებს ინახავენ ოთახის ტემპერატურაზე პირველი ღივების წარმოქმნამდე (12 საათიდან 1,5 დღემდე). ისინი გამოსაყენებლად უკვე მზადაა, მაგრამ შესაძლებელია დამატებით დაელოდოთ უფრო მსხვილ აღმონაცენს. მნიშვნელოვანია, რომ ქსოვილი იყვეს თხელი და ატარებდეს ჰაერს, წინააღმდეგ შემთხვევაში თესლები ღებება. გაღივებული თესლების დამატება შესაძლებელია სხვა კერძებზეც, რაც აამაღლებს მათ ნოყიერებას.

კანაფის თესლების შენახვა

თესლებიდან საკვები მავნებლების წარმოქმნა, რომ იქნეს აცილებული, თესლებს ჰერმეტიულ ჭურჭელში ათავსებენ, მზის პირდაპირი სხივებისაგან დაცულ მშრალ შენობაში.

კანაფი - უცნაური მცენარეა, რომელიც მოიცავს მრავალ სასარგებლო თვისებებს. იმის გამო, რომ კანაფი ცნობილია უფრო მეტად, როგორც ნარკოტიკი, მრავალ ადამიანს არ აქვს წარმოდგენა, თუ როგორი პოზიტიური მოქმედებით გამოირჩევა ორგანიზმზე. მისი გონიერი გამოყენებით შესაძლებელია მრავალი დაავადების არიდება, აგრეთვე ორგანიზმის გაჯანსაღება და გამაგრება.

<https://zen.yandex.ru/media/zozhmania/chem-polezny-konoplianye-semena-kak-ih-prinimat-i-prorascivat-5b375506f847e000aadf931c>

კანაფის ფოთლებიდან და ღეროებიდან აწარმოებენ:



- ქსოვილებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და სხვა აქსესუარებს;
- ქაღალდს;

- თხევად სათბობს;
- სათბობ მარცვლებს (ბიოსათბობს გრანულების სახით);
- ბაგირებს, თოკებს;
- ავტოსალონების ჩიხოლებს;
- განსაკუთრებით მყარ პლასტმასს, რომლისგანაც მზადდება ხელსაწყოების პანელები;
- ორთოპედიულ ლეიბებს;
- კანაფის ბოჭკო - ძვირფასი ბუნებრივი ანტისეპტიკია.

სასიკეთოდ მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემაზე. არის ვარაუდი სასქესო სისტემაზე მის დადებით გავლენაზე.

ტექნიკური ანუ ჩვეულებრივი კანაფიდან დამზადებული ნივთები

1. თოკი, ბაგირი, ხეზი (შპაგატი), ძაფი

კანაფის თოკი ითვლება ყველა არსებულზე გამძლეად, პირველობას უთმობს მხოლოდ სინთეტიკურ მასალას. მას იყენებენ მშენებლობაში, სამეურნეო საჭიროებისათვის, ინტერიერის ორიგინალურად გასაფორმებლად, ქმნიან საავეჯო ქსოვილს, სახანძრო ხელთათმანებსა და ხეზს.



2. იალქანი და სანაოსნო ხელსაწყოები

კანაფი - ერთ-ერთი ნატურალური ბოჭკოა, რომელიც არ ზიანდება ზღვის წყლით. სწორედ ამის გამო იალქნებს და ხომალდების ხელსაწყოებს ასეული წლების განმავლობაში ამზადებდნენ კანაფის მდებრობითი ეგზემპლარებიდან. სიტყვა «canvas» (ინგლ. ტილო) წარმოიქმნა ჰოლანდიური სიტყვიდან „კანაფი“.



3. ქსოვილები

კანაფის ბოჭკოსგან დამზადებული ქსოვილები ძალიან მაგარია, დროთა განმავლობაში არ განიცდის დეფორმაციას (მაგალითად, ამჟამად შესაძლებელია გაყიდვაში იმ ქსოვილის მოძიება, რომელიც დამზადებული იყო გასული საუკუნის 40-50-იან წლებში და დღემდე ხასხასად გამოიყურება). მამრობითი ეგზემპლარებიდან მიღებული უფრო თხელი და გლუვი ბოჭკოდან ადრე ქსოვდნენ სუფრებს, ფარდებს, ზეწრებს, სახვევებს. ამჟამად, კანაფიდან წარმოებული ქსოვილების ლიდერი ჩინეთია.



კანაფის ბოჭკოდან დამზადებულიქსოვილები

4. კანაფის ბოჭკო

იდეალური შემავსებელია ორთოპედიული ლეიბების: ნატურალური, სუნთქვადი, საშუალოდ ხეშეშიანი; კანაბისი - ბუნებრივი ანტისეპტიკია. ის თრგუნავს ბაქტერიების, მიკროორგანიზმების, სოკოების, ობის ზრდას. ლეიბზე მოხვედრისას ისინი ვეღარ მრავლდებიან, ვერ გროვდებიან, არამედ ისპობიან. აღნიშნულია კანაფის ბოჭკოიანი ლეიბების ორგანიზმის ენერგეტიკის აღმდგენი თვისებები, მთელი დღის განმავლობაში ორგანიზმის ენერჯით დამუხტვა.



კანაფის ბოჭკო და მისგან დამზადებული საბანი



ლეიბი



ბალიშები



თეთრეული



ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია კანაფიდან (კიევი)

5. ტანსაცმელი და ქუდეები

კანაფის ქსოვილიდან დამზადებული ტანსაცმელი მეტად მყარი და ხანგრძლივია. არქეოლოგთა მონაცემებით, ჯერ კიდევ რვა ათასი წლის წინათ, ადამიანები დადიოდნენ კანაფისაგან დამზადებული ტანსაცმლით. მისი ტარება ისეთივე სასიამოვნოა, როგორც სელის ტანსაცმლის. სრულიად ნატურალური, ის ხსნის სტატიკურ ელექტრობას, მსუბუქია, „სუნთქავს“, სასიკეთოდ მოქმედებს მთელ ორგანიზმზე. პროფესიონალები ასეთ ტანსაცმელს ურჩევენ სპორტით დაკავებულებს. კანაფის ქსოვილი ინარჩუნებს ადამიანის სხეულის ბუნებრივი სითბოს ცვალებადობას, ზამთარში იგი თბილია, ზაფხულში გრილი. ის ფაქტიურად არ ატარებს მავნე ულტრაიისფერ სხივებს, აბრკოლებს მიკრობების განვითარებას და სპობს ოფლის სუნს. შესაძლებელია, უახლოეს მომავალში, ნატურალური ქსოვილების ბაზარზე, კანაფმა დაიწყოს ორგანული ბამბის განდევნა. 1853 წელს ლევი სტრაუსის პირველი ჯინსები Levi's კანაფის ქსოვილისაგან იყო დამზადებული. ამჟამად კერავენ ფუტბოლურას, პერანგებს, შორტებს, წინდებს, ტოლსტოურას, ქუდეებს, შარფებს, ზურგჩანთებს, აქსესუარებს.

კანაფის ქსოვილის უმთავრესი უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ არ შეიცავს პესტიციდებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების კვალს, რასაც იყენებენ სხვა სათესი კულტურების, მაგ. ბამბის, სელის დაცვისა და სტიმულაციისათვის, რომლებიც ასევე ბუნებრივ ნედლეულს წარმოადგენს ქსოვილების წარმოებაში. კანაფისაგან დამზადებული ტანსაცმელი ხმარებისას არ დეფორმირდება, არ ფუჭდება და არ კარგავს ფერს რეცხვისას და ამასთან ერთად არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას.



კანაფის ბოჭკოსგან დამზადებული ქუდები და ტანსაცმელი

6. ფეხსაცმელი

კანაფისაგან დამზადებულმა ფეხსაცმელმა ხანგრძლივი დატვირთვის პირობებში დაიმსახურა ჩინებული რეკომენდაციები. გამოირჩევა საოცარი გამძლეობით, ცვეთისადმი უდრეკობით, ხასიათდება ბაქტერიოციდული თვისებებით (ფეხებს იცავს სოკოვანი დაავადებებისაგან). უკრაინაში, ჟიტომირის საწარმო «Hemps» უშვებს თანამედროვე, მოდურ და რაც მთავარია, ეკოლოგიურად სუფთა ფეხსაცმელს კანაფისაგან. თვით ისეთმა ბრენდებმა, როგორცაა Adidas და Nike, გამოუშვეს ამ მცენარის ფეხსაცმლის კოლექციები.




7. ჩანთები

კანაფის ბოჭკო ყველაზე გამძლეა მსოფლიოში. რაც იმას ნიშნავს, რომ მისგან დამზადებული ჩანთები ცვეთისადმი უდრეკია და თქვენს შვილიშვილებსაც შეიძლება ემსახუროს.



8. ქაღალდი



კანაფის ერთი ჰექტრიდან შესაძლებელია იმდენივე ქაღალდის მიღება, როგორც ტყის 4 ჰექტრიდან. ამასთან, ის უფრო გამძლეა, იაფი და ხანგრძლივი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ხეები იზრდება 15-20 წელს, ხოლო კანაფის მოსავლის მიღება შესაძლებელია 120 დღის შემდეგ.

ამის შესახებ მშვენივრად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, 1883 წლამდე მსოფლიოში ქაღალდის 90% -

მდე მზადდებოდა კანაფის ბოჭკოსაგან. მაგ., პირველი ბექდ-
ვითი ბიბლია და აშშ-ის დოლარები და კონსტიტუცია დაიბეჭ-
და სწორედ კანაფის ქაღალდზე. კანაფის ნედლეულიდან მიღე-
ბული ქაღალდი 400%-ით უფრო პროდუქტიულია მერქნის წარ-
მოებულისაგან განსხვავებით.

9. ბიოსათბობი



კანაფი - სათბობად ყველა-
ზე უფრო ეკონომიური და
ეკოლოგიურად სუფთა ნე-
დლეულია. მისგან შესაძ-
ლებელია ორი სახის სათბ-
ობის დამზადება - ბიოდი-
ზელის და ეთანოლ/მეთა-
ნოლის, რაც ორჯერ იაფი
ჯდება ნავთობის პროდუქ-
ტებთან შედარებით.

10. სამშენებლო მასალები



ევროპაში კანაფს მშენებლობაშიც იყენებენ. 2009 წელს დიდ
ბრიტანეთში სახლებს აშენებდნენ კირის, კანაფის კოპტონისა
და მშრალი მცენარეებისაგან. ხოლო გერმანიაში კანაფით ახდე-
ნენ შენობების ფასადის იზოლაციას, აგრეთვე ხმარობენ ლამი-
ნატებისა და პარკეტის საგებლის სახით. კანაფისაგან დამზა-
დებული კოსტრობეტონი (კირთან და წყალთან ნარევი) ჩვეუ-
ლებრივ ბეტონზე უპირატესია, უზრუნველყოფს საუკეთესო

იზოლაციას, ღირს იაფი, ვინაიდან დამზადებულია კანაფის გადამამუშავებელი წარმოების ნარჩენებიდან.



სამშენებლო მასალები კანაფისგან



კანაფი ბინათმშენებლობაში

11. ავტომშენებლობა



საავტომობილო მრეწველობამ უკვე დიდი ხანია ყურადღება მიაქცია კანაფს. ისეთი კონცერნები, როგორცაა Mercedes-Benz, Audi, BMW, Fiat, Ford, იყენებენ კანაფის ბიოკომპოზიტს გადასაკრავად, გადასაფარად და ავტომობილების

კონსტრუქციის დეტალებისათვის. მაგალითად, BMW ერთი მანქანისათვის იხარჯება კანაფის ბოჭკოს 5 კგ.

12. ბატარეები და აკუმულატორები



კანაფისაგან დამზადებული აკუმულატორები წამებში იმუხტება. ხოლო მათი წარმოებისათვის გამოიყენება კანაფის იაფიანი ბოჭკო. ამ მომენტისათვის, ასეთი აკუმულატორების წარმოებას ანხორციელებს კანადური კომპანიებიდან ერთ-ერთი.

13. მულჩი (კოსტრა)



მულჩი - სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ფენა, რომელიც იცავს ნიადაგს, გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. კანაფის მულჩია, იგივე კოსტრა - ღეროების გამერქნებული ნაწილები, რომლებიც რჩება კანაფის გადამუშავების შემდეგ. წარმოადგენს ბრწყინვალე ბუნებრივ სასუქს, ანაყოფიერებს ნიადაგს, იცავს სარეველებისაგან, უზრუნველყოფს სითბოს იზოლაციას და იცავს მაღალი და დაბალი ტემპერატურისაგან.

14. საღებავები



1930 წლამდე კანაფის ზეთს იყენებდნენ მრავალი ლაქისა და საღებავების წარმოებაში. ასეთი საღებავები არატოქსიკურია და შრება სწრაფად.

15. პლასტიკა

იცით თუ არა, რომ კანაფის ღეროებში ცელულოზა უფრო მეტია, ვიდრე ხეებში? ხოლო ამ ცელულოზიდან მიღებული პლასტიკა, 2,5-ჯერ უფრო მაგარი და ხეშემია, ვიდრე პოლიპროპილენი? გარდა ამისა, ის არ წარმოადგენს ჯანმრთელობისა და ეკოლოგიისათვის საფრთხეს, სხვა სინთეტიკური მასალები-საგან განსხვავებით და სრულად ბიოდაშლადია.



კანაფის პლასტიკისაგან დამზადებული გიტარა

16. მერქნოვანბოჭკოვანი პლიტები



კანაფის დაპრესილ ბოჭკოს შეუძლია თანამედროვე თბური საიზოლაციო მასალის ალტერნატივა შექმნას. აღნიშნული მასალა - ეს არის ეკოლოგიური, ტენისადმი მდგრადი, მსუბუქი და მაგარი მასალა.

17. პამპერსები

ამერიკელებმა დაითვალეს, რომ ისინი ყოველწლიურად ყრიან 18 მილიარდ ქვესაფენებს. კანაფისაგან დამზადებული ეკოლოგიურად სუფთა ქვესაფენები საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს. კანაფის ბოჭკო, ასეთ საფენებში ჩინებულად ახდენს ტენის ადსორბირებას, შველის უსიამოვნო სუნის აღმოფხვრას, არის ჰიპოალერგენული და ანტიბაქტერიული.

Pororo



18. კანაფისაგან დამზადებული სხვადასხვა სახის საკვები ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და ადამიანებისათვის



კანაფი შეიცავს ადვილად ათვისებად ცილებს - ალბუმინს და ედისტინს. კანაფის ფოთლების, ყვავილელებისა და კოპტონისაგან დამზადებული საკვები, საქონელსა თუ

ფრინველს უზრუნველყოფს მაქსიმალური ჯანმრთელობისათვის საჭირო ყველა აუცილებელი ნივთიერებით და ადვილად მოსანელებელია ჩვეულებრივი საკვებსგან განსხვავებით, მაგალითად, სიმინდს ძროხა ინელებს მხოლოდ ანტიბიოტიკების დახმარებით.

არმა-წებო, frenzy fisher (კანაფი), თევზების დამატებითი საკვები



კანაფის თესლიდან მზადდება საკვები თევზებისა და ჩიტებისათვის, აგრეთვე კომბინირებული საკვები ქათმებისთვის. ალტის მწარმოებლების მიერ გამოცდილია საკვებად გამოსაყენებელი კანაფი, რომელიც ითვლება ცხოველური ცილების იდეალურ შემცველად. შეუცვლელია ადამიანის ორგანიზმის სწორი ფუნქციონირებისათვის.



❁ ЛАВКА ЗДРАВЬЯ



თეთრი შოკოლადი (კანაფისა და ლურჯი მოცვის ნარევი), მზადდება ციმბირში





კანაფის თესლების გული - სრულფასოვანი მცენარეული ცილების წყარო, რომელიც შეიცავს 9 შეუცვლელ ამინომჟავას, ომეგა-3 და ომეგა-6, ვიტამინებსა და მინერალებს.

უმადლესი ხარისხის თესლები, შეიცავს ჩვენთვის აუცილებელ უჯრედის, რომელიც საუკეთესო საშუალებაა ყაბზობის დროს და ნაწლავების

სასარგებლო მიკროფლორის შესაქმნელად

19. ზეთი

უძველესი დროიდანვე ჩვენი წინაპრები იცნობდნენ კანაფის თესლიდან მიღებული ზეთის სამკურნალო თვისებებს. ეს არის წყარო ცილების, A, B1, B2, B3, B6, C, D ვიტამინების, შეიცავს 20-მდე ამინომჟავებს, მათ შორის 9 - შეუცვლელია. სპეციალისტები იძლევიან მისი ხმარების რეკომენდაციებს მქრქალი და დაღლილი სახის კანისათვის, აგრეთვე შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მის გამოყენებაზე.

XIX ს-ის შუა პერიოდამდე კანაფის ზეთი აღმოსავლეთ ქვეყნების სლავების რაციონში ისეთივე როლს ასრულებდა, როგორც ამჟამად მზესუმზირის ზეთი, ხოლო კანაფის მოხალული თესლები გამოიყენებოდა მზესუმზირის თესლების ნაცვლად.

კანაფის ზეთის დამატება შეიძლება სხვადასხვა სახის სალათებზე, სოუსებზე, ვინეგრეტებზე და ა.შ., რათა ორგანიზმმა მიიღოს ომეგა-3 და ომეგა-6 მჟავები.





სალათები შეზავებული კანაფის ზეთით



კანაფის თაფლი



კანაფი ჩილეს წიწაკასთან



კანაფი+ქოქოსი+ნაღების ნაკრები, კანფეტები კანაფის თესლით

20. რძე



კანაფის რძის მისაღებად, მის თესლებს ალბობენ წყალში, შემდეგ კი ნაყავენ. ამ სასმელის ერთი ჭიქა ორგანიზმს ამარაგებს A, E, B12, D ვიტამინებით, ფოლიუმის მჟავით, რკინით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით, ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ კანაფის თესლი თითქმის არ შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებას - კანაბიოლს, მასში აღინიშნება მხოლოდ დიდი რაოდენობით ცხიმები და მიკროელემენტები

21. ფქვილი



კანაფის ფქვილი გამოიყენება სხვა ფქვილთან ნაერთში (რეკომენდირებული თანაფარდობაა - 1:4). მას სასიამოვნო ნიგვზის გემო და მაღალი კვებითი ღირებულება გააჩნია. წარმოადგენს საკვები ნივთიერებების კონცენტრატს, მაგალითად, შეუცვლე-

ლი ცხიმოვანი მჟავის - ომეგას. კანაფის ფქვილის გამოყენება ძალუძთ იმ პირებს, რომლებიც ვერ იტანენ გლუტენს.

22. სასმელები და ტკბილეული



აიურვედას სამედიცინო ტრადიციებში (იმ ცოდნას რომელიც ჩაიწერა 5000 წლის წინ უძველეს სანსკრიტულ ენაზე და რომელიც უშუალოდ მკურნალობას ეხებოდა, აიურვედა ერქვა, შედგება ორი სიტყვისაგან: აიურ-სიცოცხლე და ვედა-ცოდნა) ტკბილეულობა

დაქუცმაცებული ბხანგის დამატებით ემსახურებოდა ფართო სპექტრის მოქმედების წამლების პოპულარობას. მათში კანაბინოიდების შემადგენლობა იყო უმნიშვნელო, ხოლო მათი ფსიქოტროპული ეფექტი ნეიტრალდებოდა ანტიდოტების (კერძოდ კოთხუჯის) დამატებით.

ტკბილეულობა რეკრეაციული გამოყენებისათვის (მანჯუნი, დავამესკი და ა.შ.) პოპულარული იყო აღმოსავლეთში შუა საუკუნეების დროს. ახალი დრო, გამოირჩევა ფსიქოტროპული კომპონენტების უფრო მაღალი კონცენტრაციით. ბხანგისა და ჰაშიშის გარდა, მათ შემადგენლობაში ხშირად შედიოდა ლემას, ლენცოფას, ხაშხაშის პრეპარატები. ასეთი ტკბილეულობა სხვადასხვა ფორმით გამოირჩეოდა: ხილფაფა, ხალვა, კანფეტები და სხვ.

1860 წელს ნიუ-იორკში დაიწყო შაქარყინულის *Hasheesh Candy* მომზადება, რომელსაც აწარმოებდა *Gunja Wallah Company*. სიროფისაგან დამზადებული კანფეტები, კანაფის სპირტიანი ნაყენის დამატებით რეკლამირებული იყო როგორც „ყველაზე სასიამოვნო და უვნებელი სტიმულიატორი“ და გაყიდვაში იყო 40 წლის განმავლობაში. ამჟამად კანაფის შემცველი შაქარყინულები მზადდება რამდენიმე ევროპული ფირმების მიერ, თუმცა არ

შეიცავს კანაბინოიდებს, მზადდება მხოლოდ არომატული ექსტრაქტის ფუძეზე.

კანაფის თესლისა და ყვავილებისაგან დამზადებული ექსტრაქტი წარმოადგენს ბრწყინვალე ფუძეს გემრიელი სასმელების დასამზადებლად - თაფლიანი ნაყენი, კანაფის სიროფი, ლუდი და სხვა მრავალი სასმელები. კანაფის სასმელები ახდენს „ჯადოქრულ“ ეფექტს და აქვთ სასაიამოვნო, განუმეორებელი გემო. შვეიცარიის ქალაქ ლუგანოს ლუდის სახარშში ხარშავენ მაღალი ხარისხის ლუდს ჩვეულებრივი კანაფის ჯიშებისაგან. ჯიში «*Hanfblüte*», თარგმანში ნიშნავს „კანაფის ყვავილს“ და სრულად ამართლებს თავის სახელს. არომატული, სვიის ლუდი, რომელიც უხვად ქაფდება და გაჯერებულია კანაფის სუნით. «*Hanfblüte*» რამდენიმე გამოფენასა და ფესტივალებზე დაჯილდოებულია პრემიებით, მცირე პარტიებით იყიდება მსოფლიოს 17 ქვეყანაში. სასმელის პოპულარობაზე მის სამშობლოში მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ექსპორტზე გადის წარმოებულის მხოლოდ 15%. აღნიშნული ბიზნესი 1999 წლიდან არსებობს და ყოველწლიურად ზრდის მის ბრუნვას 3-5%-ით, მიუხედავად გაზრდილი სატრანსპორტო ხარჯებისა. რუსეთში ლუდს მონოპოლიურად წარადგენს კომპანია ემბერ გრუპი.

www.hanfblute.ru



კანაფის ლუდი,



კანაფის ეიფორია



კონოპლინი Konoplin

კანაფისაგან მიღებული პროტეინი „კონოპლინი“, მზადდება რუსეთში, გასუფთავებული თესლის ფხვნილისაგან, რომელიც ცხოველური წარმოშობის ცილების სრულ შემცველს წარმოადგენს. განკუთვნილია სპორტსმენებისა და აქტიური ცხოვრების წესით დასაქმებულთათვის.



Manitoba Harvest

კანაფის გასუფთავებული და დაფუკილი თესლიდან ამზადებენ კანაფის პროტეინს *Manitoba Harvest™ Hemp Protein Powder*; შეიცავს 50% პროტეინს, 20% ომეგა-3, ომეგა-6, ომეგა-9, 13% ფიბრას. www.manitobaharvest.com



Hempy Gums

ჩვეულებრივ შაქარყინულს უმატებენ კანაფის ექსტრაქტს, და ღებულობენ საოცარი გემოსა და არომატის ნაწარმს.
www.tgctrading.com



Cannalate - Hot Chocolate

ცხელი შოკოლადი *Cannalate - Hot Chocolate* - ეს არის შოკოლადის სასმელი კანაფის არომატით. თუმცა ის ჩვეულებრივი ნატურალური ინგრედიენტებისაგან შედგება, მაგრამ მას ემატება კანაფის არომატიზატორი (რომელიც არ შეიცავს ტგკ).
www.cannalate.com



Hemp Bud Tea

გერმანიაში ფირმა *Hanf Zeit* აწარმოებს კანაფის ჩაის *Hemp Bud Tea*. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებს ჩაი არ უყვართ, ამ სასმელისადმი ინტერესი დიდია, გამოირჩევა კანაფის გემოთი და სასიამოვნო სურნელით.www.hanf-zeit.com



Ganja Rock

სიტყვა «*Rock*» ითარგმნება როგორც ქვა ან კლდე. კანფეტის სახელი *Ganja Rock*, ნიშნავს „კანაფის ქვებს“, გემოთი ჰგავს ჩვეულებრივ შაქარყინულის ლოლუებს, თუმცა განსხვავებულია ჩვეულებრივისაგან გემოთი და არომატით. კანფეტების შემადგენლობაში დამატებულია ორად-ორი წვეთი კანაფის ელექსირის. www.hempshopper.com



Cannabis Absent

ევროპული მაღაზიების თაროებზე გაჩნდა საოცარი სიახლე, *Cannabis Absent*, ორი მაგიური მცენარე ერთ ფლაკონში! აბზინდას უძველესი დროიდან აწერდენენ შამანურ თვისებებს, ხოლო მისი სპირტიანი ნაყენის კანაფთან შეჯვარება კი მთლად საოცარ ეფექტს იწვევს. სამელი მოფიქრებული და შემუშავებულია ესპანეთში, სადაც იყიდება მისი დიდი ნაწილი. ჭორების თანახმად, დოზის გადაჭარბებამ შეიძლება ადამიანს თავი დააკარგინოს და კარგა ხნით მოხვდეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. www.antonionadal.com



Hanf Pesto

გერმანიის ქ. ბალტრინგენში დამზადებულ პესტოს Hanf Pesto-ს გამორჩეულად მიიჩნევენ. მის შემადგენლობაში სამი კომპონენტი (სალათა რუკოლა, დაფქვილი კანაფის თესლი და კანაფის

ზეთი) მეტად ორგანულადაა შეხამებული და გამოირჩევა მწვავე, დასამახსოვრებელი გემონაკრავით. წარმადგენს დანამატს ყოველდღიურ რაციონში. www.chiron-ul.de



Hemp Jack

ნიგოზი, მზესუმზირა, თაფლი, ქიშიში, კანაფის მოხალული თესლი, სხვა არავითარი ქიმიური საღებავები და დანამატები. ყველაფერი ეს მარტივია, მეტად ნოყიერი და გემრიელია. სპორტსმენები ასეთ ტკბილეულს უწოდებენ „კალორიულ ბომბს“ და იყენებენ შორეული დისტანციის ან მეტად გადატვირთვის დროს. მიღებული კალორიების მიხედვით *HEMP JACK* სნიკერსისგან იმით განსხვავდება, რომ ის იძლევა სუფთა ენერჯის, ხოლო სნიკერსი უხარისხო ცხიმებს.

www.hemperium.com



Canna-Mint Tea

Canna-Mint Tea - ეს არის კანაფისა და პიტნის ჩაი, მიიღება ჰოლანდიური კანაფის საუკეთესო ჯიშისა და მაროკოს სურნელოვანი პიტნისგან. დამზადებულია ჰოლანდიური კომპანია Hemparium და გერმანულ გაერთიანება *Hanf-Zeit* მიერ. ჩაი არ შეიცავს ტგკ, რის გამოც შედგება განუმეორებელი მსუბუქი გემოსა და არომატისაგან. პროდუქტმა დაიმსახურა მოწონება ევროკავშირის კომისიის მიერ. 1996 წლიდან არის კანა-ფესტას მრავალრიცხოვანი ჯილდოების მუდმივი ლაურეატი.
www.hemparium.nl.



Cannalade Dark

შავი კანალადი - შოკოლადი კანაფის თესლებით.
www.bongobong.de




Coco Hempy's

Hemparium&Hanf-zeit კომპანიის მიერ შემუშავებული ორცხო-
ბილა, რომელიც მოიცავს ქოქოსის კაკალს და მოხალულ კანა-
ფის თესლებს. www.hemparium.nl.



**ჩვეულებრივი კანაფის თესლების პასტა, ჩვ. კანაფიდან
დამზადებული ტკბილეული**



კანაფის ფქვილიდან დამზადებული პური



ნამცხვრები

23. კოსმეტიკა

კანაფის ზეთი გამოიყენება კოსმეტიკის შესაქმნელად. მის საფუძველზე ამზადებენ საპონს, გელს, კრემებს, შამპუნებს. კანაფის ზეთი ბრწყინვალედ ართმევს თავს დაზიანებული კანის შეხორცებას, მის ნორმალიზებას, შველის ანთებით პროცესებს, ხელს უწყობს ნაოჭების შემცირებას, ანელებს დაბერებას, ასუფთავებს ფორებს. კანაფის ზეთის შემცველი კრემები სწრაფად იწოვება და გამოსადეგია პრობლემური კანისთვისაც. ხასიათდება დამატენიანებელი მოქმედებით და განსაკუთრებით პოპულარულია ანტიასაკობრივი კრემების წარმოებაში. მშრალი კანის შემთხვევაში იწვევს კანის დამცავი თვისებების აღდგენას, ვინაიდან მდიდარია ცხიმოვანი მჟავებით. დატენიანებასთან ერთად კანს ანიჭებს ელვარე ბრწყინვალეობას. ცხიმოვანი კანის შემთხვევაში ეფექტურად ახდენს ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციის აღდგენას, ახდენს მათი სეკრეციის ნორმალიზებას, ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო თვისებებით და აღადგენს კანის ბარიერულ ფუნქციას, უზრუნველყოფს კანის განახლების პროცესების დაჩქარებას და მის დატენიანებას. შესაფერისია ფორიანი კანისთვის. არ ტოვებს ცხიმოვან სიპრიალეს. სადღეისოდ ჩეხური კომპანია Cannaderm კანაფის კოსმეტიკის წარმოებაში ლიდერია.

<https://www.agrobase.ru/rastenievodstvo/interesnyie-stati/konoplyanoe-maslo-polza-i-vred>



მაღამოები და გელი კანაფისაგან



სუნამო „კანაფი და მირტი“



კანაფის კოსმეტიკა



კანაფისგან დამზადებული კრემი, სამკურნალო ნიღაბი, საპონი, გელი



კანაფის არომატიზატორი RS

24. შამპუნი

თანამედროვე მრავალი შამპუნი იწვევს ქერტლს და კანის გაღიზიანებას, ვინაიდან ხელს უწყობს თავის კანის ჰიდროლიპიდური გარსის ჩამორეცხვას. კანაფის ზეთი, ომეგა-3 და ომეგა-6 მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, ეფექტურად ამაგრებს თმას. მდიდარია E ვიტამინით, ასტიმულირებს კაპილარებს, აუმჯობესებს თავის კანში სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს თმის ზრდას და აჯერებს მას კაროტინით.



<https://my-ecoshop.ru/shampun-konoplya-dlya-ukrepleniya-normalnykh-volos-150-ml-zeytun/>

25. ხალიჩები

ჩვეულებრივი ხალიჩები, რომლებიც სინთეტიკური მასალისაგან მზადდება - საცავია ალერგენების, ნავისა და დაბინძურებული ნივთიერებების. კანაფის ხალიჩა - ბიოლოგიური პროდუქტია, მასში არ იზუდებს ბაქტერიები და ალერგენები.

<https://kover-zefir-ru.livejournal.com/90498.html>



26. საფანტი

ტყვია, რომლის საფანტი 70%-მდე კანაფს შეიცავს, ჩვეულებრივთან შედარებით გამოირჩევა საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლებით. ანვითარებს 800 მ/წმ (ჩვეულებრივი 715 მ/წმ) სიჩქარეს. ხოლო სროლის ტემპი იზრდება 650 გასროლამდე წუთში. ტყვის მაღალი სისწრაფიდან გამომდინარე, ისვრის უფრო სხარტად, ვინაიდან ნაკლებად ცვლის ტრაექტორიას, რაც მეტად ეფექტურია.

27. წამლები

გასული საუკუნეების თითქმის ყველა ცნობილ სამედიცინო წიგნებში, მრავალი დაავადების სამკურნალო უნივერსალურ საშუალებებს შორის კანაფიც მოიხსენიება. მიმდინარეობს კვლევები სამკურნალო პრეპარატებში მისი აქტიური გამოყენების შესახებ. კანაფის ექსტრაქტებიდან აწარმოებენ სამკურნალო პრეპარატებს გლავუკომის, ფანტომური დაავადებების საწინააღმდეგოდ, დამამშვიდებელ ნაყენებს.



კანაფის აზები და ექსტრეტი



სამედიცინო კანაფი - კიბოს საწინააღმდეგო საშუალება

<https://ru.euronews.com/2015/07/29/italy-s-army-bringing-down-the-cost-of-getting-high-on-medical-marijuana>

28. სამკაულები

კანაფისაგან მზადდება სხვადასხვა სახის მრავალი სამკაული



ჯუთისა და კანაფის ძაფისაგან დამზადებული ყელსაბამი, სამაჯურები, მბივები

https://www.ebay.com/b/Hemp-Green-Choker-Fashion-Necklaces-Pendants/155101/bn_110115696

29. თვითმფრინავები

„ბონგ-787“-ის კორპუსი შედგება ნახშირბადის კომპოზიციისაგან, რომელთა 87 % - კანაფის საფუძველია. ასეთი მასალა გამოირჩევა მაღალი სიმყარით და მცირე წონით, ხოლო ხვედრითი მაჩვენებლებით უსწრებს ფოლადს და მასზე მსუბუქია. ნახშირპლასტები გამოიყენება მრავალ ნაკეთობაში, კოსმიური ხომალდებიდან დაწყებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციებამდე დამთავრებული. კანადურმა კომპანიამ Hempearth ააგო თვითმფრინავი, რომელიც სამი მეოთხედით შედგება კანაფის ნახშირბადის ბოჭკოსაგან და მუშაობს კანაფის ბიოსათბობზე.

<https://hs420.net/forums/topic/12330-kanadcy-postroili-pervyy-v-mire-samolyot-iz-konopli/>

30. სერფინგის დაფა

კანაფის ბოჭკო მაგარია, მყარი და მდგრადი მარილიანი წყლისა და ულტრაიისფერი სხივებისადმი, რაც ქმნის შეუცვლელ მასალას ექსტრემალური აღჭურვილობისათვის. სხვა ნატურალურ მასალასთან შედარებით, კანაფიანი დაფები სერფინგისათვის 100 %-ით - ბიოდრეკადია.



https://ru.aliexpress.com/promotion/promotion_surfing-bracelet-promotion.html

31. ჰერმეტიკა

კანაფის ღეროების მერქნოვანი ბოჭკო კირთან და წყალთან ნარევი იძლევა მაგარ, მსუბუქ და დრეკად მასალას, რომელიც ჩვეულებრივ ცემენტთან შედარებით მეტ ჰერმეტიზაციას ახდენს. მასზე არ ვითარდება სოკო, მასში არ არის ტოქსინები და უფრო მეტიც, ის ფაქტიურად ცეცხლგამძლეა.

<https://www.idrobasegroup.com/ru/продукты-и-приложения/club-dei-riparatori/запчасти-аппаратов/расход-материал/герметики>

32. საიზოლაციო ქსოვილი

კანაფის ღეროს ბოჭკოსაგან დამზადებული იზოლაციური ქსოვილი მდგრადია ტემპერატურის რყევისა და მიკროორგანიზმების მოქმედებისადმი, კარგად ინარჩუნებს სითბოს და ძლიერ მსუბუქია. მშენებლებს მისი დამონტაჟებისას არ სჭირდებათ დაცვის სპეციალური ღონისძიებები, ხოლო თვით მასალა არ გამოყოფს მავნე მფრინავ შენაერთებს.

<https://russian.alibaba.com/g/hemp-textile-machine.html>

33. ავეჯი

2011 წელს გერმანელმა დიზაინერმა *Werner Aisslinger-მა* კანაფის კომპოზიტისაგან შექმნა სავარძელი «*Hemp Chair*», რომელიც დამზადებული იყო კანაფის ბოჭკოსა და აკრილოვანი ფისისგან. შემდგომ ეს იდეა აიტაცეს სტუდია «*Ko-Ho*», პროტოტიპი «*Geometric*»-ის ფინელმა დიზაინერებმა.



კანაფი ბუნებრივი რესურსის სახით დიდ პოტენციალს მოიცავს და უკვე ხდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. ასე, რომ უფრო და უფრო ხშირად შეხვდებით ამ გამორჩეული მცენარის სხვადასხვა სახის ნაწარმს.

<http://www.lookatme.ru/flow/posts/design-radar/123113-mebel-iz-konopli-ot-werner-aisslinger>

<https://np-mag.ru/obraz-zhizni/dliadoma/chto-mozhno-sdelat-iz-konopli-30-veshhej/>

<https://4-20.com.ua/polza-marixuanyi.html>

ნაწილი II

კანაფის, როგორც ნარკოტიკის გამოყენების ისტორია

კანაფის ფსიქოდელიური პრეპარატების სუსტი მოქმედება ტრადიციულად კარგადაა შესწავლილი. რბილი დამათრობელი საშუალებების ყველაზე უძველეს და პოპულარულ ქვესახეობას, ფართოდ ცნობილი სათესი ან ჩვეულებრივი კანაფი - *Cannabis sativa* წარმოადგენს.

ძველი შუმერული მითოლოგია კანაფის წარმოშობას უკავშირებს მთიან ქვეყანას: ძვ. წ. აღ. VI-III ათასწლეულების შუა პერიოდში შუმერულ ენაზე ჩაწერილ მითში მოთხრობილია, რომ ზეციურმა ღმერთმა ანუმ ზეციდან ჩამოიტანა ხორბალი, კანაფი და ქერი. ქარიშხლის ბრძანებელმა ღმერთმა ენლილმა, ყველა ამ საგანძურს თავი მოუყარა მთიან ქვეყანაში და „ჩაკეტა მთები, კარების მსგავსად“. მაგრამ ორმა ჭირვეულმა ქალღმერთმა, ნინაზუმ და ნინმადამ, გადაწყვიტეს „მარცვალი მიეცათ შუმერებისათვის, რომლებიც არ იცნობდნენ მას“. თუმცა გაურკვევლია, გამოიყენებოდა თუ არა კანაფის ნარკოტიკული თვისებები ძველი შუმერების მიერ.

კანაფის თესლებს და კანაფისაგან დამზადებულ საშუალებებს ნახულობენ ევრაზიული კულტურული შრეების მესამე ათასწლიან წიაღსვლებში (კერძოდ, ციმბირის ტერიტორიაზე, მაღალი რანგის მუმიფიცირებული ინდივიდების საძვალეებში ნაპოვნი იქნა სათუთუნე გადაშლილი მცენარის ყვავილედებით). კანაფის ნაირსახეობა აღმოჩენილი იყო აგრეთვე ძველი ეგვიპტის ძვ.წ.აღ.-ის მესამე ათასწლეულის სამარხებში.

აღმოსავლეთის კულტურა ინახავს ყველაზე არქაულ წერილობით ცნობებს კანაფზე. ძველ ჩინეთში კანაფის პროდუქტი - ჰაშიში გამოიყენებოდა როგორც გამაუმტკივნეული საშუალება, ხოლო ჩინეთის იმპერატორის შენ-ნუნის (2737 წ. ახ.წ.აღ.-მდე) სამედიცინო წიგნში ირიცხებოდა ხველებისა და ფაღარათის სამკურნალო წამლად. ძვ.წ.აღ.-ის XV ს-ითაა დათარიღებული ჩინელი ექიმების მოწმობები კანაფის გამოყენებაზე, როგორც

რევმატიული ხასიათისა და ნიკრისის ქარის ტკივილების მოსახსნელი საშუალება. ცოტა მოგვიანებით დაიწყეს კანაფის გამოყენება ნერვული აშლილობის სამკურნალოდ.

ინდოეთში კანაფმა აღიარება ჰპოვა როგორც „საკრალურმა (წმინდა) ბალახმა“. ჰაშიში მოიხსენიება ძველ ინდურ ეპოსშიც: „რიგვედის“ (1500 წ. ძვ.წ.აღ.-ით) 100-ზე მეტი ჰიმნი ეძღვნება კანაფისგან მიღებულ ცნობილ სასმელს - *indracarana* (ღმერთების საკვები), რომელმაც შეცვალა ლეგენდარული - რიტუალური ჰალუცინაციის მომგვრელი საკვები, რომლის შემადგენლობა დღემდე უცნობია.

კანაფი კარგად იყო ცნობილი ანტიკურ სამყაროში. დიოსკორიდი, რომელიც კანაფის იყენებდა ანესტეზიისათვის, ახსენებს მის უნარს გამოიწვიოს „ფანტომისა და სხვადასხვა გამოსახულებების გამოხატული სიამოვნებები“ (გამაუმტკივნეული ეფექტისათვის აუცილებელია ჰაშიშის ზემოდალი დოზები, რადროსაც ვლინდება კანაფის ფისების ჰალუცინის-მომგვრელი თვისებები).

ამ მცენარის თვისება, რომელიც „იწვევს სიამოვნების მომგვრელ ფანტომებსა და გამოსახულებებს“ ცნობილი იყო სკვითებისათვისაც. ჰეროდოტეს (V-IV ს. ჩვ. წ. აღ.-მდე). აღწერილი აქვს სკვითების განწმენდის რიტუალი, აი რას წერს ამასთან დაკავშირებით: „სკვითების მიწაზე იზრდება კანაფი - მცენარე, რომელიც ძალიან ჰგავს სელს, მაგრამ უფრო მსხვილი და სქელია... მას იქ ამრავლებენ, თუმცა ველურად მოზარდი კანაფიც იზრდება. სკვითები ქეჩის იურტებში შეყუჟულები კანაფის თესლს ყრიან გავარვარებულ ქვებზე, მისგან წარმოიქმნება ისეთი ბოლი და ორთქლი, რომ არავითარი ელინური ორთქლის აბანო არ შეედრება მას. მისი ტკობით, სკვითები სიამოვნებისაგან ხმამაღლა კვიან“. კანაფისით თრობას აღწერს დემოკრიტე და გალენიც.

ლეგენდები კანაფსა და მის გამოყენებაზე მრავალ რელიგიაში მოიპოვება: ვსინტოუზმში (იაპონია) კანაფი გამოიყენებოდა წყვილების გასაერთიანებლად, ავი სულების გამოსადევნად, ქორწინებაში მხიარულებისა და ბედნიერების შესაქმნელად; ინ-

დუიზმში - კანაფი წმინდა მცენარეა, რომელიც შივას ბრძანებით უნდა ჩამოეტანათ ჰიმალაიდან, „ადამიანის სიამოვნებისა და განმანათლებლობისათვის“. ბუდიზმში კანაფი ფართოდ გამოიყენება საკვებად და რიტუალური მიზნებისათვის. ზორატუსტრას მიმდევრები (მაგი - სპარსეთი, 605 ს. ახ. წ. აღ.-მდე) მის რელიგიურ და სამედიცინო გამოყენებაზე მიუთითებდნენ. ესენები (უძველესი ეგვიპტე, I ს. ახ. წ. აღ.-მდე), ისლამური სუფიები, კოპტები (პირველი ეგვიპტელი ქრისტიანები) და სხვა მრავალი რელიგიური საზოგადოებები კარგად იცნობდნენ კანაფის ნარკოტიკულ თვისებებს.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ნათქვამია, რომ ძველი ბერძნები კანაფის თესლიდან ამზადებდნენ განსაკუთრებულ სასმელს, რომელსაც *Nepenthes* უწოდებდნენ, ხოლო დელფოს ორაკულების კლასიკურ ეპოქაში, „პითია – (დელფოს სამისნოს ქურუმი ქალი) ემსახურებოდა ქურუმს, რომელსაც ის მიჰყავდა ექსტაზურ მდგომარეობამდე, ყრიდა რა ზეთის ლამფის ცეცხლში ქერის, კანაფის თესლებსა და დაფნის ფოთლებს“.

როგორც გერმანელი ეთნოგრაფი ჰიუგო ობერმეიერი ამტკიცებს, კანაფის მოწევა მიღების დახმარებით ცნობილი იყო უძველესი გერმანელებისა და გალო-რომაელებისათვის პირველ საუკუნეში ახ. წ. აღ.-მდე. როგორც ჩანს, ამ ჩვეულებრივი სართავი მცენარის ოფიციალური ევროპული ისტორიის უკან იმალება ღრმა ეზოთერიკული და სამედიცინო ტრადიცია, რომელთანაც კავშირი შეწყვეტილ იქნა „ემმაკებზე ნადირობის“ პერიოდში. ზოგიერთი მონაცემით, ადრინდელი ქრისტიანული თემები ახალისებდნენ სამკურნალო ბალახების გამოყენებას, რომელსაც ბრძენი ადამიანები არ უნდა გაურბოდნენ (კათოლიკური ბიბლია, სირახი 38:4). როგორც ჩანს, მაშინ ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო სიყვარულის ატმოსფერო, ღიაობა და თმენა, რასაც იესო ასწავლიდა. ძველი აღქმის ტაბუს გამყარება ეკლესიამ მოგვიანებით დაიწყო. კანაფი არ ქრებოდა მღვდლების თვალთა ხედვიდან: სამკურნალო თვისებების გამოყენების გარდა ის უზრუნველყოფდა ქალაქის წარმოებას და სანა-

თურეებისათვის ზეთის მოპოვებას. მაგრამ კანაფის ირგვლივ არსებობს გარკვეული შეთქმულება, რის შესახებაც განზრახ არ საუბრობენ.

ინდოეთიდან კანაფი გადაბარგდა ჩრდ. აფრიკასა და ესპანეთში, იქიდან ზღვაოსნების მეშვეობით მოხვდა ამერიკაში.

ნ. ვავილოვის ვარაუდით, ევროპაში კანაფის წარმოშობა დაკავშირებულია სკვითებთან, რომლებმაც ეს მცენარე აზიიდან შეიტანეს. კანაფი, რომელიც საჭიროებდა განოციერებულ ნიადაგებს, „ მომთაბარე ადამიანთან ერთად ვრცელდებოდა, როგორც საცხოვრებლების აუცილებელი თანამგზავრი... შესაძლებელია, მის სამეურნეო გამოყენებამდე ადამიანი მას ებრძოდა როგორც სარეველას, ყრიდა რა ცეცხლში, და მაშინვე შეიგრძნობდა მის ნარკოტიკულ მოქმედებას...“

კანაფის სანსკრიტული სახელი *bhanga* ზმნა *bhani*-დან მომდინარეობს, რაც გახლეჩვას, დანგრევას ნიშნავს. ასეთი სახელი შეესაბამება კანაფის ნარკოტიკულ თვისებებს, გახლიჩოს შეჩვეული კავშირები და გადაიტანოს ცნობიერება შეცვლილ მდგომარეობაში.

ევროპულ და კერძოდ, ბალყარულ ვარიანტებში აქცენტირებულია არა იმდენად მაგიური, რამდენადაც მისი სართავად გამოსაყენებელი ნედლეულის დამზადება. კანაფის ღეროების დაგრძელების მიზნით, ევროპის მრავალ ქვეყანაში და სლავური ხალხების მიერ ეწყობოდა ცეკვები და ხტომები სხვადასხვა სიმაღლიდან, ბანიდან, მაგიდეებიდან, ლუმელებიდან და ა.შ., რაც სადღესასწაულო დღეებში ტარდებოდა. რუსებს, ჩეხებსა და ბულგარელებს ასეთი ტრადიცია ჰქონდათ, ანთებდნენ კოცონებს და ახტებოდნენ მათ, რაც უფრო მაღლა გადაახტებოდნენ, მით უფრო მაღალი მოსავალი იქნებოდა კანაფის.

კანაფის სართავი ბოჭკოს მნიშვნელოვანი სამეურნეო დანიშნულებით გამოირჩეოდა ზღვის იმპერიის დიდ ბრიტანეთში, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო მასალას წარმოადგენდა ბაგირებისა და თოკის წარმოებაში. თუმცა ამ გარემოების მიუხედავად, ინგლისელები თვლიდნენ, რომ ჯადოქრები კანაფისაგან შეკრულ ცოცხებზე დაფრინავდნენ.

კანაფი, როგორც ტექნიკური კულტურა სლავებმა სელზე ადრე გაიცნეს. კანაფის გამოზრდა მის ყველა ეტაპზე - დათესვიდან ტილოს ქსოვილის დამზადებამდე - თან ახლდა მაგიური მოქმედებები, მათ რიცხვში შედიოდა - მისალმების აკრძალვა და პასუხის გაცემა მისალმებაზე თესვის დროს, ხოლო თესვის წინ აუცილებელი იყო კვერცხის ან ერბოკვერცხის ჭამა, კვერცხების მინდორში გაგორება, მიწაში ჩამარხვა, ეს ყველაფერი კეთდებოდა, რათა კანაფის სათესლე. თავაკები დიდი ზომის გაზრდილიყვნენ, ხოლო ბოჭკო - თეთრი ყოფილიყო.

<http://www.a700.ru/plants/travy/286-konoplya-4.html>

[https://ru.qwe.wiki/wiki/Cannabis_\(drug\)](https://ru.qwe.wiki/wiki/Cannabis_(drug))

კანაფის კანონით აკრძალვები დაიწყო XII ს-დან ესპანეთში, როდესაც ეკლესიამ აკრძალა კანაბისის გამოყენება და XIII ს-დან საფრანგეთში. 1484 წ. რომის პაპმა ინოკენტი VIII ოფიციალურად გამოყო სამედიცინო პრეპარატები კანაფიდან, ხოლო კანაბისის გამოაცხადა სატანური მესიის უწმინდურ დანამატად. დასავლეთ ევროპის მოსახლეობისათვის იმ დროს ნებადართული იყო შემდეგი სამედიცინო საშუალებები: ფრინველის ნიღბის ტარება (წყლულების გამოსადევნად), სისხლის გამოშვება პინტებითა და კვარტებით (პნევმონიის, გაციებისა და ციებცხელების დროს) და ლოცვები განკურნების თხოვნით. სამედიცინო მიზნებისათვის კანაფის გამოყენების აკრძალვა, მხოლოდ 150 წლის შემდეგ გაუქმდა.

კანაფის მიმართ დასავლეთ ქვეყნების მაცხოვრებელთა დამოკიდებულება შუა საუკუნეების ეპოქიდან დაწყებული, არაერთხელ იცვლებოდა. ზოგჯერ წარმოადგენდა ზნეობრივი სპეკულაციის საგანს, ზოგჯერ ეკონომიკური სარგებლის საკითხებს ეხებოდა. ვიდრე ეკლესია დევნიდა კანაფის მომხმარებელ ევროპელებს, ესპანელი დამპყრობლები მას ამენებდნენ მთელ დედამიწის ზურგზე იალქნების, თოკების, ტანსაცმლისა და სხვა მიზნებისათვის გამოსაყენებლად, რის გამოც მეზღვაურები ეშმაკურად დუმდნენ. ხშირად დასავლეთ საპორტო ქალაქების მახლობლად მთელი მინდვრები ამ მცენარეს ჰქონდა დათმო-

ბილი, ვინაიდან კანაფის ბოჭკო ყველაზე გამძლე და წყალგაუმტარია. რა თქმა უნდა ამ დროს ყველამ იცოდა ამ მცენარის ფსიქოაქტიურ თვისებების შესახებაც.

ინდოეთის კოლონიზაციისა და ნაპოლეონის ეგვიპტეში შეჭრის შემდეგ, ევროპაში კვლავ იწყება დაინტერესება კანაფის მიმართ. XVIII ს-ის ბოლოს იმპერატორის ლეიბ-მედიკოსს პარიზში ჩამოაქვს კანაფის სხვადასხვა ჯიშის კოლექცია, რის გამოც კანაბისი პირველად ოფიციალური კულტურის თვალთახედვის ობიექტი ხდება.

1839 წ. ინგლისელმა ექიმმა უ. შონესმა, სამეფო მეცნიერებათა აკადემიის წევრმა გამოაქვეყნა შრომა კანაფის წარმატებით გამოყენების შესახებ, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალების რევმატიზმის, კრუნჩხვებისა და კონვულსიების სამკურნალოდ. იმავე დროს, ევროპასა და ამერიკაში ვრცელდება კანაფის ოფიცინალური სამედიცინო გამოყენება: ფოთლებისა და ყვავილედების ნაყენი იხმარებოდა როგორც ანტისპაზმური და საძილე საშუალება, ხოლო კანაფის მსუბუქი ზეთი ანთების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა. კანაბისის არასანქცირებული გამოყენება აღელვებდა მხოლოდ მღვდელმსახურებს, თუმცა კანონით არ იდევნებოდა. 1864 წ. ეგვიპტე გახდა პირველი ქვეყანა, სადაც აიკრძალა კანაფის გამოყენება.

როგორც ცნობილია, XIX ს-ის მეორე ნახევარში, პარიზში, მდინარე სენის ნაპირზე მდებარეობდა ლიტერატორთა და მსახიობთა მცირე საზოგადოების - „ხასჰაშიშის“ კლუბი, სადაც ერთობოდნენ ამ ეკზოტიკური საშუალებით. აქ თავს იყრიდა ცნობილი ლიტერატორების კოჰორტა: შ. ბოდლერი, ტ. გოტიე, ა. პეშო, ო. ბალზაკი, ა. დიუმა და სხვ. მათი წყალობით ჰაშიში ცნობილი გახდა ევროპული კულტურული ტრადიციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადამიანები, კულტივირებული კანაფის ფსიქოაქტიური თვისებების თაყვანისმცემლები, არ მიიჩნევდნენ მას პერსპექტიულად. მაშინ საზოგადოებას არ შეეძლო სწორად აეხსნა ადამიანზე ამ მცენარის ფსიქოდელიური მოქმედების ეფექტი. მხოლოდ XX ს-ში გახდა შესაძლებელი ახსნილიყო ადამიანის ხშირად გაუთვითცნობიერებელი მოქმედების

არაპროგნოზირებადი სპექტრი ცნობილი მეცნიერების ზ. ფრეიდის, კ. იუნგის, ა. ადლერის, ვ. რაიხის, ო. რანკის, ა. მასლოუს, ს. გროფისა და სხვათა შრომებში.

ამერიკის კონტინენტზე კანაფის უტყუარი ისტორია იწყება XIV ს-დან, როდესაც ესპანელებმა აღნიშნული „ბალახი“ ჩაიტანეს პერუსა და ჩილეში, თუმცა მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ეს მცენარე ახალ ქვეყანაში ესპანელების შეჭრამდე ბევრად ადრე იყო ცნობილი. 1611 წელს კანაფის გამოზრდას ვირჯინიის შტატში იწყებენ. კანაფის სართავი და სამედიცინო თვისებები კარგად იყო ცნობილი აშშ-ის პირველი პრეზიდენტებისათვის (ხელისუფლება იმ ფერმერებს, რომლებსაც კანაფი მოჰყავდათ, დოტაციას უხდიდა). კანაფის ფსიქოაქტიური მოქმედებით აღფრთოვანებულები იყვნენ ამერიკის ცნობილი მწერლები და ფილოსოფოსები: ფ. ლადლოუ, ჯ. ლონდონი, გ. ტორო, გ. მელვილი და სხვები.

1840 – 1900 წლებში დასავლეთის სამედიცინო ლიტერატურაში გამოქვეყნებული იყო 100-ზე მეტი შრომა კანაბისის სამკურნალო თვისებებზე. 1937 წლამდე ამერიკულ ფარმაცოპეაში მას მიიჩნევდნენ ძირითად პრეპარატად 100-მდე სხვადასხვა დაავადების: ასთმა, შაკიკი, ჰერპესი, ართრიტი, რევმატიული ტკივილები, დიზენტერია, უძილობა, და სხვადასხვა სახის ნევროლოგიური აშლილობების სამკურნალოდ.

ფ. ნიცშე, მისი ბიოგრაფის დ. გალსვის აღწერით, იყო რა სუსტი და არაჯანსაღი, სარგებლობდა კანაფის სააფთიაქო ნაყენით, რომელიც კრიზისულ პერიოდებში მისთვის იყო ერთადერთი სამკურნალო საშუალება.

XX ს-ის დასაწყისში აშშ-ში, „ბალახის“ მოწვევა გავრცელებული იყო უმთავრესად დაქირავებულ მექსიკელ მუშებს შორის. მათგან იღებს საწყისს ყველასათვის კარგად ნაცნობი სახელი „მარიხუანა“ (*marijuana*). იმ დროისათვის სამხრეთ ამერიკასა და კარიბის ქვეყნებში ეს ტრადიცია ნახევარი საუკუნით ადრე იყო ცნობილი. თეთრი რასის ამერიკელებს შორის კანაბისისადმი ინტერესი იწყება მხოლოდ 1920 წლის მშრალი კანონის მიღების

შემდეგ. თუმცა, რაც უფრო ყალიბდებოდა ნარკოტიკების მიმართ სახელმწიფოების პოლიტიკა, მით უფრო ხშირად ხდებოდა ხელისუფლების ყურადღების ქვეშ და მხოლოდ, მისი სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე კანაფი ლეგალურად რჩებოდა.

1937 წელს აშშ-ის 46 შტატში აიკრძალა მარიხუანა, როგორც ძალადობის გამომწვევი ნარკოტიკული საშუალება. რაც განხორციელდა ვინმე ჰარი ანსლინჯერის თაოსნობით, რომელიც იმ პერიოდში ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ბიუროს ნარკოტიკებთან მიმართებაში. მან დაარსა მარიხუანას მოწვევის საწინააღმდეგო კომპანია. მისი ვარაუდით ზანგები და მექსიკელები ამ ჩვევასთან ერთად ხელს უწყობენ ახალგაზრდა ამერიკელებში ძალმომრეობის გავრცელებას. ამის მიუხედავად, კანაფისაგან მიღებული წამლები ისევ გამოიყენებოდა მედიცინაში, ხოლო მარიხუანას შემცველი სიგარეტების ყიდვა აფთიაქებში თავისუფლად იყო შესაძლებელი (ასთმის დროს მოსაწევად). 1941 წელს კანაბისის პრეპარატები გამოირიცხა აშშ-ის ფარმაკოპეიდან. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 1948 წელს იგივე ჰ. ასლინჯერი აწარმოებდა აქტიურ პოლემიკას ექიმებთან და საზოგადოებასთან, კანაფის აკრძალვასთან დაკავშირებით. რა დროსაც ის ამტკიცებდა, რომ „ეს არის მეტად საშიში ნარკოტიკი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომუნისტების მიერ ამერიკელი ჯარისკაცების პაციფისტებად გარდასაქმნელად“. ამან გამოიწვია საპასუხო რეაქცია აღმოსავლეთის კომუნისტური ქვეყნების ბლოკის მხრიდან, თუმცა არა რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან, სადაც უმველესი დროიდან ახდენდნენ კანაფის კულტივირებას სამრეწველო და სამედიცინო მიზნებისათვის და არავითარ საჭიროებად არ თვლიდნენ აუცილებლობას „ბალახისადმი“ მიდრეკილი საკუთარი მოქალაქეებისადმი ბრძოლის გამოსაცხადებლად. ამის მიუხედავად, პარიზში გაეროს გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე 1948 წლის 19 ნოემბერს მიღებულ იქნა პროტოკოლი ნარკოტიკული საშუალებებისადმი საერთაშორისო კონტროლის შესახებ, რომელთა შორის ირიცხებოდა მარიხუანაც.

ამერიკელი სოციოლოგები იტყობინებიან, რომ უძველესი დროიდან სამრეწველო მიზნებისათვის გამოყენებული კანაფის დევნა, მომგებიანი იყო ნავთობის მაგნატებისათვის, რომლებმაც დაიწყეს ზეთისა და ბოჭკოს დამზადება ახალი ტექნოლოგიით. კანაფს, როგორც იაფ და ნატურალურ ნედლეულს შეეძლო სერიოზული კონკურენცია გაეწია „უნივერსალური“ სინთეტიკისადმი.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, ჰალუცინოგენების ირგვლივ გაცხოველებული ინტერესების წყალობით, დასავლეთში კანაბისის პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა. 60-იანი წლების ბოლოს აშშ-ში მარიხუანას მოწვევამ მასიური ხასიათი მიიღო: კანაფი გახდა ახალგაზრდული მოძრაობის თავისებური სიმბოლო. ბევრნი ამაში ხედავდნენ არა მხოლოდ დემონსტრაციულ უარს საერთოდ მიღებული ალკოჰოლური ტრადიციისადმი, არამედ მნიშვნელოვან ნაბიჯს საზოგადოებაში ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, მარიხუანა რჩებოდა კანონგარეშედ. 60-70-იან წლებში ბევრი ცნობილი ადამიანი მოხვდა ციხეში „ნარკოტიკების შენახვისა და ტრანსპორტირების გამო“. 1968 წელს ცნობილი მომღერალი ჯონ ლენონი და მისი მეუღლე იოკო ლონდონში დაპატიმრებულ იყვნენ, მათი ბინის ჩხრეკვისას აღმოჩენილი მარიხუანას შენახვის გამო. ამავე მიზეზით გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ კულტურის სხვა ცნობილი მოღვაწეებიც: ჯონ სინკლერი, მიკ ჯაგერი, კეიტ რიჩარდი და სხვ.

1972 წ. ჩატარებულმა სტატისტიკურმა შეკითხვებმა აჩვენა, რომ აშშ-ის უნივერსიტეტების სტუდენტების ნახევარზე მეტს გაუსინჯია ერთხელ მაინც „ბალახი“, 30% მას ხმარობდა კვირაში რამდენიმეჯერ, ხოლო დაახლოებით 5%, სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველდღიურად ეწეოდნენ მას. 1976 წლის თებერვალში აშშ-ის კონგრესისათვის მომზადებულ ყოველწლიურ მოხსენებაში მოცემულია მონაცემები, რომლის თანახმად ამერიკელების ნახევარზე მეტს 18-დან 25 წლამდე ასაკში ერთხელ მაინც მოუწევიათ ეს ბალახი.

<https://www.svoboda.org/a/24795608.html>;
<http://oknb.com.ua/article12.html>
<https://www.narconon-moscow.org/blog/konoplya-eyo-upotrebleniye-v-mire.html>

რომელი კანაფია ნარკოტიკი?

მთელ რიგ წყაროებში სხვადასხვა სიხშირით მოიპოვება ცნობები მარიხუანას ლეგალიზაციაზე. მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს გამოფენები, კონფერენციები და ალლუმებიც კი. ყალიბდება კანაბისის ფერმები და სასწავლო დაწესებულებები ამ მცენარის გამრავლებასთან დაკავშირებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კანაფი თითქოსდა გაუთანაბრდა ხორბალს, თამბაქოსაც კი, და თითქოსდა ეხლა ყველას ყველაფერი შეუძლია. მაგრამ მსგავსი დეზინფორმაცია სჭირდებათ მსუბუქი ნარკოტიკებით მოვაჭრეებს, მათი წარმატებით გაყიდვის გამო. სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირადაა. განვიხილოთ ერთი კონკრეტული მაგალითი: უკვე რამდენიმე წელია, კანაბისის ლეგალიზაციის კანონის საფუძველზე, კოლორადოში (აშშ), ფერმერებს კლდოვანი მთების ძირში მოჰყავთ სამედიცინო კანაფი (2015 წ. - 44,5 ჰა-ზე, 2016 წ. - 18 ჰა-ზე, შემდგომ წლებში ნაკვეთების ფართობები მნიშვნელოვნად გაიზარდა). თუმცა ეს მცენარეები არ არიან ნარკოტიკების შემცველი, სამედიცინო კანაფის ჯიშებია, რომლებშიც მცირე რაოდენობითაა ტეტრაჰიდროკანაბინოლები (ტგკ), (არა უმეტეს 0,3 %). სამაგიეროდ ეს არის შესანიშნავი ნედლეული კანაბიდიოლის (კბდ) მაღალი შემცველობით (კანაბიდიოლი არ არის ფსიქოაქტიური, მაგრამ ხასიათდება ანტიკონვულსიური მოქმედებით) ფარმაცევტიულ ქარხნებში სამკურნალო პრეპარატების მისაღებად.

ამასთან, ფერმერებს მკაცრად განსაზღვრული სათესი მასალა გამოჰყავთ და მას იძენენ მხოლოდ ერთი კომპანიისაგან *"Folium Biosciences"*. ამავე კომპანიას, წლის ბოლოს ფერმერები ნედლეულისადმი მოთხოვნილების შესაბამისად აზარებენ მოსავალს. ამასთან ფერმერები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან აგ-

როტექნოლოგია. საქმე იმაშია, რომ ტექნიკური კანაფის, სამედიცინო კანაბისის და ნარკოტიკული მარიხუანას მოყვანის ხერხები არსებითად განსხვავდებიან. ისევე, როგორც განსხვავდებიან თვით ეს მცენარეებიც, თუმცა ერთ სახეობას მიეკუთვნებიან.

ტექნიკური (სათესლე და ბოჭკოვანი) კანაფი ადვილი საცნობია გრძელი, წვრილი ღეროთი, რომელიც ერთი შეხედვით ლერწამს მოგვაგონებს. ასეთი კანაფის მინდვრები ახალგაზრდა ტყეს მოგვაგონებს, სადაც შეიძლება დაიბნე კიდევ. ტგკ-ს დონე მათში არ აღემატება 0,3%. ტექნიკური კანაფიდან, რომ მიღებულ იქნეს რაღაც დონის აქტიური ნივთიერებები, უნდა შეგროვდეს მწვანე მასის გიგანტური მოსავალი. ვინაიდან ტექნიკური კანაფი ნიადაგიდან იწოვს ტოქსიკურ შენაერთებს, მისგან მიღებული სამედიცინო კბდ, საჭიროებს მინარევებისაგან სრულ გასუფთავებას.

ხოლო სამედიცინო კანაბისი ფირმა *Folium WHC1* ჯიშებში (დარეგისტრირებული კოლორადოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში) - არ არის მაღალი (1 მ არ აღემატება), ფესვადგმული ბალახია, რაღაცით წააგავს ნამვის ხეს ან ღვიას. მისი მწვანე მასა შეიცავს 18 %-მდე კბდ, ხოლო კბდ და ტგკ თანაფარდობა მათში 59:1. მზა პროდუქტს გააჩნია კბდ-ს და ტერპენების მაქსიმალური კონცენტრაცია და წაარმოადგენს თანაბარ-ზომიერი კონცენტრაციის სუფთა პროდუქტს. ამ ჯიშის კანაბისგან მიღებულმა ზეთებმა ბავშვთა ეპილეპსიის სამკურნალოდ მაღალი ეფექტი აჩვენა.

ხელშეკრულების თანახმად, მოსავლის სხვაგან გაყიდვა აკრძალულია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა კანაფის სხვა ჯიშები, აგრეთვე მწვანე მასაში პესტიციდების უმნიშვნელო რაოდენობაც კი, მინდვრებში მცენარეები სრულად ნადგურდება. კიდევ ერთი პირობა სამედიცინო კანაფის გამოზრდის ნებართვის მისაღებად შემდეგია, ფერმერმა არ უნდა მიუთითოს სამედიცინო მარიხუანას მინდვრების კოორდინატები GOOGLE-ზე.

ამგვარად, თვით კანონმდებლობით დაშვებული პირობებების დროსაც, სამედიცინო მარიხუანას გამოზრდა შესაძლებელია, მხოლოდ დარეგისტრირებული ჯიშებით იმ მეურნეობებში, რომლებიც დაცილებულია დასახლებული პუნქტებიდან და გასაიდუმლებულია მინდვრების გეოგრაფიული კოორდინატები. ამავდროულად, სამედიცინო კანაფის მოსავალი თავისუფალ ვაჭრობას არ ექვემდებარება. *Dan Skye, Healing Field: CBD-Rich Cannabis Is Beginning to Take on a Whole New Dimension (High times)*

თანამედროვე გაგებით „ნარკოტიკი“ - იურიდიული ტერმინია და რაც ნიშნავს, რომ პროდუქტი ან ნივთიერება შეტანილია ნარკოტიკების საერთაშორისო და ან ნაციონალურ სიებში. რუსეთში კანაფი ნარკოტიკად იყო მიჩნეული 1912 წ., ხოლო 1928 წელს აიკრძალა მისი თავისუფალი მიმოქცევა. კანაფი და მისი პრეპარატები (მარიხუანა, ჰაშიში) გაეროს საერთაშორისო კონვენციაში 1961 წელს იქნა შეტანილი. ყოველგვარი ეჭვის გარეშე კანაფი - ნარკოტიკია. ამ ფსიქოაქტიური სუბსტანციის ორთქლის შეყნოსვას მოჰყვება ეიფორიის მდგომარეობა, პანიკა და შიში. გარდა ამისა ხშირად იწვევს გულის წასვლასაც. მისი მოწევა თამბაქოს მსგავსად ხელს უწყობს ფილტვების დაავადებების განვითარების რისკს, ხოლო დიდი დოზით ტკვ მიღება (შესწავლილია ცხოველებზე) ადაბლებს ტესტოსტერინის შრატის დონეს, ართულებს სპერმის წარმოებას, მოძრაობას და სიცოცხლისუნარიანობას, არღვევს ოვულაციის, რაც იწვევს გონადოტროპული ჰორმონების წარმოების შემცირებას. ასევე დადგენილია, მარიხუანას მწვეელი დედეების შვილები, ხშირად განიცდიან შემეცნებითი უნარების დეფიციტს, ყურადღების გაფანტვას, ჰიპერაქტიურობას და განუვითარებელ სოციალურ ურთიერთ დამოკიდებულებას, განსხვავებით იმავე ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ბავშვებისაგან, რომელთა დედეები ფეხმძიმობის პერიოდში არ იყენებდნენ მარიხუანას.

ამიტომ სადღეისოდ საკითხი მოითხოვს დაზუსტებას: რომელი კანაფია - ნარკოტიკი?

1999 წელს გაეროს ნარკოტიკების გავრცელების კონტროლის საერთაშორისო საბჭო გამოვიდა ინდური კანაფისა და მისი წარმოებულების სამედიცინო გამოყენების კვლევების ჩატარების ინიციატივით. კანადის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ისრაელის, ჰოლანდიის, აშშ-ის და ავსტრალიის ფარმაცევტებისა და ექიმების მიერ ჩატარებულმა კლინიკურმა გამოკვლევებმა, გამოავლინა გაფანტული სკლეროზით და ქრონიკული ნევროლოგიური აშლილობით დაავადებულ პაციენტებში სამედიცინო კანაფის ტკივილგამაყუჩებელი თვისებები. დადგენილი იყო მისი ეფექტურობა გლაუკომის მკურნალობისას, ასევე გულის რევისა და პირღებინების ჩახშობა, შიდსით და ონკოლოგიურ დაავადებულებებთან მიმართ, რომლებიც გადიოდნენ ქიმიოთერაპიის კურსს და იღებდნენ ამ პრეპარატებს. არსებობს მონაცემები, რითიც მტკიცდება ინდური კანაფის თერაპევტიული ეფექტიანობა გაფანტული სკლეროზისა და მკერდის კიბოს მკურნალობისას (ამუხრუჭებს მეტასტაზების გავრცელებას). ამასთან, მარიხუანასგან (ნარკოტიკული კანაფი) დამზადებული პრეპარატები, იძლეოდა გვერდით ნეგატიურ ეფექტებს სამედიცინო კანაფთან შედარებით. ვინაიდან სუბსტანციები, გამოყოფილი სამედიცინო კანაფიდან, არ მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, მეცნიერები თვლიან, რომ დროთა განმავლობაში, მისგან მიღებული პრეპარატები შეიძლება გახდნენ ქიმიოთერაპიის არატოქსიკურ ალტერნატივად.

** არ უნდა აგვერიოს საკვები კანაფის ზეთი, რომელიც მიიღება თესვების ცივი დაპრესვის გზით, და კანაფის ეთერზეთები - ზეთოვანი ან სპირტიანი ექსტრაქტი მარიხუანას ფერმენტირებული ყვავილელებისა და ზედა ფოთლების. ამასთან, კანაფის ექსტრაქტული ზეთი რომ ფლობდეს სამკურნალო თვისებებს, უნდა შეიცავდეს არა უმცირეს 90% კანაბინოიდებს.

<https://www.rosflaxhemp.ru/fakti-i-cifri/okonople/pererabotka.html/id/1438>

კანაფის ნარკოტიკული პროდუქტები



იმ ქვეყნებში, სადაც კლიმატი ინდური კანაფისა და მისი ჯიშების, როგორც ნარკოტიკული საშუალებების წყაროს კულტივირების საშუალებას იძლევა, მათი გამრავლება ან სრულადაა აკრძალული, ან მკაცრი კონტროლის ქვეშაა მოქცეული. კანაფში ჰალუცინოგენების წყაროს წარმოადგენს დიპენზიპირინის წარმოებულები, ე. წ. კანაბინოლები, რომელთაგანაც ნარკოტიკული მოქმედებით გამოირჩევა ძირითადად ტეტრაჰიდროკანაბინოლი, რომელიც ფისოვან ნივთიერებას წარმოადგენს მკვეთრი სპეციფიური სუნით.

ნედლი სახით კანაფი, როგორც ნარკოტიკული საშუალება პრაქტიკულად არ იხმარება. ცნობილია სხვადასხვა ხერხები მის დასამზადებლად, იმისგან დამოკიდებულებით, როგორ იქნება ის გამოყენებული. მშრალი ნედლეულის შენახვის ვადა 2 წელია.

<https://dekatop.com/archives/654>

მოსაწევად გამოყენებული სუბსტანციები

მშრალი კანაფი - მცენარეს აშრობენ მთლიანად და შემდეგ აქუცმაცებენ, აცილებენ ყვავილედებს, ზედა ფოთლებსა და ღეროებს, ვინაიდან ფსიქოაქტიური ნივთიერებები მათში განსხვავებულია. ან გაშრობამდე ანცალკვეებენ და აშრობენ ცალკეულ ნაწილებს ცალ-ცალკე, შემდეგ აქუცმაცებენ, მოსაწევად მოხერხებულ დონეზე.

ე. წ. „**მტვერი**“ - ეს არის ფისის ნაჭრები, ტრიქომები და წვრილი ფოთლების ნაწილები, რომლებიც ცვივა მცენარიდან გაშრობის პროცესში. გადატანისთვის მოსახერხებლად, ახდენენ მის დაპრესვას ბლოკებად, ასეთ ბლოკებს **ჰაშიშს** უწოდებენ.

ე.წ. „**ხიმკა**“ - წარმოადგენს მშრალი კანაფის ექსტრაქტს, სხვადასხვა გამხსნელებით მიღებული. იმ შემთხვევაში, თუ მშრალი კანაფის წილი მიღებულ პროდუქტში მცირეა, მას ჰაშიშსაც უწოდებენ. არახარისხიანი და პოლარული გამხსნელების (მათრიცხვში წყლიანი გამხსნელები) გამოყენებისას, დამზადებულ ექსტრაქტში რჩება გამხსნელების მინარევები და ფსიქოაქტიური ნივთიერებებთან ერთად ექსტრაგირებული ნივთიერება ქლოროფილი, რომელიც დამწვრობისას გამოყოფს უსიამოვნო სუნს. **კანაფის ექსტრაქტი** მზადდება მშრალი კანაფისაგან ან ფისისგან, ის ფაქტიურად ერთგვაროვანია (პრაქტიკულად მცენარის ნაწილების გარეშე).

ჰაშიშის ზეთი - მიიღება ტკვ აქროლადი გამხსნელებით ექსტრაქციის გზით, კონსისტენციით მსგავსია სიროფის ან თაფლის, ფერი ვარირებს გამჭვირვალიდან მუქ-ყავისფერამდე.

შინაგანად გამოყენებული სუბსტანციები

პერორალური გამოყენებისათვის პროდუქტების მომზადება ხშირად დაფუძნებულია მასზე, რომ ტკვ კარგად იხსნება ცხიმებში. საკონდიტრო ნაწარმის დამზადებისას ინგრედიენტების დამატების სახით, გამოიყენება კანაფის ზეთოვანი ექსტრაქტი, რომელიც შეიცავს ტკვ-ს სხვადასხვა სახის მინარევებით.

გამოყენება

პერორალური გამოყენებისას კანაფის პროდუქტებში (ისეთი როგორიცაა: ჰაშიში, „მანაგა“, ტგკ-ს შემცველი ზეთები, მათ საფუძველზე დამზადებული კულინარული ნაწარმი და სხვა მათი მსგავსი) შესაძლებელია დოზის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევები.

მოწვევა ხასიათდება მცენარის უჯრედის დაწვით და ბოლის გამოყოფით, თანმდევი ნარკოტიკული ნივთიერების აორთქლებით.

რეკრეაციული გამოყენება

რეკრეაციული (ინგლისური სიტყვისგან recreation - დასვენება) გამოყენება ტრადიციული ინდოეთის, ჰიმალაის, შუა აზიის, ინდოჩინეთის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და ცენტრალური აზიის მოსახლეობისათვის. XIX ს-ში ეს ტრადიცია გავრცელდა ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში, ამჟამად თითქმის ყველგან არსებობს.

დოზის გადაჭარბება - წამლის უზომოდ გამოყენება, რომლის თანმდევია ორგანიზმის ცხოველმოქმედების დარღვევა. ბოლო დროს აღნიშნული ტერმინი ხშირად გამოიყენება ყოფა-ცხოვრებაში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენებისას. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს ისეთი ნივთიერებების მიღებას, რომელიც იწვევს არასახარბიელო, უსიამოვნო და საშიშ შედეგებს.



კოფემოპი ნიდერლანდებში

კანაბინოიდების გადაჭარბებული დოზით გამოყენებისას ლეტალური შედეგი ნაკლებ სავარაუდოა, ვინაიდან ტგკ-ს სასიკვდილო დოზა 40000-ჯერ მეტია დოზის საშუალო ეფექტურობასთან. თუმცა დოზის ინდივიდუალური ეფექტურობის 3-4-ჯერადი გადაჭარბება იწვევს მთელ რიგ უსიამოვნო სიმპტომებს, როგორცაა სომატური (ოფლის გაძლიერებული გამოყოფა, კიდურების კრუნჩხვა, ტახიკარდია, გულისრევა, თავბრუსხვევა, გულისწასვლა), ასევე ფსიქიკურს (დამოკიდებულება, პარანოია, აკვიატებული იდეები და ა.შ.), აგრეთვე წარმოიქმნება ისეთი შეგრძნება, რომ დრო დიდხანს ჭიანურდება. 10 წუთის გავლის შემდეგ ისეთი შეგრძნება აქვთ, რომ გასულია ერთი საათი. უფრო მეტი დოზირება ჩვეულებრივ იწვევს კოორდინაციის დარღვევას, აზროვნებისა და მეტყველების გართულებას, სრულ ან ნაწილობრივ უძრაობას და ნახევრად ძილისებრ მდგომარეობას, რომელთა ფონზე შეიძლება აღინიშნოს ონეიროიდული ჰალუცინაციები.

2017 წელს დაფიქსირებული იყო პირველი სიკვდილიანობა, რაც გამოწვეული იყო კანაბისის დოზის გადაჭარბებით. 11 თვის ბიჭი გარდაიცვალა მიოკარდიტით, მის სისხლსა და შა-

რდში აღმოჩნდა ტეტრაჰიდროკანაბინოლის - მარიხუანას ძირითადი ფსიქოაქტიური კომპონენტის დიდი ოდენობა. გაირკვა, რომ ეს ნივთიერება ბავშვის ორგანიზმში მშობლებიდან მოხვდა, რომლებიც ფეხმძიმობისას და მანამდეც ხშირად ხმარობდნენ მარიხუანას, რამაც ბავშვში გამოიწვია მიოკარდიტი, რომელიც განვითარდა სწორედ კანაბისისგან.


მარიხუანა

მარიხუანას, როგორც ფსიქოაქტიური, დაბანგვის (გაბრუების) საშუალება ითვლის არა უმცირეს 27-50 საუკუნეს. პირველად მოიხსენიება აცტეკებში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში ჩვენს ერამდე 3000 წლით ადრე.

მედიცინაში მარიხუანას გამოყენება ასევე უძველეს ინდოეთისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სიღრმეში გადადის, სადაც კანაფს იყენებდნენ, როგორც გამაუმტკივნეულ, ეპილეპსიისა და კრუნჩხვების საწინააღმდეგო და პირსასაქმებელ სამედიცინო საშუალებად. მისი გამოყენების ისტორია იწყება ძვ. წ. აღ.-ის XVIII ს.-დან ახალ ერამდე. ევროპულ მედიცინაში მარიხუანას პირველადი გამოყენება მიეკუთვნება ინგლისის მიერ ინდოეთის კოლონიზაციას, XIX ს.-ის შუა პერიოდს. როდესაც ინგლისის ჯარების ქირურგებმა დაიწყეს მარიხუანას გამოყენება გასაუმტკივნეულად, სპაზმების, ეპილეპსიისა და რევმატიზმის სამკურნალოდ. სამხედრო ექიმების წყალობით მარიხუანას პრეპარატებმა ფართო გავრცელება ჰპოვა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში XIX საუკუნიდან.

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ნარკოტიკია მსოფლიოში. ნარკოტიკის სახელი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჯიშისა და მცენარის რა ნაწილისგან მზადდება და საბოლოო პროდუქტის წარმოებისას რა ხერხებია გამოყენებული. ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალ **Lancet**-ის გამოკვლევების თანახმად, მარიხუანას მავნე ნარკოტიკული ნივთიერებების სიაში მე-11 ადგილი უკავია (ალკოჰოლს მე-5, თამბაქოს მე-9).

მარიხუანა (ესპანურად *marijuana*, *marihuana*), ოფიციალური სახელწოდება **კანაბისი** - ფსიქოაქტიური (ნარკოტიკული) საშუალებაა, რომელიც კანაფისაგან მიიღება. შეიცავს 400-ზე მეტ ქიმიურ შენაერთს, მაგრამ ძირითადი ნივთიერება, რომელიც გამაბრუებელ მოქმედებას იწვევს კანაბინოიდებია. ბუნებაში არსებობს 60-მდე კანაბინოიდი, რომელთა შორის ყველაზე მოქმედი დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლია (ტგკ).



კანაფის მშრალი ყვავილელები (*marijuana*)

არსებობს სახელის წარმოქმნის რამდენიმე ვერსია. ითვლება, რომ მცენარის პირველი წერილობითი მოხსენიება *marijuana* -ს სახელწოდებით, რომელიც იზრდებოდა რიო-გრანდეს ნაპირებზე, მიეკუთვნება ეთნოგრაფ ჯ.გ. ბურკს (1894). ინგლისურ ენაში ეს სიტყვა შევიდა მექსიკიდან ჩამოსული მოსამსახურეებისაგან, რომლებიც ამ მცენარეს იყენებდნენ რეკრეაციული მიზნებისათვის და ინგლისურ ლექსიკონებში ხშირად აღწერილია როგორც ინდიელური. მაგრამ, ვინაიდან თვით ეს მცენარე ახალ სამყაროში შეტანილ იქნა ძველი სამყაროდან, წამოწეულია ეთიმოლოგიური თეორია, რომელიც სახელწოდება „მარიხუანას“ აკავშირებს ჩინურ ან სემიტურ ფესვებთან.

მარიხუანას აქვს მრავალი სლენგური და რეგიონალური სახელები (**ანაშა, ბოшки, განჯ, განჯ, განჯუბას, განჯუბას, გაშიშ, головач, драп, дурь, дудка, кузьма, конопля, зелень, матёрка, матка, материнка, план, посконь, стас, стафф, трава, шмаль, хэш, шпек, шала, шишки, филимоныч, Филыч, фил, хашбраун, химка**) .

თანამედროვე მონაცემებით, მარიხუანას გამოყენება ქრონიკული ტკივილების, კერძოდ, კიბოთი დაავადების დროს, ხელს უწყობს ტკივილების დაქვეითებას, ოპიოიდური ანალგეტიკების დოზის ერთდროული შემცირების ფონზე. კანაფის პრეპარატების გულისრევის საწინააღმდეგო მოქმედება განსაკუთრებით სასარგებლოა ქიმიოთერაპიასთან ერთობლიობაში კიბოსა და შიდსის სამკურნალოდ. რიგ ქვეყნებში (კანადა, ისრაელი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი) პრეპარატი **Sativex**, რომელიც შედგება ბუნებრივი კანაბინოიდების (ტგკ და კბდ) კომბინაციისაგან, გამოიყენება გაფანტული სკლეროზის სამკურნალოდ.

ინდური კანაფი და სათესი კანაფი, ასევე მათგან დამზადებული პრეპარატები შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც მონათესავია ენდოგენურ კანაბინოიდებთან (ენდოკანაბინოიდები), კერძოდ ანანდამიდთან. 2003 წელს ჟურნალ *Nature Medicine*-ში აღნიშნული იყო, რომ ტვინის ენდოკანაბინოიდური სისტემა მონაწილეობს სხვადასხვაგვარ ტკივილის, მახსოვრობის, ნეიროდეგენერაციისა და ანთებით პროცესებში, და რომ კანაბინოიდები ფლობენ არსებით კლინიკურ პოტენციალს.

მარიხუანა და მისგან მიღებული პრეპარატები წარმატებით გამოიყენება კიბოთი და შიდსით დაავადებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ტკვ გამოიყენება გულის რევის საწინააღმდეგოდ, რაც გამოწვეულია კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებით. ეს ნივთიერება ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის მოწონებულ იქნა ამერიკის კვებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციის მიერ. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ.: კანადასა და ჰოლანდიაში) მარიხუანა გამოიყენება ასევე კიბოსა და შიდსის სამკურნალოდ.

ამავე დროს ფარმაკოლოგიური კვლევებით არ დგინდება კანაფის უპირატესობა სხვა, უფრო მეტად ტრადიციულ გულისრევისა და ანალგეტიკებთან მიმართებაში. როგორც წესი, კანაფის პრეპარატების დანიშვნა ტკივილების გასაყუჩებლად ხდება გამონაკლის შემთხვევებში, ტრადიციული პრეპარატების ინდივიდუალური შეუთავსებლობის შემთხვევაში.

გაზეთ *The Guardian*-ის ცნობის მიხედვით, მადრიდის ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ცენტრის მეცნიერებმა აღმოაჩინეს რომ კანაბის ძალუმს ალცჰეიმერით დაავადებულებებს ააცილოს მახსოვრობის დაკარგვა. მათი წინასწარი გამოკვლევებით დგინდება, რომ ტეტრაჰიდროკანაბინოლი - მარიხუანას ძირითადი ფსიქოაქტიური კომპონენტი - ამუხრუჭებს იმ უჯრედების მოქმედებას, რომლებიც იწვევს ტვინის ნეირონების დაზიანებას. მახსოვრობის დაკარგვის მექანიზმი ასეთ ავადმყოფებში ჯერ საკმარისად არ არის შესწავლილი, მაგრამ ნავარაუდევია, რომ ეს პრობლემა ნაწილობრივ დაკავშირებულია გლიალურ მაკროფაგებთან (მიკროგლიები), რომლებიც წარმოქმნიან გარსს ტვინის ნერვული უჯრედების ირგვლივ. ალცჰეიმერის დაავადებისას მიკროგლიების მოქმედება გამოდის კონტროლიდან და აზიანებს ნეირონებს, რითიც ანადგურებს ტვინის მთელ მონაკვეთებს.

ამასთან ერთად, აშშ-ის კანონმდებლობა ეწინააღმდეგება მარიხუანას კლინიკური ეფექტურობის დასადგენად სრულფასოვანი გამოკვლევების ჩატარებას. ამავდროულად, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დართო ნება ერთ-ერთ ფარმაცევტულ ფირმას

კანაფის სხვადასხვა ჯიშების გამოსაზრდელად, მისგან მიღებული მარიხუანას კლინიკური გამოკვლევების ჩატარების მიზნით.

მთელი რიგი გამოკვლევებით დამტკიცებულია კანაფის გამოყენება რიგი დაავადებების სამკურნალოდ, სწორედ ამის გამო ზოგიერთ ქვეყანაში იგი ლეგალურია და მეტიც, მისი ყიდვა აფთიაქებში არის შესაძლებელი.

კანაფის პრეპარატები, რომლებსაც იყენებენ ინდოეთში, ხშირად წარმოადგენს ორგანიზმზე მოქმედების ძალის თავისებურ ეტალონს. ცნობილია სამი ნაირსახეობა: ბანგი (ბხანგ), განჯა და შარასი (ჩარას). ნაკლები მოქმედების და ყველაზე იაფია ბანგი, რომელსაც ღებულობენ გამშრალ და დაქუცმაცებულ ფოთლების, თესლებისა და ღეროებისაგან. განჯა, მიიღება კულტივირებული მდედრობითი მცენარეების ყვავილეებისაგან, 2-3-ჯერ უფრო ძლიერია ბანგასთან შედარებით. შარასი - ესაა მტვრიანების დაპრესილი კრისტალები, რომლებიც წარმოიქმნება მცენარის ყვავილეების ზედაპირზე, ახლო აღმოსავლეთში ის ცნობილია ჰაშიშის სახელით.

ანაშა

ანაშა სლენგური სახელია მარიხუანას და ჰაშიშის. გავრცელდა რუსულენოვან გარემოში 1970-იან წლებში, ჩუისის ხეობიდან (ალტაის მხარე) ამ პროდუქტის დიდი რაოდენობით შემოტანასთან დაკავშირებით. 1986 წელს, ჩინგიზ აიტმატოვის რომანის „Плаха“ გამოქვეყნების შემდეგ სიტყვა „ანაშა“ შეიჭრა ლიტერატურულ ენაში და დაიწყეს მისი გამოყენება პუბლიცისტურ და მხატვრულ ლიტერატურაში.

განჯა

განჯა ინდური სახელია სათესი კანაფის ადგილობრივი ჯიშების და ამ მცენარისგან მიღებული ფსიქოტროპული პროდუქტების. განჯის დასამზადებლად დაუმტვერავ მდედრობით ყვავილეებს ალაგებენ გროვებად, ტკეპნიან ფეხებით და ახვევენ მილისებრად, შემდეგ სტოვებენ მზეზე, კვლავ გადაახვევენ,

აშრობენ, ვიდრე მთელი ეს მასა არ მიიღებს სწორ კონსისტენციას, ხოლო ყვავილედები არ გამოყოფენ ფისის საკმაო რაოდენობას, რათა მთლიანი მასა იყვეს შენარჩუნებული.

იამაიკასა და კარიბის კუნძულებზე განჯა - ეს არის საერთო სახელი კანაფის ფსიქოტროპული ჯიშების, აგრეთვე მარიხუანას მაღალფისოვანი ფორმა, რომელსაც ამზადებენ მდედრობითი ეგზემპლარების მოყვავილე ყვავილედებიდან და ჩვეულებრივ გამოიყენება მოსაწევად.

ჰაშიში

ჰაშიში (სპარსული „ხაშემა“ – „თივა, მშრალი ბალახი“) - საერთო სახელი კანაფისაგან მიღებული ფსიქოტროპული პროდუქტების, რომლებიც წარმოადგენს კანაბისის ფისს, მზადდება ფხვნილის დაპრესვის გზით, რომელიც მიიღება გამომშრალი და დაქუცმაცებული ფოთლებისაგან ან მშრალი ფოთლებისა და წებოვანი ზეთოვანი შრის მოყვავილე მცენარეების წვეროებისგან.

ჰაშიშიზმი

ნარკომანიის ერთ-ერთი სახეა, მზადდება ინდური კანაფისაგან. ჩვეულებრივ ფსიქოაქტიური ნივთიერება გამოიყენება ბოლის შესუნთქვის გზით (მოწევა), იშვიათად ლეჭავენ, შინაგანად მიიღება მყარი ან თხევადი სახით. გამოყენების შემდეგ იწყება ეიფორია, ხითხითი, აზრების შეგრძნების სწრაფი აღქმა, ასევე ფანტაზიები და ილუზიები (მათ შორის ჯგუფური). შეინიშნება კონტაქტის დაკარგვა ირგვლივ მყოფებთან, გამონაკლისია იმ ჯგუფის წევრები, რომლებიც მონაწილეობენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებაში. დამოკიდებულება ჩვეულებრივ ვითარდება რამდენიმე წლის განმავლობაში. ხანგრძლივი ხმარებისას წარმოიქმნება ფსიქოორგანული სინდრომი. ხშირად შეინიშნება გადასვლა უფრო მძიმე ნარკოტიკებზე.

ჰაშიშური ნარკომანია

ალკოჰოლიზმის შემდეგ დამოკიდებულების მიხედვით მეორეა. რუსეთში, ჰაშიშიზმით ტანჯულთა რიცხვი ნარკოლოგიური კლინიკების პაციენტების საერთო რაოდენობიდან 4-დან 30 %-მდე შეადგენს. ხოლო მუსულმანურ ქვეყნებში ჰაშიშური ნარკომანია ვლინდება 60 %-მდე ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მამაკაცებში. რეგულარულ მიღებასთან ერთად, მრავალ ქვეყანაში (აშშ, რუსეთი და სხვ.) ხშირად აღინიშნება ეპიზოდური გამოყენებები. არსებობს დიდი რაოდენობის ფსიქოაქტიური ნივთიერებები დამზადებული კანაფისაგან. რუსეთში ჩვეულებრივ ეწევიან ჰაშიშს (პლანი, პლასტელინი), აშშ-ში და სხვა მრავალ ევროპულ ქვეყნებში - მარიხუანას. გამოიყენება ასევე ბანგი, კაფური, ჩერესი, გუნია, დაგა, ხურუსი, ხარასი, ხუსუსი, გუაზა და სხვა ნარკოტიკები დამზადებული კანაფისგან.

ხშირ შემთხვევაში, კანაფის პრეპარატების გამოყენებას იწყებენ მოზარდულ ან ახალგაზრდულ ასაკში, ხშირად ალკოჰოლთან ერთად. ხანგრძლივი გამოყენებისას შესაძლებელია გართულებები, მათ შორის რთული აბსტინენტური სინდრომით, ჰაშიშური ფსიქოზი, აგრეთვე მოტივაციისა და ნებისყოფის დაკარგვა. თუმცა, ჰაშიშიზმის ყველაზე სახიფათოა ფსიქოორგანული სინდრომი და გადასვლა სხვა, უფრო მძიმე ნარკოტიკებთან, მაგ., ოპიუმში. ჰაშიშური ნარკომანიის მკურნალობას ანხორციელებენ ნარკოლოგიის სფეროს სპეციალისტები.

კანაფი და ჰაშიშური ნარკომანიის განვითარება

კანაფის ფუძეზე დამზადებული პრეპარატების ძირითადი მოქმედი ფსიქოაქტიური ნივთიერებას წარმოადგენს ტეტრაჰიდროკანაბინოლი (ტგკ). ამ ნივთიერების ყველაზე მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება კანაფის ყვავილელების სქელ გამონადენში. მას აგროვებენ, ამრობენ, პრესავენ ფილებად. გამონადენთან ერთად, ზოგჯერ იყენებენ მცენარის ზედა ნაწილს, რომლებიც შეიცავს ტგკ. ორგანიზმში მოხვედრისას ტგკ სწრაფად შეიწოვება სისხლში და მოქმედებს თავის ტვინის განსაზღვრულ რეცეპტორებზე. რის შედეგად წარმოიქმნება ეიფორია,

მცირდება შფოთვა და შიში, იხშობა ტკივილები სომატური და ნევროლოგიური დაავადებებისას. XVIII-XX საუკუნეებში ჰაშიშისა და კანაფიდან მიღებული სხვა პრეპარატების გამოყენება გავრცელდა მთელ მსოფლიოში. აშშ-ში ჰაშიშის ეპიდემია ვიეტნამის ომს მოჰყვა, როდესაც მარიხუნას მოწვევას მიჩვეულ სამხედროებს სამშობლოში ჩამოჰქონდათ ეს მავნე ჩვეულება. საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში ჰაშიშური ნარკომანია ხშირად ვლინდებოდა იმ ჯარისკაცებში, რომლებიც მსახურობდნენ ავღანეთში ან საბჭოთა კავშირის სამხრეთ რესპუბლიკებში.

ამჟამად, ნარკომანია არის და რჩება არა მხოლოდ ერთერთ ყველაზე გავრცელებულ, არამედ ნარკომანიის ერთ-ერთ ყველაზე საკამათო ფორმად. აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში და ნიდერლანდებში ჰაშიში ლეგალიზებულია. აშშ-ში მარიხუნა გამოიყენება ზოგიერთი დაავადების სამკურნალო, ხოლო „ბალახის“ მცირე რაოდენობით შენახვა არ განიხილება სერიოზულ დანაშაულად. ამავე დროს, არსებობს მონაცემები მისი მავნე ზემოქმედების შესახებ და მის კავშირებზე, სხვა უფრო მძიმე დამოკიდებულების შესახებ.

ტგკ-ს განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს გავრცელებული ნეგატიური რეაქცია პირველი მიღებისას. შესაძლებელია გახშირებული მაჯისცემა, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, გულისრევა და პირღებინება. მიუხედავად ამისა, ადამიანებმა ვინც ეს შეგრძნებები გადაიტანა, შემდგომში კვლავ იყენებენ კანაფის პრეპარატებს. ეს უფრო იმასთანაა დაკავშირებული, რომ ჰაშიშის გამოყენება უფრო ახალგაზრდებშია გავრცელებული. კანაფს ეწვეიან კომპანიებში, უფრო გამოცდილი მომხმარებლები ხშირად აიძულებენ ახალგაზრდებს გასინჯონ ის. რამდენიმე მიღების შემდეგ კი უსიამოვნო ეფექტები ქრება და ადამიანი ნარკოტიკის გამოყენებისას იღებს სიამოვნებას.

ჰაშიშის ეიფორია მოიცავს წარმოუდგენელ ხითხითს, უწონობის გრძნობას, სურვილს როგორღაც განსხვავებული მოძრაობის (მაგ.: ცეკვის), აზრების სწრაფ ცვლილებას, ფანტაზიებსა და წარმოსახვებს. დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს უცხო

ადამიანებთან ურთიერთობის ნაკლებობა, შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე ადამიანის მიერ განცდილი, მასიური ფანტაზიები და ილუზიები.

ჰაშიშის მიღებისას წარმოქმნილი სასიამოვნო განცდები, პაციენტებში იწვევს განმეორებითი გამოყენების სურვილს. ამასთან მიღების სიხშირე შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს, ავადმყოფთა ნაწილი ჰაშიშს იყენებს კვირაში 2-3-ჯერ, სხვები დღეში რამდენიმეჯერ; ჰაშიშური ნარკომანიის საწყის სტადიაში მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი გამოყენება ჯგუფურად და უზვეულო შეგრძნებების ერთობლივი განცდა. მისადმი დამოკიდებულების განვითარებასთან ერთად, ეს ფაქტორი კარგავს თავის მნიშვნელობას და იყენებენ განმარტოებულად.

ჰაშიშური ნარკომანიის სიმპტომები

ჰაშიშური სიმთვრალის 4 ფაზას არჩევენ. პირველ ფაზაში ადამიანი შეიგრძნობს უფოთვას. იზრდება მგრძნობელობა გარე გამაღიზიანებელი ფაქტორების მიმართ. წარმოიქმნება თავშეკავებული სურვილი ხტომის, სირბილის, ცეკვის. სხეულში ვრცელდება სითბო, ფეხები მძიმდება. 5-10 წუთის შემდეგ დგება მეორე ფაზა, რასაც ახლავს აღქმის, ცნობიერებისა და აზროვნების რღვევა. ფერები კაშკაშდება, საგნები მეტისმეტად გამოკვეთილი ან პირიქით ბუნდოვანი ხდება. ირღვევა დროის შეგრძნება - ან დაჩქარებულია, ან შენელებული.

მწვევლებში დარღვეულ საუბრებში იკვეთება სექსუალური თემები. პაციენტის აზროვნება სულ უფრო და უფრო ზედაპირული, არამდგრადი და დეზორგანიზებული ხდება. უდარდებლობას და გადაწყვეტილების მიღების სიმსუბუქეს მოჰყვება წყვეტილი და უთანაბრო აზროვნება. ავადმყოფი რეალური სამყაროს მთლიან სურათს კი არ აღიქვამს, არამედ ცალკეულ შემთხვევით მოვლენებს. დარღვეულ აზროვნებას თან ახლავს მოძრაობის კოორდინაციის რღვევა, მყესების რეფლექსის გაძლიერება, ტახიკარდია და მაღალი არტერიალური წნევა. ვლინდება ჰორიზონტალური ინსტალაცია ნისტაგმი.

მესამე ფაზაში აზროვნება ხდება აბნეული. პაციენტი საკუთარ თავში იკეტება და არ რეაგირებს გარე გამაღიზიანებელ ფაქტორებზე. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ჯგუფის შიგნით წყვეტილი საუბრები. ავადმყოფები ერთმანეთის მიმბამველობით იმეორებენ მოძრაობებს, ფრაზებს და ემოციურ რეაქციებს (ერთად ტირიან ან იცინიან). ამ პერიოდში წარმოიქმნება საოცრად უცნაური ილუზიები და ფანტაზიები. ასე მაგ., პაციენტს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ის მილიდან გამომავალი ბოლია, რომ მისი გული მკერდში კი არ მდებარეობს, არამედ მაგიდის ლამპაა და ა. შ.

მესამე ფაზას თან ახლავს სხეულის ტემპერატურის შემცირება, ჰიპერჰიდროზომი, შიმშილისა და წყურვილის გაზრდილი მოთხოვნა.

მეოთხე ფაზის დროს თრობის სიმპტომები თანდათან ქრება. ავადმყოფი თავს გრძნობს უხალისოდ, სუსტად, შებორკილად. ვლინდება კანის სიფერმკრთალე. სიმთვრალიდან გამოსვლას თან ახლავს გაძლიერებული შიმშილისა და წყურვილის შეგრძნება. შემდეგ პაციენტი იძირება მოუსვენარ ძილში, 10-15 საათის ხანგრძლივობით. მეორე დღეს შენარჩუნებულია შიმშილისა და წყურვილის შეგრძნება.

დოზის გადაჭარბებისას აღინიშნება კანის გაწითლება, მოძრაობის კოორდინაციის უხეში დარღვევები, კიდურების კანკალი, რეფლექსების გაძლიერება, წნევის აწევა 150-170 ნიშნულამდე და გულისცემის სიხშირის მომატება. ტუჩები მშრალია, ხმა ხრინწიანი, გუგები გაფართოებული, რეაქცია სინათლისადმი შენელებულია. წარმოიქმნება გონების გამწვავებული დარღვევები. აღნიშნული ნიშნები შეიძლება შენარჩუნებული იქნეს რამდენიმე საათის განმავლობაში. ზოგიერთ შემთხვევაში დოზის გადაჭარბების წამყვანი სიმპტომია მწვავე ფსიქოზი, რასაც თან ახლავს ალგზნების აფეთქებები, ფიზიკური აქტივობის შეტევები, კაშკაშა ჰალუცინაციები, განწყობების მკვეთრი ცვლა, სიკვდილის შიშიდან - მხიარულებასა და უდარდელობამდე. ფსიქოზის ხანგრძლივობა რამდენიმე დღე-ღამეს შეადგენს, გა-

მოსვლა კრიტიკულია, ღრმა ძილიდან თანმდევი სისუსტით და მტვრევადობით 2-3 კვირის განმავლობაში.

აბსტინენტური სინდრომის დროს, ისევე როგორც ჰაშიშით სიმთვრალისას რამდენიმე ფაზას არჩევენ. პირველ ფაზაში, ჰაშიშური ნარკომანიით ტანჯული პაციენტი გრძნობს მოუსვენრობას, ლეთარგიას და სისუსტეს. აღინიშნება კუნთის ტონუსის შემცირება, გუგების გაფართოება, ძილისა და მადის დარღვევა. შესაძლებელია ჟრჟოლა, კანკალი. მეორე ფაზაში (იწყება ერთი დღე-ღამის შემდეგ) მატულობს ალგზნება, იზრდება კუნთების ტონუსი, წარმოიქმნება კიდურების ტრემორი და კუნთების კრუნჩხვები. ვლინდება სუნთქვისა და მაჯის აჩქარება. კიდევ ერთი დღე-ღამის შემდეგ მეორე ფაზა გადადის მესამეში. პაციენტს აწუხებს სუნთქვის გართულება, უსიამოვნო შეგრძნებები გულ-მკერდის არეში. თავის სიმძიმისა და მოჭერის შეგრძნება, ასევე უსიამოვნებების შეგრძნება კანქვეშ (კრუნჩხვები, ჩხვლეტები, წვა და ა.შ.). თანდათანობით მატულობს მოუსვენრობა, შეცვლიდან 3-5 დღის შემდეგ შეიძლება განვითარდეს ფსიქოზი. აბსტინენტური მოვლენები შენარჩუნდება 2-4 კვირის მანძილზე. ამ დროის განმავლობაში ჰაშიშური ნარკომანიით დავადებული ავადმყოფი განიცდის მუდმივ გამოკვეთილ მისწრაფებას ნარკოტიკისადმი.

ჰაშიშური ნარკომანიის სტადიები

არჩევენ ჰაშიშიზმის განვითარების 4 სტადიას. 1-1.5 წლის განმავლობაში მიღებისას დამოკიდებულება არ აღინიშნება. მწვევლი ჰაშიშს ზოგჯერ იყენებს. დოზა სადამოს განმავლობაში თანდათანობით იზრდება 1-დან 2-5 სიგარეტამდე. ხშირად შეიმჩნევა ჰაშიშისა და ალკოჰოლის მიღების მორიგეობა. შემდგომში, პაციენტი თანდათან კარგავს ინტერესს ალკოჰოლისადმი და უპირატესობას ჰაშიშს ანიჭებს. ჰაშიშური ნარკომანიის პირველ სტადიაზე მეტყველებს ნარკოტიკის ეფექტების ცვალებადობა. მიღებიდან პირველ წუთებში ქრება მოუსვენრობა, მცირდება ვეგეტატიური გამოვლინებების სიმძიმე. ვითარდება ფსიქიკური დამოკიდებულება, წარმოიქმნება ნარკოტიკის მი-

ღების აკვიატებული აზრები და დაუკმაყოფილება მისი უქონლობისას.

ჰაშიშური ნარკომანიის მეორე სტადიაზე წარმოიქმნება ფიზიკური დამოკიდებულება. აღინიშნება პირველი და მეოთხე ფაზის თრობის გაქრობა. დაუძღურების პერიოდი მცირდება, ავადმყოფი ინარჩუნებს აქტიურ მოძრაობას, აღმატებულ განწყობილებას და შრომისუნარიანობას. ასეთი ეფექტები შეინიშნება 60-90 წუთის განმავლობაში, შემდეგ იცვლება დადლილობით და არსებულისადმი ინტერესის დაკარგვით. ჰაშიში გარდაიქმნება სტიმულიატორად, რომლის გარეშეც შეუძლებელია ნორმალური ფიზიკური აქტიურობა. აბსტინენციის მოვლენა თანდათანობით პროგრესირდება.

მესამე სტადია ვითარდება ჰაშიშის რეგულარული მიღებიდან 9-10 წლის შემდეგ. ნარკოტიკის დოზა მცირდება, ჰაშიში აღარ იწვევს ეიფორიას და იხმარება მხოლოდ როგორც მასტიმულირებელი საშუალება. ნარკოტიკის გაუქმებას თან ახლავს გაჭიანურებული აბსტინენცია 1 თვით. შეინიშნება თანდათანობითი ფსიქიკური და ფიზიკური გამოფიტვა, სოციალური სტატუსის დაქვეითება, ცხოვრებისადმი ინტერესისა და მიზანმიმართულობის დაკარგვა. დასასრულს ხდება ინტელექტუალური, ემოციონალური და ნებელობის დარღვევა.

ჰაშიშური ნარკომანიის მკურნალობა და პროგნოზი

მძიმე აბსტინენტურ სინდრომით დაავადებული პაციენტების ჰოსპიტალიზირებას ახდენენ ნარკოლოგიურ განყოფილებებში, უტარებენ დეზინტოქსიკურ თერაპიას. სხვა შემთხვევებში შესაძლებელია როგორც სტაციონარული, ასევე ამბულატორული მკურნალობა. ჰაშიშის ხმარების შეწყვეტა არ იწვევს სომატურ და ვეგეტატიურ დარღვევებს, რის გამოც ჰაშიშური ნარკომანიის მკურნალობისას, ნარკოლოგის უმთავრეს ამოცანას შეადგენს პათოლოგიური მიდრეკილების ჩახშობა, აგრეთვე ბრძოლა მოდუნებასთან, აპათიასა და განწყობილების რღვევასთან.

ავადმყოფებს უნიშნავენ საერთოგამაჯანსაღებელ მკურნალობას, ატარებენ სიმპტომატურ თერაპიას. ასტენურ სინდრომთან

და გუნება-განწყობილების დარღვევასთან საბრძოლველად, იყენებენ ანტიდეპრესანტებს და ნეიროლეპტიკებს. მიდრეკილების მოსაშორებლად იყენებენ ლევომეპრომაზინს, ტიორიდაზინს და სხვა პრეპარატებს. ატარებენ ფსიქოთერაპიულ მკურნალობას ინდივიდუალური კონსულტაციებისა და ჯგუფური მეცადინეობისას. ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს სპეციალიზირებულ ცენტრების პირობებში გაგზავნა ხანგრძლივი რეაბილიტაციისათვის.

ჰაშიშური ნარკომანიის დროს პროგნოზი დაკავშირებულია ჰაშიშუმის სტადიასა და ფსიქოაქტიური საშუალებების რეგულარულ მიღებისაგან გამოწვეულ პათოლოგიურ ცვლილებებთან. ავადმყოფები მცირე „სტაჟით“ საკმარისი მოტივაციისას, როგორც წესი, ახერხებენ ამ დამოკიდებულებისგან თავის დაღწევას. ხანგრძლივი დროით გამოყენების შემთხვევაში, პროგნოზი უარესდება. მრავალ პაციენტებში ვითარდება სხვადასხვა ხარისხით გამოხატული ფსიქოორგანული სინდრომი. მორალურ-ნებელობითი თვისებების დაკარგვა, ემოციონალური არამდგრადობა და მოტივაციის უქონლობა, იწვევს ხშირ რეციდივებს. ხშირად აღინიშნება ინვალიდობაც.

<http://www.krasotaimedicina.ru/diseases/narcologic/hashish-addiction>

მარიხუანა - რთული ბედის ნივთიერებაა. ადამიანების ერთ ნაწილში ის ასოცირდება ნარკომანიის გაყინული, სუბელური გამოხატულებით, სხვებში - სასიამოვნო რელაქსაციით, რომელიც ცხოვრების სასტიკი ტემპიდან გამომდინარე ხელს უწყობს სტრესისგან განთავისუფლებას, ხოლო მესამენი - მტკივნეული ქრონიკული ტკივილებისაგან განთავისუფლების იმედით. თითოეულ ადამიანს საკუთარ თავზე გამოცდილი აქვს მისი მოქმედება: ჩვენი თავის ტვინი გამოიმუშავებს საკუთარ „მარიხუანას“ - ქიმიურ შენაერთებს ენდოკანაბინოიდებს, რომლის სახელიც დაკავშირებულია სათესი კანაფის ლათინურ სახელწოდებასთან (*Cannabis sativa*).

ენდოკანაბინოიდების შესწავლამ უკანასკნელ წლებში საინტერესო აღმოჩენასთან მიიყვანა მკვლევარები. მათ მიერ ტვინში აღმოჩენილ იქნა სრულიად ახალი სიგნალური სისტემა, რომლის არსებობასაც ჯერ კიდევ 15 წლის წინათ, ვერავინ წარმოიდგენდა. მისი მოქმედების მექანიზმის შესწავლით შესაძლებელია ახალი მეთოდების შემუშავება მთელი რიგი სიმპტომების: შფოთვის, ტკივილების, გულისრევის, სიმსუქნისა და სხვა მრავალი დარღვევების სამკურნალოდ.

პერორალური გამოყენება (ჭამა)

პერორალური გამოყენება (ჭამა) - კანაფის ფსიქოტროპული პროდუქტების გამოყენების უძველესი ხერხია, რომელმაც ნაწილობრივ დაკარგა პოპულარობა მოწვევის გავრცელების გამო. პერორალური მიღებისას ფსიქოტროპული ეფექტი იგრძნობა 40-60 წუთის შემდეგ, ეს არის მდგომარეობის შეცვლის მსუბუქი შეგრძნება. სრული ეფექტი დგება პროდუქტის მიღებიდან 0,5-2 სთ-ის შემდეგ. ამასთან ე. წ. „ტალღის წარმოქმნა“ («приход») არ არსებობს. თვითშეგრძნების ცვლილება თანდათანობით მატულობს და რომელიღაც მომენტში იმდენად საგრძნობია, რომ შეუძლებელია მისი არ შემჩნევა. მაგრამ შეიძლება მდგომარეობის მკვეთრად შეცვლა, ხოლო 30-40 წუთის შემდეგ ე. წ. „ტალღის“ წარმოქმნა. პერორალური გამოყენებისას, როგორც წესი, ინტოქსიკაცია უფრო ხანგრძლივია (გრძელდება ზოგჯერ 6-8 სთ) და ღრმა, ხშირად თან ახლავს მოტორული დამუხრუჭება და კაშკაშა ვიზუალური ეფექტები (ფსევდოჰალუცინაციები).



სამედიცინო კანაფი

კანაბინოიდებით მოწამლვის სიმპტომები და თავისებურებები

კანაბინოიდები ორგანიზმში მოხვედრისას, სწრაფად სტოვებენ სისხლის კალაპოტს და ვრცელდება ქსოვილებში, ლიპიდებით მდიდარ ცხიმოვან დანალექებზე, ტვინში, სასქესო ორგანოებში, უჯრედოვან მემბრანებში.

კანაბინოიდებით მოწამლვის გარეგანი ნიშნები: მოძრაობა ან ძლიერ დამუხრუჭებულია, ან მოუხეშავია, მეტყველება გაუგებარი, ღვლარჭნილად ლაპარაკი, პოზა არაბუნებრივი. მსუბუქი თრობა შეიძლება იყოს პრაქტიკულად უსიმპტომო; საშუალო ხარისხის ინტოქსიკაციისათვის დამახასიათებელია: უმიზნო სიცილი, ყბედობა, მოძრაობის დათრგუნვა, განწყობილებების მკვეთრი ცვლელადობა. მძიმე მოწამლვის ნიშნებია: გათიშული „მკვდარი“ სახე, დამუხრუჭებული მოძრაობები, ფიქსირებული გამოხედვა, ბოდვითი მსჯელობები, მოვლენაზე არაადექვატური რეაქციები.

სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, ინტოქსიკაციის პიკი გრძელდება არა უმეტეს 2-5 საათისა. სისხლში მოხვედრის შემდეგ, ხდება ფსიქოტროპული კანაბინოიდების სწრაფი დაჟანგვა, და მათი გამოდევნა.

კანაზინოიდებით მოწამლვას არ ჭირდება სპეციალური მკურნალობა, ვინაიდან დროთა განმავლობაში თვითონვე გამოდის ორგანიზმიდან ყოველგვარი ნეგატიური შედეგის გარეშე. თუმცა, რიგ შემთხვევებში მას თან ახლავს მკვეთრი ფსიქოტიური გამოვლინებები (ჰანიკა, ბოდვა, ჰალუცინაციები) რის გამოც საჭიროებს მოწამლული სუბიექტის სწრაფ გამოფხიზლებას.

მოქმედება ორგანიზმზე

კანაზინოიდების ფსიქოაქტიური მოქმედება იმითაა განპირობებული, რომ მათზე მოქმედებს კანაზინოიდური რეცეპტორები - ნერვული უჯრედების სინაპსების მემბრანის ნაწილებზე, აგრეთვე ურთიერთმოქმედნი ანანდამიდებთან. აღმოჩენილ იქნა 1988 წელს აშშ-ში *St. Louis University Medical School* მიერ. იყოფა ორ ჯგუფად: სბ1 და სბ2. სბ1 განლაგებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (ჰიპოკამპი, თავის ტვინის ქერქში, ქერქის ქვეშა კვანძებზე, სტრიატუმზე, ნათხემსა და ზურგის ტვინში), მათი ყველაზე მეტი კონცენტრაცია აღინიშნება მოძრაობის კოორდინაციაზე მოქმედ, ტვინის სწავლისა და მახსოვრობის უბნებზე, ჩვეულებრივ ეს რეცეპტორები აქტიურდებიან ანანდამიდებით და ხელს უწყობს დამუხრუჭებას, რაც გამოწვეულია დოფამინის ჰიპერაქტიურობის სიჭარბით. სბ2 რეცეპტორები აღრიცხულია ელენთაში, კუჭქვეშა ჯირკვალში, საკვერცხეებსა და სხვა ჯირკვლოვან ქსოვილებში, ისინი კარგად აკავშირებენ ეგზოგენურ კანაზინოიდებს, მაგრამ ნაკლებად მსგავსია ანანდამიდებთან.

ტგკ ამცირებს აცეტილქოლინის ცირკულირებას, კერძოდ ჰიპოკამპში, რასაც მივყავართ ნეიროტრანსმიტერის აქტივობის შემცირებისაკენ. აგრეთვე ტგკ ხელს უწყობს სეროტონინის გამომუშავებას.



თვალის გაწითლება მარიხუანას გამოყენებისას

ფიზიოლოგიური ეფექტი მოკლე პერიოდში

ადამიანის ორგანიზმზე მარიხუანას უმთავრესი ფიზიოლოგიური გამოვლინებებია:

- ორივე თვალის სიწითლე, კონიუქტივის დიფუზური ინიცირებით;
- პირის სიმშრალე;
- მადის გაძლიერება.

ფსიქოლოგიური ეფექტები მოკლე პერიოდში

კანაბისის ფსიქოლოგიური ეფექტი მოიცავს ეიფორიას, გაძლიერებულ ხითხითს, ონეიროიდულ მდგომარეობას, სიმშვიდესა და თვლემას (ან უძილობა, რაც დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანისაგან). ეს აშლილობა კლასიფიცირებულია, როგორც კანაბისით სიმთვრალე.

მარიხუანა ამაღლებს მგრძნობიარობას გარეგანი სტიმულების მიმართ, საშუალებას იძლევა აღმოაჩინოს დეტალები, რომლებიც ადრე შეუმჩნეველი იყო, ფერები ხდება უფრო კაშკაშა და მდიდარი, აგრეთვე ამაღლებს მუსიკისა და ხელოვნების შეგრძნებას. მგეძნობელობა გემოსა და სუნის მიმართ ძლიერდება. დრო თითქოს შენელებულია, ადამიანი იწყებს შემჩნევას, რომ დროის ყოველ მომენტში ბევრი რამ ხდება. იმასთან დაკავშირებით, თუ რითია განპირობებული ახალი, ადრე შეუმჩნეველი

დეტალების აღქმა - მიიჩნევა, რომ ეს შესაძლებელია გამოწვეული იყვეს აღქმის პრიორიტეტების სისტემის ცვლილებით. ასე, მაგ., მარიხუანას მოქმედებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ უფრო სასიამოვნოა ბუნებრივი მოვლენების ჭკრეტა, ვიდრე ადამიანების მოქმედების.

ასევე, ხშირად შეიმჩნევა მაღალი მგრძობელობა ხმისადმი და იმ ყველაფრის მიმართ, რაც ადამიანის ირგვლივ ხდება. მრავალი წვრილი, უმნიშვნელო დეტალი იძენს ისეთივე მნიშვნელობას, როგორც სხვა ამბავი (აპოფენია).

ზოგჯერ შეიმჩნევა პანიკური შიშის გაუცნობიერებელი მოვლენები, ამასთან ერთად მარიხუანას მოქმედება არ გამორიცხავს გარემოს მდგომარეობის ადექვატური შეფასების შესაძლებლობას, რაც აიხსნება საზოგადოებრივ ადგილებში მისი მიღებისას გამოჩენილი ნორმალური ყოფაქცევის შესაძლებლობით.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ეს უკანასკნელი შემთხვევა (პანიკური შიში) წარმოადგენს ტვინის მონაკვეთების სტიმულირების შედეგს, რომლებიც პასუხისმგებელია ფანტაზიასა და შემოქმედებაზე, რის გამოც არ რჩება ადგილი თვითკონტროლისათვის.

ხშირად შეიმჩნევა გონების გახლეჩვა, გრძობენ რა კანაბინოიდების მოქმედებას, ზოგიერთი ადამიანი ამჩნევს, რომ იმყოფებიან გონების მდგომარეობის ცვალებადობასთან. მათ შეიძლება განუვითარდეს პარანოიდალური იდეები და ამავე დროს ისინი დასცინიან ამ იდეებს. შეიძლება გამოვლინდეს დეპერსონალიზაცია და დერეალიზაცია. ობიექტურობის შენარჩუნების ეს უნარი ახსნადია მრავალი *მაგალითით, როდესაც მწველები ახერხებენ საჯაროდ ყოფნისას თავი მშვიდად დაიჭირონ, თუნდაც იმყოფებოდნენ ძლიერი თრობის ქვეშ*. გარდა ზემოთ აღნიშნული ნიშნებისა, მარიხუანათ თრობისათვის დამახასიათებელია გაძლიერებული მადა. ამასთან არსებითად იზრდება მგრძობელობის გემოვნებითი რეცეპტორები: საჭმელი ბევრად გემრიელი ეჩვენებათ, ვიდრე ჩვეულებრივ მდგომარეობაში. ასევე საინტერესოა, რომ უგემოვნო საჭმელი საზიზღარი ხდება,

ამდენად ამ დროს გემოვნებითი რეცეპტორები უფრო მგრძობიარე ხდებიან.

დელირია (დელირია, დელირიუმი. (ლათ. *Deliro* - ვეჭვდები) - ცნობიერების აშლა, ბოდვა, რომელსაც თან სდევს ხშირი, უმთავრესად მხედველობითი ჰალუცინაციები)

კანაბისთან შეიძლება დაკავშირებული იყვეს დელირია, რომლისთვისაც დამახასიათებელია გონების დაბინდვა, მოუსვენრობა, მშფოთიარობა, აღრევა, შიში, დეზორიენტაცია, ონეიროიდული (სიზმრისმაგვარი) აზროვნება, მოსალოდნელი საშიშროების ბუნდოვანი შეგრძნება, ილუზიები. ტოქსიკური დელირია ჩვეულებრივ წარმოიქმნება დიდი დოზის კანაბისის მიღებისას; იმ შემთხვევაში, თუ კანაბისი მიიღება მოწვევის გზით, ასეთი მდგომარეობა შედარებით იშვიათია.

ამასთან, ბოდვითი სინდრომი ხასიათდება დევნის შიშით, რომელიც ვითარდება ამ ნივთიერების ხმარებისას. გარდა ამისა, შეიმჩნევა გამოკვეთილი მოუსვენრობა, ლაბილურობა, დეპერსონალიზაცია. დროის განმავლობაში ეს მდგომარეობა გადის.

სავარაუდო სასიკვდილო დოზა

მედიანური (საშუალო) სასიკვდილო დოზა (50% სიკვდილიანობის) ტეტრაჰიდროკანაბინოლით (ტგკ), მარიხუანას ძირითადი მოქმედი ნივთიერებით, განისაზღვრა ექსპერიმენტალურად საცდელ ცხოველებზე (ვირთხებზე, მაიმუნებსა და ძაღვებზე). ვირთხებზე, Merck Index თანახმად, შინაგანი მიღებისას სასიკვდილო დოზა შეადგენს 1270 მგ ერთ კგ წონაზე მამრობით ინდივიდებში და 730 მგ-ს - მდედრობითებზე, ხოლო შესუნთქვისას - 42 მგ ერთ კგ-ზე. მაიმუნებისათვის სასიკვდილო დოზა ზეთში გახსნილი ტგკ-ს ვენაში შეყვანისას შეადგენდა დიპაკაზონში 90-12 მგ/კგ-ზე.

ძაღვებსა და მაიმუნებში ტგკ-ს შეყვანისას მედიანური სასიკვდილო დოზის დადგენა ვერ მოხერხდა, ცხოველთა უმრავლესობა უძლებდა 3000 მგ/კგ დოზას. მინიმალური დოზა, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი, შეადგენდა 1000 მგ/კგ-ზე. ადამიანებზე გადაანგარიშებით მიიჩნევენ, რომ 70 კგ წონის პიროვნების სასიკვდილო დოზა სუფთა ტგკ-ს შესუნთქვისას შეად-

გენს 3 გრ-ს, რაც შეადგენს დაახლოებით 60 გრ მარიხუანას ტგკ-ს 5%-იან შემადგენლობას. ხოლო პრაქტიკაში ამ რაოდენობის მარიხუანას მოწევა შეუძლებელია. სწორედ ამით განსხვავდება მარიხუანა სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებებისაგან.

<https://yablor.ru/blogs/smertelnaya-doza-marihuani/750954>

ხანგრძლივი დროით გამოყენების ეფექტები

ბოლო პერიოდში მრავალრიცხოვანი კვლევები, რომლებიც კანაბის ეძღვნებოდა, უმთავრესად ეხებოდა შესაძლო ადვერსიურ (მაკონე) რეაქციებს ქრონიკული გამოყენებისას. გამოკვლეულ იქნა ცერებრალური ატროფიის, გულყრებისადმი დამოკიდებულება, ქრომოსომების დაზიანება და განვითარების თანდაყოლილი დეფექტები, იმუნური რეაქციის დარღვევა და მოქმედება ტესტოსტერონის შემცველობაზე, მენსტრუალურ ციკლზე. შედეგები ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგობრივია და არ იძლევა საბოლოო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

ტვინის ცვლილება

1998 წლის INSERM-ისა და სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის შრომაში, რომელიც შესრულდა საყოველთაოდ ცნობილი მკვლევარის ბერნარდ პიერ-როკესის მიერ, დადგინდა, რომ ადრეული კვლევის შედეგები, რომლებიც მოიცავდა მარიხუანას ქრონიკულ მომხმარებლებში, ტვინის ანატომიურ ცვლილებებს, რაც ტარდებოდა ტომოგრაფიის მეთოდით, არ იქნა დამტკიცებული ისეთი ზუსტი მეთოდით, როგორცაა მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია. უფრო მეტიც, ვირთხებში ტეტრაკანაბინოლის ძალიან მაღალი დოზით შეყვანისას, არ შეიმჩნეოდა ჰიპოკამპის (რომელიც განსაზღვრულ როლს ასრულებს მახსოვრობასა და კოორდინაციაში) მორფოლოგიური გაუარესება.

მახსოვრობა

ჰიპოკამპი, რომელიც ჩართულია მახსოვრობის ფორმირებაში, აგრეთვე შეიცავს მრავალ კანაბინოიდურ რეცეპტორებს. ფიქ-

რობენ, რომ მარიხუანა ახდენს ჰიპოკაპში კანაბინოიდური რეცეპტორების აქტივირებას და ამით მოქმედებს მახსოვრობის დაქვეითებაზე, ახდენს რა ამ მონაკვეთში ნეირონების აქტიურობის შემცირებას. მარიხუანას გავლენა ხანგრძლივი დროით მახსოვრობაზე ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა ადამიანი, რომელიც მარიხუანას მოქმედების ქვეშაა, მახსოვრობა მოკლე დროით უარესდებათ.

მოქმედება გონებრივ მდგომარეობაზე

მრავალწლოვანი გამოკვლევების შედეგების თანახმად, რომელიც გამოქვეყნებული იყო 2002 წელს კანადის ექიმთა ასოციაციის ჟურნალში, აღნიშნულია, რომ „გრძელვადიან პერსპექტივაში მარიხუანა არ იწვევს ნეგატიურ მოქმედებას გონებრივი შესაძლებლობების საერთო დონეზე“ და რომ „ნეგატიური მოქმედება IQ-ზე აღინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვირაში 5-ჯერადად ან უფრო მეტად ეწევა პირი“. ამ კვლევებში აღინიშნება აგრეთვე ინტელექტის მაჩვენებლების შემცირება 4,1 პუნქტით მუდმივ მწვეველებში.

მოქმედება რეპროდუქტიულ სისტემაზე

მარიხუანა საშუალო რაოდენობით ამლიერებს ორგანოს როგორც კაცებში, ასევე ქალებში, ამავე დროს აჩერებს ეაკულაციას (ე.წ. გათავებას). თუმცა, ცხოველების მიერ დიდი დოზით ტგკ-ს მიღება ამცირებს ტესტოსტერონში შრატის დონეს, ართულებს სპერმის წარმოქმნას, მის მოძრაობას და სიცოცხლისუნარიანობას, არღვევს ოვულიაციის ციკლს, და იწვევს გონადტროპული ჰორმონების წარმოებას. ასევე შესაძლებელია, რომ ამ შედეგებიდან გამომდინარე, ამას თანდათანობით მოჰყვება თავშეკავება.

მოქმედება ნაყოფსა და ახალშობილზე

უკანასკნელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ მარიხუანას მწვეველი ფეხმძიმე ქალების ბავშვები ხშირად იტანჯებიან შემეცნებითი უნარის მუდმივი დეფიციტით, ყურადღების გაფანტვით, ჰიპერაქტიურობით და განუვითარებელი სოციალური ურთიერთმოქმედებით, ვიდრე ის ბავშვები, რომელთა დედებიც კანაფის ზეგავლენის ქვეშ არ იმყოფებოდნენ. ევროპისა და აშშ-ის

მეცნიერთა გამოკვლევებით დადგენილია, რომ ენდოგენური კანაბინოიდები, მოლეკულები, რომლებიც ბუნებრივად წარმოიქმნება ჩვენი ტვინის მიერ და ფუნქციონალურად მათი მსგავსი კანაფის ტგკ, ასრულებენ მეტად სასარგებლო როლს იმ პროცესში, როდესაც ხდება განსაზღვრული ნერვული უჯრედების ურთიერთშორის შეერთება. ნაყოფის ტვინში ნერვულ უჯრედებს შორის კავშირების წარმოქმნა მიმდინარეობს შედარებით მოკლე პერიოდში. აღნიშნული კვლევები იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ გაირკვეს როგორ მოქმედებს კანაფი ნაყოფის ტვინზე და ეს როდის ხდება.

მეცნიერულად დადგენილია კანაბინის მეტად ნეგატიური მოქმედება ნაყოფზე: ნაყოფის ზრდის შენელება, ბიჭებში რეპროდუქტიული უნარის დაქვეითება, ნერვული სისტემისა და მხედველობის დარღვევა. შესაძლებელია ჩვილებში მეძუძური დედებიდან რძის მეშვეობით კანაბინოიდების გადაცემა.

კანცეროგენების შესაძლებლობა

2006 წელს ლოს-ანჯელესში დევიდ გეფმანის სამედიცინო სკოლაში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის დონალდ ტამკინის გამოკვლევებით დადგინდა, რომ მარიხუანას გამოყენება არ ზრდის ფილტვების კიბოს განვითარების რისკს, ასევე თავის, ყელის, ენის, პირის ღრუსა და საყლაპავი მილის კიბოს რისკს. ამ გამოკვლევებში მონაწილეობას იღებდა 2252 მონაწილე, ამასთან ზოგიერთი მათგანი იყო მარიხუანას ქრონიკული მწვეველები, რომლებსაც მოწეული ჰქონდათ 22000 მარიხუანას სიგარეტი. თუმცა, მარიხუანას მრავალი მოწინააღმდეგეს მოჰყავს ამავე ცენტრში 2000 წელს ჩატარებული Dale Geiringer და სხვ. გამოკვლევები, იმის დასამტკიცებლად, რომ მარიხუანას მწვეველები ფილტვების კიბოსა და სხვა სიმსივნური წარმონაქმნების უფრო მაღალი დონის რისკის ქვეშ მყოფ კატეგორიას მიეკუთვნებიან. აღნიშნული მკვლევარების მიერ დადგინდა, რომ მარიხუანას წვის შედეგად წარმოიქმნება 118 კანცეროგენი და კიდევ ორი კანცეროგენი წარმოიქმნება, როდესაც მარიხუანას აორთქლება ხდება ვარონიზერის მეშვეობით. რათა გარ-

კვეულიყო აღნიშნული წინააღმდეგობრიობა, ქიმიურად დამტკიცებული კანცეროგენულობა, დაკავშირებული წვის პროცესთან, დ. ტაშკინმა აღნიშნა, რომ ახალი გამოკვლევების შედეგების ერთ-ერთი შესაძლებელი ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ ტეტრაჰიდროკანაბინოიდი, ქიმიური ნივთიერება რომელსაც შეიცავს მარიხუანას ბოლი, ხელს უწყობს დაბერებული უჯრედების ნაადრევ კვდომას, რის გამოც მათ ნაკლები შანსი აქვთ გაიარონ კიბოს უჯრედების ტრანსფორმაციები.

შედარება თამბაქოსთან

ახალ ზელანდიაში 2016 წელს გამოქვეყნებული 20-წლიანი გამოკვლევების შედეგების თანახმად, მარიხუანას გამოყენება თამბაქოსთან შედარებით, ჯანმრთელობისათვის ბევრად ნაკლები შედეგები ჰქონდა. 1037 მონაწილისაგან (51,6 % მამაკაცები) 484 კაცი ხმარობდა თამბაქოს მოსაწევად, ხოლო 675 ზოგჯერ ხმარობდა მარიხუანას. შედეგების დამუშავებით გაირკვა, რომ საშუალო ასაკის ადამიანები, რომლებიც იყენებდნენ მარიხუანას, მიდრეკილება ჰქონდათ პირის ღრუს დაავადებებისადმი.

<https://www.forens-med.ru/book.php?id=>

ფსიქოლოგიური ეფექტები ხანგრძლივი დროით ხმარებისას

კანაფის პროდუქტების გამოყენება ცვლის ადამიანის მსოფლმხედველობას და ქცევას. კანაფის მწველი ლაპარაკის მოყარულია, ბევრს იცინის და ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მის იუმორს ფრთები შეესხა. სუსტდება დროისა და სივრცის შეგრძნება, ასევე მეხსიერების, კრიტიკულობის, კონცენტრირებისა და კოორდინაციის უნარი, საერთო რეაქცია. რეფლექსები შენელებულია, მატულობს მადა, განსაკუთრებით ტკბილეულისადმი. დიდი რაოდენობით მოხმარებისას შეიძლება წარმოიქმნას ჰალუცინაციები. შესაძლებელია პანიკური და შფოთვითი შეტევები.

კანაფის მთავარი ეფექტები:

მოდუნების შეგრძნება

- მსუბუქი ეიფორია
 - მხიარულობა
 - გრძნობების ჰიპერგრძნობელობა
 - მადის გაძლიერება
 - დროის შეცვლილი აღქმა - მომხმარებლისთვის დროის სვლა შენელებულია, ან პირიქით აჩქარებული.
 - დეპრესიული შეგრძნება ან პანიკა
 - თვალების სიწითლე (რასაც "სისხლიან თვალებს" უწოდებენ)
 - პულსის აჩქარება
 - სხეულის ტემპერატურის დაქვეითება
 - საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობის შენელება
 - კანაფთან დაკავშირებული ლებინების სინდრომი (დიდი რაოდენობით და ხშირი მოხმარებისას);
 - კანაფის მოწევა ახალგაზრდებში ითვლება სპონტანური პნევმოთორაქსის რისკ ფაქტორად;
 - ბავშვებში, რომლებიც შემთხვევით იყენებდნენ კანაფის პროდუქტებს, აღწერილია კომაში ჩავარდნის, არტერიული წნევის ვარდნისა და გულების გაფართოების შემთხვევები;
- კანაფის უხვი და ხშირი გამოყენებისას შეიძლება განვითარდეს კანაბინოიდული გულისრევის სინდრომი (cannabinoid hyperemesis syndrome), რომელსაც თან ახლავს მუდმივი გულისრევა და პირღებინება, რომელსაც არ შველის ჩვეულებრივი გულისრევის საწინააღმდეგო სამკურნალო პრეპარატები.

გვერდითი მოვლენები და რისკები ჯანმრთელობისათვის

ხანგრძლივ გამოყენებასთან ერთად ზოგი მომხმარებელი განიცდის მუდმივ დადლილობას, ქრება დაინტერესება გარემოსადმი, წარმოიქმნება სირთულეები მეხსიერების კონცენტრაციასა და დარღვევაში, ასევე სუსტდება ყურადღება. უფროსი ასაკის ადამიანებში კანაფის პროდუქტების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გულის პრობლემები და თვით ინფარქტიც.

კანაფის გამოყენება ზრდის გართულებების აღბათობას:

- **ფსიქიურ დაავადებებს**, როგორცაა შიზოფრენია. კანაფის პროდუქტების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს შიზოფრენიის განვითარების პროვოცირება იმ ადამიანებში, რომელთაც აქვთ მისადმი მიდრეკილება, მაგრამ კანაფის გამოყენების გარეშე არ გამოვლინდებოდა. ასევე არსებობს მტკიცებულება, რომ კანაფის მწვევლთა შორის, შიზოფრენია რამდენიმე წლით ადრე ჩნდება, ვიდრე საშუალოდ ხდება. ადამიანი რაც უფრო ადრე იწყებს კანაფის მოწევას, მით უფრო მაღალია ამის რისკები.

- **პანიკური შეტევები**. ადამიანი გრძნობს, რომ კარგავს კონტროლს, აკლია ჟანგბადი, რომ ის ახლა მოკვდება ან გაგიჟდება. ხშირად ჩნდება მომხდარის არარეალურობის შეგრძნება. ზოგჯერ პანიკური შეტევა არის შფოთვითი აშლილობის დასაწყისი, რომელშიც აუცილებელია ფსიქიატრების ჩარევა. ჩვეულებრივ, მსგავსი შეტევები ხდება შემთხვევით მომხმარებლებში ან მათთან, ვინც ტკვ-ს ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობა მიიღო.

- **ფსიქოზი**. ალქმისა და აზროვნების დარღვევები (ჰალუცინაციები, ბოდვები, მანია).

- **აბულია** (ნებისყოფის სინდრომის ნაკლებობა). ადამიანი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყენებს კანაფის პროდუქტებს, შეიძლება გახდეს გულგრილი და აპათიური, მას არ შეუძლია კონცენტრირება რაიმეზე. მას შეუძლია დასახოს მომავლის გეგმები, მაგრამ ვერ შეძლებს ცხოვრებაში მათ განხორციელებას. მისთვის ასევე რთულია ახალ სიტუაციებთან შეგუება ან რთულ სიტუაციებთან გამკლავება. წარმოიქმნება მოკლევადიანი მეხსიერების პრობლემები: ადამიანს არ ახსოვს რა თქვა ან რა მოხდა ერთი წუთის წინ. უარესდება თვითგამოხატვის და ანალიტიკური უნარის შესაძლებლობები. ადამიანი განიცდის ყურადღების დეფიციტს, შენელებულია მისი რეაქციის სიჩქარე და დროის აღქმა.

- **უბედური შემთხვევები**, განსაკუთრებით საგზაო შემთხვევები. უბედური შემთხვევები უკავშირდება სივრცის და დროის აღქმის დარღვევებს.

შემეცნებითი უნარების და გონების შესუსტება.

- მოზარდებში, იწვევს ტვინის განვითარების დაქვეითებას.
- ორსულობის დროს ტვინი გადალახავს პლაცენტარულ ბარიერს და სისხლის მიმოქცევის გზით აღწევს პატარამდე. გამოკვლევები აჩვენებს, რომ იმ დედების შვილები, რომლებიც ორსულობის დროს იყენებდნენ კანაფის პროდუქტებს, დაბადებისას მცირე სიმაღლთ და წონით გამოირჩევიან. ქალებში შესაძლებელია გამოიწვიოს სპონტანური მუცლის მოწყვეტა და ნაადრევი მშობიარობა. გარდა ამისა, ასეთ ბავშვებში განვითარების შემდგომ პერიოდში ხშირად წარმოიქმნება განვითარების და ქცევის დარღვევები (მაგალითად, ჰიპერაქტიურობა, იმპულსურობა და ყურადღების დეფიციტი).

დამოკიდებულება და აბსტინენტური სინდრომი

ვინაიდან ამჟამად, კანაფი, XX საუკუნის 70-იან წლებთან შედარებით, არსებითად მეტ ნარკოტიკული ნივთიერებას - ტეტრაჰიდროკანაბინოლს შეიცავს, ასევე გაიზარდა კანაფთან დაკავშირებული საშიშროება და რისკები, მათ შორის მისადმი დამოკიდებულების რისკიც. სპეციალური გამოკვლევები აჩვენებს, რომ კანაფისადმი დამოკიდებულებას ავლენს მის მომხმარებელთა 9% დან 30%-მდე.

აბსტინენტური სინდრომის სიმპტომები:

- ნერვიულობა
- რისხვა, აგრესიულობა, გაღიზიანება
- უძილობა, ღამის კოშმარები
- შფოთვა
- წონის დაკლება, მადის ნაკლებობა
- დეპრესია
- შეციება, ოფლიანობა, კანკალი, თავის ან მუცლის ტკივილი.

მოწამელისა და დოზის გადამეტების ნიშნები

კანაფის მოწამელის შემთხვევები იშვიათია. კანაფის დოზის გადაჭარბების გამო სიკვდილიანობის დოკუმენტირებული დამადასტურებელი შემთხვევები არ არის ცნობილი.

დოზის გადაჭარბების ან კანაფის გადაჭარბებული გამოყენების ზოგიერთი ნიშანი:

- გულის პალპიტაცია, რაც ზრდის გულის შეტევის რისკს
- ჰალუცინაციები
- სულიერი აშლილობა
- პანიკური შეტევები
- ექსტრემალური პარანოია

თუ მარიხუანა გამოიყენება სხვა პრეპარატებთან ერთად, შეიძლება გვერდითი მოვლენებიდან აღინიშნოს: კრუნჩხვები, ინსულტი ან ტაქიკარდია. კანაბიდოლის (КБД, ან CBD) მაღალი შემცველობის კანაფის პროდუქტების გამოყენება, სეროტონინის ინჰიბიტორების ჯგუფის ანტიდეპრესანტებთან ერთად, ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს სეროტონინის სინდრომის განვითარება.

<https://www.narko.ee/ru/narkotiki/konoplya/>

<https://inosmi.ru/world/20141012/223601639.html>

ამერიკელი მეცნიერების დასკვნით: მარიხუანას ხშირი მოხმარება არითმიასა და ინსულტს იწვევს - ახალგაზრდები, რომლებიც მოიხმარენ მარიხუანას, რისკჯგუფთა იმ ნაწილს განეკუთვნებიან, რომლებსაც გულის პრობლემები გააჩნიათ. ინფორმაციას აქვეყნებს CNN-ი.

აღნიშნული კვლევა გამოაქვეყნა ამერიკის ჯანმრთელობის მეცნიერებათა ასოციაციამ. მკვლევართა აზრით, ის ახალგაზრდები, რომლებიც ხშირად ეწევიან კანაბისს, ინსულტის საშიშროების ქვეშ იმყოფებიან.

კვლევის თანახმად, მარიხუანას მომხმარებელთა 52%-ს აღნიშნება არითმია, გაძლიერებული გულის ცემა და ტკივილი გულის არეში. პულსის რიტმის პრობლემები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ელექტრული იმპულსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გულის სწორ ფუნქციონირებას არათანმიმდევრულად და არაპროპორციულად მოქმედებენ. ზემოხსენებულმა პრობლემამ ცალკეულ შემთხვევაში გულის დაავადებასთან ერთად შესაძლოა სიკვდილიც კი გამოიწვიოს.

მკვლევარების მიერ წარდგენილი დასკვნების თანახმად, ადამიანები, რომლებიც თვეში 10-ჯერ ან მეტჯერ მოიხმარენ მარიხუანას, მათთვის ინსულტის რისკი 2.5-ჯერ მეტია, განსხვავებით მათგან, რომლებიც არ ეწევიან კანაფს.

www.newpost.ge

დამოკიდებულება

მარიხუანას ხმარება იწვევს ფსიქოლოგიური დამოკიდებულების განვითარებას; არსებობს აგრეთვე კვლევითი მონაცემები, რომელთა თანახმად 10-20 %-ის შემთხვევაში ხდება ფიზიოლოგიური დამოკიდებულებისადმი განვითარება. მარიხუანას შეწყვეტა დიდი რაოდენობით მისი ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაში იწვევს მთელ რიგ ვეგეტატიურ დარღვევებს (არტერიალური წნევის მომატებას, გახშირებულ გულისცემას, გულის მიდამოებში არასასურველ შეგრძნებას, თავის ტკივილებს). ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში იწვევს როგორც ფარმაკოკინეტიკურ, ასევე ფარმაკოდინამიკურ ცვლილებებს.

მარიხუანას ლეგალიზაციის მომხრეებისათვის, ის წარმოადგენს უვნებელ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ვინაიდან ხასიათდება რბილი მოქმედებით და იწვევს სუსტ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას. გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ მარიხუანას ზომიერი გამოყენებისას, ერთკვირიანი თავშეკავების შემდეგ არ აღინიშნება შესამჩნევი ცვლილებები, ადამიანის ფუნქციონალურობაში. არსებობს განსაზღვრული ჯგუფი ე. წ. „მსუბუქი ნარკოტიკების“ დეკრიმინალიზაციის მომხრეების, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მსუბუქი ნარკოტიკები“ განსხვავებით - ძლიერმოქმედისაგან ზომიერი გამოყენებისას არ იწვევს ადამიანის ჯანმრთელობისადმი მავნებლობას. ამ ჯგუფის აზრით, მსუბუქი ნარკოტიკები პირდაპირი გავლენით არ მოქმედებს ადამიანის სოციალურ ორიენტაციაზე.

სპეციალისტი - ნარკოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამიანი, ვინც დღეში ერთხელ ეწევა მარიხუანას, ადვილად განსხვავდებიან სხვა ადამიანებისაგან გარეგანი ნიშნებით, თვალის ქვედა ტომრებით, შუბლზე მშრალი ნაოჭებით, შუშისებრი თვალებით,

დარღვეული, შენელებული მეტყველებით. ხოლო ხშირი მოხმარება იწვევს ფსიქიკის ცვლილებას, შეხედულებებს ცხოვრებაზე, ადამიანის სოციალური ორიენტაციის ცვლილებას, ინტროვერსიას. არსებობს მოსაზრება, რომ განსხვავებული შთაბეჭდილებების აღქმის სურვილმა და შესაბამისმა სოციალურმა გარემომ, ადვილად შეიძლება გამოიწვიოს უფრო მძიმე ნარკოტიკებზე გადასვლა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი მარიხუანას გამოყენების მოწინააღმდეგეთა შორის, თუმცა არა ერთადერთი. ასევე ისინი ამტკიცებენ, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი „სუსტი დამოკიდებულების“, „უწყინარი“ და „მსუბუქი ნარკოტიკის“ საუბრების შესახებ.

კლინიკური სურათი ტგკ-ს სინდრომის მოშლის, ვითარდება თანდათან და ვლინდება საკმაო ხარისხით ინდივიდუალურად.



მარიხუანას ნაირსახეობები

ფსიქოზები

ვარაუდობენ, რომ ასეთი ეფექტი უფრო შესაძლებელია მათთვის, რომლებიც გენეტიკურად არიან მიდრეკილები ფსიქიური დაავადებების განვითარებისაკენ. გარდა ამისა, არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ იმ პირებს, რომლებიც დაავადებულნი არიან შიზოფრენიით ან სხვა ფსიქიკური დაავადებებით, რომლებიც მიმდინარეობს პერიოდული ფსიქოზებით, მარიხუანას მოწევა იწვევს ფსიქოტური აშლილობების პროვოცირებას, თვით ანტიფსიქოტური პრეპარატების აკურატულად მიღების დროსაც კი.

ჰაშიშური ფსიქოზი

არსებობს მონაცემები, რომ ფსიქოზებს, გამოწვეული კანაფის ან კანაბისის ხმარებით, ძირითადად ადგილი აქვს ინდოეთში, ეგვიპტესა და მაროკოში; უფრო ხშირად ის აღინიშნებოდა XIX - საუკუნის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში, ვიდრე ახლა. ეს არის ხანგრძლივი ფსიქოზები, რაც გამოწვეულია უმთავრესად ამ ნივთიერების მაღალი დოზის ქრონიკული ხმარებით.

არსებობს ასევე გამოკვლევები, რითაც ირკვევა, რომ ახალგაზრდები, რომლებიც 18 წლის ასაკში ხმარობდნენ კანაბისს, ექვემდებარებიან შიზოფრენიით დაავადებას შემდგომ 15 წელიწადში. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ შიზოფრენიით დაავადებულთა საერთო რაოდენობის 8%-დან 13%-მდე მატება დაკავშირებულია მოზარდების ასაკში კანაბისის ხმარებასთან.

შფოთიანობა (მოუსვენრობა)

ადამიანები, რომლებიც ღებულობენ კანაბისს, განიცდიან აგრეთვე შფოთიანობის მოკლევადიან მწვავე მდგომარეობას, ხშირად თანმდევი პარანოიდული იდეებით. შფოთვა შეიძლება იმდენად ძლიერი იყოს, რომ აღწევდეს მკვეთრად გამოხატულ ე.წ. პანიკურ რეაქციას.


პანიკური რეაქციები წარმოადგენს ინვენსიურ რეაქციას მარიხუანას ზომიერი მოწევის დროსაც, მიაჩნიათ, რომ ვლინდება

იმიტომაც, რომ მრავალ ქვეყანაში კანონით აკრძალულია მისი გამოყენება.

ასევე შემჩნეულია, რომ ინდივიდები, რომლებიც რეგულარულად ღებულობენ კომპლექსურ ვიტამინებს (განსაკუთრებით ვიტამინ C), მნიშვნელოვნად დაცულნი არიან მსგავსი სინდრომებისაგან (რა თქმა უნდა აქ იგულისხმება ვიტამინების არა ერთჯერადი, არამედ ყოველდღიური და რეგულარული მიღება).



ანაშის წევით გაუბედურებული არსება



ჩინელი მწველები (XIX ს)

მოტივაციის დაკარგვის სინდრომი

მოტივაციის დაკარგვის სინდრომი - ტერმინი რომელიც მიღებული იყო გასული საუკუნის 60-იან წლებში კლინიკურად გამოხატული სინდრომის „მარიხუანას გამოყენების გავლენა, მისი წარმოიქმნა და განვითარება პასიურ, არამოტივირებულ პირებში, შინაგანად ჩაკეტილ ადამიანებში“. სინდრომების სიაში შესული იყო: აპათია, ამაღლებული მგრძნობიარობა, სურვილების უქონლობა, ამოცანებისა და მიზნების დაქვეითებული შეგრძნება, ყურადღების თავისმოყრა და კონცენტრაციის სირთულე.

გამოკვლევების საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ფენომენი ხშირად წარმოიქმნება იმ ახალგაზრდა მწვევლებში, რომლებიც მარიხუანას ხმარობენ ყოველდღიურად და დიდი რაოდენობით.

ფლეშბეკი (უკუკავშირი)

კანაბისზე სხვა შესაძლებელ რეაქციას წარმოადგენს ე.წ. ფლეს-ბეკი (ინგლისური სიტყვიდან flashback), ან რეტროსპექტიური სცენა, რომელიც წარმოადგენს სიმპტომების სპონტანურ დაბრუნებას, გამოწვეულს ნივთიერებებით, როდესაც სუბიექტი სიმთვრალის გარეშე მდგომარეობაშია. ის შეიძლება წარმოიქმნას დიდი დროის, თვით ერთი თვის გასვლის შემდეგ. ის გამოწვეულია ჩვენი მახსოვრობის უნიკალური თვისებით, „გაახსენდეს“ გადატანილი მდგომარეობა, აღადგინოს ის ყველა შეგრძნება, რაც იყო რეალურ სიტუაციაში. მთლიანად ფლეშბეკი დამახასიათებელია იმ პირებისთვის, რომლებიც იყენებენ უფრო მძლავრ ჰალუცინოგენებს ან ფსიქოდელიებს.

ტოლერანტობა

მარიხუანას მწვევლებს ძლიერი ტოლერანტობა უნვითარდებათ იშვიათად. მისი რეგულარული გამოყენებისას, კანაბიოიდების მრავალ ეფექტთან დამოკიდებულებით, წარმოიქმნება ტოლერანტობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მაღალი დოზებით ხშირი გამოყენებისას, სასურველი ეფექტი შეიძლება საერთოდ არ წარმოიქმნას. ტოლერანტობა სუსტდება მარიხუანას სხვა ჯიშებზე გადასვლისას, მწვევლების მიერ გამოთქმულია მოსაზრება,

რომ ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ დელტა-9-ტგკ არ არის ერთადერთი ფსიქოაქტიური კანაბინოიდი და რომ თითოეული ჯიში შეიცავს კანაბინოიდების საკუთარ ნაკრებს. მეორეს მხრივ, ტოლერანტობა შეიძლება იყვეს ყალბი, არაჰემმარიტი, ფილტვების სხვადასხვა ფისებით დაზიანებით გამოწვეული. ამ შემთხვევაში ქვეითდება ორგანიზმის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების შეთვისება.

მარიხუანას ახასიათებს აგრეთვე ტოლერანტული შეგვარება ალკოჰოლთან.

<https://neuronews.com.ua/ru/issue-article-506/Mnenie-eksperta-Vliyanie-marihuany-na-mozg-i-psihibiku-cheloveka#gsc.tab=0>

კანაბინოიდები და მათი რეცეპტორები

მეცნიერებს, მარიხუანას მრავალფეროვანი მექანიზმის გაგების დასადგენად დიდი დრო დასჭირდათ. 1964 წ. რაფაელ მეხულამ (*Raphael Mechoulam*) იერუსალიმში ებრაული უნივერსიტეტის მკვლევარმა დაადგინა, რომ შენაერთები, პასუხისმგებელი მარიხუანას პრაქტიკულად ყველა ფარმაკოლოგიურ ეფექტზე არის დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლი (ტგკ). მკვლევარებმა დაისახეს მიზნად იმ რეცეპტორების იდენტიფიცირება, რომლებიც აკავშირებენ ტგკ.

რეცეპტორები - ცილებია, რომლებიც განლაგებულია ორგანიზმის ყველა უჯრედის ზედაპირზე (მათ შორის ნეირონებისაც), რომლებსაც შესწევთ უნარი გამოარჩიოს სპეციფიური მოლეკულები, დააკავშიროს ისინი და გამოიწვიოს შესაბამისი ცვლილებები უჯრედში. რეცეპტორების ერთი ტიპი აღჭურვილია წყლით შევსებული ფორებით (არხები), მათი მეშვეობით ქიმიური ნივთიერებების იონები იჭრებიან უჯრედების შიგნით ან გამოდიან გარეთ, ცვლიან რა უჯრედის შიგნით თუ გარეთ ელექტრონული პოტენციალის სიდიდეს.

სხვა ტიპის რეცეპტორები მოკლებულია იონის არხებს, მაგრამ აღჭურვილია განსაკუთრებული G-ცილებით. მათი გააქტი-

ურება უჯრედებში იწვევს სასიგნალო ბიოქიმიური რეაქციების რთულ კასკადებს, რაც ხშირად იწვევს იონური არხების გამტარიანობის ცვალებადობას.

1988 წელს ელინ ხაულეტმა (Allyn C. Howlett) სენტ-ლუისის უნივერსიტეტიდან, რადიოაქტიური ნიშნით ჩაინიშნა ტგკ-ს ქიმიური წარმოებულებიდან ერთ-ერთი, შეიყვანა ის ვირთხებში და აღმოაჩინა, რომ ის ურთიერთმოქმედებს ტვინის მოლეკულარულ სტრუქტურებთან, მიიღო სახელწოდება კანაბინოიდური რეცეპტორები CB1 (მოგვიანებით აღმოჩენილ იქნა სხვა ტიპის კანაბინოიდური რეცეპტორები CB2, რომლებიც ფუნქციონირებენ თავისა და ზურგის ტვინის საზღვრებს მიღმა და დაკავშირებულია იმუნურ სისტემასთან).

მალე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ CB1 - ტვინის მრავალრიცხოვანი რეცეპტორებიდან ერთ-ერთია, რომელიც დაკავშირებული G-ცილასთან. მათი მაღალი სიმკვრივე გამოვლენილია დიდი ნახევარსფეროს ქერქში, ჰიპოკამპში, ჰიპოტალამუსში, ნათხემში, ბაზალურ განგლიებში, ტვინის ღეროში, ზურგის ტვინში და ტონზიტებში. CB1 ასეთი განლაგება კარგად ხსნის მარიხუანას მრავალმხრივ ეფექტიანობას. ნივთიერების ფსიქოაქტიური მოქმედება დაკავშირებულია დიდი ნახევარსფეროს ქერქზე მოქმედებით. მარიხუანას მწველების მეხსიერების გაუარესებაზე პასუხისმგებელია ჰიპოკამპი - ტვინის სტრუქტურა, რომელიც მონაწილეობს მეხსიერების კვალის ფორმირებაში.

მამოძრავებელი ფუნქციების დარღვევა ხდება ტვინის ცენტრებზე მარიხუანას მოქმედების შედეგად. ტვინის ღეროში და ზურგის ტვინში ის იწვევს ტკივილების შემსუბუქებას. ჰიპოტალამუსი მონაწილეობს მადის რეგულაციაში, ხოლო ტონზილები - ემოციონალურ რეაქციებში. ამგვარად, მარიხუანას მოქმედების მრავალფეროვნება გამოწვეულია მისი გავლენით ტვინის ძირითად სტრუქტურებზე.

ტამამ ფროინდის (Tamas F. Freund) ბუდაპეშტში უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური მედიცინის ინსტიტუტისა და კენნეტ მაკის (Kenneth P. Mackie) ვაშინგტონის უნივერსიტეტის გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ კანაბინოიდური რე-

ცეკტორები აღინიშნება მხოლოდ განსაზღვრული ტიპის ნეირონებზე, ამასთან მათი განლაგება მეტად თავისებურ ხასიათს ატარებს. CB1 კონცენტრირებულია ნეირონებზე, გამა *ამინობუტრიუმის მჟავების* სინაპსებზე - თავის ტვინის მთავარ მაგისტრალურ ნეიროტრანსმიტერზე, განსაკუთრებით მჭიდროდ კი განლაგებულნი არიან სინაპსების მახლობლად - ორი ნეირონის კონტაქტურ არეში. კანაბინოიდური რეცეპტორების ასეთმა განლაგებამ მეცნიერები იმ ვარაუდამდე მიიყვანა, რომ ისინი მონაწილეობენ ნერვული სიგნალების გადაცემაში გამა *ამინობუტრიუმის მჟავების* სინაპსების მეშვეობით.

კვლევებიდან გამომდინარე, მეცნიერების წინაშე წარმოიშვა კითხვა, რატომ სჭირდება თავის ტვინის სიგნალურ სისტემას რეცეპტორი, რომელიც აკავშირებს მცენარეული წარმოშობის ნივთიერებას?

ასეთივე კითხვა დაისვა 1970-იან წლებში მორფინთან - ყაყაჩოსაგან მიღებულ შენაერთთან მიმართებით, რომელიც ტვინში აკავშირებს ოპიატურ რეცეპტორებს. აღმოჩენილ იქნა, რომ ადამიანის ტვინი გამოიმუშავებს საკუთარ ოპიოიდებს - ენდორფინსა და ენკეფალინს. ხოლო მორფინი აკოპირებს ტვინის საკუთრივ ოპიოიდების რეცეპტორებს. მკვლევარებმა ივარაუდეს, რომ ამის მსგავსი ხდება ტგკ-ს კანაბინოიდურ რეცეპტორებთან დაკავშირებით. 1992 წ. ტგკ-ს იდენტიფიკაციიდან 28 წლის შემდეგ მეხულამის კვლევებით გამოირკვა, რომ თავის ტვინი გამოიმუშავებს ცხიმოვან მჟავას, რომელსაც შეუძლია **CB1** რეცეპტორებთან დაკავშირება და მარიხუანას ყველა ცნობილი ეფექტის იმიტირება. მეცნიერმა ამ შენაერთებს ანანდამიდომი უწოდა (სანსკრიტული სიტყვიდან „ანანდა“ - ნეტარება). მოგვიანებით კალიფორნიის ირვინის უნივერსიტეტის მკვლევარების დენიელ პიომელის (Daniele Piomelli) და ნეფი სტელას (Nephi Stella) მიერ აღმოჩენილ იქნა კიდევ ერთი ლიპიდი მსგავსი თვისებებით, 2-არაზიდონოილ-გლიცეროლი (2-აგ), რომელთა შემცველობა თავის ტვინის ზოგიერთ განყოფილებაში ანანდამიდთან შედარებით უფრო მაღალი იყო. სწორედ ეს ორი შენაერთი წარმოადგენს თავის ტვინის მთავარ

ენდოგენურ კანაბინოიდებს ან ენდოკანაბინოიდებს. მარიხუანა, რომელიც ხასიათდება ენდოკანაბინოიდებთან ქიმიური მსგავსებით, შეუძლია მოახდინოს ტვინის კანაბინოიდური რეცეპტორების გააქტიურება.

ამგვარად, მარიხუნის მოქმედების შესწავლამ მკვლევარები მიიყვანა ენდოკანაბინოიდების აღმოჩენასთან. CB1 რეცეპტორები, როგორც ჩანს ყველა ხერხემლიან ცხოველებშია, რაც ნიშნავს, რომ ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური სისტემები, რომლებიც იყენებენ ტვინის საკუთრივ მარიხუნას მსგავს შენაერთებს, არსებობს 500 მილიონი წელი. ამ დროის მანძილზე ენდოკანაბინოიდები შეეგუენ შეასრულონ ორგანიზმში მრავალრიცხოვანი, ხშირად არც თუ მარტივი ფუნქციები. უკანასკნელ წლებში გაცნობიერებულ იქნა ზოგიერთი მათგანი. ენდოკანაბინოიდები არ მოქმედებენ შიშის წარმოქმნაზე, მაგრამ აუცილებელი არიან მის გადასალახად, ისინი არ მოქმედებენ საკვების მიღების უნარზე, მაგრამ ცვლის მადას და ა. შ. მათი არსებობა ტვინის სტრუქტურებში, დაკავშირებული რთულ მამოძრავებელ ყოფაქცევასთან, აზროვნებასთან, სწავლასა და მახსოვრობასთან, იმის ვარაუდს იძლევა, რომ ევოლუციამ თავის ტვინის ეს იდუმალი შუამავლები სხვა მრავალი შესანიშნავი თვისებებითაც დააჯილდოვა.

http://galactic.org.ua/Prostranstv/pr_narko-8.htm

კანაფისგან დამზადებულმა პრეპარატმა შეიძლება მწვევლები მარიხუნასა და თამბაქოს დამოკიდებულებისგან იხსნას



მარიხუანა ანუ კანაფი, ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული პრეპარატია მსოფლიოში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მას უწოდებენ "რბილ" ნარკოტიკს, მარიხუანას მოწევამ შეიძლება სერიოზულ დამოკიდებულებასთან მიიყვანოს მომხმარებელი. ყველაზე პარადოქსული ის არის, რომ მეცნიერთა აზრით, მისგან თავის დაღწევა შესაძლებელია კანაფისგანვე მიღებული ექსტრაქტის ტაბლეტების მეშვეობით. წინასწარი მონაცემებით, იგივე პრეპარატი დაეხმარება "ნიკოტინის" მწვევლებს. მეცნიერები ახლა იკვლევენ წამლის გამოყენების გზებს ალკოჰოლის დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად.

<https://scfh.ru/news/lekarstvo-iz-konopli-smozhet-izbavit-ot-zavisimosti-kurilshchikov-marikhuany-i-tabaka/>

ლეგენდები და ფაქტები კანაფსა და მის პროდუქტებზე

კანაფისა და მისი გამოყენების შესახებ არსებობს როგორც ლეგენდები, ასევე ისტორიული ფაქტები:

*** შინტოიზმში (იაპონიის ნაციონალური რელიგია) კანაფს იყენებდნენ დაქორწინებული წყვილების გაერთიანების, ბოროტი სულების განდევნის, ქორწინებაში გართობისა და ბედნიერების და უბრალოდ კარგი გუნება-განწყობილების შესაქმნელად; პირველი საუკუნის დიდი იაპონელი პოეტი კინო ცურაიუკი, იმპერატორ დაიგოს განკარგულებით, რომელიც ხელმძღვანელობდა „სამეფო კარის მე-5 რანგის გამოჩენილი პოეტების კომიტეტს“, მარიხუანას დახმარებით შექმნა 440 ლექსი.

*** ინდუიზმში - კანაფი ითვლება წმინდა მცენარედ, რომელიც შივას განკარგულებით ჰიმალაიდან ჩამოიტანეს „ადამიანის ნეტარებისა და შემეცნებისთვის.“ *** ინდუსების მითოლოგიაში ღმერთი შივა მარიხუანას დიდ მოყვარულად მიიჩნევა. ამიტომ, ინდუიზმის წმინდა ასკეტი ბერები „სადჰუები“ სიამოვნებით

ეწევინ მარიხუნას გამოყენების პრაქტიკას, რათა შეიქმნას ში-
ვას ღვთიური არსი.

*** ბუდიზმში კანაფს ფართოდ იყენებენ საკვების სახით და რი-
ტუალური მიზნებისათვის.

*** ზორატუსტრას მიმდევრები (Mages - სპარსეთი, ძვ. წ. 5-6 საუ-
კუნე) ამკვიდრებდნენ კანაფის რელიგიურ და სამედიცინო
გამოყენებას.

*** ესენები (ძველი ეგვიპტე - ძვ. წ. 1 საუკუნე), ისლამური სუ-
ფიები, კოპტები (პირველი ეგვიპტელი ქრისტიანები) და მრავალი სხვა რელიგიური საზოგადოებები კარგად იცნობდნენ ამ მცენარის თვისებებს.

*** დიდებულმა ვიშნამ, რომელმაც შექმნა სამყარო, დაინახა, რომ არავითარი ჰარმონია არ დადგა და სანსარის ბორბალში იხარშებოდა ადამიანთა ბედ-იღბალი, ისე, რომ მათ ვერც კი მოასწრეს ჭეშმარიტების, სიმშვიდის, სიხარულის, სიცილისა და პატიების შეცნობა. მაშინ ის მიხვდა, რომ ადამიანი არ იყო სრულყოფილი და შექმნა ოქროს მცენარე, რომელმაც დაიწყო ადამიანების გამოკვება, ჩაცმა, მკურნალობა, გათბობა და მხიარულება.

მაგრამ უბოძა რა ეს იდეალური მცენარე ადამიანს, ღმერთმა დაინახა, რომ კაცმა სრულად დაივიწყა ცხოვრებაში თავისი დანიშნულება და ხელი მიჰყო მხოლოდ სიამოვნებას და მხიარულებას, უგულვებელიც რა მის გარშემო ყველაფერი. და მაშინ, დიადმა ღმერთმა ვიშნუმ გადაწყვიტა იდეალური მცენარე კომპონენტებად დაეყო. ზოგმა დაიწყო სითბოზე პასუხისმგებლობა, ზოგმა საკვებზე, ტანსაცმელზე და მხიარულებაზე. მას შემდეგ ათასეული წელი გავიდა... და, ისე ჩანდა, რომ საიდუმლო დაკარგულია, თუმცა თანდათანობით ხდება დაკარგული საიდუმლოებების აღდგენა...

<https://ramha39.livejournal.com/379350.html>;

<https://otvet.mail.ru/question/99158715>

***არქეოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა ჩინეთში აღმოაჩინა უძველესი ადამიანის ჩონჩხი, რომელიც დაფარული იყო კანაფის (*Cannabis sativa*) მთლიანი მცენარეებისგან შემდგარი იმპროვიზირებული სავანით. აღმოჩენის ანგარიში გამოქვეყნებულია ჟურნალში - *Economic Botany*. სხვადასხვა სასარგებლო თვისებების გამო, ადამიანები ათასწლეულების განმავლობაში იყენებდნენ კანაფს სხვადასხვა დანიშნულებით. მისი ბოჭკოსაგან ამზადებდნენ ქსოვილს, ზაგირებს, თოკებს და სხვ., თესლს საჭმელად იყენებდნენ, ხოლო ფოთლებსა და ყვავილებს, რომლებიც კანაბინოიდებს შეიცავს, იღებდნენ ფსიქოაქტიური ეფექტის მისაღწევად და სამკურნალო მიზნით.

*** მცენარის სხვადასხვა ნაწილები მრავალჯერ იქნა ნანახი სამხრეთ ციმბირში და ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით ნაპოვნ სამარხებში, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულით თარიღდება. ამასთან, შეუძლებელი გახდა იმის გარკვევა, ეს იყო სათესი თუ ველურად მოზარდი კანაფი. 2016 წელს ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის უნივერსიტეტის თანამშრომლები სხვა სამეცნიერო ცენტრების ჩინეთის, აშშ-სა და ნიდერლანდების კოლეგებთან ერთად, აწარმოებდნენ ცზიასის უძველესი საფლავის არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომელიც მდებარეობს **სინცზიან** უიგურსკის ავტონომიური რეგიონის ჩრდილოეთით ტურფანის დეპრესიაში. დღემდე აღმოჩენილია 240 საფლავი, რომლებიც გარდა ადამიანის ნეშტისა, შეიცავს ისრის, კერამიკის, შინაური ცხოველების ძვლებისა და მცენარეული მასალების ნაშთებს. ერთ-ერთ სამარხში მეცნიერებმა იპოვნეს ევროპეიდული კაცის ჩონჩხი, რომელიც გარდაცვლილი იყო დაახლოებით 35 წლის ასაკში. თავის ქვეშ ედო ლერწმისგან (*Phragmites australis*) დამზადებული ბალიში, ხოლო სხეული დაფარული ჰქონდა 13 თითქმის მთლიანი (ღეროებისა და ფესვების ჩათვლით) მოზრდილი კანაფის, 48.5-დან 89.6 სმ-დე სიგრძის მცენარეებით.

სამარხში ასევე ნანახი იქნა უჯანგარის (*Artemisia annua*), მწვანე ძურწას (*Setaria viridis*), თეთრეკალას (*Lycium ruthenicum*) და ქერის (*Hordeum vulgare* var. *coeleste*) ფრაგმენტები. გამოკვლევების თანახმად, დაკრძალვის დრო 2400-2800 წლამდე მერყეობს. სავანის შესწავლამ აჩვენა, რომ მცენარეები, რომლებითაც გვამებს ფარავდნენ იყო ნედლი, ანუ იგივე ადგილებში იზრდებოდა.

მათი გამოყენება დაკრძალვისთვის, ისევე როგორც სხვა ჩინურ და ციმბირულ სამარხებში კანაფის სხვა ნაწილების აღმოჩენის ფაქტი, იმაზე მეტყველებს, რომ იგი ძველ ცენტრალურ ევრაზიაში ფართოდ გამოიყენებოდა არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო და სამკურნალო, არამედ რიტუალური მიზნებისათვისაც, აღნიშნავენ მკვლევარები.

<https://naukatehnika.com/v-kitae-nashli-drevnij-skelet-v-savane-iz-konopli.html>
naukatehnika.com

*** ამასთან, ჰეროდოტეს "სცენარი" საუკეთესოდ ემთხვევა ძვ.წ.აღ.-ის V-III საუკუნეების პაზირის კულტურის ფართოდ ცნობილ "გაყინული" საფლავების კვლევების შედეგებსაც მთიანი ალტაის უკოკის პლატოზე. სადაც ნანახი იქნა მცირე ზომის ორყურიანი სპილენძის ჭურჭელი, ცეცხლისაგან დამსკდარი ქვებით და კანაფის დანახშირებული თესლებით, რომელთა საშუალებით, პაზირელები ატარებდნენ „კანაფის ორთქლის შესუნთქვის“ ცერემონიას. ყორღანის მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ კანაფით დაბოლება ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდებოდა როგორც კაცების, ასევე ქალების მიერ. ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამის დამტკიცება შესაძლებელი გახდა ციმბირის სინქროტრონული გამოსხივების ცენტრში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ინსტიტუტის (ნოვოსიბირსკი) მეცნიერთა მიერ ჩატარებული რენტგენოფლოუორესცენტული ანალიზის შედეგად. პაზირის ყორღანში ნაპოვნი ერმიტაჟში დაცული სპილენძის ჭურჭლიდან ამოღებული შებოლილი თესლების და პაზირის „გაყინულ“ სამარხებში სხვადასხვა სქესის და ასაკის დამარხულთა თმის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ

ორივე შეიცავდა სპილენძის მაღალ კონცენტრაციას. რისი მიზეზიც, სავარაუდოდ იყო სპილენძის მეტალოორგანული შენაერთების შემცველი ორთქლი, რომლებიც წარმოიქმნებოდა გავარვარებული ქვების ჭურჭლის შიდა ზედაპირთან კონტაქტის შედეგად.

*** ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის და მაქს პლანკის სახელობის ბუნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერებმა პამირის პლატოზე (რომელიც წარმოადგენდა ევრაზიის კულტურული კომუნიკაციის მნიშვნელოვან არხს და აკავშირებდა უძველეს მოსახლეობას ჩინეთის, ტაჯიკეთისა და ავღანეთის თანამედროვე რეგიონებთან) 2.5 ათასი წლის წინანდელი ჯირჯანკალის სამარხების გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ხის თასები, რომელიც როგორც ჩანს, დაკრძალვის რიტუალების დროს, ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა მათ კანაფის დასაწვავად, ათავსებდნენ რა მათში გავარვარებულ ქვებს. თასების კედლებზე და ქვებზე ნანახი იქნა, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების ქვეშ კანაფის აქტიური ნივთიერებებისგან წარმოქმნილი კანაფის ბიომარკერი - კანაბინოლი.

*** ჟურნალ Science Advances-ში გამოქვეყნდა სტატია აღმოსავლეთ პამირში კიდევ ერთ ცზიას სამარხში აღმოჩენილი კანაფის ფრაგმენტების შესახებ. საიმედო და მეცნიერულად დადასტურებული არქეოლოგიური მტკიცებულებები კანაფის დაწვის რიტუალურ მიზნებთან დაკავშირებით, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. აღ-ის V საუკუნით.

*** როგორც თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, სპილენძის მტვრის ან სპილენძის ნაერთების ორთქლების ინჰალაცია იწვევს "სპილენძის ცხელებას", რომელიც ვლინდება ძლიერი ციებცხელების, მაღალი სიცხის, უხვი ოფლიანობის და კრუნჩხვების სახით. ხოლო სპილენძსა და თუთიას შორის ანტაგონიზმმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პათოლოგიურ პროცესებში: ცნობილია მრავალი დავადება, რომლებიც

დაკავშირებულია ამ ელემენტების დისბალანსთან ორგანიზმში. ამრიგად, პაზირკიელების მსუბუქი ნარკოტიკული თრობა კანაფის ორთქლის ინჰალაციის შედეგად მწვავედებოდა მოწამლვით. სიმპტომების მატება თანდათნობით ხდებოდა, რის შედეგადაც ვითარდებოდა სპილენძის ორთქლის ინჰალაციით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობები, ნერვული სისტემის დისფუნქციები და ცხელება, არსებითად ავსებდა ადამიანების ექსტაზური მდგომარეობის სურათს. სპილენძის რაოდენობის გაზრდამ და თუთიის დეფიციტმა შესაძლებელია ხელი შეეწყოს ზრდის შეფერხებას, ნერვული სისტემის აღზუნებადობას და სწრაფ დაღლილობას. თუთიის ნაკლებობის პირობებში ზიანდება კანი, ხდება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და საყლაპავის მილის შეშუპება, სუსტდება თმა და იწყება ცვენა; თუთიის დეფიციტი უწყალოდობასაც იწვევს.

https://pikabu.ru/story/dvadsat_pyat_vekov_nazad_konoplyu_kurili_net_olko_na_pamire_noiv_gornom_altae_6765103

*** მექსიკის ყურის სანაპიროზე, ქალაქ ტამპიკოს რაიონში ცხოვრობს ტეპეუანის (ტეპეკანო) ტომი, რომელსაც მოჰყავს კანაფის ჯიში „Santa Rosa“. მცენარის უნიკალურ, ვარდისფერ ყვავილებს, თქმულების თანახმად, აქვთ ჯადოსნური თვისებები. ტომის უძველესი ტრადიციების თანახმად, სანტა როზა - სხვა არაფერია, თუ არა ღვთაებრივი მცენარე. მისი რამდენიმე ბუჩქი, თაიგულად შეკრული ყოველთვის დგას საკურთხეველის საპატიო ადგილზე სხვა რელიქვიებთან ერთად.

[https://ru.wikisource.org/wiki/Конопляная_энциклопедия_\(Види\)/Мексика](https://ru.wikisource.org/wiki/Конопляная_энциклопедия_(Види)/Мексика)

*** 1839 წელს ინგლისელმა ექიმმა W. Shughnessy-მა, სამეფო სამეცნიერო აკადემიის წევრმა, გამოაქვეყნა ნაშრომი კანაფის, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალების წარმატებული გამოყენების შესახებ რევმატიზმის, კრუნჩხვებისა და კონვულსიების მკურნალობისას. იმავე პერიოდში ევროპასა და ამერიკაში ვრცელდება კანაფის ოფიციალური სამედიცინო გამოყენება: ფოთლებისა და ყვავილების ნაყენები იხმარებოდა რო-

გორც ანტისპაზმური და საძილე საშუალება, ხოლო ანთების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა კანაფის ზეთი.

<https://www.svet.com/articles/health--o-maryy-y-khuane-y-ne-tolko-o-nykh/>

*** „მე აბსოლუტური მომხრე ვარ, კიბოს მკურნალობისას, კანაფის, როგორც დამატებითი მეთოდის გამოყენების. კანაბინოიდებს შეუძლიათ შეაჩერონ სიმსივნის ზრდა, გამოიწვიოს უჯრედების სიკვდილი, მოახდინოს უჯრედების ზრდის და სიმსივნის ზრდისთვის აუცილებელი სისხლძარღვების განვითარების ბლოკირება. დელტა-9-THC (მარიხუანას მთავარი მოქმედი მედიატორი) ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა ღვიძლის უჯრედებზე აჩვენა, რომ ის აზიანებდა ან ანადგურებდა კიბოს უჯრედებს. დელტა-9-THC-ის სხვა კვლევამ ღვიძლის კიბოს თავის მოდელებზე, ასევე აჩვენა, რომ მას გააჩნია სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტი. აღსანიშნავია, რომ დელტა-9-THC ამ ეფექტებს იწვევს იმ მოლეკულებზე მოქმედებითაც, რომლებიც ასევე შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ფილტვებისა და მკერდის კიბოს უჯრედებში. კანაბინოიდები ამცირებენ სიმსივნის ზრდას, რაოდენობას და გავრცელებას ...“

ცვი ბერნშტეინი, LISOD სხივური თერაპიის ხელმძღვანელი, ისრაელის წამყვანი კლინიკური ონკოლოგი.

*** მოსახლეობის გაუნათლებლობა მარიხუანასთან დაკავშირებით, არ არის სამარცხვინო და მარტივად ასახსნელია: მისი საკანონმდებლო დევნა ევროპაში მე -12 საუკუნეში დაიწყო, და მას შემდეგ, სხვადასხვა პერიოდში კანაფის მოხმარება მანკიერად ითვლებოდა. მხოლოდ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მეცნიერებმა დაიწყეს ღიად საუბარი იმაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას, ის რაც წინაპრებისთვის კარგად იყო ცნობილი, ახლა სენსაციური სიახლითაა წარმოდგენილი.

*** როგორც ჩანს, თავმდაბალი საფეიქრო მცენარის ოფიციალური ევროპული ისტორიის მიღმა იმალება ღრმა ეზოთერული და სამედიცინო ტრადიციები, რომელთანაც კავშირი დაი-

კარგა "ჯადოქრებთან ნადირობის" დროს, აღნიშნავს გერმანელი ეთნოგრაფი ჰიუგო ობერმეიერი.

*** მე ნამდვილად მანცვიფრებს, რომ მარიხუანას ადამიანი აკავშირებს ბილწ ნარკოტიკულ საშუალებებთან - ჰეროინთან და სხვა საძაგლობებთან. ეს დანაშაულებრივი ცდომილებაა! მარიხუანა ათასჯერ უკეთესია, ვიდრე ვისკი! ეს არის პირადი თანაშემწე, ეს არის მეგობარი ..."

ლუი არმსტრონგი, დიდი ამერიკელი მუსიკოსი

<https://www.svet.com/articles/health--o-maryy-y-khuane-y-ne-tolko-onykh/>

*** მარიხუანას საერთაშორისო და სამედიცინო სახელწოდებაა „კანაბისი“.

*** სახელწოდება „მარიხუანა“ წარმოიშვა მექსიკური სლენგისგან, როგორც ვარაუდობენ სახელების - „მარია“ და „ჯეინი“ - მექსიკური წარმოთქმისაგან. ამ ორი სახელით, მექსიკურ სამხედრო სლენგში აღნიშნავენ მეძავეებს ან ბორდელებს.

*** მცენარე კანაბისის შეუძლია ზრდა პრაქტიკულად ნებისმიერ გარემოში. ზრდის სიჩქარე შეადგენს დღელამეში 3-5 სმ-ს. მოზრდილი მცენარის სიმაღლე შეადგენს დაახლოებით ნახევარ მეტრს, თუმცა ზრდასრული კანაბისის სიმაღლემ შეიძლება 2 - 2,5 მეტრსაც მიაღწიოს.

*** მარიხუანას ძირითადი მოქმედი ინგრედიენტია THC- delta-9-tetrahydrocannabinol. სწორედ ეს ქიმიური ნივთიერება იწვევს ეფექტს და მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე.

*** THC-ს მცირე დოზებისგან გამოწვეული ფსიქოაქტიური ეფექტი წარმოადგენს შვების, ეიფორიის და დროის აღქმის დამახინჯებულ შეგრძნებებს. პრეპარატმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს ვიზუალური მგრძნობელობის გაზრდა, გემოსა და სუნის გამწვავებული აღქმა.

*** მცენარე კანაბისში, THC-ს შემცველობა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, ნიადაგის ტიპზე და მოსავლის აღების დროზე. აგრეთვე საბოლოო პროდუქტში ყვავილედისა და ფოთლების პროპორციაზე.
მარიხუანას ნიმუში შეიძლება შეიცავდეს 3-დან 20%-მდე THC-ს.

*** მსოფლიოში მარიხუანას უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანა არის პარაგვაი.

*** ჯორჯ ვაშინგტონი და თომას ჯეფერსონი, ორივენი ფლობდნენ კანაფის ფერმებს. ჯეფერსონმა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია დაწერა სწორედ კანაფისგან დამზადებულ ქაღალდზე.

*** მთელს მსოფლიოში, დაახლოებით 162 მილიონი ზრდასრული ადამიანი მოიხმარს მარიხუანას მინიმუმ ერთხელ წელიწადში;

*** ამერიკის საშუალო სკოლების მოსწავლეების თითქმის 40%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული მარიხუანა, ხოლო 20% მოიხმარს მას რეგულარულად.

*** მარიხუანა წარმოადგენს მსოფლიოში ალკოჰოლის შემდეგ ყველაზე პოპულარულ საშუალებას მოსადუნებლად და განწყობის ასამაღლებლად.

*** კვლევებით დადგენილია, რომ საკმარისია მარიხუანას დაახლოებით 800-ჯერ მოწევა, რომ ადამიანი დაიღუპოს.

*** არსებობს მარიხუანას 200-ზე მეტი „სლენგი“ - „თრიაქი“, „ბალახი“, „მწვანე“, „ანაშა“, „კანაფი“, „განჯა“, „ქეში“ და სხვა...

*** 1850-დან 1942 წლამდე მარიხუანა შედიოდა ამერიკის ფარმაკოპიის შემადგენლობაში როგორც ღებინების, რევმატიზმისა და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. შესაბამისად, იგი ადვილი ხელმისაწვდომი იყო ადგილობრივ მარკეტებსა და აფთიაქებში.

*** მარიხუანას სამედიცინო თვალსაზრისით მოხმარების მომხრეები თვლიან, რომ პრეპარატს გააჩნია მნიშვნელოვანი სამედიცინო ეფექტი პაციენტებისთვის, რომლებიც დაავადებულები არიან შიდსით, გლაუკომით, კიბოთი, გაფანტული სკლეროზით, ეპილევსიით და აწუხებთ ქრონიკული ტკივილები.

*** 2003 წელს, კანადა გახდა პირველი სახელმწიფო მსოფლიოში, რომელმაც დაუშვა მარიხუანას სამედიცინო მიზნით გამოყენება ტკივილით დატანჯული ადამიანების მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

*** 1996 წელს, კალიფორნია გახდა აშშ-ში პირველი შტატი, სადაც იურიდიულ დონეზე დაუშვეს პაციენტებისთვის მკურნალი ექიმის რეკომენდაციით მარიხუანას გამოყენება.

*** 85% ხარისხიანი მარიხუანასა, იწარმოება დახურულ ნაგებობებში ხელოვნურ შუქზე - სპეციალური მანათობელი ლამფების გამოყენებით.

*** მსოფლიოში არ არის დაფიქსირებული არც ერთი შემთხვევა, როცა მარიხუანას მოხმარება დასრულდა ლეტალური შედეგით. ეს რომ მოხდეს, მარიხუანას დოზამ უნდა გადააჭარბოს ჩვეულებრივ დოზას 40 000-ჯერ, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

არათუ ადამიანებში, ცდები ჩაატარეს ძაღლებზე და ვერ დადგინდა, თუ რა დოზა იწვევდა სიკვდილს, რადგან ძაღლის ორგანიზმმა გაუძლო „ცხენის დოზებს“.

*** სამედიცინო მიზნით მარიხუანა პირველად გამოიყენეს ჩინეთში 1737 წელს რევმატიული ტკივილებისა და ნიკრისის ქარის დროს.

*** პირველი კანონი, რომელიც შემოღებული იქნა აშშ-ში მარიხუანასთან დაკავშირებით, შეეხებოდა ფერმერებს, რომელთაც კანონიერად შეეძლოთ მცენარე კანაფის წარმოება ქსოვილების, აფრებისა და თოკების დამზადების მიზნით.

*** 2007 წელს აშშ-ში მოხდა 900 000 პირის დაპატიმრება, რისი მიზეზიც იყო მარიხუანასთან დაკავშირებული დანაშაულებები. აქედან, დაპატიმრებების 90 % უკავშირდებოდა მხოლოდ მარიხუანას შენახვას პირადი მოხმარებისათვის.

*** ამერიკაში მარიხუანა რიგით მეოთხე კულტურაა, რომელსაც მოაქვს ყველაზე დიდი მოგება და იგი შეადგენს დაახლოებით 36 მილიარდ დოლარს.

*** კვლევებით დადგინდა, რომ მარიხუანას ჭარბად გამოყენება არ ზრდის ფილტვების კიბოს რისკს, განსხვავებით თამბაქოსაგან. სიგარეტისადმი მიჩვევის კოეფიციენტი შეადგენს 90%-ს, მაშინ როცა ეს კოეფიციენტი მარიხუანას უფრო დაბალი აქვს, ვიდრე ყავას.

*** ე.წ. გაბრუების ეფექტი აქვს მხოლოდ მდედრობითი სქესის მარიხუანას. მამრობითი სქესის კანაფი კი გამოიყენება მხოლოდ დამტვერვის მიზნით.

*** მარიხუანა და ჰაშიში ორი სხვადასხვა ნივთიერებაა. ჰაშიში გამომშალი მარიხუანასგან განსხვავდება, გაცილებით ძლიერი ფსიქოაქტიური ზემოქმედებით, რადგან მის შემადგენლობაშია მხოლოდ კანაფის ყვავილელები, რომლებიც ფისის მაღალი შემცველობით გამოირჩევა, განსხვავებით მარიხუანასგან, რომელიც ფოთლებისა და ყვავილეების ნაზავია.

*** რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ჩრდილოეთ კორეაში, რომელიც განთქმულია აბსურდული სასტიკი კანონებით, ნებადართულია კანაფის გაშენება და მოხმარება.

*** ჰოლანდიაში მარიხუანას მოხმარება აბსოლუტურად ლეგალურია, თუმცა საინტერესოა, რომ მისი მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ევროპაში, ისევე როგორც მძიმე ნარკოტიკების პერედოზირებით დაღუპულთა რაოდენობა.

https://24tv.ua/health/ru/strany_gde_legalizovana_marihuana_kannabis_n1062825

<https://www.swissinfo.ch/rus/longform/марихуана-медицина;>

<https://lenta.ru/news/2019/08/08/marikh/>

კანაფის სამკურნალო მაჩვენებლები

1890 წ. დიდი ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიის პირადმა ექიმმა ჯონ რასელ რეინოლდსმა თავის სტატიაში „ინდური კანაფის თერაპიული გამოყენება და ტოქსიკური ეფექტები“, პირველად მან განაცხადა, რომ მინარევებისაგან თავისუფალი კანაფი ფრთხილი და გამოცდილი ექიმის ხელში წარმოადგენს „ყველაზე სასარგებლო წამალს“, რაც კი შეიძლება წარმოიდგინო. შემდეგ კანაფისი და მისი წარმოებულები შერისხულ იქნენ, მაგრამ დღეს კვლავ ეს მცენარე დგას მედიცინაში ტრიუმფალური დაბრუნების ზღვარზე. რასთანაა ეს დაკავშირებული და რასთან შეიძლება მიგვიყვანოს?

მიდგომები, შეფასებები და გამონათქვამები კანაფის მიმართ, ხშირად დიამეტრალურად ურთიერთ საწინააღმდეგოა. მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ კანაფისა და მის საფუძველზე დამზადებული პრეპარატების გარეშე უბრალოდ შეუძლებელია სერიოზული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. შვეიცარია წარმოადგენს ლიდერს ამ მცენარის ბაზაზე შემუშავებული და გამოყენებული მედიკამენტებით.

სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციებში ჩატარებული გამოკვლევებით გამოვლენილია 10 ყველაზე რთული დაავადება, რომელთა განკურნება შესაძლებელია მარიხუანათი

1. ალცჰეიმერის დაავადება

ნერვული სისტემის დეგენერაციული დაავადებაა; საწყის ეტაპზე, ძირითადი სიმპტომია ბოლო დროს განვითარებული მოვლენების დავიწყება. ავადმყოფობის პროგრესირებისთანავე, სიმპტომები შესაძლოა მოიცავდეს მეტყველების პრობლემებს, დეზორიენტაციას, ხასიათში გამოვლენილ ცვლილებებს, მოტივაციის დაკარგვას და ქცევითი საკითხების გართულებას. ვითარების გაუარესებასთან ერთად, ალცჰეიმერის დიაგნოზის მქონე ადამიანი ოჯახთან და საზოგადოებასთან არსებულ ურთიერთობას წყვეტს. თანდათანობით ირღვევა სასიცოცხლო ფუნქციები, რაც საბოლოოდ, ფატალური შედეგით მთავრდება. ალცჰეიმერის დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენა, ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება, დაახლოებით 70% გენეტიკურ ფაქტორებს უკავშირდება. დაავადება შესაძლებელია გამოიწვიოს თავის ქალის დაზიანებამ, დეპრესიამ ან არტერიულმა ჰიპერტენზიამ. არის მოლოდინი, რომ 2050 წლისათვის დაავადებულთა რიცხვი 13 მილიონს გადააჭარბებს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ არსებობს ალცჰეიმერის დაავადების პრევენციისა და განკურნების ეფექტური საშუალებები. თუმცა, თანამედროვე კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ დაავადების შემაფერხებელი და სამკურნალო ძალა გააჩნია კანაბისს. მკვლევარები იმასაც პროგნოზირებენ, რომ კანაბინოიდები მომავალში წამლად მოგვევლინება.

2. ეპილეფსია (ძველებრძ. ἐπίληψις, epilēpsis, „შეტევა, თავდასხმა“)

ბნედა, მტერდაცემა, ავი ზნე, ან უბრალოდ კრუნჩხვა - ასე უწოდებდნენ საქართველოში დაავადებას, რომელიც დღეს ეპილეფსიის სახელითაა ცნობილი. მისთვის დამახასიათებელია სპონტანურად აღმოცენებული გულყრები, რომელიც არ არის გამოწვეული ცხადად შეცნობადი წინასწარი მიზეზით (მაგალითად

- მწვავე ანთება, ელექტროტრავმა ან მოწამვლა), დაკავშირებულია თავის ტვინის ნეირონული ჯგუფების პროქსიმალურ სინქრონულ განტვირთვისთან. ყველაზე გავრცელებულ ნევროლოგიურ დაავადებებს შორის მეოთხე ადგილზეა, რომელთა შორისაა შაკიკი და ალცჰეიმერი. მკვლევართა ვარაუდით, კანაფის შემცველ ნივთიერებას კანაბიდიოლს, რომელიც გაუსუფთავებელ მარიხუანასთან შედარებით ნაკლებად გამოხატული ფსიქოტროპული თვისებებით ხასიათდება 54 %-ით ამცირებს შეტევების რიცხვს.

3. გაფანტული სკლეროზი

გაფანტული სკლეროზი (გს) ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაავადებაა, რომელიც უფრო ხშირად ვითარდება ახალგაზრდა აქტიურ პირებში (პირველი ნიშნები ვლინდება 20-40 წლის ასაკში), თან ახლავს სხვადასხვ ანევროლოგიური სიმპტომები, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში იწვევს ინვალიდობას. დღემდე არ არის განსაზღვრული ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს დაავადების განვითარების უშუალო მიზეზს. ფართოდაა გავრცელებული ჰიპოთეზა გაფანტული სკლეროზის მულტიფაქტორული ხასიათის შესახებ, ე.ი. გარე და გენეტიკური ფაქტორების ზემოქმედება, რომელიც იწვევს ქრონიკული ანთებითი, დემიელინოზირებადი და ნეიროდეგენერაციული პროცესების განვითარებას, შედეგად კი მიელინის დაშლას - შრის, რომელიც ფარავს დაიცავს თავისა და ზურგის ტვინის ნერვულ ბოჭკოებს.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კანაბინოიდი THC ხელს უწყობს პაციენტებში კუნთოვანი სპაზმების კონტროლის დაწესებას.

4. სიმსივნე (კიბო)

სიმსივნე, ისევე როგორც ნორმალური ქსოვილი უჯრედებისაგან შედგება, მაგრამ ნორმალური უჯრედებისაგან განსხვავებით სიმსივნურ უჯრედებს დაქვეითებული ან სრულიად დაკარგული აქვთ მომწიფების, დიფერენციაციის უნარი და ახასიათებთ განუსაზღვრელი გამრავლება, რის შედეგადაც წარმოქმნილი სიმსივნური ქსოვილი აზიანებს და არღვევს ირგვლივ მდებარე ნორმალურ ქსოვილებსა და ორგანოებს; ავთვისებიანი

სიმსივნეები კიბოს სახელითაა ცნობილი. დაავადების სამკურნალოდ იყენებენ ქირურგიულ, სხივურ და სამკურნალწამლო საშუალებებს, აგრეთვე მათ სხვადასხვანაირ კომბინაციას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ლეტალურად მთავრდება. ბოლო პერიოდში ვრცელდება ინფორმაცია ონკოლოგიური ავადმყოფების მიერ კანაბინოიდების THC ყოველდღიური გამოყენების შესახებ სხვადასხვა სახის კიბოს სამკურნალოდ. ეს მეთოდი ძაღლებზეც მცირე დოზით იქნა გამოყენებული, შედეგები დადებითი იყო. კანაბისი ოფიციალურად გამოიყენება აშშ-ის ზოგიერთ შტატში კიბოთი დაავადებულებში ტკივილის სინდრომის მოსახსნელად, მადის გასაძლიერებლად და უძილობის სამკურნალოდ.

5. შიზოფრენია

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური დაავადებაა. იგი ქრონიკული, პროგრესიული ხასიათისაა. მიმდინარეობს ფსიქოზური რეგისტრის სინდრომების დომინანტით და უმეტეს შემთხვევაში იწვევს პიროვნების დეფექტს (*Shizis* – „გახლეჩა“ *Phren* – „სული“).

თანახმად ლიტერატურული მონაცემებისა, შიზოფრენიის სამკურნალოდ გამოყენებულ იქნა მარიხუნას შემცველი - კანაბინოიდი (CBD). 2012 წელს კვლევის შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალ *Translational Psychiatry*, სადაც აღინიშნა, რომ ნივთიერება CBD პოზიტიურად მოქმედებს შიზოფრენიის მკურნალობისას და უკვე დაწყებულია მეორე ფაზა კლინიკური გამოკვლევების. გამოკვლევაში მონაწილეობდა 39 პაციენტი, 20 მათგანი იღებდა CBD დოზას, ხოლო 19 - ამილსუფრიდს. მკურნალობის შედეგები ორივე შემთხვევაში პოზიტიური იყო, მაგრამ იმ პაციენტებში, რომლებიც CBD იღებდნენ, გვერდითი ეფექტები ნაკლები იყო.

6. II ტიპის შაქრიანი დიაბეტი

შაქრიანი დიაბეტი ქრონიკული დაავადებაა გამოწვეული პანკრეასის მიერ გამომუშავებული ჰორმონ ინსულინის სრული ან

ნაწილობრივი დეფიციტით, რაც იწვევს სისხლში შაქრის დონის მატებას და შედეგად აზიანებს მთელ რიგ ორგანოთა სისტემებს, განსაკუთრებით თირკმელებს, სისხლძარღვებს და ნერვულ სისტემას. არსებობს შაქრიანი დიაბეტის ორი ტიპი. **II ტიპის შაქრიანი დიაბეტი** პირველი ტიპის დიაბეტისგან იმით განსხვავდება, რომ ინსულინზე დამოკიდებული არ არის. ორგანიზმში ინსულინი წარმოიქმნება, მაგრამ ორგანიზმს არ შეუძლია მისი ეფექტური გამოყენება. მეცნიერები აქაც წლებია ატარებენ კვლევებს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მარიხუანა ორგანიზმში შაქრის დონეზე დადებითად მოქმედებს. კერძოდ, 2013 წლის მაისში ჟურნალ *The American Journal of Medicine* გამოქვეყნდა სტატია, საიდანაც ირკვევა, რომ მარიხუანა მთავარ როლს ასრულებს შაქრის დონის კონტროლში. კვლევაში მონაწილეობდა 4657 ადამიანი, მომქმედი და წარსულში მარიხუანას მომხმარებელი, მათში შაქრის დონე 16%-ით იყო დაკლებული. ფარმაცევტიულმა კომპანიამ, მარიხუანას საფუძველზე დამზადებული პრეპარატების ლიცენზირებულმა მწარმოებელმა მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულთათვის შექმნა პრეპარატი - GW42004.

7. ასთმა

ასთმა ბერძნული სიტყვაა და ქოშინს ანუ სუნთქვის გამწვანებას, სულხუთვას ნიშნავს. ადრე ამ ტერმინით ძირითადად ორ მდგომარეობას აღნიშნავდნენ - ქოშინის შეტევას, რომელიც დაკავშირებულია ან ბრონქების სანათურის მწვავე შევიწროებასთან ან გულის მარცხენა პარკუჭის მწვავე უკმარისობასთან. პირველს სამედიცინო ლიტერატურაში ბრონქული, ხოლო მეორეს კარდიული ანუ გულის ასთმის სახელწოდებით მოიხსენიებენ. როდესაც ახსენებენ ტერმინ „ასთმას“, უმთავრესად ბრონქულ ასთმას გულისხმობენ, რომელიც ბრონქების ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთებითი დაავადებაა. ხასიათდება ხველის, ხიხინის, გულ-მკერდის შებოჭილობის, სუნთქვის გამწვანების ეპიზოდებისგან. ანთების შედეგად ბრონქები მგრძობიარე ხდება ალერგენების, ქიმიური გამღიზიანებლების, თამბა-

ქოს კვამლის, ცივი ჰაერის ან ფიზიკური დატვირთვისადმი. მათი ზემოქმედება იწვევს ბრონქების ლორწოვანის შეშუპებას, შევიწროებას, ლორწოს ჭარბ სეკრეციას, შედეგად ჰაერის მოძრაობა ბრონქებში ფერხდება.

გაირკვა, რომ მარიხუანას შემცველი ნივთიერება THC, ასთმით დაავადებულლებში ავლენს ანთების საწინააღმდეგო თვისებებს.

8. იმპოტენცია

სქესობრივი უძლურება, იმპოტენცია (ლათ. *erectus*) - მდგომარეობა, როდესაც ერექციის შესუსტების გამო მამაკაცი მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ ასრულებს სქესობრივ აქტს. მკვლევარების თანახმად ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ქოლესტერინის მაღალი შემცველობაა, რომელიც ამცირებს სისხლ-ძარღვებში წნევას, ნეგატიურად მოქმედებს მამაკაცის ერექტიულ ფუნქციონირებაზე. ჟურნალ *Clinical and Developmental Immunology* გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ მარიხუანა იწვევს სისხლში ქოლესტერინის დონის დაწევას. კლინიკური კვლევების თანახმად, კანაბინოიდები ამცირებს ჰიპერქოლესტერინემიის ნეგატიურ ეფექტს, რაც ერექციული დისფუნქციის, იმპოტენციის გამომწვევ მიზეზად მიიჩნევა.

9. ართრიტი

გავრცელებული დაავადება, რომელიც ადამიანებს ხშირად 40 წლის შემდგომ ასაკში ემართება. არჩევენ მწვავე ან ქრონიკულ ფორმებს. წარმოიქმნება მწვავე ინფექციური ან ინფექციურ-ალერგიული დაავადებების გადატანის შემდეგ. დაავადებული სახსრები სივდება, დეფორმირდება, განსაკუთრებით მტკივნეულია მოძრაობის დროს. გამაუმტკივნელობა - მარიხუანას ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. ხსნის რა ტკივილებს გაფანტული სკლეროზის დროს, იგივე ფუნქციას ასრულებს ართრიტით დაავადებულლებში. ამასთან მისი მოწვევისას ტკივილი უფრო სწრაფად გადადის ვიდრე სხვა ფორმით გამოყენებისას. კანადის კონსორციუმის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მარი-

ხუნას მოწევით 36% მოეხსნათ ტკივილები, თუმცა ადგილი ჰქონდა მისადმი მიჩვევას და დამოკიდებულებას.

10. C ჰეპატიტი

ღვიძლის ქრონიკული დაავადებების (ქრონიკული ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი) განვითარების ერთ-ერთი ხშირი მიზეზია. C ჰეპატიტს იწვევს რნმ ვირუსი, რომელიც უპირატესად ღვიძლს აზიანებს. ბუნებრივი მიმდინარეობის დროს დაავადება (20-30%) 6 თვის შემდეგ თვით გამოჯანმრთელებით მთავრდება, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ქრონიკულ ხასიათს იძენს. ვირუსს ახასიათებს ცვალებადობა, მიეკუთვნება ნელა პროგრესირებად ვირუსთა რიცხვს. გამოვლენილია მისი ექვსი გენეტიკური ვარიანტი. ინფექციის წყაროს წარმოადგენს მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანი. ვირუსი გადაეცემა პარენტარული გზით, ანუ სისხლითა და სისხლის პროდუქტებით, ზოგჯერ სქესობრივი გზითაც. ვაიომინგის (შტატი აშშ-ში) ინსტიტუტში, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები მარიხუანას სამკურნალო ეფექტზე C ჰეპატიტთან მიმართებაში, შეიმუშავეს მკურნალობის სქემა “*Chunky Crimson*”-ის საფუძველზე. კლინიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პაციენტების 99,8% განიკურნა ამ მძიმე ინფექციური დაავადებისაგან.

P.S. რა თქმა უნდა, არავინ არ ამტკიცებს, რომ მარიხუანას მოწევა - სასარგებლო საქმეა. სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ათეული წლების განმავლობაში მიმდინარე კვლევებმა ცხადყო, რომ მოწევა იწვევს გულ-სისხლძარღვთა სისტემის, რესპირატორული ორგანოებისა და ნერვული სისტემის მთელ რიგ დაავადებებს, თუმცა ის ფაქტი, რომ კანაფიდან მიღებული ნივთიერებები კურნავს ზოგიერთ დაავადებას, ცვლის დამოკიდებულებას ამ მცენარისადმი.

ამჟამად, კანაფის სამედიცინო გამოყენება შეზღუდულად დამკვიდრებულია ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად: აშშ-ში კოლუმბიის ოლქში (2010), აგრეთვე მის 16 შტატში: ალიასკა, არიზონა, კა-

ლიფორნია, კოლორადო, დელავერი, ჰავაის, მენ, მიჩიგანი, ნევადა, ნიუ-ჯერსი, ნიუ-მექსიკო, ორეგონი და სხვ.

https://pikabu.ru/story/10_zabolevaniy_kotoryie_lechatsya_marikhuanoy_4131751

[https://www.mental.ge/2015/11/26/marihuana_10/;](https://www.mental.ge/2015/11/26/marihuana_10/)

<https://www.swissinfo.ch/rus/longform/марихуана-медицина;>

<http://mignews.com.ua/health/9705702.html>

მითები კანაფზე სიმართლე და სიცრუე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანაფი - ერთ-ერთი პირველთაგანია იმ მცენარეთა შორის, რომელიც მოხსენიებულია მეცნიერთა უძველეს ტრაქტატებში. მას საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა საჭიროებისათვის იყენებდნენ. ეპოქა ეპოქას ცვლიდა, წარმოდგენები კანაფზე იცვლებოდა. დროის გარკვეული მონაკვეთი კვალს სტოვებდა ადამიანების დამოკიდებულებაზე ამ საოცარი მცენარის მიმართ.

ალბათ, არც ერთ მცენარეს დედამიწის ზურგზე ადამიანისგან არ გაუვლია (გადაუტანია) იმდენი უსამართლობა, რამდენიც კანაფს. ერთმა ადამიანმა გადაწყვიტა მისი მოწვევა საექვო სიამოვნების მისაღებად, მეორემ კი ამის გამო, ამ „ეშმაკისეული მცენარის“ აკრძალვა, კიდევ უკეთესი - საერთოდ განადგურება ჩათვალა მიზანშეწონილად. მეცნიერების მიერ გამოყვანილი უნარკოტიკო კანაფიც კი ვერ არღვევს ადამიანის გონებაში ჩაბუდებულ ამ ცდომილებას.



დღევანდელ დღესაც მონაცემები კანაფზე ურთიერთსაწინააღმდეგოა. მსოფლიოში არსებობს როგორც მისი მომხრეები, ასევე გააფთრებული მოწინააღმდეგეები, რაც მრავალი რაოდენობის, მკვეთრად განსხვავებული მითების შექმნის საფუძველი ხდება.

აქედან გამომდინარე სახელმწიფო კარგავს (თავისივე მოქალაქეების ხარჯზე) უდიდეს თანხებს ბუნებასთან საბრძოლველად. ქვევით თავმოყრილია მათ შორის ყველაზე განსხვავებული მითები:

მითი პირველი: კანაფი და მარიხუანა - ერთი და იგივეა

ფაქტობრივად, კანაფი - ეს არის მცენარე, ხოლო მარიხუანა - ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც ღებულობენ კანაფის ნა-

ირსახეობიდან, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობის გამაბრუნებელი მოქმედების ფსიქოაქტიურ ნივთიერებას.

როგორც უკვე ავლინებთ კანაფის სამი ქვესახეობისგან, კანაბინოიდების მაღალი შემცველობით გამოირჩევა ინდური კანაფი. ხოლო სათეს და ველურ კანაფში ფსიქოაქტიური ნივთიერებების რაოდენობა მეტად მცირეა, რის გამოც ასეთ კანაფს ეწოდოს მარიხუანა - არასწორია.

მითი მეორე: სახელმწიფო კანაფს როგორც ნარკოტიკს ისე ექცეოდა.

კანაფს საშიშ ნარკოტიკად მხოლოდ XX ს-ის შუა პერიოდიდან თვლიან. მანამდე, საუკუნეების განმავლობაში, კანაფი მეტად სასარგებლო კულტურას წარმოადგენდა. სახელმწიფოს ისტორიის გარკვეულ პერიოდებში ახდენდნენ მოსახლეობის სტიმულირებას კანაფის კულტივირებისათვის.

რისი დასტურიცაა სულ რამდენიმე ფაქტი: აშშ-ში XVII – XVIII ს-ში კანაფის გამოზრდა აუცილებელი იყო. 1763-1769 წლებში ვირჯინიაში ამ კულტურის მოშენებაზე უარის შემთხვევაში, ციხეც კი ემუქრებოდათ. XIX ს-ის დასაწყისამდე აშშ-ში მეკანაფეებისათვის დაწესებული იყო გადასახადები.

XIX ს-ის ბოლოს მსოფლიოში კანაფის მთავარი ექსპორტიორი იყო რუსეთის იმპერია. ევროპაში კანაფის წარმოების 40% რუსეთზე მოდიოდა. როგორც ამტკიცებენ, მთელი სახელ-მწიფოს კეთილდღეობა კანაფის კულტურაზე მოდიოდა.

სსრკ-შიც კანაფს განიხილავდნენ როგორც ერთ-ერთ მთავარ სასოფლო-სამეურნეო კულტურად. მისი ნათესები 1936 წელს 680 000 ჰა, კანაფის მსოფლიო ფართობის ოთხ მეხუთედს შეადგენდა. ხოლო პარტიული გადაწყვეტილებებით, კანაფის ნათესების საკარმიდამო ნაკვეთებზე მაღალ დონეზე მოსაყვანად, უწყებდნენ სპეციალურ ლგოტებს და უპირატესობებს.

კანაფის სტატუსი როგორც სსრკ-ის მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურის, უკვდავყოფილ იქნა 1954 წელს მოსკოვში სასოფლო-



სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე ცნობილ „ხალხთა მეგობრობის“ შადრევანზე, სადაც კანაფის ფოთლები ხორბლის თავთავთან და მზესუმზირის ყვავილელებთან ერთად მოქანდაკის მიერ ამოტვიფრულია შადრევნის ცენტრში, ძნის შუაგულში.

ხოლო უკვე 1961 წელს სსრკ-მა მოახდინა გაეროს კონვენციის „ნარკოტიკულ საშუალებებზე“ რატიფიცირება, რომლის თანახმადაც კანაფი, ჰეროინთან ერთად გამოცხადებულ იქნა საშიშ ნარკოტიკად, რომელსაც არ გააჩნდა არავითარი პრაქტიკული ფასეულობა და რომელიც სრულ განადგურებას ექვემდებარება. რა მოხდა?

დავბრუნდეთ რამდენადმე უკან. 1916 წელს აშშ-ის პარლამენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ 1940 წლისთვის ქალაქის მთლიანი პროდუქცია დამზადდება კანაფისაგან, რის გამოც ხეების მოჭრა აღარ მოხდება. მეცნიერების განსაზღვრით, ისე ხდებოდა, რომ კანაფის 1 ჰა თავის პროდუქტიულობით ექვივალენტური იყო 4 ჰა ტყესთან. მსგავსი სიახლე არ შეიძლება მოსწონებოდა ბიზნესს, რომელიც მდიდრდებოდა ტყეების ამოძირკვით და მერქნიდან ქალაქის წარმოებით. მეწარმეებმა საკუთარ გაზეთებში დაიწყეს კანაფის საწინააღმდეგო, როგორც საშიში ნარკოტიკის მასიური ინფორმაციული კომპანია. საჭირო მიმართულებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, საბოლოოდ იქამდე მივიდა, რომ 1937 წ. კანაფს ისეთი დიდი გადასახადი დაუწესეს, რომ ფაქტიურად აღმოჩნდა აკრძალვის ქვეშ. მოგვიანებით აშშ-ის წნეხის ქვეშ, გაერომ მიიღო სწორედ ის ცნობილი კონვენცია „ნარკოტიკულ საშუალებებზე“. აქაც, კიდევ ერთხელ მოგების წყურვილმა აჯობა საღ აზრს.

მითი მესამე: კანაფი, ტგკ-ს შემცველი (მარიხუანა) - საშიში ნარკოტიკია

დიახ, ნარკოტიკია, თუმცა არც უფრო საშიში, ვიდრე თამბაქოს შემცველი ნიკოტინი ან ალკოჰოლი.

ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალ Lancet-ის თანახმად, მარიხუანას მავნებლობით უკავია მე-11 ადგილი მავნე ნარკოტიკულ ნივთიერებებს შორის, ხოლო ალკოჰოლი და თამბაქო იკავებენ შესაბამისად მე-5 და მე-9 ადგილებს.

მითი მეოთხე: სამრეწველო კანაფი არა ნაკლებ გაბრუებას იწვევს, ვიდრე მარიხუანა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათესი კანაფი შეიცავს კანნაბინოიდების მიზერულ რაოდენობას. ევროპული სტანდარტებით, სამრეწველო ჯიშები შეიცავენ არა უმეტეს 0,2 % ტეტრაკანაბინოლს. როგორც აღნიშნავენ, ასეთი კანაფის მოწევა ნარკომანებში ისეთივე ეფექტს იწვევს, როგორც მზესუმზირას ფოთლების მოწევა. ევროპული კავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე ასეთი კანაფის ნათესების დაცვა არც კი ხდება, ვინაიდან ისინი არ აინტერესებთ ნარკომანებს.

უფრო მეტიც, 2009 წლის ბოლოს უკრაინაში რეგისტრირებული იყო სამრეწველო კანაფის ორი ჯიში, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ნულოვანი შემადგენლობით.

მითი მეხუთე: თვით სათესი კანაფიდანაც ძლიერი ნარკოტიკის მოსამზადებლად შეიძლება ამოღებულ იქნეს ტგკ

თეორიულად სამრეწველო კანაფიდან, რომელშიც კვალის სახითაა 0,2 % ტგკ, საწყისი მასალიდან შეიძლება საბოლოოდ მიღებულ იქნეს 100 %. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სამრეწველო კანაფიდან ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოწევა იმდენად ძვირად ღირებული, ქიმიურად საშიში და შრომატევადი პროცესია, რომ ყოველგვარ აზრს კარგავს.

მითი მეექვსე: სამრეწველო კანაფის მინდვრები ყოველთვის გამოყენებული იქნება მარიხუანას პლანტაციების დასამალად

სამრეწველო კანაფის გამოზრდის პროცესი განსხვავებულია მარიხუანას კულტივირების პროცესისაგან. ტექნიკური კანაფის შეგროვების პერიოდი არ ემთხვევა მარიხუანას შესაგროვებელ დროს. გარდა ამისა, კანაფის ჯვარედინი დამტკვერვა მარიხუანას ბუჩქების, მნიშვნელოვნად ამცირებს ამ უკანასკნელის ფსიქოაქტიური მოქმედების პოტენციალს ადამიანის ორგანიზმზე.

მითი მეშვიდე: ერთდროულად მარიხუანას აკრძალვა და სამრეწველო კანაფის ლეგალიზაცია არსებითად გაართულებს სამართალდამცავი ორგანოების ბრძოლას ნარკოტიკებთან მიმართებით

იმ ქვეყნებში, სადაც კანაფი უკვე კულტივირებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურა, სამართალდამცავ ორგანოებისათვის არ წარმოადგენს კონტროლის პრობლემას მეწარმეების კანონიერ მოქმედებაზე დასაკვირვებლად. შესაძლებელია იმიტომაც, რომ სახელმწიფოს მხრიდან მთლიანი კონტროლი მდგომარეობს კანაფის ფოთლებში იგივე ტგკ-ს დონის თვალყურის დევნაში.

მითი მერვე: ველურად მოზარდი კანაფი ლიკვიდირებული უნდა იყოს, ვინაიდან ის შეიძლება შეგროვდეს და გაიყიდოს როგორც მარიხუანა

ველურად მოზარ კანაფში ფსიქოაქტიური ნივთიერებების პროცენტული შემადგენლობა არ აღემატება 0.05%. ნარკობაზრისთვის ის საინტერესო არ არის. ამავდროულად, ასეთი კანაფი ეკოლოგიური შემადგენლობისათვის მეტად მნიშვნელოვანია, კერძოდ ნიადაგის გაჯანსაღებისა და აქ დასახლებულ ძუძუმწოვრებისათვის. მსოფლიოში საუკუნეების მანძილზე მოზარდი ველური კანაფის მოსპობა კი პრაქტიკულად შეუძლებელია. მართალია, პრაქტიკულად უვნებელი კანაფის გასანადგურებლად ლომის წილი მოდის ნარკოტიკებთან მებრძოლ სამსახურებზე და შესაბამისად ამ ორგანოების მიმართ გადასახადის გადამხდელების მიერ ფინანსირებაზე.

მითი მეცხრე: ის ვინც ადვოკატირებს სამრეწველო კანაფის კულტივირებას, ფაქტობრივად ემებს მიზეზებს მარიხუანას ლეგალიზაციისათვის

ამ მითში მართალი ისაა, რომ დასაწყისში ბევრი მათგანი, ვინც ხსნიდა მალაზიებს და ყიდდა კანაფისაგან დამზადებულ პროდუქტებს, მართლაც იყვნენ მარიხუანას ლეგალიზაციის მომხრეები. თუმცა, როდესაც მრეწველობა, დაფუძნებული ტექნიკური კანაფის კულტივირებასა და გადამუშავებაზე, გამაგრდა მსოფლიო ბაზარზე, ერთდროულად გაძლიერდა იმ ადამიანების გავლენა, რომლებიც ადვოკატირებას უწევენ სამრეწველო კანაფის გამოყენების გაფართოებას და მათ საკანონმდებლო დელიმიტაციას მარიხუანასაგან.

აქ მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ კანაფის ლეგალიზაცია - ეს არ არის მარბიხუნას ლეგალიზაცია. ასეა თუ ისე, წინააღმდეგობის გაწევა კარგი წამოწყების რეალიზაციაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცა ერთდროულად იცავს თქვენთვის უცხო იდეებს, სისულელეა.

მითი მეათე: კანაფის თესლები და მისგან მიღებული ზეთები - ტგკ-ს წყაროა

ფსიქოაქტიურ ნივთიერებას საკმაო რაოდენობით შეიცავს ინდური კანაფის მტვრიანები და ფოთლები. პრინციპში თესლებში ისინი არ არის.

თუ ვივარაუდებთ, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებსაც მტვრიანები შეიცავს, მოხვდება თესლებზე, რომლებსაც გაურეცხავს იყენებენ ზეთის წარმოებაში, ამ შემთხვევაშიც კი, ასეთი თესლიდან ფსიქოაქტიური ნივთიერების კონცენტრატის მიღება შეუძლებელია.

მითი მეთერთმეტე: კანაფის კულტივირება - ცუდი ნიშანია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის

ეს მითი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა ათი მითიდან. ფაქტობრივად კი, ნარკოტიკების შემცველი კულტურების სწორი კულტივაცია „ქმნის დამატებით სოციალურ იმუნიტეტს ნარკოტიკების მიმართ. ეს არის სწორედ ის „ჭკვიანი“ ეკონომიკა, რომელიც საშუალებას იძლევა დაიცვას ჩვენი მოსახლეობა ნარკოდამოკიდებულებისაგან“ - აღნიშნულია ნარკოტიკების მიმოქცევის კონტროლის რუსეთის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელის ვიქტორ ივანოვის მიერ, რომელმაც აღნიშნა კანაფის წარმოების არასაკმარისი მოცულობა „სასარგებლო მიზნით“ გამოყენებასთან დაკავშირებით.

მითი მეთორმეტე: კანაფი ეკონომიურად არა სიცოცხლისუნარიანია, რის გამოც უკანონოდ უნდა გამოცხადდეს

1938 წელს ამერიკაში კანაფს უწოდებდნენ "*Billion Dollar Crop*" - მილიარდი დოლარის კულტურა, ვინაიდან ის იყო პირველი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის ბრუნვა მილიარდ დოლარს შეადგენდა.

https://k.semyanich-semena.online/articles/rastenie_konplya_okryjennoe_mifami

სხვა მოსაზრება

ცნობილი ქართველი ნარკოლოგი გელა ლეჟავა „Sputnik-საქართველოს“ მარიხუანაზე გავრცელებული მითების შესახებ ესაუბრა იმ გამოცდილებაზე, რაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს აქვთ ამ საკითხის მიმართ.

მითი პირველი – მარიხუანა მიჩვევას არ იწვევს

ევროპის ქვეყნების ნარკოლოგიური მიმართულების სამკურნალო დაწესებულებებში რაოდენობით პირველ ადგილზე ჰეროინის მომხმარებლები არიან, ხოლო მეორეზე – მარიხუანას. მიჩვევას რომ არ იწვევდეს, არ დაწვებოდნენ ეს ადამიანები სპეციალიზირებულ კლინიკაში, ამბობს გელა ლეჟავა.

სწორედ იმის გამო, რომ მარიხუანას ერთხელ ან ორჯერ მოხმარების შემდეგ არ დგება ძალიან მძიმე შედეგი (გამონაკლისების გარდა), ის სოციალურად ძალიან იოლად ვრცელდება და იწვევს უმძიმეს სიტუაციას ქვეყანაში. დადგენილია ისიც, რომ მარიხუანას მომხმარებლების 35% პარალელურად სხვა ნარკოტიკსაც იღებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოდამოკიდებულების ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით (რომლის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 1,5 მლრდ დოლარია), 70,3% იმ პირებისა, ვინც მძიმე ნარკოტიკს იღებს, იწყებს სწორედ მარიხუანას მოხმარებით. ამიტომ ემახიან მას ნარკომანიის კარიბჭეს.

მისი თქმით, ნარკომანისთვის ზოგადად დამახასიათებელი თვისებაა გარკვეული დროის შემდეგ მსუბუქი ნარკოტიკიდან უფრო ძლიერზე გადასვლა. ხდება მომხმარებლის ცენტრალური ნერვული სისტემის, ასე ვთქვათ, სიამოვნების გამომწვევი ბირთვების დაზიანება. ადამიანი მსუბუქი ნარკოტიკისგან სიამოვნებას ვეღარ იღებს და მას უკვე უფრო ძლიერ საშუალებებში ეძებს.

მითი მეორე – მსოფლიოში საშიშ ნარკოტიკად არ მიიჩნევენ

მარიხუანა ჰეროინთან ერთად სოციალურად ყველაზე საშიში ნარკოტიკების სიაშია. 2016 წლის 19 აპრილს ამ ნარკოტიკს გაერთოში სპეციალური სხდომაზე კი მიემდგნა, რადგან მექსიკამ,

კოლუმბიამ და პერუმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მისი ამ სიიდან ამოღების წინადადებით მიმართეს. ორდღიანი მსჯელობის შემდეგ ორგანიზაციაში დაასკვნეს, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

მითი მესამე – წარმატებული ადამიანები მარიხუანას მოიხმარდნენ

მარიხუანას მოწევა იწვევს არხეინობის განცდას, ადამიანს კი მსგავსი არაფერი სჭირდება. და, რაც მთავარია, ეს განცდა ძალიან მძიმედ მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ადამიანის მისწრაფებაზე გამარჯვებისკენ, ბრძოლისუნარიანობაზე. სხვათაშორის, არსებობს მოსაზრებაც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები იმიტომ არიან შედარებით ჩამორჩენილები, რომ ასეთ ნარკოტიკებს იყენებდნენ და სწორედ ამან შეაჩერა მათი განვითარება, ისევე, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნები - კოკაინის მოხმარებამ. ასე რომ, პირიქით - მარიხუანა წარუმატებლობის ნარკოტიკია.

მითი მეოთხე – მარიხუანა კურნავს

რაც შეეხება მარიხუანას სამკურნალო თვისებებს ან მედიცინაში გამოყენებას, ამ მცენარეში ჰალუცინაციებისა და სიამოვნების გამომწვევი ტეტრაჰიდროკანადიოლის გარდა, სხვა ქიმიური ნივთიერებებიც არის, რომელთა შორისაა კანაბიდიოლი, რომელმაც, ცალკე აღებულმა, შეიძლება, მართლაც იქონიოს რაღაც სამკურნალო ეფექტი, მაგრამ მარიხუანას შემთხვევაში იმდენად დიდია ზიანი, რომ მისი მოქმედება არ ჩანს. აბსურდია მარიხუანას სამკურნალო თვისებებზე ლაპარაკი, თუმცა ზოგჯერ მეოთხე სტადიაში მყოფ ონკოლოგიურ ავადმყოფებს აძლევენ ამ ნარკოტიკს მორფინთან ერთად ან შენაცვლებით. იმის გამო, რომ მარიხუანას ზოგადად საზოგადოებისთვის მოაქვს ვნება, ამ მეთოდს მხოლოდ ზოგიერთი ქვეყანა იყენებს. მარიხუანა არ კურნავს ონკოლოგიურ ავადმყოფს, არამედ ამსუბუქებს მის მდგომარეობას მორფინთან ერთად.

მითი მეხუთე – საქართველოში მარიხუანას ისტორიულად იყენებდნენ

რაც შეეხება სვანეთში მარიხუანას საკვებში გამოყენებას, ამ მაღალმთიან რეგიონში არ ხარობს ის სანელებლები, რომლებიც თუნდაც იმერეთში მოდის და ამით არის განპირობებული ეს ტრადიცია. თუმცა მისი ამ ფორმით მოხმარების დროს ფსიქიკაზე გავლენა ნულის ტოლია. იმ კანაბისში, რომელიც სვანეთში იზრდება, ტეტრაჰიდროკანადიოლის შემადგენლობა არის 1-2%. იმისათვის რომ მან გარკვეული გავლენა მოახდინოს ფსიქიკაზე, ადამიანმა დაახლოებით ნახევარი კილო უნდა შეჭამოს. ალბათ ეს მცენარე აძლევს საკვებს რაღაც გემოს, მაგრამ ის არ ღირს იმ უბედურებად, რაც მარიხუანას როგორც ნარკოტიკს მოაქვს ქვეყნისთვის.

მითი მეექვსე – ლეგალიზაცია გამოსაწორებს სიტუაციას

ნარკოტიკებზე მეტი ზიანი ამჟამად მოსახლეობისთვის ალკოჰოლს და თამბაქოს მოაქვს და ამის ერთადერთი მიზეზი ხელმისაწვდომობაა. რატომ არის, რომ ალკოჰოლს და თამბაქოს უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე თუნდაც ჰეროინს, რომელიც ბევრად უფრო ნარკოგენულია, ვიდრე მარიხუანა? იმიტომ რომ თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება ლეგალიზებულია და სწორედ ეს ლეგალიზაცია ქმნის იმ სიკვდილიანობის, დაავადებების და სხვა უბედურებების წინა პირობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ თუ მარიხუანას ლეგალიზაციაც დავუშვით, დეკრიმინილიზაცია სპეციალური ღონისძიებების გარეშე მოვახდინეთ, ეს ალკოჰოლზე და თამბაქოზე მეტად დააზარალებს ქვეყანას.

ნიდერლანდები ნარკოპრობლემების მოსაგვარებლად ევროპაში ყველაზე დიდ თანხას – 130 ევროს ხარჯავს ერთ ადამიანზე წელიწადში, საქართველოში მეტადონის პროგრამებზე კი 6 მილიონი ლარია გამოყოფილი და ესეც არ არის საკმარისი. თუ ჩვენ გვინდა, რომ ევროპას მივუახლოვდეთ, საქართველომ, სულ ცოტა, 15 ევრო მაინც უნდა დახარჯოს ერთ ადამიანზე. უცნობია, თუ რამდენი მომხმარებელი ჰყავს მარუხუანას საქარ-

თველოში, მართალია, ჩატარდა კვლევა, მაგრამ მისი შედეგები არ ასახავდა რეალობას.

და ბოლოს, რატომ ვუყურებთ მხოლოდ იმ ქვეყნებს, სადაც მარიხუანა დეკრიმინალიზებულია? იმ დროს, როდესაც კრიმინალიზებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, თუნდაც შვედეთში ნებისმიერი ნარკოტიკის მოხმარება, მარიხუანას ჩათვლით, ექიმის დანიშნულების გარეშე არის სისხლის სამართლის დანაშაული. სხვა საკითხია მომხმარებელს ციხეში ჩასვამენ თუ ჯარიმას გადაახდევინებენ.

Read more: <https://sputnik-georgia.com/opinion/20180222/239399219/marixuana-mitebi-da-realoba.html>

ბიბლიური განკურნება და კანაფი, არის თუ არა კავშირი?

ქრისტეს არაერთი საოცრება დაკავშირებულია განკურნებასთან. მკვლევართა ვარაუდით იესო ქრისტე და მისი აპოსტოლები იყენებდნენ კანაფის ზეთის ფუძეზე დამზადებულ ნივთიერებას ავადმყოფების განსაკურნავად.

ამერიკელი მეცნიერების აზრით, ზეთი, რომელიც წასაცხებად იხმარებოდა ადრეული ქრისტიანობის ეპოქაში, შეიცავდა კანაფის ექსტრაქტს სახელწოდებით „კანეხ-ბოზემი“. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ნივთიერება, რომელიც შეიწოვებოდა ადამიანის კანით, ეხმარებოდა ტანჯულებს მთელი რიგი ფიზიკური და ფსიქიური ხასიათის პრობლემებისაგან თავის დასახსნელად.

ამერიკულ ფარმაცოლოგიურ ჟურნალ „ხაი ტაიმს“-ში გამოქვეყნებული ამ თემის სტატიის ავტორების მტკიცებით, მათი მონაპოვარი დაფუძნებულია ბიბლიური ტექსტების გულმოდგინე შესწავლით.

სტატიაში სადავოდ არ მიაჩნიათ ის საოცრებები, რომელიც ნათქვამია წმინდა წერილში; ავტორების მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ იმის გარკვევა, შეეძლოთ თუ არა პირველ ქრისტიანებს გამოეყენებინათ პრეპარატები, რომლებიც აქტიური სამკურნალო ეფექტით გამოირჩეოდნენ.

კრის ბენეტი, ერთ-ერთი მკვლევართაგანი და სტატიის ავტორი, აღნიშნავს, რომ კანაფი და მისი წარმოებულები იმ დროს სამედიცინო მიზნებისათვის ყველგან გამოიყენებოდა და მიუთითებს არქეოლოგიურ მონაპოვარზე, უძველეს კანაფის ზეთზე, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობის კანაბისის ექსტრაქტს.

„საღმრთო ნივთიერება, აღწერილი ძველი აღქმის ორიგინალურ ტექსტში ივრითულ ენაზე, შეიცავდა 6 ფუნტზე (2,5 კგ-ზე მეტი) მეტ კენეხ-ბოზუმს, რომელიც, როგორც თვლიან ცნობილი ეთიმოლოგები, ლინგვისტები, ბოტანიკოსები და სხვა მეცნიერები, გამოიყოფოდა 6 კვარტი (1,13 ლიტრი) ზეთისხილის ზეთიდან, დამატებული არომატული ბალახების მთელი ნაკრებით, - ამბობს ბენეტი, - პრაქტიკულად, სნეულებს მთლიანად უსმევდნენ ამ მძლავრ ნაკრებს“. მეცნიერი თვლის, რომ სწორედ ამ პრეპარატს შეეძლო განსაზღვრული როლის შესრულება ზოგიერთ საოცარ განკურნებაში, რომლის დემონსტრირებას ახდენდა იესო და მისი მოსწავლეები.

"ძველ სამყაროში, გარკვეული დაავადებები - მაგალითად, ეპილეპსია - ემშაკისეულ შეპყრობილად მიაჩნდათ - წერს ბენეტი - ითვლებოდა, რომ ასეთი დაავადების განკურნება შესაძლებელია მხოლოდ ეგზორციზმით ან სასწაულებრივი შეხებით - თუნდაც გარკვეული ბალახების დახმარებით."

"საინტერესოა, რომ კანაფი აღიარებულ იქნა, როგორც ეფექტური საშუალება არა მხოლოდ ეპილეფსიის თერაპიაში, არამედ სხვა მრავალი სნეულების შემთხვევაშიც, რომლებსაც იესო და მისი მოწაფეები მკურნალობდნენ - მაგალითად, კანისა და თვალის დაავადებები, მენსტრუაციასთან დაკავშირებული პრობლემები", - დასძენს მკვლევარი.

"როგორც ისტორიიდან მტკიცდება, თუ კანაფი იყო ძველი ქრისტიანული წასაცხები ზეთის ერთ-ერთი მთავარი ინგრედიენტი, ხოლო სწორედ ზეთი იყო, იესო ქრისტესა და მისი მიმდევარი ქრისტიანების მიერ დამზადებული, მაშინ დევნა მათთვის, ვინც კანაფს იყენებს, ანტიქრისტიანული მოქმედებაა", - ამბობს ის.

http://news.bbc.co.uk/hi/russian/life/newsid_2634000/2634275.stm

კანაფის აკრძალვის ისტორია

ერთ დროს, კანაფს წამყვანი ადგილი ეკავა მსოფლიოში კულტივირებულ მცენარეების ჩამონათვალში და აბსოლუტურად ლეგალური იყო. მისგან ამზადებდნენ ქსოვილებს, ნათურის ზეთს, ქაღალდს და სხვა მრავალს. XIX საუკუნეში, აშშ-ში წარმოებული შესაბამისი მასალების უმეტესი ნაწილი კანაფისგან მზადდებოდა, რასაც ხელს უწყობდა ფრანკლინის კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა ქაღალდის ფაბრიკების მხარდაჭერას. ასევე, გაყიდული სამედიცინო საშუალებების ნახევარზე მეტი დამზადებული იყო კანაფი-საგან.

უკვე XIX საუკუნის ბოლოს, აშშ-ის ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოები ლობირებდნენ კანაფის აკრძალვას, ვინაიდან მისგან წარმოებული ქაღალდი გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე ხისგან დამზადებული. მაგრამ სამეცნიერო არგუმენტების არარსებობის გამო, მათი მიზნები არ იქნა რეალიზებული. მათ ვერც კი მიაღწიეს სერიოზულ დისკუსიას ამ თემაზე.

ყველაფერი შეიცვალა XX საუკუნის დასაწყისში. გასული საუკუნის მეორე დეკადა დასავლეთში ხასიათდებოდა სახელმწიფოებრივი შეზღუდვების გაზრდით და სხვადასხვა აკრძალვების ტალღით. იმავე აშშ-ის მთავრობა ცდილობდა საზოგადოებრივ მორალზე მონოპოლიის დაწესებას; გარდა მარიხუანასა და ალკოჰოლისა, ეს ეხებოდა აზარტული თამაშების, პროსტიტუციის და სექსუალურ გადახრების საკითხების წამოჭრას. მთავრობას სურდა ხელმისაწვდომი ნარკოტიკების რაოდენობისა და შესაბამისად მათზე მოთხოვნის შემცირება. 1911-1917 წლებში კანაფი აიკრძალა აშშ-ის ზოგიერთ შტატსა და რეგიონში. 1915 წელს ხელი მოეწერა ჰარისონის აქტს - კანონპროექტს, რომელიც არეგულირებდა ოპიუმის მიწოდებას და ექიმების მიერ მის დანიშვნას, თითოეული რეცეპტისათვის რეგისტრაცია იყო საჭირო, თავად ექიმს კი ყოველწლიურად უწევდა დარეგისტრირება ფედერალურ მთავრობაში. სწორედ ეს აქტი გახდა 1937 წლის „მარიხუანას საგადასახადო აქტის“ იურიდიული საფუძველი. მისი მიღების შემდეგ, დაწესდა აქ-

ციზის გადასახადი ინდუსტრიისთვის კანაფის მოშენებაზე, რაც წარმოების კანონიერების ერთადერთი მტკიცებულება გახდა.

მანამდე, 1915 წლის ჰააგის კონვენციაზე გადაწყვეტილ იქნა კანაფის შეზღუდული გამოყენება, მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის.

მოგვიანებით, 1925 წელს ჟენევის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნარკოტიკები უნდა გაყიდულიყო ექსკლუზიურად, მხოლოდ სახელმწიფოს მოთხოვნების შესაბამისად. 1936 წელს აღინიშნა გადამწყვეტი დარტყმა კანაფის ინდუსტრიაში. ჩნდება მორფინი, ასპირინი და სხვა ტკივილგამაყუჩებლები, რომლებმაც ბაზრიდან განდევნა მარიხუანა. თავის მოხსენებაში აშშ ნარკომანიის ბიურო ასახელებს მარიხუანას საფრთხეებს საზოგადოებისთვის. გამალებულმა ანტიპროპაგანდამ მარიხუანთან მიმართებით თავის როლი შეასრულა. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოსახლეობას გაუჩნდა ელემენტარული შიში „დემონური ბალახის“ მიმართ და ამ ტალღაზე, 1938 წელს კანაფი სრულად იქნა ამოღებული აშშ-ში.

აშშ მოუწოდებდა მოკავშირე ქვეყნებს, რათა მათაც მიეღოთ მსგავსი ღონისძიებები, რასაც დადებითად გამოეხმაურა მექსიკისა და კანადის ხელისუფლება.

1961 წელს გაეროს ერთიანი კონვენციის თანახმად, კანაფი შტანილ იქნა ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა სიაში. დადგინილება ავალდებულებდა კონგრესის წევრებს, დაეწესებინათ მკაცრი კონტროლი მარიხუანას გავრცელებაზე.

ცალკე უნდა ითქვას საბჭოთა კავშირის პრაქტიკის შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით. XX ს.-ის 20-იანი წლების ბოლოს, სსრკ-ს წამყვანი პოზიციები ეკავა ევროპაში კანაფის სათესი ფართობებით. მიმდინარეობდა სელექციური სამუშაოები კულტურის ხარისხის გასაუმჯობესებლად. 1934 წელს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა პრივილეგია იყო გათვალისწინებული კანაფის მოშენებისთვის.

საბჭოთა კავშირმა მოახდინა 1925 წლის ჟენევის კონვენციის რატიფიცირება. 1953 წლის საერთაშორისო ოქმმა, რომლის შექმნის პროცესში სსრკ-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო ნარკოტიკული ნივთიერებების პოლიტიკასთან დაკავშირებით, ასევე შემოიტანა გარკვეული მარეგულირებელი ასპექტები. სსრკ ასევე მიუერთდა 1961 წლის უკვე მითითებულ კონვენციას და 1971 წლის დამატებას. 1987 წელს, ქვეყნის ტერიტორიაზე მოქალაქეების მიერ კანაფის მოშენება აიკრძალა და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა შესაბამისი მუხლები სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

<https://tjournal.ru/stories/76871-istoriya-mezhdunarodnoy-borby-zapret-konoplevyh>

კანაფის პოპულარობა ჩვენს დროში

დღეს მარიხუანას მოწევა მთელს მსოფლიოში წარმოებს. 2015 წელს, ნარკოტიკების მონიტორინგის ევროპულმა ცენტრმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის თანახმად, მარიხუანა ევროპაში ყველაზე პოპულარულ ნარკოტიკადაა მიჩნეული. დაახლოებით 79 მილიონ ევროპელს თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც გამოუყენებია ეს ბალახი. ხოლო კანონის დარეგისტრირებულ დარღვევებს შორის 60 % მარიხუანაზე მოდის.

კანაფის მოწევის კოეფიციენტი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგალითად, 2003 წლიდან 2014 წლამდე გაეროს მონაცემებზე დაყრდნობით, ორგანიზაცია Recovery Brands-მა ჩაატარა კვლევა შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. თანახმად კვლევებისა, 1000-დან, ერთი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც მოწევის ყველაზე მეტი ზრდასრული ადამიანების რიცხვი დაფიქსირდა ხუთ ქვეყანაში - ისლანდიაში, აშშ-ში, ესპანეთში, ჩეხეთში და საფრანგეთში. აფრიკის და აზიის ზოგიერთ რეგიონში ჩატარებული რამდენიმე გამოკითხვის თანახმად, აქ სიტუაცია გარკვეულწილად უფრო მაღალია. 2004 - 2006 წწ.

World Drug Report-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი: ადამიანები, რომლებიც წელიწადში ერთხელ მაინც ეწეოდნენ კანაფს, იყო ეგვიპტის მთლიანი მოსახლეობის 6.2%; მაროკოს მოსახლეობის 4.2%; პერიოდულად ეწევა: 3.1% - ქუვეითში, 5.4% - არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. ყველაზე მეტი დაფიქსირდა ურუგვაიში, მოსახლეობის - 8.3%; გაეროს სტატისტიკის თანახმად, მარიხუანას და მის ფუძეზე დამზადებულ პრეპარატებს იყენებს მსოფლიოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 2.5% - 8%.

<https://www.vedomosti.ru/business/articles/2019/05/22/802199-narink>

კანაფის სამართლებრივი სტატუსი

მარიხუანას სამართლებრივი სტატუსი სხვადასხვა ქვეყნებში ვარირებს ლეგალურიდან (ან პრაქტიკულად ლეგალურიდან) სრულ არალეგალურამდე.

მსოფლიოში არსებობს ფართო საზოგადოებრივი მოძრაობები, რომლებიც ითხოვენ მარიხუანას გამოყენების ლეგალიზაციას ან დეკრიმინალიზაციას მაინც. ეს მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ მარიხუანას პრეპარატები ლეგალიზებულ ალკოჰოლსა და თამბაქოსაგან განსხვავებით, მოძრაობის მომხრეების აზრით, ჯანმრთელობისათვის ნაკლებად მავნეა და არ იწვევს ფიზიკურ დამოკიდებულებას. არგუმენტად მოჰყავთ ეკონომიკური ფაქტორიც, მისი გაყიდვის აკრძალვა წარმოქმნის დამნაშავეთა სამყაროში ზემოეგების შესაძლებლობებს, ახდენს გაბრუნას და კორუმპირებას იმ ორგანოებისას, ვინც პასუხისმგებელია წესრიგის დაცვის, არ იძლევა შესაძლებლობას სრულად ამ ნედლეულის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მიზნებით განვითარების, ხოლო ლეგალიზაცია იძლევა ამ ყველაფრისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას და მიიღება დიდი შემოსავალი, რომელიც ამჟამად დამნაშავეების ჯიბეში ჩადის.

მარიხუანა ბრისტოლის (დიდი ბრიტანეთი) მეცნიერთა შეფასებით ითვლება ნაკლებად მავნედ ვიდრე თამბაქო და ალკოჰოლი, რომელთა მავნებლობაზე ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას, ვინაიდან მათი ხმარება კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

P.S. მართალია კანაფიდან მიღებული ნარკოტიკული საშუალებები სხვა ნარკოტიკებთან შედარებით, მიეკუთვნება ჯანმრთელობისათვის უფრო ნაკლებ სახიფათო და საშიშ ნარკოტიკთა რიცხვს (კერძოდ ჰეროინის, მორფისა და სხვა ნარკოტიკებთან შედარებით, რომლებიც ადამიანისათვის დამღუპველია), მაგრამ იგი განსაკუთრებულ საფრთხეს მოიცავს, ვინაიდან ანვითარებს უდარდელობის სინდრომს. ყველაფერი იწყება თითქოსდა სულ უმტკივნეულოდ, მარიხუანას რამდენიმე ნაფაზის მოწევით, თუმცა მთავრდება სხვა ნარკოტიკების მსგავსად, პიროვნების სრული დეგრადაციით!!!

მსოფლიოს საზოგადოების დისკუსია კანაფის ლეგალიზაციაზე

მარიხუანას, როგორც ნარკოტიკის სისტემატიური შესწავლა დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებში და წყვეტილად დღემდე გრძელდება. ამავდროულად, ბოლო ასი წლის განმავლობაში დაგროვდა გამოკვლევების საკმაო რაოდენობა, რათა გაკეთებულიყო სათანადო დასკვნები. მათ შორის პირველი იყო 1893 წლის კვლევები, როდესაც დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა შექმნა საკითხის შემსწავლელი ინდური კომისია. მაშინ მეცნიერებმა განაცხადეს, რომ შეზღუდული გამოყენება პრაქტიკულად არავითარ ვნებას არ იწვევს. 1925 წელს მსგავსი გამოკვლევები ჩატარდა პანამაში ამერიკელ ჯარისკაცებს შორის. იქაც კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ „მარიხუანას მოქმედება გადამეტებულია“. ამავ დასკვებამდე მივიდა La Guardia-ს მედიცინის ექსპერტების კომისია ნიუ-იორკში 1944 წელს.

ამ სფეროში აქტიურობა განახლდა მწვევლების რაოდენობის გაზრდით 60-70-იან წლებში. აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის, დი-

დი ბრიტანეთისა და ჰოლანდიის ხელისუფალთა მიერ კვლავ მოხდა მეცნიერთა ჯგუფის ფორმირება მარიხუანას მოქმედების შესასწავლად. აშშ-ში ნიქსონის მიერ დაფუძნებულმა ნაციონალურმა კომისიამაც გამოიტანა დასკვნა, რომ მარიხუანას, როგორც ნარკოტიკის მოქმედება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ მის გამოყენებაზე დაწესდეს კრიმინალური პასუხისმგებლობა. თუმცა იმ დროისათვის არსებობდა კონტრარგუმენტებიც. 70-იანი წლების დასაწყისში ცალკეულმა ჯგუფებმა განაცხადეს ადამიანის ორგანიზმზე და ახალგაზრდების სწავლის უნარზე მარიხუანას დესტრუქციულ მოქმედებაზე. ისინი აღნიშნავდნენ, რომ კანაფის მოწვევა არღვევს იმუნიტეტს, აუარესებს თავის ტვინისა და ქრომოსომების მუშაობას.

ნარკოტიკების შემსწავლელი ამერიკული კომისია Shafer შეიქმნა 1970 წ. იმ დროისათვის მათ მოახდინეს არსებული მონაცემების სტრუქტურითაცა და ჩაატარეს ზოგიერთი ექსპერიმენტი შეუსწავლელ საკითხებზე. სამუშაოში მონაწილეობდნენ პედაგოგები, ექიმები, იურისტები და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები. კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ არსებობს ზუსტი მტკიცებულებები, რომ კანაფის მოწვევა არის დანაშაულებების, ფსიქიკის დარღვევის და მოტივაციის შემცირების მიზეზი. ვერ მოიძებნა მტკიცებულებაც, რომ მარიხუანა წარმოადგენს «шлюзовым наркотиком - კარიბჭულ ნარკოტიკს». ამ მონაცემებს დაეთანხმა აშშ-ის ნაციონალური მეცნიერებათა აკადემია 1982 წ. მკვლევარებმა ისიც აღნიშნეს, რომ დიდი რაოდენობის მარიხუანას გამოყენება უფრო მიზეზია და არა ცალკეული ინდივიდების სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები. ამავე დროს მეცნიერები შეფიქრიანდნენ მარიხუანას დამლუპველ მოქმედებაზე საკვლევ ცხოველებში. მიუხედავად ამისა, 1995 წელს ჰოლანდიის კომისიამ მარიხუანას საკითხთან დაკავშირებით და მათმა კოლეგებმა ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტიდან“ განაცხადეს, რომ კანაფის მავნებლობა ნამდვილად გადაჭარბებულია.

ეხლა მთავარი ყურადღება ექცევა მარიხუანას სამკურნალო თვისებების შესწავლას.

**რა არგუმენტები გამოიყენება მხარეთა შორის დისკუსიებში?
მომხრეთა თეზისები:**

- **მარიხუანას გააჩნია რიგი სამკურნალო თვისებები:**

მართლაც, კანაფის მოწვევას მრავალგზის შეუძლია სასარგებლო გავლენა იქონიოს ადამიანის სხეულზე. ის აუმჯობესებს მადას და გემოვნებით შეგრძნებას, ხსნის კუნთების დაძაბულობას და ტკივილის სიმპტომებს, დადებითად მოქმედებს ალერგიული დერმატიტის პროფილაქტიკაზე. კანაფის მიღება ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს ტრავმული სიმპტომების გამომჟღავნებისა და სტრესული მდგომარეობებისას (მაგრამ ფსიქოფარმაკოლოგიაში მას ახლა არ იყენებენ სხვა შესაძლო საფრთხეების შესახებ დისკუსიის გამო). ასევე მიზანშეწონილია მარიხუანას მოხმარება ტკივილების შესამსუბუქებლად: ნეიროპათიულიდან დაწყებული, ოპერაციის შემდგომი ტკივილებით დამთავრებული, ქიმიოთერაპიის შემდგომ, ისევე როგორც გაფანტული სკლეროზის პროფილაქტიკისათვის. ძირითადად, მარიხუანას აქვს დამამშვიდებელი თვისებები, ხსნის კრუნჩხვებს, შაკიკს და სხვა სახის მწვავე ან ქრონიკულ ტკივილებს.

- **სხვა უამრავ ნარკოტიკებთან შედარებით, მარიხუანა ნაკლებად მავნეა**

მარიხუანას სხვა წამლებთან შედარება რთულია. მით უმეტეს უფრო გართულებულია ალკოჰოლთან მისი შედარება. როგორც ფსიქოთერაპევტები აღნიშნავენ, თითოეულ ადამიანს აქვს მიდრეკილება ამა თუ იმ დამოკიდებულების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო საზოგადოებაში ფსიქოლოგიის სფეროში, ახლა აქცენტი უფრო კეთდება არა ფიზიკურ პრობლემაზე, არამედ ნარკოტიკების მიმართ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე. იკვლევენ ამ უკანასკნელის საშიშროებას სხვადასხვა ნივთიერებებისგან (ამათში შედის არა მხოლოდ ნარკოტიკები, თვით კოფეინიც კი), მაგრამ მარიხუანას მწვევლებში მისი არსებობის ფაქტი ეჭვს არ იწვევს.

- **მარიხუანა ნაკლებად საშიშია, ვიდრე ნარკოტიკების უმეტესობა**

მიუხედავად ამისა, მარიხუანას ლიბერალიზაციის კანონების მომხრეებს შემდეგი არგუმენტები მოჰყავთ. "ადამიანები, რომლებსაც მარიხუანა გაუხინჯავთ, გაცილებით ნაკლები რისკი აქვთ გახდნენ მასზე დამოკიდებულები, ვიდრე პრაქტიკულად ნებისმიერი სხვა ნივთიერების, მათ შორის თამბაქოს, ჰეროინის, კოკაინის, ალკოჰოლის ან სტიმულატორების მომხმარებლები. დამოკიდებულების რისკი მათ შორის, ვინც კანაფის გასინჯვა ერთხელ მაინც სცადა, აშშ-ში 90-იანი წლების დასაწყისში შეაფასეს 9%, ნიკოტინის მიმართ 32%-ით, ჰეროინზე - 20%, კოკაინზე - 17%, ალკოჰოლზე - 15% და სტიმულატორებზე - 11%. 10 ადამიანიდან 9-ზე მეტმა, ვინც მარიხუანა გამოსცადა არ ხდებიან დამოკიდებულნი", - წერს *Washington Post*. ყველა დროის განმავლობაში არ ყოფილა მარიხუანასგან გამოწვეული სიკვდილის არც ერთი შემთხვევა. კანაბისის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია დოზის გადაჭარბებისთვის, ადამიანი უბრალოდ ფიზიკურად ვერ შესძლებს მის მიღებას. მატონიზირებელი ეფექტის მიზეზიდან გამომდინარე, მარიხუანა არ იწვევს აგრესიულ ქცევას.

წელიწადში დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი იღუპება სიგარეტის მოწვევისგან და დაახლოებით 3 მილიონი ალკოჰოლისგან. სინამდვილეში, ეს ერთადერთი ობიექტური კრიტერიუმია მარიხუანას სხვა ნივთიერებებთან შედარების მიზნით. ამრიგად, ადამიანის სიცოცხლის პირდაპირი საფრთხის გათვალისწინებით, მარიხუანა უფრო უსაფრთხოა ვიდრე ალკოჰოლი, რომ აღარაფერი ვთქვათ მძიმე ნარკოტიკებზე.

- **ლეგალიზაცია მნიშვნელოვან შემოსავალს მოუტანს ქვეყნის ბიუჯეტს**

ახლა ნარკოტიკებით ვაჭრობა (ნარკოტრაფიკი) ძირითადად კრიმინალური ჯგუფების ხელშია. გამონაკლისი არ არის მარიხუანათი ვაჭრობაც. მისმა ლეგალიზაციამ შეიძლება სერიო-

ზული დარტყმა მიაყენოს უკანონო გასაღების ბაზარს, ასევე გაზარდოს სახსრების მოზღვავება სახელმწიფო ხაზინაში. მაგალითად, კანაფის დაკანონებამ შესაძლოა აშშ-ის ბიუჯეტს 17.4 მილიარდი აშშ დოლარი შემატოს. 2014 წლის მხოლოდ ერთ მეოთხედში, კოლორადოს სახელმწიფო ხაზინამ მიიღო 29,8 მილიონი შემოსავალი.

უკრაინაში ყოველწლიურად უკანონოდ ამზადებენ 2,5 მილიარდი გრივენის მოსაწევ კანაფს, ხოლო ქვეყნიდან ექსპორტზე 150 ტონა მარიხუანა გადის. მარიხუანას გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები შესაძლებელია გახდეს სახსრების ახალი წყარო ეკონომიკისთვის და გამოყენებულ იქნეს იმავე სოციალურ სექტორში. მაგრამ ამის სამაგიეროდ, მთელი ფული მაფიის ან ნარკოკარტელის ხელშია.

თეზისები მის "წინააღმდეგ"

- მარიხუანამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯანმრთელობაზე

არსებობს არგუმენტები, რომ კანაფის მოწვევა ადამიანისთვის საზიანო შეიძლება იყოს. მაგალითად, მარიხუანას ხშირმა გამოყენებამ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს იმუნურ სისტემაზე, ზრდის ძლიერი ღებინების და ღრძილების დაავადების განვითარების ალბათობას. მარიხუანას გამოყენების შემდეგ, ავარიაში მოხვედრის ალბათობა იზრდება (არაპირდაპირი არგუმენტი, მაგრამ უნდა აღინიშნოს). მარიხუანას გახანგრძლივებულმა მოწვევამ შეიძლება გამოიწვიოს ლორწოვანი გარსის გაღიზიანება და ბრონქიტის განვითარება. ასევე, მარიხუანას რეგულარული გამოყენება 40%-ზე მეტად ზრდის ფსიქიური დაავადებების განვითარების რისკს. მარიხუანას მოხმარება ზრდის დეპრესიის განვითარების ალბათობას იმ ადამიანებში, რომლებსაც მისადმი აქვთ გენეტიკური მიდრეკილება. Skunk-ის მსგავსი მარიხუანას მძიმე ჯიშების ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მწველის ინტელექტზე და გაზარდოს მეხსიერების მწვავე დაკარგვის ალბათობა. ზოგიერთი მკვლევარი იმაზეც მიუთითებს, რომ კანაფის მოწვევა ამ-

ცირებს სწავლის უნარს, იწვევს ყურადღების გაუარესებას და აზროვნების აქტივობის შემცირებას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია თავის ანგარიშში „ჯანმრთელობა და კანაბისის არასამედიცინო გამოყენების სოციალური შედეგები“ ამტკიცებს, რომ მარიხუანას გრძელვადიანი გამოყენება ხელს უწყობს ახალგაზრდა მწვევლებში მიოკარდიუმის ინფარქტისა და ინსულტის განვითარებას.

მსოფლიო დებატების დროს, სხვადასხვა კონტრარგუმენტები ჩნდება. მაგალითად, მარიხუანას მოწვევის გამო ფსიქოზის განვითარებასთან დაკავშირებით, ბრიტანეთის მთავრობის ყოფილი მთავარი მრჩეველი დევიდ ნუტი კომენტარს აკეთებს: "თუ კანაბისი პირდაპირი გზით იწვევს ფსიქოზის განვითარებას, მაშინ ეს ადვილი დასამტკიცებელია: როდესაც კანაფის მოხმარება იწვევს ზევით, საზოგადოებაში ფსიქოზით დაავადებულთა დონეც გაიზრდება და შესაბამისად, როდესაც კანაფის მოხმარება მცირდება, მაშინ ეს დონეც იწყებს კლებას. ასეა თუ არა? ჩვენ ბევრი მონაცემი გვაქვს მრავალი ქვეყნიდან და გამოდის, რომ ეს ასე არ არის. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, კანაფის მოხმარება 1960 წლიდან გაიზარდა დაახლოებით 40 კოეფიციენტით, ხოლო ფსიქოზის ტემპი? ისინი უცვლელი რჩება."

შესაძლოა, მარიხუანას მოხმარება იყვეს არა მიზეზი, არამედ ინტელექტის განვითარების დაბალი დონის შედეგი? ნებისმიერ შემთხვევაში, ინტელექტუალურ საქმიანობაზე მარიხუანას გავლენის საკითხთან დაკავშირებით, დისკუსიისათვის დიდი სივრცე არსებობს, რომელზეც წერტილი მალე არ დაისმევა.

- **ლეგალიზაცია გამოიწვევს მწვევლთა რაოდენობის გაზრდას**

სავარაუდოა, რომ თუკი კანაბისი გავა ღია ბაზარზე და გახდება მსხვილი კომპანიების საქონელი, მაშინ მისი რეკლამირება პოპულარიზატორის როლს შეასრულებს. "ბალახი" უკვე დიდი ხანია მრავალი სუბკულტურის, მუსიკალური მიმართულებების და შემსრულებლების ატრიბუტია. რის გამოც, კანაფის ლეგალიზაციის შემთხვევაში, შეიძლება გახდეს პოპულარული კულ-

ტურის ნაწილი, როგორც ერთ დროს „Marlboro“ ბრენდის სიგარეტი ან „Badweiser“-ის ლუდი. მეორეს მხრივ, რეკლამა ყოველთვის შეიძლება შეიზღუდოს. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებებს, სავარაუდოდ, ყოველთვის აქვთ მრავალი განმარტებითი მომენტები. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას მონოპოლია მარიხუანას გაყიდვაში. ეს თეზისი თავისთავად თეორიულია და შეიძლება პრაქტიკაში უარყო.

მაგალითად, კოლორადოში, მარიხუანას ლეგალიზაციის შემდეგ, თინეიჯერებს შორის მისი მოხმარება მკვეთრად დაეცა (David 2016). რადგან აქ ყველაფერი ძალიან ორაზროვანია.

- **მარიხუანა შეიძლება გახდეს პირველი ნაბიჯი უფრო მძიმე ნარკოტიკებისადმი**

კანაფის თეორიის მომხრეები, როგორც „კარიბჭის წამლის“, ამბობენ, რომ ხშირ შემთხვევაში, ვიდრე გამოყენებას დაიწყებენ, მაგალითად, ჰეროინის, ნარკომანები ერთობიან „ბალახით“. მიჩვევის შემდეგ, სიამოვნება მცირდება და ისინი სხვა ნარკოტიკებზე გადადიან. ამჟამად ამ თეორიის პირდაპირი მტკიცებულებები არ არსებობს, მაგრამ ექიმები ჯერ კიდევ ატარებენ კვლევებს, მის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად.

- **მარიხუანა არ განსხვავდება სხვა ნარკოტიკებისაგან**

ამ მოსაზრებას ყველაზე მეტად აკრიტიკებენ კანაფის დეკრიმინალიზაციისა და ლეგალიზაციის მომხრეები. ყველა მათგანი ეყრდნობა თანამედროვე სამეცნიერო მოსაზრებას. მაშ, რატომ თვლიან ბევრნი მარიხუანას ჰეროინის მსგავს ნარკოტიკად? ეს იმით არის განპირობებული, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ნარკოდამოკიდებულების საკითხზე სხვადასხვა კონვენციები ტარდებოდა, სახელმწიფოების პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ახლად იწყებდა ფორმირებას. იგივე შენევის კონფერენციებზე, მარიხუანას, როგორც ცალკეულ ნარკოტიკს არ უთმობდნენ ყურადღებას, ხოლო მაშინდელი კანონები და დასკვნები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა თანამედროვე საერთაშორისო მსჯელობაზე. მას

შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მარიხუანასთან მიმართებით დღევანდელმა შეხედულებამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. რა თქმა უნდა, მარიხუანას გამოყენებას უამრავი პოტენციური საფრთხე გააჩნია. თუმცა, ამის მიუხედავად, მისი სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებებთან გათანაბრება არ შეიძლება.

- **მარიხუანას კანონებისა და მსგავსი პრაქტიკის ლიბერალიზაცია**

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მარიხუანას ლეგალიზაციის საერთაშორისო პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ერთადერთ ქვეყანას, სადაც კანონით სრულად არის ნებადართული მარიხუანას შენახვა და მოხმარება, ურუგვაი წარმოადგენს. შეზღუდულია მისი ბრუნვა ჩეხეთის რესპუბლიკაში, კანადაში, პორტუგალიაში, ნიდერლანდებში, ესპანეთსა და ისრაელში. ბელგიაში შეზღუდულია საზოგადოებრივ ადგილებში მოწვევა და აკრძალულია 3 გრამზე მეტი კანაფის შექმნა. 2009 წლიდან არგენტინაში მარიხუანას მცირე დოზების დეკრიმინალიზაცია მოხდა. ავსტრალიის ზოგიერთ შტატში შესაძლებელია 25 გრამამდე კანაფის შენახვა (მაგრამ ამავე დროს კვინსლენდში 15 წლიანი პატიმრობით ისჯებიან, თუნდაც მცირე რაოდენობით "ბალახის" შენახვისას).

უძველესი ტრადიციის თანახმად, ბანგლადეშში კანაფს ეწევიან და ხელისუფლება არ აპირებს მოსახლეობის ჩვევების საწინააღმდეგოდ მოქმედებას. ასევე მარიხუანა, საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ჩინეთშიც (ამასთან, სიკვდილით ისჯება სხვა ნარკოტიკებით კონტრაბანდა და ვაჭრობა).

P.S. ადამიანისა და კანაფის ურთიერთობა ღრმა საუკუნეებში გადადის. სინთეზური ნარკოტიკებისაგან განსხვავებით, მარიხუანა ბუნებრივი პროდუქტია. ბევრ ქვეყანაში, მის მოწვევას უძველესი ტრადიციები აქვს, ხოლო ზოგიერთ საზოგადოებრივი მოძრაობები მარიხუანას მოხმარებას თავიანთი ფილოსოფიის ნაწილად მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, ძალიან რთულია კანაფის სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებებთან გათანაბრება,

როგორცაა იგივე „ფენა“ ან ჰეროინი, რომლებიც ხელოვნური გზით მიიღება უდავოდ, აქვს დამანგრეველი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ფსიქიკაზე.

შესაძლო ლეგალიზაციას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. ერთნი საუბრობენ მარიხუანას სამკურნალო თვისებებზე, მოჰყავთ მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკის და თანამედროვე ექსპერიმენტების მაგალითები. სხვები აცხადებენ, რომ კანაფის მიღება შეიძლება პირველი ნაბიჯი იყოს უფრო საშიში ნარკოტიკებისკენ და აპათიური ქცევისაკენ. ლეგალიზაციის მომხრეებს თავიანთ თვალსაზრისის არგუმენტად მოაქვთ ის უზარმაზარი თანხები, რაც გადასახადებისგან შემოვა, თუ მარიხუანა ლეგალური გახდება; მათი ოპონენტები ხედავენ „ბალახის“ მწვეველთა რაოდენობის გაზრდის საშიშ პერსპექტივას, რეკლამირების და კანაფის ღია ბაზარზე შესვლის გამო. ამ მცენარის დეკრიმინალიზაცია, როგორც ჩანს, ერთგვარი "ოქროს საშუალებაა". თუმცა, აქაც წარმოიქმნება დავები. მართლაც, ორივე თვალსაზრისს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანია ამ პრობლემის განსხვავებული ხედვა და შესაბამისად, აქტიური საზოგადოებრივი დისკუსიები.

<https://commons.com.ua/uk/marihuana-diskussiya-o-legalizacii/>

მოდრობები კანაფის ლეგალიზაციისათვის

აშშ-ში და სხვა მრავალ ქვეყანაში არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ კანაფის ლეგალიზაციის იდეას. ერთ-ერთი უძველესია NORML (მარიხუანას რეფორმების კანონების ეროვნული ორგანიზაცია), რომელიც დაარსდა 1970 წ. ის გაბოდიის წინადადებით შეიცვალოს ზრდასრული ადამიანებისათვის სისხლის სამართლებრივი დასჯა კანაფის გამოყენებისა და შენახვის, მათ შორის საკუთარი მიზნებისათვის გამოზრდის გამო. ამ ორგანიზაციის დახმარებით ზოგიერთ შტატში ჩატარდა რეფერენდუმი, რის შედეგადაც მოხდა მარიხუანას დეკრიმინალიზაცია.

სხვა ჯგუფები, რომლებიც ასევე მოითხოვენ ლეგალიზაციას სხვადასხვა ქვეყნებში: CIRC - საფრანგეთში, Але Ярок - ისრაელში, Law Enforcement Against Prohibition, Students for Sensible Drug Policy, Drug Policy Alliance, Marijuana Policy Project, Coalition for Rescheduling Cannabis.

საერთაშორისო დონეზე კანაბისის დეკრიმინალიზაციას მხარს უჭერს ტრანსნაციონალური რადიკალური პარტია, რომელმაც გამოაქვეყნა პეტიცია გაეროს კონვენციის გადახედვის აუცილებლობაზე. ამ აზრს იზიარებენ სხვა ქვეყნების რიგი რადიკალური ორგანიზაციებიც, რამაც ხელი შეუწყო მთელ რიგ ქვეყნებში, მათ ნაწილობრივ ლეგალიზაციას.

*** ქვეყნები, სადაც მარიხუანა სრულად ან ნაწილობრივადაა ლეგალიზებული პირადი მოხმარების მიზნით: ურუგვაი, კანადა, აშშ, ეკვადორი, მექსიკა, კოლუმბია, პარაგვაი, არგენტინა, ბრაზილია, ჩილე, იამაიკა, ბოლივია.

*** ქვეყნები, სადაც ლეგალიზებულია სამედიცინო ან მცირე დოზებით პირადი მოხმარების მიზნით: აშშ (ნაწილობრივ 16+-შტატი), ისრაელი, ინდოეთი (რეგულირდება სახელმწიფოს მიერ), პაკისტანი, პერუ, ირანი (ლეგალურია წარმოება არამოხმარების მიზნით, თუმცა ამას არავინ არ აკონტროლებს).

*** დეკრიმინალიზებულია შემდეგ ქვეყნებში: ავსტრალია, ჩეხეთი, მაკედონია, ჰოლანდია, ბელგია, შვეიცარია, ვენესუელა, ფინეთი, კოლუმბია, გერმანია, პორტუგალია.

*** ამ სიაში ცალკე დგას ინგლისი, სადაც მართალია ოფიციალურად არ არის ლეგალიზებული და მხოლოდ ფორმალურადაა აკრძალული, მისი მცირე რაოდენობით შენახვა ექვემდებარება მხოლოდ კონფისკაციას და არ ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

<https://commons.com.ua/uk/marihuana-diskussiya-o-legalizacii/>

<https://lenta.ru/news/2019/08/08/marih/>

<https://realist.online/mir/vse-strany-mira-v-kotoryh-legalizirovali-marihuanu>

კანაფი და შესაბამისი კანონმდებლობა მსოფლიოს რიგ ქვეყნებში (ისტორია და დღევანდელი)

კანაფის პროდუქტები, წარმოადგენს რა ბოროტად გამოყენების საგანს, აკრძალულ ნარკოტიკებს შორის მყარად ლიდერობს შავ ბაზარზე. კანაფის მოშენება პრაქტიკულად შესაძლებელია თითქმის ნებისმიერ ქვეყანაში, და სულ უფრო აქტიურად ხდება მისი კულტივირება დაცულ ტერიტორიებზე ტექნიკურად განვითარებულ ქვეყნებში. კანაფის მცენარეული მასის - მარიხუანას წარმოება ასევე მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. კანაფის ფისს (ჰაშიშს) აწარმოებენ დაახლოებით 65 ქვეყანაში, რომელთა ძირითადი წყაროა ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნები, კერძოდ ავღანეთი და პაკისტანი. მაროკო ღია გრუნტში გამოზრდილი მცენარეებიდან მიღებული კანაფის ფისის მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელია. აფრიკის ეს ქვეყანა, ოფიციალური მონაცემების თანახმად, კანაფის ნათესების ყველაზე დიდ ფართობს ფლობს. კანაფის ფისს, რომელსაც ევროპაში ავლენენ, უმთავრესად მაროკოდან შემოაქვთ. თავის მაჩვენებლებით, ამ ქვეყნის ფისი მსგავსია სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კანაფის ფისთან.

ავღანეთი მეორე ადგილზეა კანაფის ფისების მწარმოებელ ქვეყნებს შორის მსოფლიოში, სადაც კანაფი იზრდება ოპიუმის ყაყაჩოს მინდვრებთან ერთად. ამ ქვეყნიდან მიღებულ კანაფის ფისს იგივე მახასიათებლები გააჩნია, როგორც ინდოეთის ტერიტორიაზე მოზარდ კანაფს.

რაც შეეხება კანაფის მცენარეულ მასას, 2006 წელს, მსოფლიოს მთლიანი წარმოების 55 % ამერიკის კონტინენტზე მოდიოდა, მას მოსდევდა აფრიკა (დაახლოებით 22%). კანაფის მცენარეული მასა ძირითადად იწარმოება შიდა ბაზრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და მეზობელ ქვეყნებში ექსპორტისთვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანაფის მცენარეული მასის საერთაშორისო ბრუნვა საკმაოდ მცირეა. 1970-იანი წლე-

ბიდან მოყოლებული, ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში ხორციელდება ღონისძიებები კანაფის ძლიერმოქმედი ჯიშების გამოსაყვანად. ბოლო ათი წლის განმავლობაში, აშშ-ს, კანადასა და ნიდერლანდებს მოწინავე პოზიციები უკავით კანაფის ახალი ჯიშების გამოყვანასა და მათი წარმოების ტექნოლოგიების შემუშავების პროცესში.

რაც შეეხება ევროპულ ბაზარს, აქ ჯერ კიდევ ჭარბობს იმპორტირებული პროდუქცია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა და განისაზღვრება 6-8 %-ით.

ავსტრალია



სათესი კანაფი ავსტრალიაში XVIII ს-ის ბოლოს იქნა შეტანილი, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს არ ასრულებდა. სადღეისოდ მეკანაფეობა ვითარდება ენთუზიასტების ძალისხმევით, მთავრობის დახმარებისა და წინააღმდეგობის

გარეშე. ყველაზე მსხვილი პლანტაციები სამრეწველო კანაფის განლაგებულია კუნძულ ტასმანიაზე, სადაც ფუნქციონირებს Tasmanian Hemp Company. კომპანიის ძირითადი პროდუქტია - კანაფის ზეთი, რომელიც წარმოადგენს ლაქებისა და საპოხი მასალების დასამზადებელ საფუძველს.

კანაფის ფსიქოტროპული გამოყენება ფართო მასებისათვის ცნობილი არ იყო 1960-იან წლებამდე. მისი გავრცელება დაკავშირებულია ხიპების მოძრაობასთან. 1990-იანი წლების ბოლოს, ანონიმური გამოკითხვის საფუძველზე, მარიხუანა და ჰაშიში გასინჯული ჰქონდა მოსახლეობის 50%, ხოლო სიდნეისა და ადელაიდის მოსახლეობის 25% მას იყენებდა მეტ-ნაკლებად რეგულარულად. კანაფის წარმოების უმსხვილესი კოლონია გაშენებულია ნიმბინში (ახალი სამხრეთ უელსი), სადაც ტარდება ყოველწლიური კანაფის ფესტივალი - „მარდი გრას“.

შენახვა და გაყიდვა ფსიქოტროპული პროდუქტების კანონით აკრძალულია ავსტრალიის ყველა შტატში. თუმცა მცირე რაოდენობით (25 გრ) არ ისჯება ან ჯარიმდება 50-დან 500 ავსტრალიურ დოლარამდე. 10-მდე ბუჩქის გამოზრდაც კანონით ნაკლებდანაშაულად ითვლება, ხოლო მათი დიდი რაოდენობით გამოზრდა და შენახვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 20 წლიდან მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ქვეყანაში მიმდინარეობს ორგანიზებული მოძრაობა კანაფის ლეგალიზაციისათვის.

<https://ru.wikipedia.org/wiki/Марихуана>

ავსტრია



ავსტრიაში კანაფი მოჰყავთ პრეისტორიული დროიდან, რისი დამამტკიცებელია ქალაქ ფოსლაუს მახლობლად ჩატარებული გათხრებში აღმოჩენილი კანაფის თესვები, რომელიც მიეკუთვნება გვიანი ნეოლიტის ეპოქას. შუა საუკუნეებში მეკანაფეობა იყო ავსტრიის ეკონომი-

კის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი წყარო. კანაფის ბოჭკო აქტიურად გამოიყენებოდა საფეიქრო და ქაღალდის წარმოებაში, მაგრამ XX ს-ის დასაწყისში განდევნილ იქნა ბამბით და ცელულოზით, უფრო მოგვიანებით სინთეტიკური ბოჭკოთი. მეკანაფეობას უკანასკნელი დარტყმა მიაყენა გაეროს 1961 წლის კონვენციამ, რომლის რატიფიკაციის შემდგომ ავსტრიის მთავრობამ აკრძალა კანაფის გამოზრდა.

კანაფის ნათესები აღსდგა 1996 წ. სწორედ მაშინ ზალცბურგის მიდამოებში გაშენდა კანაფის პლანტაციები, ტგკ-ს დაბალი შემცველობის. ხოლო 2000 წლისათვის ქვეყანაში დაფიქსირებული იყო 50-მდე მაღაზია და 17 წარმოება, რომლებიც მუშაობდნენ კანაფსა და მის საფუძველზე დამზადებულ საქონელზე. ბაზრის ლიდერია ფირმა „როხემპი“, რომელიც აწარმოებს კანაფის ბოჭ-

კოსაგან 24 დასახელების ტექსტილს. გარდა ამისა, აქ მზადდება ლუდი და ლიქიორი «Hanf», კანაფის არომატული ესენციის დამატებით.

ავსტრიის მოსახლეობის 10%-მდე რეგულარულად იყენებს ფსიქოტროპულ პროდუქტებს (უმთავრესად მარიხუანას და ჰაშიშს). ბევრ მოყვარულს მოჰყავს პატენტური კანაფი შინაურ პირობებში. 1994 წელს ხმარება და შენახვა მცირე რაოდენობით დეკრიმინალიზებული იქნა. გამოზრდა რჩება ნახევრადლეგალურად.

<https://cameralabs.org/11186-svobodnaya-trava-gde-v-mire-legalizovali-marikhuanu-gde-khotyat-legalizovat-i-gde-ne-sazhayut-v-tyurmu>

ავღანეთი



რუსი ბოტანიკოსი ნიკოლოზ ვავილოვი თავის ნაშრომში "კულტივირებული მცენარეების წარმოშობა და გეოგრაფია" მიუთითებს, რომ "მართალია, ძნელია იმის თქმა, თუ როდის დაიწყო კანაფის მოშენება და ადამიანებმა ამას ხელი როგორ

შეუწყეს", მაგრამ აშკარაა, რომ ეს ვარაუდი დაფუძნებულია არსებულ ინფორმაციაზე, რომ "კანაფი აზიის მცენარეა." მისი აზრით, კულტივირებული კანაფი წარმოიშვა ცენტრალური აზიის ცენტრში, ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ჩრდილო – დასავლეთ ინდოეთს (ქაშმირს), პაკისტანს (პენჯაბის პროვინციას და ჩრდილო დასავლეთს), მთელ ავღანეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ტიანშანის დასავლეთ ნაწილს და თანამედროვე ჩინეთს. დღეს ველური და კულტივირებული კანაფი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეშია წარმოდგენილი; მსოფლიოს მინიმუმ 172 ქვეყანა აწარმოებს საკუთარ კანაფს, ძირითადად ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სანსკრიტულ სამედიცინო თხზულებაში, რომელიც ცნობილია "Sucruta" სახელით (ახ. წ. VI ან VII საუკუნე), კანაფი მოხსენიებულია, როგორც წამალი ბხანგის სახელით (ტაჯიკურ ენაში, დღემდე იხმარება სიტყვები "bang" (ნარკოტიკი) და "bangi" (ნარკომანი), რომლებიც უფრო მეტად დამახასიათებელია სალაპარაკო ენისთვის). ჩინურ ტრიაქტატში Kou-Kin-i-Tong (დათარიღებულია ახალი ერის დასაწყისით) ნახსენებია კანაფის პრეპარატის (მა-იო) გამოყენება, როგორც საანესთეზიო საშუალების ქირურგიული ოპერაციებისას. კანაფის კულტივირება, გამოყენება და მისი სამედიცინო თვისებები კარგად არის ასახული ევროპულ და ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ ანგარიშებში. მაგრამ აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის ტომებმა იცოდნენ კანაფის ფსიქოაქტიური ძალის შესახებაც და საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ მას. როგორც ვავილოვი აღნიშნავს, "კანაფიდან ჰაშიშის მიღებას და გამოყენებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა, ვინაიდან, ღეროებისა და ფოთლების დაწვისას, ადამიანისათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მისი განსაცვიფრებელი ეფექტი."

ავღანეთში გავრცელებული კანაფის ჯიშები არ ხასიათდებიან მყარი ბოჭკოთი, მაგრამ გამოიმუშავებენ ბევრ ფისს, რომლებიც აუცილებელია ფსიქოტროპული პროდუქტების დასამზადებლად. მათი დამზადებისა და გამოყენების ტრადიცია მრავალ ასეულ წელს ითვლის. ქვეყნის ბაზარზე ჭარბობს ჰაშიში, რომელსაც ადგილობრივები ჩვეულებრივ ეწევიან სპილენძის ან თიხის ყალიონებით. ავღანეთი, რომელიც მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებდა ოპიუმის წარმოებით, გახდა ასევე მსოფლიო ლიდერი ჰაშიშის დამზადებაშიც. გაეროს მონაცემებით აქ ყოველწლიურად კანაფი ითესება 10000-დან 24000-მდე ჰა ფართობზე, ამასთან ყურადსაღებია მისი მაღალი მოსავლ-იანობა; კანაფის ერთი ჰექტრიდან საშუალოდღებულობენ 145 კგ ჰაშიშს, იმ დროს, როდესაც მაგალითად მაროკოში - მხოლოდ 40 კგ გამოიმუშავებენ. ყოველწლიურად აწარმოებენ 1500-დან 3500 ტონამდე ამ ნარკოტიკს. გაეროს აღნიშნული ციფრები დაფუძნებულია 1624 სოფლისა და 20-მდე ავღანური პროვინციის მო-

ნაცემებზე. მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ავღანეთში ჰაშიმის წარმოება მნიშვნელოვნად იაფი ჯდება ვიდრე ოპიუმის. მიუხედავად ამისა ფერმერები უპირატესობას ანიჭებენ ხაშხაშის კულტივირებას, ვინაიდან კანაფის დიდხანს შენახვა შეუძლებელია, ამასთან ის ზაფხულის მცენარეა და უწყლობის შემთხვევაში მისი მოსავალი საშიშროების წინაშე დგება. <https://www.dw.com/ru/афганистан-вышел-на-первое-место-в-мире-по-производству-гашиша/a-5415893>.

კანაფის მთავარი პლანტაციები განლაგებულია ავღანეთის სამხრეთით, სადაც ჯერ კიდევ სუსტია ადგილობრივი ხელისუფლების გავლენა. იქიდან ნარკოტიკები გადააქვთ პაკისტანსა და ირანში. ნარკოტიკებითა და ნედლეულით ვაჭრობა წარმოადგენს მეზობლთა რიგებისათვის შემოსავლების ძირითად წყაროს.

<https://rus.postimees.ee/245703/afganistan-stal-krupneyshim-proizvoditelem-konopli>

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის სამმართველოს ინფორმაციით, ავღანეთში აღირიცხება 15-64 წლის ასაკის ერთ მილიონამდე ნარკომანი, მთელი მოსახლეობის 8%. ეს მონაცემები ორჯერ მეტია ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში. ქვეყნის სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონებში ნარკოდამოკიდებულების 50% არასრულწლოვანია.

ავღანური ნარკოტიკების პრობლემა ვლინდება არა მხოლოდ ევროპულ ქვეყნებში და ამერიკის კონტინენტზე, პირველყოფლისა თვით ავღანეთის მოსახლეობაში აისახება, რომლებიც დამოკიდებულნი არიან პირველ რიგში ოპიუმისა და ჰეროინის დღიურ ნორმაზე, აგრეთვე კანაფსა და ტრანსკვილიზატორებზე, რაც მათ სრულ დეგრადაციას იწვევს. როგორც მოხსენებიდან ირკვევა, ავღანეთში ბოლო 5 წლის განმავლობაში ოპიუმზე დამოკიდებულთა რიცხვი გაიზარდა 53% - 230 ათასი კაცით, ხოლო ჰეროინზე დამოკიდებულთა - 140 %-მდე, 120 ათასამდე. ამ ტენდენციას ხსნიან ნარკოტიკული პროდუქციის წარმოების სწრაფი ზრდით.

<https://news.un.org/ru/story/2010/06/1165701>.

ავღანელი გლეხები სიღარიბიდან გამომდინარე და შემოსავლების სხვა წყაროების უქონლობის გამო იძულებულნი არიან დაკავდნენ ნარკოტიკული მცენარეების გამოზრდით. სხვა ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება არახელსაყრელია, საცავების, საბითუმო ვაჭრობის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არ ქონის გამო. ქვეყანაში შექმნილ ამ მდგომარეობას განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა, ეფექტური სახელმწიფო ხელისუფლების არყოფნა, სასოფლო სამეურნეო მეურნეობის დეგრადაცია და ეკონომიური ინფრასტრუქტურის არქონა, პირველ რიგში ირიგაციული აღჭურვილობის დაშლა. თალიბების მოძრაობის დაწყებიდან, რომლებიც მეტად უარყოფითად ეპყრობიან ნარკომანიას და ნარკოტიკებს, დაიწყო მასიური განადგურება კანაფისა და ხაშხაშის პლანტაციების. ამჟამად, თალიბების მიერ სანქციების დაწესების თავიდან ასაცილებლად ავღანელები კანაფს მხოლოდ გასაყიდად ზრდიან. მარიხუანას გამოყენება კი ნახევრადლეგალურია.

ავღანეთში, რომელიც უკვე შეუერთდა საერთაშორისო ანტინარკოტიკულ კონვენციას, შემუშავებულ იქნა ბრძოლის ღონისძიებების კომპლექსი ეროვნულ უბედურებასთან მიმართებით. საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ნარკოტიკებთან ბრძოლის ეროვნული სააგენტო, შემდგომ დაიწო პლანტაციების ლიკვიდაცია, 2002 წელს გამოვიდა კანონი მათი კულტივირების აკრძალვის, შეიქმნა ძალები ნათესარების გასანადგურებლად, აგრეთვე ნარკოტიკებთან მებრძოლი პოლიცია (*Counter Narcotics Police of Afghanistan – CNPA*). ამ პრობლემითაა დაკავებული ქვეყნის შსს-ოს მთავარი ანტინარკოტიკული სამმართველო. 2006 წელს დაფუძნდა ნარკოტიკების საქმეების ტრიბუნალი (*Counter Narcotics Tribunal – CNT*) ნარკოვაჭრობისა და ნარკოტიკებით კონტრაბანდის სფეროში მსხვილი ოპერაციების (ჰეროინი 2 კგ და მეტი, 10 კგ ოპიუმი, 50 კგ ჰაშიში) და მიზნობრივი ჯგუფები სისხლის სამართლებრივ საკითხებზე (*Criminal Justice Task Force – CJTF*). 2008 წელს გაიხსნა თანამედროვე ანტინარკოტიკული სამართლებრივი ცენტრი (*Counternarcotics Justice Center – CNJC*).

ავღანეთის ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, სრული კონტროლის დაწესება ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაზე ვერ ხერხდება.

https://riss.ru/images/pdf/journal/2010/1/Komissina_2010_1.pdf

აზერბაიჯანი



აზერბაიჯანში, რომელიც ყოფილ სპარსეთისა და ოსმანთა იმპერიებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზეა განლაგებული, უძველესი დროიდან არსებობდა ტრადიციები კანაფისა და ჰაშიშის გამოყენების. მისი გამოყენების მთავარ ფორმას წარ-

მოადგენდა პერორალური მიღება ჩაისთან ერთად. აღნიშნული ტრადიცია ბაქოს ჩაიხანებში აღინიშნებოდა 1980-იან წლებშიც. ხალხურ და ტრადიციულ მედიცინაში კანაფის ფოთლებს იყენებენ ანგინის, შარდსასქესო ორგანოების დაავადებების, პროსტატის დროს. ფოთლებს უმატებენ არაყს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალოდ, მას ანზავებენ წყლით სიმსივნეების, ანთებისა და ჩირქოვანი მუწუკების განსაკურნავად. თესლებს ხარშავენ რძეში და ნახარშის სახით ღებულობენ ასთმის, ბრონქიტის, ლარინგიტის დროს. მოხალულ თესლებს იყენებენ ნაწლავების პარაზიტების საწინააღმდეგოდ, მდედრობით ყვავილებს - რემატოიზმისა და დიაბეტის განსაკურნავად.

აზერბაიჯანში ველური კანაფი ჩვეულებრივ იზრდება დიდი კავკასიონის მთებში, ზაქათალის, ნახჭევანის და სხვა მთიან რაიონებში, მდინარეებს მტკვარსა და არაქსის ხეობებში. კულტივირება აქ შეზღუდულია. მცირე რაოდენობით მოჰყავთ ქვეყნის სამხრეთით, ხოლო მოსავალს, როგორც წესი იყენებენ ადგილობრივ ბაზარზე. ჰაშიშის წარმოებაზე ინფორმაცია არ არის, თუმცა, როგორც აღნიშნავენ არ არის გამორიცხული, მისი მცირე წარმოების არსებობა.

რესპუბლიკაში კანაფის მრეწველობა არ არის განვითარებული. აზერბაიჯანის კანონების მიხედვით, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა, თუ მისი რაოდენობა ითვლება ჭარბად საკუთარი მოხმარებისათვის, ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. წარმოება, მოყვანა და ვაჭრობა ისჯება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით, 3-დან 7 წლამდე პატიმრობით.

https://jahnews.nl/news_konopli/obschestvo/2141-konoplya-v-azerbaydzhane.html

ალჟირი



ამ მცენარის თვისებები ადგილობრივი მოსახლეობისათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი. უდაბნოში მომთაბარე ბერბერები კანაფსა და ჰაშიშს იყენებენ როგორც რელიგიური პროცედურებისათვის, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეწვეიან

რო მომთაბარე ცხოვრებას უდაბნოში, როგორც წესი მათ თან ახლავთ ჰაშიში, წყალთან, ჩაისა და შაქართან ერთად.

ჰაშიშს იყენებდნენ ყველანაირად: თამბაქოსთან ნარევიში, ყველა დაბასა თუ სოფლის ყავახანების ნარგილებში. კანაფი მასიურად მოჰყავდათ ქალაქების რელიზანის, ტებესისა და თიარეთის გარეუბნებში. მაროკოელების მსგავსად, მშრალ კანაფს ურევდნენ არომატულ თამბაქოსთან. უძველესი დროიდანვე მოსახლეობის მიერ გამოყენებული ჰაშიშის ძირითადი მასა სატვირთო მანქანებით და აქლემებით შემოაქვთ მაროკოს ქალაქ ოუიდას (Oujda), ჩააქვთ ალჟირის ქალაქ ბენი ახესში, საიდანაც ვრცელდება მთელ ქვეყანაში. კონტრაბანდისტები ახერხებენ მცირე პარტიებით ნარკოტიკების ევროპაში გატანასაც.

ალჟირში კანაფი არასოდეს გამოიყენებოდა მეურნეობასა და მრეწველობაში. ფრანგების მიერ ალჟირის კოლონიზაციამდე (XIX), მოჰყავდათ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით ფსიქოტროპული პროდუქტების დამზადების მიზნით.

ფრანგები პირველები იყვნენ, რომლებმაც ალჟირში დაიწყეს კატეგორიული ბრძოლა მოწვევის ტრადიციასთან, აკრძალეს მისი ყველანაირი გამოყენება. ამჟამად, პოლიციელებისა და სამხედროების ძირითადი ძალები ახერხებენ წესრიგის დაცვას ქვეყნის შიგნით და არა მისი საზღვრების დაცვას, რაც მეტად მოსახერხებელია კონტრაბანდისტების.

ისევე როგორც მუსულმანური სახელმწიფოების უმრავლესობაში, ალჟირში არ ხდება კანაფის გამოყენების წახალისება - ის ითვლება ნარკოტიკად. მისი გამოყენება და შენახვა ისჯება 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ამასთან ქალაქებში მკაცრი კანონებია დაცული. სოფლებში ან ტურისტულ ცენტრებში საქმე შეიძლება მცირე გადასახდელით დასრულდეს. მარიხუანას ჰაპიროსით საჯაროდ გამოსვლა არ არის რეკომენდირებული.

[https://ru.wikisource.org/wiki/Конопляная_энциклопедия_\(Види\)/Ал_жир](https://ru.wikisource.org/wiki/Конопляная_энциклопедия_(Види)/Ал_жир)

აშშ



ამერიკის კონტინენტზე კანაფის უტყუარი ისტორია იწყება XIV ს-დან, როდესაც ესპანელებმა ეს „ბალახი“ ჩაიტანეს პერუსა და ჩილეში, თუმცა მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ კანაფი ახალ ქვეყანაში ესპანელების შეჭრამდე ბევრ-

ად ადრე იყო ცნობილი. 1611 წელს მის გამოზრდას ვირჯინიის შტატში იწყებენ.

ამერიკაში XX საუკუნის 30-იან წლებამდე კანაფი შაკიკის, ჰერპესის, ართრიტის, დიზინტერიის, უძილობის სამკურნალოდ გამოიყენებოდა მედიცინაში; მას იყენებდნენ მრეწველობაშიც, კულინარიაში და რიტუალებში. ფორდების საგვარეულო არქივში ჰენრი ფორდის არა ერთი სურათი მოიპოვება კანაფის პლანტაციების ფონზე. ჯორჯ ვაშინგტონი კი მაუნტვერნონში ამ კულტურის მოყვანას პრიორიტეტად თვლიდა, ასევე

იყო თომას ჯეფერსონი, ვირჯინიაში მოტიჩელოს სახლში. კონგოს და კამერუნის ზოგიერთ ტომებს დღესაც მოჰყავთ კანაფი, როგორც რიტუალისთვის აუცილებელი მცენარე.

კანაფის ფსიქოაქტიური მოქმედებით აღფრთოვანებული იყვნენ ამერიკის ცნობილი მწერლები და ფილოსოფოსები: ფ. ლადლოუ, ჯ. ლონდონი, გ. ტორო, გ. მელვილი და სხვები.

მაგრამ 1937 წლიდან აშშ-ში დაიწყო მისი აკრძალვა. 1960-იან წლებში კონტაქტური მოქმედების ჰერბიციდი პარაკვატი გამოიყენებოდა აშშ-ს მიერ სამხრეთ ამერიკაში კანაფის პლანტაციების გასანადგურებლად.

ჯონ კენედიმ უარი განაცხადა გაეროს მიერ 1961 წელს მიღებულ ერთიანი კონვენციის რატიფიცირებაზე, რომელშიც მარიხუანა შეტანილი იყო საშიშ ნარკოტიკების სიაში. მან გადააყენა მარიხუანას ყველაზე დიდი მტერი ნარკოტიკებზე კომისარი გარი ანსლინგერი. პრეზიდენტის სამეთვალყურეო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელმა კომისიამ 1963 წელს გამოაქვეყნა თავის პოზიცია შემდეგნაირად:

„კომისია ახდენს გასაგებ განსხვავებას ორ ნარკოტიკს (კანაფი და ჰეროინი) შორის და თვლის, რომ მარიხუანას უკანონო გაყიდვა და შენახვა ნაკლებ მნიშვნელოვანი დანაშაულია“. იმ წელს კენედი მოკლეს და შემდგომი რეპრესიები მარიხუანას მოყვარულთა მიმართ მკვეთრად გამკაცრდა.

აშშ-ში 1991 წლიდან მოქმედებს მარიხუანას მყიდველთა კლუბები, სადაც შესაძლებელია სამედიცინო მიზნებისათვის მარიხუანას ყიდვა შავი ბაზრის საბითუმო ფასებში.

აშშ-ს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა დასკვნის საფუძველზე, 2005 წელს კანაფის მოსავლის მოცულობის მიხედვით ვაშინგტონის შტატი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ათეულში იქნა შეყვანილი, კერძოდ, კანაფის კონფისკაციის საერთო მოცულობა აღემატებოდა წლის მოსავალს. 2003 წელს განადგურებულ იქნა მარიხუანას 66521 პლანტაცია, 2004წ. - 132941, 2005 - 135323, რომელთა მოსავალი შეფასებული იყო 270 მილიონ დოლარად. განადგურებული პლანტაციების უმრავლესობა დაფიქსირდა ჰაერიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური კანონით მარიხუანა განიხილება როგორც პირველი კატეგორიის ნარკოტიკული საშუალება, მისი გამოყენება სამედიცინო მნიშვნელობით ლეგალიზებული ან დეკრიმინალიზებული იყო 1996 წლიდან 21 შტატსა და კოლუმბიის ოლქში. თუმცა მარიხუანას შექმნა სპეციალურ ავთიჯებში სამედიცინო რეცეპტებით შესაძლებელია მხოლოდ 8 შტატში (დაემატა ორი შტატიც), გადაწყვეტილება საყოველთაო რეფერენდუმით იქნა მიღებული.

<http://tku.org.ua/page/883>;

<https://www.svoboda.org/a/24795608.html>

ბელგია



ადგილობრივი ფერმერები პრაქტიკულად არასოდეს არ მიხედნენ მეკანაფობას, თუმცა ბოლო ათეულ წლებში გარკვეული პოპულარობა მოიპოვა სათბურების პირობებში მათმა გამოზრდამ. ჰაშიშის მოწევის ტრადიცია ბელგიაში შეტანილი

იქნა მაროკოელი ემიგრანტების მიერ 1930-იან წლებში. მოსახლეობის ტელეფონით გამოკითხვის საფუძველზე, რომელიც ბრიუსელში ჩატარდა 1998 წ., ყოველ მეხუთე ბელგიელს ერთხელ მაინც მოწეული აქვთ ჰაშიში ან მარიხუნა. კანაფის ფსიქოტროპული პროდუქტების შექმნა შესაძლებელია მაროკოელების კვარტლებში.

1961 წელს გაეროს ერთიანი კონვენციის საფუძველზე, ჰაშიში და მარიხუნა გათანაბრებული იყო ნარკოტიკებთან, ხოლო კანაფის გამოზრდა აიკრძალა დაპატიმრების შიშით. 1998 წელს ბელგიის 5 პროვინციაში ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კანაფის მცირე რაოდენობით (7 გ-მდე) გამოყენებისა და შენახვის დეკრიმინალიზაციაზე. ორი წლის შემდეგ მცირე რაოდენობა გაიზარდა 15 გრ-მდე.

2003 წელს ბელგიის სამეფოს სისხლის სამართლებრივი კოდექსიდან ამოღებული იყო მუხლები, რომლის მიხედვითაც მოყვარულებს უწევდათ პოლიციის უბნებში მიყვანა, სადაც აჯარმეებდნენ ან ციხეშიც უშვებდნენ. ეხლა თვით მძღოლებსაც შეუძლიათ საჭესთან მოწვევა, თუმცა არა უმეტეს 5 გრამისა. ამავდროულად, მარიხუანას დამზადება, ტრანსპორტირება და გავრცელება, ისევე როგორც სხვა ნარკოტიკების დასჯადია.
<https://www.mandria.ua/belgium/fun/2901>

ბრაზილია



ბრაზილიაში კანაფის გამოზრდა ძირითადად წარმოებს მისი ფსიქოტროპული თვისებებიდან გამომდინარე, წარმოებაში არ გამოიყენება. მარიხუანას მოწვევის ჩვეულება ქვეყანაში შეტანილ იქნა აფრიკელი ზანგი მონების მეშვეობით, ხოლო XIX-ის ბოლოს ტრადიცია

ყველგან გავრცელდა. არა ნაკლები როლი მის გავრცელებაში შეასრულა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებულმა ველურმა კანაფმაც. მას არც მოვლა სჭირდება და არც მეზობელი რეგიონებიდან იმპორტირება. ტროპიკული ტყეები მალავენ კანაფის მძლავრ პლანტაციებს, რომლებიც ვრცელდება ჩრდილოეთით ქალაქ ბოა ვისტამდე და სამხრეთით რიუ ბრანჟამდე.

აქ მეკანაფეობის ცნობილ ცენტრად ითვლება მანაუსი, ხოლო მოხმარების მთავარ ცენტრად მიიჩნევა რიო-დე-ჟანეირო. 1961 წელს თანახმად გაეროს ერთიანი კონვენციისა ნარკოტიკულ საშუალებებზე, აიკრძალა კანაფის გამოზრდა, თუმცა ქვეყნის შორეულ რაიონებში ეხლაც მოჰყავთ. ასე მაგ. ამაზონას შტატში მოჰყავთ შავი კანაფის „მაკონა ნეგრა“-ს უნიკალური ჯიში, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ექსპორტზე გადის.

ბრაზილიის კანონმდებლობით ისჯება შენახვა და გამოყენება. ქალაქებში დაპატიმრებები მიმდინარეობს ყოველგვარი პროტოკოლის გარეშე; დაპატიმრებულს ამყოფებენ ციხეში ცოტა

ხნით, ან იხდიან ჯარიმას \$1000 დოლარის ექვივალენტით, ან ღებულობს პატიმრობას.

[https://ru.wikisource.org/wiki/Конопляная_энциклопедия_\(Види\)/](https://ru.wikisource.org/wiki/Конопляная_энциклопедия_(Види)/Бразилия)

Бразилия

გერმანია



გერმანია - დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უძველესი მეკანაფეობის ტერიტორიაა. კანაფის თესლები, რომლებიც იდენტიფიცირებულია როგორც სათესი კანაფის, აღმოჩენილია ეიზენბურგის (თურინგია) კერამიკის

ნეოლიტურ შრეებში, რომლებიც თარიღდება 5500 წლით ახალ ერამდე. ისტორიულად სათეს კანაფს იყენებდნენ ტილოს, აფრის, ქაღალდის დასამზადებლად. ნათესების ფართობების შემცირება XVII ს-დან იწყება, რუსეთიდან იაფი კანაფის იმპორტთან დაკავშირებით. მისი მოყვანა სრულად აიკრძალა 1961 წელს გაეროს მიერ მიღებული ერთიანი კონვენციის რატიფიკაციის საფუძველზე. 1990 წელს გერმანიის მთავრობამ მოიწონა პროგრამა მეკანაფეობის აღორძინების შესახებ. ამჟამად ფერმერები, რომლებსაც მიღებული აქვთ ლიცენზიები კანაფის გამოზრდაზე, დოტაციის სახით ეკოლოგიის ევროპული ფონდისგან თითოეულ ჰექტარზე სათესად ღებულობენ 600 \$. XX ს-ის ბოლოს გერმანიაში კანაფის სათესი ფართობი 4 066 ჰა შეადგენდა. კანაფის ბოჭკოს მისაღებად გამოიყენებოდა 30 ფაბრიკა. გერმანიის მრეწველობამ აითვისა პროდუქციის ახალი სახეები, როგორიცაა ავტომობილებისათვის განკუთვნილი ბალიშები, თერმოიზოლაციური პლიტები, კანაფის ლუდი, შაქარყინულები და სხვ.

კანაფის ფსიქოტროპული თვისებები გერმანიის მედიცინისათვის ცნობილია XVIII ს-დან. ამჟამად, მკაცრად კონტროლდება კანაფის ფსიქოტროპული პროდუქტების შენახვა, ტრანსპორტირება, გამოყენება, რაც დასჯადია ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონით. თვით ყველაზე მცირე რაოდენობაც

კი კონფისკაციას ექვემდებარება, ხოლო დაკავებული ექვემდებარება ჯარიმას.

მარიხუანას სამედიცინო დანიშნულებით გამოყენების კანონი მიღებულ იქნა ბუნდესტაგის დეპუტატების მიერ 2016 წლის 19 იანვარს. მარიხუანა იყიდება ავთიაქებში რეცეპტით.

გერმანია ითვლება სამედიცინო მარიხუანას ერთ-ერთ მსხვილ მომხმარებლად. მას იყენებს 700 ათასი ადამიანი. ნედლეულს უმთავრესად ღებულობდნენ ნიდერლანდებიდან და კანადიდან. ბოლო მონაცემებით, ნედლეულის შესყიდვა დაიწყო ლათინური ამერიკის ქვეყნებიდანაც.

<https://a.semyanich-semena.net/articles/marihuana-v-germanii>

დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთს მდიდარი ტრადიცია გააჩნია მეკანაფეობის



მრეწველობაში. სახელმწიფო არა მარტო ახალისებდა ამ დარგის სპეციალისტებს, არამედ კანონითაც ავალდებულებდა მათ ამ დარგის განვითარებას.

ჰენრი VIII ტიუდორის მმართველობის პერიოდს ინგლისის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მის სახელთანაა დაკავშირებული ინგლისში ანგლიკანიზმის ჩამოყალიბება. ჰენრიმ თავი ანგლიკანიზმის მეთაურად გამოაცხადა, რითაც მეფის უფლებები ინგლისში ხელშეუხებელი გახდა. 1536 წ. და 1539 წლებში მან ჩაატარა სამონასტრო მიწების მასშტაბური სეკულარიზაცია. ვინაიდან მონასტრები ტექნიკური კულტურების მთავარი მიმწოდებლები იყვნენ, კერძოდ კანაფის, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი იყო იალქნიანი გემების სანაოსნოდ - მოსალოდნელი იყო, რომ კერძო პირების ხელში მიწების გადაცემა უარყოფითად იმოქმედებდა ინგლისური ფლოტის მდგომარეობაზე. ეს რომ არ მომხდარიყო მეფემ მანამდე (1533 წ.) გამოსცა ბრძანება, რომელიც ავალდებულებდა თითოეულ ფერმერს, სათესი ფართობის ყოველ - 6 აკრიდან, მეოთ-

ხედი აკრი დაეთმოთ კანაფის სათესად. ამდენად, მონასტრებმა დაკარგეს მთავარი ეკონომიკური უპირატესობა და მათი სამფლობელოების დაკარგვამ არ მოახდინა ეკონომიკის ზარალი. ჰენრიხ VIII „კანაფის ბრძანება“ ორჯერ იქნა გამოყენებული ელისაბედ I -ის მიერ 1563 ი 1593 წლებში. XVII ს-ში, როდესაც მოხდა რუსეთთან შეთანხმება კანაფის ექსპორტთან დაკავშირებით, რის გამოც სათესი ფართობები თანდათან შემცირდა და პრაქტიკულად სულ შეწყდა XIX ს-ის ბოლოს. ამჟამად კვლავ დაიწყეს ამ კულტურის გამრავლება, იზრდება მისი გამოყენება საკვები, სამედიცინო და საპარფიუმერიო მრეწველობაში. ფსიქოტროპული თვისებები ინგლისური მედიცინისათვის ცნობილი გახდა XVIII ს-ის შუა პერიოდიდან. კანაფის ნაყენი ფართოდ გამოიყენებოდა შაკიკისა და ნერვული აღზუნებადობის დროს. ხოლო მისი მოწვევა ვრცელდება XIX ს-დან, თუმცა ოპიუმისაგან განსხვავებით ხელისუფლების მიერ არ იკრძალებოდა. მდგომარეობა შეიცვალა 1925 წ. ოპიუმის კონვენციამ კანაფი გაუთანაბრა ოპიუმს. მარიხუანას და ჰაშიშის შენახვა და გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულად იქნა გამოცხადებული. რეპრესიების ტალღამ პიკს 1960 წელს მიაღწია, შემდეგ თანდათან შემცირდა, ბრიტანელი ანტიპრობაციონისტების აქტიური მოქმედებიდან გამომდინარე. 1990-იან წლებში დაიწყეს კანაფის სამედიცინო თვისებების აქტიური შესწავლა. 1994 წ. მცენარე A სიიდან გადაიტანეს B სიაში (კონტროლირებადი ნივთიერებების სიაში), ხოლო მისი შენახვა და გამოყენება განიხილებოდა დაბალი პრიორიტეტის სამართალდარღვევად. <https://www.kommersant.uk/articles/meditsinskaya-i-ne-ochen-marihuana-v-velikobritanii-perspektivy-legalizatsii>

ეგვიპტე



არქეოლოგების თანახმად, უკვე 5000 წლის წინათ, ეგვიპტელმა ხელოსნებმა იცოდნენ, როგორ მიეღოთ მცენარის ღეროებიდან ბოჰკო. მისგან ამზადებდნენ

გამძლე თოკებს, რომლებსაც იყენებდნენ, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე.

„მზის მეფემ დაწნა ბაწრები shemshemet - მცენარისაგან...“ - ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2350 წლის წინათ მემფისის ძველი სამეფოს პირამიდის ფილაზე შესრულებული ეს წარწერა ცნობილი ეგვიპტოლოგის ვ. დოუსონის აზრით, შესაძლოა, უძველესი ცნობა იყოს კანაფის შესახებ.

კანაფის ყოფაცხოვრებაში გამოყენების მრავალრიცხოვანი დამატკიცებელი ნიმუშები აღმოჩენილ იქნა ფარაონების სამარხებში (თოკების, ბაგირების, ბოჭკოს ნაშთები), ხოლო კედლებსა და პლიტებზე შემორჩენილი წარწერები ცხადყოფს უძველეს წარსულში, ეგვიპტელთა ყოფა-ცხოვრებაში მისი მრავალმხრივ გამოყენების ტრადიციას. როგორც ირკვევა, ამენოფის III მართველობის დროს (1422-1375 წლები ახალ ერამდე), ეგვიპტელები ვაჭრობდნენ სელით, გამხმარი თევზით, ზეთით, თაფლით და კანაფით. მისგან დამზადებული თოკების, ხალიჩების, სამოსის ნაშთები აღმოჩენილ იქნა ამარნის მახლობლად სამარხში, არტეფაქტები დათარიღებულია ეხნატონის (1352-1336 წლები ახალ ერამდე) მმართველობისას; სხვადასხვა ხარისხის ბოჭკოსაგან დამზადებული საშუალებები დიდი რაოდენობით აღმოჩენილ იქნა ასევე რამზეს II სამარხშიც.

უკვე ახ. წ. აღ.-მდე 1700 წლებისთვის შემშემეტი (ანუ იმდროინდელ ეგვიპტეში ტერმინ კანაფის ეკვივალენტი) აქტიურად ჩნდება ეგვიპტურ სამედიცინო პაპირუსებში, როგორც მრავალმხრივი სამკურნალო მცენარე, რომელსაც იყენებდნენ როგორც ანტიბიოტიკს, ანტიპარაზიტულ, ტკივილის საწინააღმდეგო საშუალებას, ასევე იყენებდნენ გინეკოლოგიური და რექტალური პრობლემების სამკურნალოდ და ა.შ., ებერსის პაპირუსში (1555 წელი ახალ წ.აღ.-მდე), რეკომენდირებულია კანაფის ნარევის თაფლთან ერთად ინტრავაგინალური გამოყენება, როგორც სამვილოსნოს კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალების.

<http://tku.org.ua/page/1051>

ამჟამად, ეგვიპტეში მასშტაბური კომერციული წარმოება არ არსებობს. მცირე რაოდენობის ჰაშიშს ამზადებენ ადგილობრივ

ბაზარზე გასაყიდად. წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე სა-
კურორტო ქალაქი დახაბი ფართოდ ცნობილია როგორც დაი-
ვინგ-კურორტი. პარადოქსალურია, მაგრამ პარალელურად ამ
მიმართულებასთან ერთად დახაბი არაოფიციალურად ითვლე-
ბა ეგვიპტის „მოწვევის დედაქალაქად“, რასაც ანხორციელებს ბე-
დუინების ტომი; აქ მოწყობილი იაფფასიანი ტურები, მეტად
პოპულარულია ქვეყნის ახალგაზრდებისათვის, დასვენების
დღეებში იქ მოწყობილი მოწვევის საღამოები ითვლება მეტად
პოპულარულად. ადგილობრივი პოლიცია უკანონო ვაჭრობაზე
თვალს ხუჭავს. ქ. დახაბში ერთკვირიანი დასვენება, რომელიც
მოიცავს წყლისქვეშა ცურვას და ჰაშიშის მოწვევას, არ აღემატება
300 \$.

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ეგვიპტის მოქალაქეები-
სათვის დაშვებული იყო კანაფის მოშენება მცირე რაოდენობით.
ხოლო ერთი პლიტკა ჰაშიშის შენახვისათვის არავინ ისჯებოდა.
1988 წელს კანონი გამკაცრდა და მისი მოყვანა არალეგალური
გახდა. მართალია მისი გამოყენება და შენახვა მცირე რაოდე-
ნობით არ ისჯება, მაგრამ მისი აფიშირება და ქუჩებში მოწვევა არ
არის რეკომენდირებული.

https://ru.qwe.wiki/wiki/Cannabis_in_Egypt

ესპანეთი



მარიხუანა წარმოადგენს ერთა-
დერთ ნარკოტიკს, რომლის პო-
პულარობა ესპანეთში სტაბი-
ლურად იზრდება. ამას ხელს
უწყობს არა მხოლოდ მისაწვ-
დომობა საბოლოო პროდუქტ-
თან, არამედ სრულად ლეგა-

ლური ბიზნესი კანაფის თესლებისა და შინაურ პირობებში მისი
გამოზრდისათვის აუცილებელი თანმდევი საქონელი. 2015
წლის 30 მარტს ესპანეთის მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის
კანონში შეტანილ იქნა შესწორება, რომელიც კრძალავს კანაფის
გამოზრდას, მათ შორის საკუთარი გამოყენებისათვის, თუ მცე-

ნარეები ჩანს ქუჩიდან. ამ დარღვევისათვის დაწესებულია ჯარიმა 60-დან 30000 ევრომდე, ისევე როგორც მზა პროდუქტის გამოყენებისას საზოგადოებრივ ადგილებში.

ესპანეთის ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, რომელიც მიღებულია 22,5 ათასი მოქალაქის გამოკითხვის საფუძველზე, ქვეყანაში გრძელდება მარიხუანას გამოყენების მოთხოვნილება. თითქმის 7,3 % (ანუ 2,2 მილიონი) მისი მაცხოვრებლების 15-დან 64 წლის ასაკამდე თუნდაც თვეში ერთხელ ეწევა, ხოლო - 2,1 % - ყოველდღიურად.

<https://espanarusa.com/ru/pedia/article/614300>

თურქეთი



თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსით ნარკოტიკული ნივთიერებების პირადი საჭიროებისათვის შეძენა, გამოყენება და შენახვა ისჯება 2-დან 5 წლამდე. 2017 წლის მონაცემებით გამოვლინდა 47 ათასი

ადამიანი, მათგან 4000 დაპატიმრებულ იქნა, მათ შორის 232 უცხოელი, სხვები დაჯარიმდნენ \$ 50.

სტატისტიკის თანახმად მოსახლეობის ყოველ მესამეს ერთხელ მაინც გასინჯული აქვს ბალახი, ხოლო ახალგაზრდობის 15-20 % მას რეგულარულად იყენებს, რაც აფიშირებული არ არის.

თურქეთში ჰაშიშის ადგილობრივი წარმოებით ქურთები არიან დაკავებულნი ქურთისტანის ტერიტორიაზე, სადაც სრულად არ ხდება ხელისუფლების მიერ კონტროლირება. იქ კანაფი იზრდება ნახევრად ველურ მდგომარეობაში, რომელიც საკმაო ეფექტურობით გამოირჩევა.

თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტით ხდება ევროპულ ქვეყნებში ავღანეთისა და პაკისტანის ხარისხიანი პროდუქტის გადატანა, ნაწილი, რა თქმა უნდა თურქეთშიც იღეკება.

<https://o.semyanich-semena.zone/articles/marihuana-v-turcii>

ისრაელი



2019 წლის 1 აპრილს ისრაელში მიღებულ იქნა კანონი მარიხუანას ნაწილობრივი ლეგალიზაციის შესახებ. ამის შემდეგ, სახლის პირობებში მცირე რაოდენობის მარიხუანას შენახვა დანაშაულად არ ჩაითვლება.

თუ მოქალაქეს დაიჭერენ საზოგადოებრივ ადგილებში მარიხუანას გამოყენებისას, დასჯილი იქნება ადმინისტრაციული წესით და არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით. ჯარიმა პირველი დარღვევისას 275 \$. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება. თუ კანონს მესამედაც დაარღვევენ ისჯებიან სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ახალი კანონი არ ვრცელდება სამხედროებსა და პატიმრებზე, ისინი კვლავ ისჯებიან სისხლის სამართლის კანონმდებლობით. არასრულწლოვანი დამრღვევები იგზავნიებიან რეაბილიტაციაზე. ახალი პოლიტიკის დანერგვა განსაზღვრულია სამი წლის მანძილზე. მისი შედეგები განხილული იქნება კანონმდებლების მიერ, რომლებიც შემდგომში მიიღებენ გადაწყვეტილებებს რეფორმებთან დაკავშირებით. <https://snob.ru/news/174863/>

იაპონია



ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც ჯერ კიდევ 10000 წლის წინათ მონადირეებმა დაიწყეს ამ მცენარის გამოყენება ყოფაცხოვრებაში. ითვლება, რომ კანაფი იაპონიაში იმპორტირებული იყო ჩინეთიდან კორეის გავლით. თუმცა ისეთი ვერსიებიც არსებობს, რომ კანაფი ძემონის (Jom-

on) პერიოდში იზრდებოდა ახალ ერამდე 10000 წლიდან 300 წლამდე. ტერმინი „ქემონი“ ნიშნავს „თოკის ორნამენტის ეპოქას“ და ითვლება, რომ თოკები კანაფისაგან მზადდებოდა.

კუნძულ ხოკაიდოზე გათხრებისას (სადაც ახლაც ყვავის მეკანაფეობა) ნანახი იქნა კანაფის ბოჭკოსაგან დამზადებული ტანსაცმელი, რომელიც დათარიღებულია ახალი ერის III საუკუნით.



კანაფის ბოჭკოს იაპონიაში სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ: სამშენებლო მასალად, მეზღვაურების დასახმარებლად (თოკები, იალქნები, მებადურის ბადეები), ამზადებდნენ საკვებ დანამატებს, აწარმოებდნენ ქალაქს და ნაქსოვ პროდუქციას.

ცალკე აღსანიშნავია იაპონელებისათვის ამ მცენარის საკრალური მნიშვნელობა. მას იყენებდნენ განსაწმენდავად, ავი სულების წინააღმდეგ. სახლში შესვლამდე წვავდნენ ერთ კონა ბალახს მათ განსადევნად. თესლებს იყენებდნენ საქორწილო ცერემონიებში, ხოლო პატარძლები ქორწილის დღეს კანაფისაგან დამზადებულ გვირგვინს იკეთებდნენ - როგორც სიწმინდის სიმბოლოს.

თუმცა იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, 1945 წელს აშშ-ის ხელისუფლების მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში, აიკრძალა მისი გამოყენება, ხოლო 1948 წლიდან დაწესდა კონტროლი კანაფის მიმოქცევაზე, რომელიც დღემდე გრძელდება. კანონის შედეგები დამანგრეველი იყო: მკვეთრად დაეცა მისი წარმოება, რამაც აიძულა 25000 ფერმერი თავი დაენებებინა ამ ბიზნესისათვის, რითიც ხელი შეეწყო კანაფის გამოზრდისა და სხვადასხვა პროდუქციის დამზადების ცოდნის გაქრობას. ამასთან ხანგრძლივმა პროპაგანდისტულმა კამპანიამ მოწყვიტა იაპონური საზოგადოება მის კულტურულ ფესვებს, და მოახდინა კანაფის, როგორც ნარკოტიკის ფორმირება.

ამ პროპაგანდას შეემლო ათასეული წლების ისტორიის კვალის სრულად წაშლა, თუ არა ერთი ფაქტორი - თვით მცენარის მდგრადობა. ყოველწლიურად ზაფხულში წარმოიქმნება მილიონობით ბუჩქი - 1948 წლამდე კულტივირებული მცენარეების - კანაფის ველური შთამომავლობა.

ამჟამად, მრავალი ადამიანი გამოდის მოთხოვნით მისი სამედიცინო გამოყენების ლეგალიზაციისათვის. იზრდება ინტერესი ტექნიკური კანაფისადმიც.

2001 წელს ტაკაიასუ ჯუნჩიმ განათლებისა და სათავეებთან დაბრუნების მიზნით ჩამოაყალიბა მუზეუმი-სახლი Taima Hakubutsukan, რომელიც სრულად აშენებულია კანაფისაგან და გამოცხადებულია ეროვნულ ძეგლად.

<https://vk.com/@konopelhemp-konoplya-v-yaponii>

ინდოეთი



კანაფიდან მიღებული ერთ-ერთი პროდუქტი ჰაშიში მოხსენიებულია ძველ ინდურ ეპოსში. ას ჰიმნზე მეტი ლექსი „რიგვედა“ (1500 წ. ახ.წ.მდე) მიემღვნა კანაფისგან დამზადებულ ცნობილ სასმელს „ინდრაგარანა“

(ღმერთების სასმელი), რომელმაც შეცვალა ლეგენდარული „სომი“ - რიტუალური ჰალუცინოგენური საშუალება, რომლის შემადგენლობა დღემდე არ არის ცნობილი. ძველ ინდოეთში მიაჩნდათ, რომ კანაფი ერთ-ერთია იმ „ხუთი სამეფო ბალახიდან, რომელიც ანთავისუფლებს მოუსვენრობისგან და მას „წმინდა ბალახსაც“ უწოდებდნენ, რომელიც შივას ბრძანებით ჰიმალაიდან ჩამოიტანეს ადამიანის „ტკბობისა და განათლებისათვის“. ამის შესახებ გვამცნობს ძველი სანსკრიტკულვედური ლექსი: „ფიცით ვედრების მეცნიერება“.

ინდური ხალხური რწმენის თანახმად ღმერთი შივას საყვარელი გასართობი იყო მარიხუანას მოწევა. ამიტომ ასკეტები - სადხუ, რომლებსაც ინდუიზმში მიიჩნევენ წმინდანებად, თვლ-

იან, რომ ამით დაკავება შივასთან მიახლოებას ნიშნავს. სადხუ, მარხუანას მოწევით ტრადიციულად ხვდება მახამივარატის დღესასწაულს, შივას დიდებულ ღამეს.

1985 წელს ინდოეთში მიღებულ იქნა „აქტი ნარკოტიკულ ნივთიერებებზე“, რომელიც ადგენდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას კანაფის გამოყენების, შესყიდვის, გამოზრდის, გადამუშავებისა და ვაჭრობისათვის. დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, დამნაშავე ისჯება ჯარიმით ან ნახევარი წლიდან სიკვდილით დასჯამდე (განმეორების შემთხვევაში).

სადღესოდ ინდოეთის ზოგიერთ რაიონში ნარკოტიკები მისაწვდომია და იყიდება დაბალ ფასებში ლეგალიზებულად. ეს პირველ რიგში ეხება ხხანგას - კანაფის დაქუცმაცებულ და დახვეულ ფოთლებსა და ყვავილედებს.

https://www.indostan.ru/indiya/105_2746_0.html

ირანი



ირანის ისლამურ რესპუბლიკაში კანაფის გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. მოსახლეობის უმეტესობა ტრადიციულად დღესაც აგრძელებს მის ხმარებას. ამასთან, ჰეროინ-

სა და ოპიუმზე დამოკიდებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდამ განაპირობა ხელისუფლების ინტენსიური ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ. კანაფის კანონები ირანში წინააღმდეგობრივია. კანაფის შენახვა და გამოყენება პრაქტიკულად დეკრიმინალიზებულია, მაგრამ კანაფის გაყიდვა მკაცრად ისჯება. კანაფის ზედა ნაწილის შენახვა შეიძლება დაისაჯოს ჯარიმით ან წვეპლის დარტყმით, თუ დადასტურდება, რომ ბრალდებული ნარკოტიკების წარმოებას გეგმავდა. ერთ გრამზე ნაკლები მარხუანას შენახვისას, ადამიანი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. კანაფით ვაჭრობა და ბრუნვა თუ მისი რაოდენობა 5 კგ აღემატება, ან 30 გრ ჰამიშის ზეთს შეადგენს, შეიძლება დაისაჯოს სიკვდილით, 50 გრამზე ნაკლების შემთხვევაში კი

ისჯება ჯარიმით ან 50-ჯერ წვეპლის დარტყმით. ირანის კანონმდებლობის თანახმად, კანაფის მოყვანა ნარკოტიკული საშუალებების წარმოებისთვის იწვევს პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით პირველი დარღვევისას, ჯარიმას და 30-70 წვეპლის დარტყმას მეორე დარღვევის შემთხვევაში, წვეპლით დარტყმას და 2-დან 5 წლამდე პატიმრობას მესამე დარღვევისთვის და სიკვდილით დასჯას მეოთხე შემთხვევაში. ამასთან, თუ ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოების განზრახვა დადასტურებული არ არის, ბრალდებული თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

ირანი ესაზღვრება ავღანეთსა და პაკისტანს, ოპიუმის და ჰაშიშის მწარმოებელ ორ უდიდეს ქვეყანას. ამ ნივთიერებების უზარმაზარი რაოდენობა ტრანსპორტირდება ირანის გავლით ბალკანეთის მარშრუტით ევროპის, აფრიკის და არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში. ირანი ასევე ესაზღვრება თურქეთს. ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა ხალხის გადაადგილება და საქონლის გადატანა საზღვარზე, რამაც გამოიწვია ორ ქვეყანას შორის ნარკოტიკებით ვაჭრობის ზრდა. ქურთი მეზობლები ანვითარებენ ნარკოტიკების ბრუნვის არაკანონიერ მოქმედებას ერასა და ირანში. ჰეროინი და ოპიუმი განიხილება, როგორც უფრო სერიოზული პრობლემა, ვიდრე მარიხუანა და ჰაშიში. 2011 წელს ირანში დაფიქსირდა ამოღების ყველაზე მაღალი დონე - ოპიუმის მთლიანი წარმოების 80%, ჰეროინის გლობალური წარმოების 30%. მთავრობა დიდ რესურსებს გამოჰყოფს ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, ყოველწლიურად დიდი რაოდენობის თანხები იხარჯება საზღვრის კონტროლზეც, მათ შორის ღობეების მშენებლობაზე. გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) ხელმძღვანელობით, „სამმხრივი ინიციატივის“ ფარგლებში, ირანმა დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა ავღანეთთან და პაკისტანთან სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის გასაუმჯობესებლად, საზღვრისპირა კავშირების დასამყარებლად, ამ ქვეყნებიდან კონტრაბანდული ნაკადის შესაჩერებლად. შედეგად, ნარკოტიკების ამოღების მოცულობა გაიზარდა, თუმცა პრაქტიკულად ნარკო-

ტიკების ნაკადი არ შემცირებულა. ირანის აღმოსავლეთ სასაზღვრო რაიონებში, ავღანეთთან და პაკისტანთან ახლოს პერიოდულად იწარმოება დიდი რაოდენობით ჰაშიში. ძველი მონაცემებით, მხოლოდ ერთ თვეში, 2012 წლის დეკემბერში ირანელმა მესაზღვრებმა 5 ტონაზე მეტი კონტრაბანდის ამოღება მოახდინეს.

2011 წელს, ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული დანაშაულებების სიკვდილით დასჯა 80%-ზე მეტს შეადგენდა. ირანი იყენებს მასობრივი საზოგადოების ადგილებში ჩამოხრჩობის პრაქტიკას, რაც იწვევს ფართო საერთაშორისო დაგმობას, თუმცა, სიკვდილით დასჯა წლიდან წლამდე იზრდება. ირანის მოქალაქეებს ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო, ხშირად აკავებენ ახლომდებარე ქვეყნებში, მაგალითად, ქუვეიტში, საუდის არაბეთში, არაბეთის გაერთიანებული საემიროებში. მსგავსი შემთხვევები აღინიშნებოდა საქართველოშიც. ირანი მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა ნარკომომხმარებლებში სიკვდილიანობასთან დაკავშირებით. მილიონ ადამიანზე აღინიშნება 91 სიკვდილის შემთხვევა (ასაკობრივი ჯგუფი 15–64). ირანში ასევე ყველაზე მაღალია ჰეროინსა და ოპიუმზე დამოკიდებულების დონე მსოფლიოში. 77 მილიონიანი მოსახლეობის 3 მილიონზე მეტი ნარკოტიკებზეა დამოკიდებული.

კანაფის გამოყენება სამკურნალოდ არ განიხილება პრობლემად. კანაფის გამოზრდა პირადი მოხმარებისთვის არ განიხილება დანაშაულებრივ საქმიანობად. კანაფის გაშენება არალეგალურად ხდება ქვეყნის ბევრ ნაწილში, განსაკუთრებით Sāva, Qāse-mābād და Šahrīār პროვინციების გარეუბნებში, აგრეთვე თეირანის, შირაზის პროვინციებში. მათი აღმოჩენის შემთხვევაში ხდება სრული განადგურება. ამ ფონზე, 2010 წლის შემდეგ ქვეყნის ხარჯები ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში თითქმის გაორმაგებულია.

<https://www.occrp.org/ru/home/27-ccwatch/cc-watch-briefs/6857-iran-eases-death-penalty-laws-for-drug-related-crimes>

იტალია



ნარკოტიკებსა და ნარკოდამოკიდებულების ევროპული მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, 2017 წელს იტალიაში მოზრდილი ადამიანების (15-65 წელი) 10% მოიხმარდა კანაბისს. ახალგაზრდებს შორის (15-34) - კი ყოველი მეხუთე. კანაბისი

იტალიაში არალეგალურია.

თუმცა ჯერ კიდევ 1940 წელს სამრეწველო კანაფის ნათესარების საერთო ფართობი 90000 ჰა შეადგენდა. გაეროს 1961 წლის კონვენციამ ნარკოტიკებთან მიმართებაში, გამოიწვია მისი სრული განადგურება.

1990 წელს გაეროს 1988 წლის კონვენციის იმპლიმენტაციისათვის, იტალიაში მიღებულ იქნა დრაკონული კანონი ევროპაში, რომელიც ცნობილია როგორც ჯერვოლინოვასალის კანონი, რომლის თანახმადაც ნარკოტიკების პირადი შენახვისათვის ციხის ვადები განისაზღვრა 7- დან 20 წლამდე.

მოგვიანებით, 1993 წელს რადიკალური პარტიის მიერ ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, ნარკოტიკების პირადი გამოყენება მნიშვნელოვნად იქნა დეკრიმინალიზირებული. ასეთი სიტუაცია გაგრძელდა 2006 წლამდე, როდესაც მიღებულ იქნა ფინი-ჯონავარდის ახალი კანონი, რომლის თანახმადაც კვლავ გამკაცრდა, როგორც სისხლის სამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციული სასჯელი. 2014 წელს კანონი არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული, პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომელმაც შეამცირა სასჯელი და კანაბისი გადატანილ იქნა #2 სიაში.

სამკურნალო კანაბისთან ხელმისაწვდომობა ლეგალიზებული იყო 2007 წლიდან. 2014 წელს სამხედრო ქიმიისა და ფარმაციის ინსტიტუტს ფლორენციაში მიეცა ექსკლუზიური ლიცენზია კანაფის ყვავილების წარმოების. იდეას წარმოადგენდა წლიურად 300 კგ პროდუქციის გამოზრდა. თუმცა ჯერ-ჯერობით ამუშავებენ მხოლოდ 100 კგ-ს. პაციენტთა მოთხოვნის დასაკმა-

ყოფილებლად, იტალია ახდენს კანაბისის იმპორტირებას ჰოლანდიიდან, გერმანიასა და დიდი ბრიტანეთიდან. მიუხედავად, იმპორტის ზრდისა, მაღალი ფასები, ბიუროკრატიული სირთულეები ჯერ კიდევ რთულად მისაწვდომი და პრობლემურია ასეული იტალიელი პაციენტისათვის.

ბოლო რამდენიმე წელია, რამდენიმე რეგიონალურმა ადგილობრივმა საბჭომ გამოთქვა სურვილი, დაეწყოთ კანაბისის წარმოება, რათა უზრუნველყოთ პაციენტების მოთხოვნილება. 2015 წლიდან განისაზღვრა კანაბისის გამოყენების სამედიცინო მაჩვენებლები, როგორცაა - ქრონიკული ტკივილები, ტკივილები გაფანტული სკლეროზისა და სხვა დაავადებებისას, ქიმიო და რადიოთერაპიის გვერდითი ეფექტები, ანორექსია და სხვ. კანაბისი ასევე გამოიყენება მადის სტიმულიაციისათვის.

2016 წელს მიღებულ იქნა კანონი ტექნიკური კანაფის ლეგალიზაციის. კანონის თანახმად, კანაფის ეს სახეობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური მიზნებისათვის. თუმცა კანონში, ერთ-ერთი მუხლით მითითებულია, რომ ის ფერმერები, რომელთა მიერ მოყვანილი კანაფის შემადგენლობაში აღირიცხება 0,6 % კანაბინოიდები, დაჯარიმდებიან. კანაფის ბაზარმა იწყო განვითარება. სულ რაღაც ერთ წელიწადში გაიხსნა „მსუბუქი კანაი“ 1000-მდე მაღაზია. ბაზრის მოცულობა შეფასებულია 150 მილიონი ევროთი წელიწადში. ლეგალური კანაფის ინდუსტრიის განვითარებამ მკვეთრად დაარტყა შავ ბაზარს, მან დაკარგა 200-მდე მილიონი ევრო.

<https://www.talkingdrugs.org/ru/cannabis-v-italii>

კანადა



მარიხუნას სამედიცინო გამოყენება კანადაში კანონიერია 2001 წლიდან. ხოლო 2018 წლის 17 ოქტომბერს, კანადა გახდა „დიდი შვიდეულის“, პირველი დიდი ქვეყანა, რომელმაც მოახდინა მარიხუნას რეკრეაციული

მიზნებისათვის გამოყენების ლეგალიზაცია მთელ ტერიტორიაზე. ადრე მსგავსი კანონი მიღებული იყო აშშ-ის 8 შტატში, კოლუმბიის ამერიკულ ოლქში და ურუგვაიში. თანახმად ახალი კანონისა, ქვეყნის მოსახლეობისათვის ნებადართულია მისი შექმნა და გამოყენება.

მოზრდილ მოქალაქეებს უფლება აქვთ ატარონ 30 გრამამდე მშრალი ნედლეული საზოგადოებრივ ადგილებში. მარიხუანას დისტრიბუციის რეგულირებას და ასაკს, რა დროიდანაც მომხმარებელს შეუძლია მის შექმნა, ქვეყნის ყველა რეგიონი ახდენს დამოუკიდებლად. ყველა ლეგალური მწარმოებლები და მიმწოდებლები იღებენ ფედერალურ ლიცენზიას.

ომი ნარკომოვაჭრებთან ჩაიშალა, კონსტანტირებულია გაეროს მიერ. კი არ უნდა ვებრძოლოთ მსუბუქ ნარკოტიკებს, არამედ საჭიროა მოვახდინოთ მათი ლეგალიზება, ეფექტი იქნება მეტი, დანახარჯები ბევრად ნაკლები.

<https://www.vedomosti.ru/business/articles/2018/10/19/784133-legalizatsiya-kanade-eksperiment>

კოლუმბია



2019 წელს კოლუმბიის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანაფის გამოზრდისა და გამოყენების ბრძანებულებას სამედიცინო და სამეცნიერო მიზნით. აღნიშნულია, რომ დოკუმენტის თანახმად მარიხუანას მწარმოებლები უნდა აკმაყოფილებდნენ საკ-

მაოდ მკაცრ მოთხოვნებს. მწარმოებლებმა უნდა მიიღონ რამდენიმე ლიცენზია, მათ რიცხვში ნარკოტიკული ნივთიერებების ეროვნული საბჭოსა და ჯანდაცვის სამინისტროდან. ანტინარკოტიკული სამსახურის დირექტორის ცნობით, ქვეყანაში კანაფისათვის გამოყოფილია 400 ჰა ფართობი კაუკას დეპარტამენტში.

მარიხუანა კოლუმბიაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. თანამედროვე გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კანაფი გამოირჩევა სამკურნალო ეფექტით რიგი დაავადებების: ეპილეფსიის, ანორექსიის, ბრონქიალური ასთმის, შაკიკის, ართრიტის, ხერხემლისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, წინამენსტრუალური სინდრომის, არტერიული ჰიპერტენზიის, გლავკომით მკურნალობისას: მარიხუანა ხსნის თვალის შიდა წნევას, ანელებს ან აჩერებს კიდეც დაავადების პროგრესირებას. ზოგიერთი გამოკვლევით დგინდება, რომ მარიხუანას შეუძლია შეანელოს კიბოს გარკვეული სახეების პროგრესირება. კანაფი და მისი წარმოებულები დადებით გავლენას ახდენენ აფექტური აშლილობებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა დარღვევების სამკურნალოდ - დეპრესია, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, ობსესიური კომპულსიური და პანიკური აშლილობა, ბიპოლარული აშლილობა და უძილობა.

<https://polit.info/212465-kolumbiya-legalizovala-kurenie-marihuanyi5-k21>

მაროკო



მსოფლიოში განგაშია ატეხილი, მხოლოდ ჩრდილოეთ აფრიკაში, ადამიანთა რიცხვი, რომლებიც რეგულარულად იყენებს კანაფს 5,7 მილიონია. მაროკოელთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობით არის დაკავებული, რომელთაგან მინიმუმ 200 ათასი

დაკავებულია მარიხუანას გამოზრდით და ნარკოტიკების და წამლების წარმოებით (ათობით ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოიყოფა ბალახის პლანტაციებისთვის).

მაროკო ნარკოტიკების მექად არის ცნობილი. ყოველწლიურად მხოლოდ ოფიციალურად (ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი რეალურზე ბევრად ნაკლებია). აწარმოებენ მინიმუმ 800 ტონა კანაფის შემცველ პრეპარატებს. ნარკოტიკების 80% ექსპორტზე გადის, ხოლო 20% მაროკოში რჩება და ადგილზე რეალიზდება.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის კანაფის წარმოებულის - ჰაშიშის გამოყენება საუკუნოვანი ტრადიციას. მის რიტუალს მრავალი ლეგენდა ეძღვნება, რომლის მთავარი პერსონაჟია ადგილობრივი გურუ - სიდი, პრაქტიკულად ნარკოტიკების ღმერთი. სწორედ მას მიაწერენ ადგილობრივები საკრამენტალურ აფორიზმს: „კიფი - ცეცხლივითაა: როდესაც ის მცირეა ათბობს გულს, როდესაც ბევრია - წვავს სულს“.

მარიხუანას ყველაზე დიდი პლანტაციები მდებარეობს ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ კეტამის მახლობლად, რიფის ქედის მთისწინეთში. ამ ნივთიერებების მოყვარულები აქ მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან. 1990 წელს ქ. კეტამა მრავალ ცნობარსა და გზის მკვლევარებში შეტანილ იქნა ზონად, სადაც ტურისტებისათვის მისი ნახვა არ არის რეკომენდირებული.




კანაფის პლანტაციები მაროკოში

ოფიციალურად ქვეყანაში ნარკოტიკები აკრძალულია, თუმცა კანაფი მოჰყავთ და ყიდიან ყველგან. ეროვნული შემოსავლების 20% ტურიზმით ხორციელდება. ადგილობრივი ხელისუფლებისათვის კარგადაა ცნობილი, რამდენად მიმზიდველია მაროკო ნარკომანებისათვის, ამიტომ არ ეწინააღმდეგებიან სოფლის მეურნეობაში მის მოყვანას და ცდილობენ ხელი არ ახლონ ბარიერებს. თუმცა სიამოვნებით ღებულობენ დოტაციებს მეზობე-

ლი ქვეყნებიდან - ნარკომოვაჭრეებთან მიმართებაში. მოკლედ კორუპცია ყვავის, მაგრამ ხაშხაშის კი არა კანაფის ყვავილებით. <https://turist.delfi.ee/news/stories/marokko-narkoticheskaya-mekka-severnoj-afriki?id=80448436>

მექსიკა



აღსანიშნავია, რომ სიტყვა „მარიხუანა“, რომელიც მთელ მსოფლიოში საფრთხობელად აღიქმება, მექსიკაში წარმოიშვა. როგორც ირკვევა მექსიკელების დამოკიდებულება კანაფისადმი უძველესი წარსულიდანაა ცნობილი. გავრცელებულ მანერად ითვლება მისი მოწვევა ცალკე ან

თამბაქოსთან ერთად. კანაფი ცნობილი იყო სახალხო მკურნალებისთვისაც. ისინი თვლიდნენ, რომ კანაფი და მისი ნაყენი შველის ასთმას, ყაბზობას, აპათიას, ლოთობას, ტუბერკულოზს, ციებ-ცხელებას.

მექსიკის ყურეს ნაპირებზე მდებარე ქ. ტამპიკოს რაიონში, ბინადრობს ტეპეუანის (ტეპეკანოს) თემი, რომელსაც მოჰყავს კანაფის ჯიში Santa Rosa. მცენარის უნიკალური, ვარდისფერი ყვავილები გადმოცემის თანახმად, მაგიური თვისებებით ხასიათდება. უძველესი ტრადიციებით Santa Rosa - ღვთიური მცენარეა. კანაფის რამდენიმე ძირი, თაიგულად შეკრული ყოველთვის დგას სამსხვერპლოს საპატიო ადგილზე, სხვა რელიქვიებთან ერთად.

XX საუკუნეში, მექსიკა გახდა კანაფის მთავარი მიმწოდებელი აშშ-ში. უკვე 1920 წელს კანაფის მოყვანა და ვაჭრობა ხელისუფლების მიერ აკრძალული იყო. მიუხედავად ამისა, 30-იან წლებში მოხდა მისი მსხვილ ბიზნესად ჩამოყალიბება - პირველი ნარკობარონები აწვდიდნენ მარიხუანას პირველ ტონებს. 40-იან წლებში კანაფის კონტრაბანდა ხდება საზღვრისპირა რეგიონების მაცხოვრებელთა ძირითადი საქმიანობა და შემოსავლების წყარო.

ხელისუფლების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად 2009 წლის მონაცემებით, მექსიკა რჩება კანაფის მთავარ მიმწოდებლად აშშ-ში. ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, არალეგალური ვაჭრობის საერთო მოცულობა სამ ათეულ მილიარდ დოლარს აჭარბებს. საქმე იმითაც რთულდება, რომ აშშ-ში მექსიკელების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება, კალიფორნიის შტატში მოსახლეობის თითქმის ნახევარს ისინი შეადგენენ. შესაბამისად მარიხუანას გავრცელება სულ ადვილად ხდება, ხოლო დაპატიმრებული კურიერის ან დილერის შეცვლა - სამი წუთის საქმეა.

კანაფისა და ჰაშიშის მცირე რაოდენობით გამოყენება და შენახვა კანონით არ არის აკრძალული. ეს განკარგულება მიღებულ იქნა 2006 წელს. საზოგადო ადგილებში მისი მოწევა ითვალისწინებს 20-30 დოლარ ჯარიმას.

[https://ru.wikisource.org/wiki/Конопляная_энциклопедия_\(Види\)/Мекика](https://ru.wikisource.org/wiki/Конопляная_энциклопедия_(Види)/Мекика)

ნიდერლანდები



ერთადერთი ევროპული ქვეყანაა, სადაც ნარკოტიკებთან დაკავშირებით არა ერთი ათეული წელია არ წყდება დაუსრულებელი კამათი. ერთის მხრივ, ნიდერლანდებმა აჩვენეს გამბედაობისა და ტოლერანტობის უებრო მაგალითი, მეორეს მხ-

რივ, მსოფლიო საზოგადოების წინაშე წარსდგა ცუდი მაგალითით, ვინაიდან დაუპირისპირდა სხვა სახელმწიფოებს მისი ლეგალიზაციით.

აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნე ნიდერლანდიისათვის ითვლება ოქროს საუკუნედ, ვინაიდან ამ პერიოდში ქვეყანამ სავაჭრო-ეკონომიურ სფეროში დიდ მასშტაბებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი მოცულობის წყალობით. თუმცა, ბევრმა არ იცის, რომ ამ პროდუქციის დიდი ნაწილი მოდიოდა კანაფის კულტურაზე. მას იყენებდნენ მრავალი დანიშნულე-

ბით - იალქნების, ბაგირების, თოკების და ა.შ. წარმოებაში. თეს-
ლები წარმატებით გამოიყენებოდა შინაური ცხოველების საკვე-
ბად, მწვანე საპნის, ზეთისა და საღებავების დასამზადებლად.

ისტორია, რომელიც მოიცავს ხანგრძლივ კამათს მსუბუქი ნარ-
კოტიკების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, იწყება 1928
წლის 12 მაისს, როდესაც დედოფალმა ვილხემინამ ხელი მოა-
წერა ოპიუმის კანონს (Opiumwet), რომელიც წერტილს უსვავდა
სახელმწიფოს დამოკიდებულებას ნარკოტიკებთან მიმართება-
ში. ამ კანონის თანახმად იკრძალებოდა მისი გამოზრდა, გავრცე-
ლება, შენახვა, შემოტანა და გატანა ყველა ნარკოტიკული
საშუალების. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ მათი სამკურ-
ნალო მიზნებისათვის გამოყენება.

გასული საუკუნის 70-იანი წლები ითვლება ზოგიერთი მსუ-
ბუქი ნარკოტიკის, მათ შორის მარიხუნას ლეგალიზაციის აღია-
რების პერიოდად ნიდერლანდების მთელ ტერიტორიაზე.

მის მსხვილ ქალაქებში: ამსტერდამი, როტერდამი, ჰააგა, უტ-
რეხტი და სხვ., გაიხსნა ათასზე მეტი კოფეშოპები, სადაც ოფი-
ციალურად დაშვებული იყო მარიხუნას და სხვა მსუბუქი ნარ-
კოტიკების გაყიდვა.

https://pikabu.ru/story/istoriya_legalizatsii_narkotikov_v_niderlanda_kh_4664606

პაკისტანი



კანაფი პაკისტანში კანონგარე-
შეა, თუმცა მისი შენახვა და გა-
მოყენება ნაკლები ხარისხით ის-
ჯება, ვიდრე ჰეროინი და ამფე-
ტამინი. ნარკოტიკების უკანონო
ბრუნვა წარმოადგენს სულ უფ-
რო მზარდ სერიოზულ პრობ-

ლემას ქვეყანაში. პაკისტანი იმყოფება საერთაშორისო თანასა-
ზოგადოების მიერ მუდმივი წნეხის ქვეშ, რომელიც მოუწოდებს
ხელისუფლებას ქვეყანაში ნარკოტიკების ნაკადის კონტროლი-
რებას.

1995 წელს შექმნილ Anti Narcotics Force (ANF) ორგანიზაციას დაევალა ნარკოტიკებზე კანონების კონტროლის განხორციელება. 2010 წელს ავღანეთის, ირანისა და პაკისტანის ნარკოტიკების პოლიტიკის მინისტრებმა ისლამბადეში შეხვედრისას, მოილაპარაკეს ამ სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაზრდის, ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესების და საზღვრისპირა რეგიონებში ერთიანი პატრულირების ჩატარების მიმართულებით.

ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში (ჩრდილო-დასავლეთით) კანონები კანაფის გამოყენების აკრძალვის შესახებ, ძალიან იშვიათად სრულდება. კანაფს ყიდიან საზოგადოებრივ ადგილებში, რასაც ყურადღებას არ აქცევენ სამართალდამცველები. თუმცა ისლამბადაში და ლახორში კანაფის შემნახველებს ელოდებათ თავისუფლების შეზღუდვა 6 თვიდან 2 წლამდე.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაზე სასჯელი მნიშვნელოვნად უფრო სერიოზულია. პაკისტანში, ირანის მსგავსად ჯერ კიდევ არსებობს სიკვდილით დასჯა. კანონის თანახმად, მას უნიშნავენ იმ პირებს, რომლებიც ანხორციელებენ აკრძალული ნვთიერების ერთ კგ-ზე მეტ ბრუნვას. 2008 წელს შემოიღეს მორატორიუმი სასიკვდილო სასჯელზე.

პაკისტანი ავღანეთთან იყოფს 2430 კმ სიგრძის საზღვარს, აგრეთვე უდიდეს ტერიტორიას, სადაც ხელისუფლება კონტროლს ვერ უზრუნველყოფს. ამ ქვეყნის მეშვეობით გადააქვთ დიდი რაოდენობის ავღანური ოპიუმი, ჰაშიში და ჰეროინი, რომლებიც განსაზღვრულია ახლო აღმოსავლეთის, ევროპისა და ჩრდ. ამერიკის ქვეყნებისათვის. ადამიანები, რომლებიც დაკავებულნი არიან ნარკოტიკების კონტრაბანდით, კარგად არიან აღჭურვილნი და ორგანიზებული, ხშირად უწყვეტ წინააღმდეგობას უფლებადამცველებს ცეცხლსასროლი იარაღებით.

პაკისტანის სოფლების მთელ რიგ რაიონებში კანაფი ველურადაა გავრცელებული. ხდება მისი ფართო კულტივირებაც. კანაფი იზრდება მსხვილი ქალაქების გარეუბნებშიც, როგორცაა ისლამბადი და ლახორი, თუმცა პოლიციის კონტროლის გაზრდის გამო, მისი კულტივირება ამ ადგილებში არ აღინიშნება.

პაკისტანში არსებობს რამდენიმე რელიგიური თემი, რომელიც კანაფს იყენებს სულიერი განათებისათვის. ამ მიზნისთვის იხმარება ბხანგი და იოგურტის ფუძეზე დამზადებული სასმელი. გარდა ამისა, ზოგიერთ თემში მას იყენებენ რეკრეაციული მიზნებისათვის და სამკურნალო დანიშნულებითაც, ასე მაგ.: ბხანგი წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას დიზენტერიის სამკურნალოდ. კანაფს იყენებენ როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებშიც, უფრო ხშირად მოზრდილი მამაკაცები. წინა წლებისაგან განსხვავებით ხელისუფლებამ გააძლიერა კონტროლი ნარკოტიკებთან ბრძოლის მიმართულებით.

https://jahnews.nl/news_konopli/obschestvo/2397-konoplya-v-pakistane.html

პოლონეთი



პოლონელ დეპუტატებს 8 თვე დასჭირდათ, რათა დაეკანონებინათ მარიხუანას გამოყენება სამკურნალო მიზნებისათვის. 2016 წლის ბოლოს საპარლამენტო პარტია გამოვიდა სამედიცინო მარიხუანას სამკურნალოდ გამოყენების ლეგალიზაციის ინიციატივით.

სეიმმა მის ლეგალიზაციას სამკურნალო მიზნებისათვის სრულად მხარი დაუჭირა 2017 წლის 22 ივნისს. როგორც პოლონელი ექსპერტი მარიხუანას თერაპიის საკითხებში, დოქტორი მარეკ ბაჩანსკი აღნიშნავს - მარიხუანა წარმოადგენს წამალს ხშირ შემთხვევაში ერთადერთ ეფექტურ საშუალებას. როგორც მკვლევარი მიუთითებს, პოლონეთში მას მოუთმენლად ელის მრავალი ავადმყოფი რეზისტენტული ეპილეპსიით, ნევროპათიური დაავადებებით, დამბლით, კუნთების ჰიპერტონუსით, ტრემორით, გაფანტული სკლეროზით და კიბოთი დაავადებულებები, რომელთათვისაც გამაუმტკივნებელ საშუალებას წარმოადგენს, ამასთან მორფისაგან განსხვავებით ახსიათებს ნაკლები გვერდითი მოვლენები. სწორედ სამედიცინო მარიხუანას ლეგალიზაცია გაამარტივებს ავადმყოფებისათვის

საჭირო წამლისადმი მისაწვდომობას (უფრო იაფი და გრძელი პროცედურების გარეშე), ასევე ექიმებისათვისაც იქნება გამარტივებული, რომლებიც აღარ იფრთხილებენ, რომ მისი გამოწერა დაარღვევს კანონს.

<https://naviny.by/article/20170623/1498243968-polsha-legalizovala-marihuanu-v-medicinskih-celyah-chto-eto-znachit-dlya>

პორტუგალია



2001 წლის 1 ივლისიდან პორტუგალიის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს კანონი ყველა ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაციის შესახებ. კანონის თანახმად, მოხდა ნარკოტიკული საშუალებების „დეკრიმინალიზაცია“ და არა „ლეგალიზაცია“.

ამრიგად, პირადი სარგებლობისთვის და თვით ნარკოტიკების მოხმარებისთვის ნარკოტიკების ფლობა კვლავ აკრძალულია, მაგრამ ამ აკრძალვების დარღვევა განიხილება ექსკლუზიურად ადმინისტრაციულად და გამოყვანილია სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროდან. ნარკოტიკების კონტრაბანდა კვლავ სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. მაგრამ მარიხუანას მცირე გაყიდვების გარიგებები, თუნდაც ლისაბონის როსიოს მოედანზე, აბსოლუტურად უსაფრთხოდაა მიჩნეული. საკუთარი გამოყენებისათვის ნებადართულია 25 გ მარიხუანას და 5 გ ჰაშიშის გამოყენება.

კანონი გაყიდვებთან და კონტრაბანდასთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრია. 1993 წ. მიღებული კანონის თანახმად, ისჯება 12 წლით თავისუფლების აღკვეთით. პორტუგალიაში მარიხუანას ან სხვა ნარკოტიკების შექმნა ბევრად რთულია, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში.

პორტუგალიის კანონები კანაფის შესახებ მსოფლიოში ყველაზე პროგრესულად მიიჩნევა.

პორტუგალიის ხელისუფლება აქტიურად მონაწილეობს ნარკო-დამოკიდებულთა რეაბილიტაციაში. მცირე რაოდენობის ნარკოტიკით დაჭერილი ადამიანი იგზავნება სპეციალურ კომისიაში, რომელშიც შედის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და იურისტი. კომისია გასცემს სპეციალურ რეკომენდაციებს, რომელიც ნარკომომხმარებელმა უნდა დაიცვას სისხლის-სამართლებრივი დასჯის თავიდან ასაცილებლად.

რეაბილიტაციის სხვადასხვა გზა არსებობს: ჰეროინის შემცველად სხვა ნივთიერებების გამოყენება, მაგალითად, ხშირად გამოიყენება მეტადონი; შპრიცების გაცვლა სისხლით გამოწვეული ინფექციების რისკის შესამცირებლად; ნარკომანებისთვის სპეციალური ადგილების გამოყოფა, სადაც მათ შეუძლიათ დასვენება, კვება და ძილი. ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები ფოკუსირებულია ჰეროინის დამოკიდებულების მკურნალობაზე. ასევე არსებობს ჰაშიშისა და კოკაინის პროგრამები.

კანაფის გაშენება პორტუგალიაში უკანონოა, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნის რისკი რჩება მაღალი. მაშინაც კი, თუ გამოზრდილი მცენარეების რაოდენობა მცირეა, უკიდურესად რთულია იმის მტკიცება, რომ ეს მცენარეები პირადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. პორტუგალიის საზოგადოება სრულად არ იღებს კანაფის და სხვა პრეპარატების მოხმარებას და გამოყენებას, ამიტომ რჩება ოსტრაკიზმის რისკი. ამის მიუხედავად, პორტუგალიაში პირადი სარგებლობისთვის კანაფის გამოზრდის მომხმარებელთა რაოდენობა მცირეა.

2003 წელს, კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კანაფის თესლის შენახვასა და გაყიდვაზე, რომელიც არ არის სერტიფიცირებული როგორც სამრეწველო კანაფის თესლი. ასევე უკანონოა ამ მცენარის გასაშენებლად საჭირო აღჭურვილობის გაყიდვა. სამრეწველო კანაფის წარმოება და რეალიზაცია ლეგალურია, ხოლო მცირე რაოდენობის მაღაზიები სპეციალიზირებულია კანაფის პროდუქტების გაყიდვაში.

https://jahnews.nl/news_konopli/obschestvo/2166-konoplya-v-portugalii.html

რუსეთი



ბევრი ინტერესდება იმ ფაქტით, თუ ვინ შეიტანა კანაფი რუსეთში. ამ კულტურის მოშენება თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე ხდებოდა ქვეყნის დარსებამდე. სწორედ კანაფის პროდუქცია სელის თანაბრად, ითვლებოდა ექსპორტის ძირითად პროდუქტად სახელმწიფოში.

საბჭოთა კავშირის პერიოდში, მეკანაფეობის აღდგენის მიზნით ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. შეიქმნა ვეებერთელა სათესი ფართობები, მათ რიცხვში ციმბირშიც. წარმოების ეს სახე სწრაფად ვითარდებოდა და 1928 წლისათვის იკავებდა ლიდერის პოზიციას მსოფლიოში მოცემული კულტურის მთლიანი სათესი ფართობებით.

1987 წელს სურათი მკვეთრად შეიცვალა. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით აიკრძალა კანაფის გამოზრდა ფსიქოდელიური თვისებების გამო. რუსეთის ფედერაციის თანამედროვე კანონმდებლობა ასევე კრძალავს კანაფის გამოყენებას და გავრცელებას. ამჟამად ის კანონგარეშე მდგომარეობაშია, მისი შეძენა, შენახვა, გადატანა, დამზადება, გადამუშავება მარიხუანას გაყიდვის გარეშე და მეტად უმნიშვნელო რაოდენობით (მარიხუანა 6 გრ-მდე და ჰაშიში 2 გრ-მდე) დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო დიდი რაოდენობით - სისხლის სამართლის წარმოება, გაყიდვა და გაგზავნა მცირე რაოდენობითაც კი მიიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულად.

2019 წელს რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შეტანილ იქნა ცვლილებები რუსეთის ფედერაციის 2009 წლის 22 ივნისის დადგენილებაში № 508 "Об утверждении государственных квот, в пределах которых ежегодно осуществляются производство, хранение и ввоз (вывоз) наркотических средств и психотропных веществ", კონკრეტულად დადგენილია სახელმწიფო კვოტი ჰაშიშის ნარკოტიკულ საშუალებებზე (ანაშა, კანაბისის ფისი), კანა-

ბისზე (მარიხუანა), კანაბისის ზეთზე, კერძოდ: დადგინდა მოცულობის კვოტი 50 გ ჰაშიშის ზეთი, 300 გ ჰაშიში და 1,1 კგ მარიხუანა, ქვეყანაში შემოტანის სახით და შემდგომი „სამეცნიერო გამოკვლევებისა და გამოცდისათვის, მათ შორის ნარკომანური პოტენციალის“ შესასწავლად.

<https://www.change.org/p/v-v-putin-legalizatsiya-marihuany-v-rossii-my-za-legalizatsiyu-koнопli-v-rf>

საბერძნეთი



საბერძნეთში, ამჟამად არ ხდება კანაფის სამრეწველო მასშტაბით კულტივირება, ვინაიდან არ გააჩნია ეკონომიკური მნიშვნელობა. თუმცა ანტიკური დროიდან მისდევდნენ მის გამოზრდას ტილოსა და აფრების დასამზადებლად, აგრეთვე იყენებდნენ სამკურნალოდ. კანა-

ფის სამკურნალო თვისებები აღწერილია ცნობილი ბერძენი ექიმის დიოსკორიდის (I ს. ახ.წ.აღ.) ტრაქტატში.

კანაფის ფსიქოტროპული პროდუქტების (ძირითადად ჰაშიშის) გამოყენების ჩვეულება საბერძნეთში თანდათანობით ვრცელდებოდა XVIII ს-დან. ხოლო XIX ს-ში აქ უკვე არსებობდა კანაფის დიდი რაოდენობის პლანტაციები. მოთხოვნილება ჰაშიშზე მკვეთრად გაიზარდა ბერძნულ-თურქული ომის შემდეგ 1919-1922 წლებში, როდესაც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ თურქეთში დაბადებული ბერძნები. ამ პერიოდში საბერძნეთში, თურქეთის მსგავსად გაიხსნა მრავალი „მოსაწევი“ ყავახანები.

მანამდე, 1890 წელს საბერძნეთის შინაგან საქმეთა დეპარტამენტმა გამოუშვა ცირკულიარი, რომლითაც იკრძალებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე ჰაშიშის იმპორტი, წარმოება და გამოყენება. განკარგულება უმოქმედოდ დარჩა, და მხოლოდ 1920 წელს ქვეყანაში დაიწყო პირველი რეპრესიები კანაფის მწეველთა მი

მართ. მიუხედავად ამისა, ათენსა და პირეიში „მოსაწევი ყავახანები“ ფიგურირებდა 1930-იან წლებამდე. ფაშისტების გადატრიალების შემდეგ, 1936 წელს ქვეყნის დიქტატორი გახდა გენერალი იანის მეტაკსასი, რომელმაც დედაქალაქიდან გააძევა მწვევლები და მათ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მთელ ქვეყანაში. მარიხუანას და ჰაშიშის მოწევა განახლდა 1970-იანი წლებიდან აშშ-იდან და დასავლეთ ევროპიდან შემოდენილი ტურისტების მიერ.

საბერძნეთში ბოლო პერიოდამდე მოქმედებდა ევროპის მასშტაბით ყველაზე მკაცრი ანტინარკოტიკული კანონმდებლობა. კანაფი გათანაბრებულია იმ ნარკოტიკებთან, რომელთა გამოყენება ითვლება სისხლის სამართლებრივ დანაშაულად, ხოლო შენახვა და გამოზრდა ისჯება 5-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. მიუხედავად აღნიშნულისა, საბერძნეთის საკურორტო ქალაქებში ხელიდან თავისუფლად შეიძლება მარიხუანას და ჰაშიშის ყიდვა.

„ინტერფაქსის“ ცნობით 2018 წლის მარტში საბერძნეთის ხელისუფლებამ დაიწყო ლიცენზიის გაცემა კანაფის სამედიცინო მიზნით წარმოებისათვის. როგორც ისინი აცხადებენ, სრულ ლეგალიზაციაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ხოლო მარიხუანას მოწევა მხოლოდ იმ პირთათვის იქნება შესაძლებელი, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სამედიცინო მაჩვენებლებით და შესაბამისი რეცეპტით.

<https://112.ua/mir/v-grecii-nachali-vyrashhivat-marihuanu-na-eksport-i-v-lechebnyh-celyah-470355.html>

საფრანგეთი



კანაფის კულტივირება და გადამუშავება ფრანგი გლეხების ტრადიციული საქმიანობაა. პირველი წერილობითი ცნობები კანაფის გამოყენების შესახებ მიეკუთვნება XVIII საუკუნეს. მცენარე გამოიყენებოდა რო-

გორც ნედლეული ქსოვილებისა და ქაღალდის დასამზადებლად. XX ს-ის დასაწყისამდე კანაფის კულტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკაში. მას თესავდნენ როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ პროვინციებში. XX ს-ის შუა პერიოდში კანაფის კულტურას დაკავებული ჰქონდა 17600 ჰა ფართობი. დღევანდელ დღემდე საფრანგეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია მრავალი არტეფაქტი, დაკავშირებული კანაფის წარსულთან. ამჟამად, საფრანგეთში არსებობს კანაფის გადამამუშავებელი მრავალი კომპანია (**La Chanvrière de l'Aube** - საკანაფე მეურნეობა, გაერთიანებულია 40-ზე მეტი ფერმერი; **Codina** -კოსმეტიკური კომპანია; **Fibnatex** - საფეიქრო მრეწველობა და სხვ.

2019 წლის 25 ოქტომბერს საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატებმა ნება დართეს ექსპერიმენტის სახით ორი წლის განმავლობაში მარიხუანას სამედიცინო გამოყენებას. სახელმწიფო მდივანმა გამოსთქვა სურვილი, რომ ექსპერიმენტი დაიწყოს უკვე 2020 წლის პირველ ნახევარში. დადგენილების თანახმად, ორწლიანი ექსპერიმენტი ითვალისწინებს მის გაყიდვას რეცეპტის საშუალებით.

„საფრანგეთში ასეთი ექსპერიმენტი შეეხება 3000 ჰაციენტს და საშუალებას მისცემს შემოწმდეს კანაბისის წარმოებულების დადებითი მოქმედება ზოგიერთ დაავადებაზე“ - აღნიშნულია დადგენილებაში. ამ ექსპერიმენტში ჩართულნი არიან მძიმედ დაავადებულები - ზოგიერთი ფორმის ეპილეპსიით, გაფანტული სკლეროზით, ნეიროპათიური ტკივილებით, რა დროსაც სხვა საშუალებები არ ჭრის. აგრეთვე ისინი, ვისაც გამოუვლინდა ქიმიოთერაპიის შემდგომ გვერდითი მოვლენები. კვლევები ჩატარდება საფრანგეთის რამდენიმე საავადმყოფოში, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან შესაბამის პათოლოგიებზე.

აღსანიშნავია, რომ კანაფის გამოყენების პირველი აკრძალვები ნაპოლეონის მიერ იწყება, მის მიერ ეგვიპტისა და ინდოეთის დაპყრობის შემდეგ მთელ ევროპაში კანაბისის უამრავი მწვევლი გაჩნდა, მათ შორის საფრანგეთშიც, სადაც მარიხუანას

მასიური მომხმარებლები მოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენები გახდნენ. მის მოწვევაზე მკაცრი კონტროლი იქნა დაწესებული.

<https://regnum.ru/news/society/2759654.html>

საქართველო



ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კანაფი ცნობილია როგორც ტრადიციული სანელებელი კულტურა, განსაკუთრებით, სვანეთში. მისგან ხდიდნენ ზეთს.

მოხალულ თესლებს ქვიჯაში ნაყავდნენ, საცერში ატარებდნენ და მიღებულ მასას ზეთის მისაღებად ხელით ზელდნენ ან ტომარაში ჭყლეტდნენ. კანაფის ზეთს არომატის მისაცემად უმატებდნენ კერძებს. გარდა ამისა, კანაფის თესლებს საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა. სადღესასწაულოდ სარიტუალო დღეებში აცხობდნენ კანაფის გულიან ქაძებს, კანაფის მხლოვანებს და ტრადიციულ საკულტო პურებს „გიმბშარლუკვნი“ და „ღიმიმბაშქუთ“. სვანეთში ველური კანაფი დღემდე ატარებს სარიტუალო დატვირთვას.

საქართველოში კანაფისგან წნავდნენ თოკებს, ქსოვდნენ ტილოს, ხალხურ მედიცინაში კი იყენებდნენ როგორც ტკივილგამაყუჩებელ, კრუნჩხვებისა და ლებინების საწინააღმდეგო საშუალებას.

სადღეისოდ საქართველოში კანაფის სამრეწველო პლანტაციები არ არსებობს.

მცენარე ნარკოტიკებთანაა გათანაბრებული, მისი მოყვანა, გამოყენება და შენახვა ითვლება



სისხლის სამართლებრივ დანაშაულად და პრაქტიკულად ნებისმიერი რაოდენობა შეიძლება გახდეს საფუძველი თავისუფლების აღკვეთის. 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ

აღიარა არასაკონსტიტუციოდ ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა საკუთარი გამოყენებისათვის (70 გრ-მდე) შეძენილი კანაფისათვის პატიმრობას.

<https://sputnik-georgia.com/reviews/20180209/239238286/kanafi-kanabisi.html>

სლოვაკეთი



ყველაზე კონსერვატიული შეფასებით, სლოვაკეთში დაახლოებით 600 ათას ადამიანს, აქვს მარიხუანას მოხმარების გამოცდილება. მათი პასუხისგება რთულია - პოლიციას ვერ ძალუძს ყველას დაპატიმრება.

სლოვაკეთის იუსტიციის სამინისტრომ 2019 წლის სექტემბერში გამოთქვა მოსაზრება მარიხუანას შენახვისათვის სასჯელის შემცირების შესახებ, რადგან მოქმედი სისხლის სამართლებრივი სანქციები ახალგაზრდების მიმართ მეტად მკაცრია, ანადგურებს მათ მომავალს და ხელს უწყობს ციხეების გადატვირთვას, სამინისტრო განიხილავს ალტერნატიულ სასჯელს.

სომხეთი



სამრეწველო მიზნებისათვის კანაფი არ არის გამოყენებული. მცენარეს ყურადღება ექცევა ფსიქოტროპული მოქმედების გამო, რის გამოც კერძო პიროვნებების მიერ ხდება მისი

გამოზრდა რეკრეაციული და სამედიცინო გამოყენების მიზნით. კანაფის პროდუქტებიდან ჭარბობს მარიხუანა. ჰაშიშის დამზადების მაგალითები ერთეულია.

სომხეთის ხელისუფლების პოზიციას მისი რადიკალური აკრძალვა. კანაფი შეყვანილია ძლიერი ნარკოტიკული საშუალებების ნუსხაში და პოლიციელების მიერ მათი ნათესარების განადგურება აუცილებლობად ითვლება.

სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ნადგურდება 20-25 ტონა კანაფი. მარიხუანას შენახვა ისჯება ჯარიმით 300000-დან 400000-მდე დრამით 0,5 გრამის აღმოჩენის შემთხვევაში. ხოლო მარიხუანას და აგრეთვე სხვა ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება ჯარიმდება ადმინისტრაციული სასჯელით, რაც ითვალისწინებს 100000-დან 200000-მდე დრამს.

აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლებიდან აპრილის თვის მეოცე დღეს დასავლეთის ქვეყნებში არაოფიციალურად აღინიშნება „კანაფის დღე“. შემდგომ ტრადიცია გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც, სადაც არ გააჩნდათ მკაცრი საკანონმდებლო რესტრუქციები ამ მიმართულებით. 2019 წელს მარიხუანას დღე აღინიშნა ქ. ერევანშიც.

საუბარი მარიხუანას ლეგალიზაციაზე სომხეთში წლებია მიმდინარეობს, ბოლო წელს კი გახდა დაჟინებული და აქტიური. <https://ru.armeniasputnik.am/columnists/20190422/18207629/konoplyanyj-den-v-erevane-ili-chem-chrevaty-igry-s-marihuanoj-i-alkogolem.html>

ტაილანდი



ტაილანდში შენახვა, გამოზრდა, გამოყენება და ტრანსპორტირება ითვლებოდა არაკანონიერად. ეს მოქმედებები ისჯებოდა პატიმრობის სხვადასხვა ვადით ან ჯარიმით. 2019 წელს მოხდა სამკურნალო მარიხუანას ლეგალიზაცია. 90 დღის განმავლობა-

ში მიმდინარეობდა იმ ადამიანების რეგისტრაცია, რომლებიც მას იყენებენ სამკურნალო მიზნებისათვის. აღნიშნული პროცედურა აუცილებელია, რათა შემდგომ სამკურნალო კანაფის მომ-


ხმარებლებს არ შეეკმნათ პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან.

როგორც ცნობილია და მრავალი გამოკვლევით დამტკიცებულია მარიხუანას სამკურნალო თვისებები: ჭრილობების შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, საერთო გამაჯანსაღებელი, ამოსახველებელი, ნალველმდენი, დამამშვიდებელი და კიბოს საწინააღმდეგო. სწორედ ამ მიზეზით ტაილანდის ჯანდაცვის სამინისტრომ შეადგინა ნორმატიული აქტები, სადაც მითითებულია, რომ კანაბისის შენახვა დაშვებულია მხოლოდ სამედიცინო და კვლევების მიზნით. როგორც აღნიშნავს პროდუქტებისა და წამლების კონტროლის სამმართველოს წარმომადგენელი, დაავადებულ ადამიანებს შეუძლიათ დარეგისტრირება ფსიქოაქტიური ნივთიერებების შენახვის სიაში, თუ მას გააჩნია შესაბამისი სამედიცინო ცნობა.

თანახმად ტაილანდის ხელისუფლებისა, მარიხუანას გამოყენება თუნდაც რეკრეაციული მიზნებისათვის, ასევე მისი არასანქცირებული შენახვა ითვლება უკანონოდ. მოქალაქეებს, რომლებიც ახდენენ მის გამოზრდას, შენახვას და ტრანსპორტირებას 10 კგ-მდე ისჯებიან 5 წლის ვადით, ხოლო 10 კგ-ზე ზევით - 15 წლით. გარდა ამისა, დასჯა ითვალისწინებს ჯარიმასაც 20 ათასიდან 1, 5 მილიონ ბატამდე (\$ 614 -დან \$ 46000).

<https://pattayapeople.ru/news/legalizatsiya-marihuany-pattaya-thailand>

უკრაინა



უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, კანაფის 10 ბუჩქამდე გამოზრდა (გაყიდვის მიზნის გარეშე) კვალიფიცირებულია როგორც ადმინისტრაციული დარღვევა, ჯარიმით 18-დან 100-მდე გრივენით და ექვემდებარება მცენარეების კონფისკაციას.

შენახვის რაოდენობის ზღვარს (გაყიდვის გარეშე), რა დროსაც არ დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, 5 გ-მდე კანაბისია. ამავე დროს, განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის რაოდენობის გაზრდა 10 გრამამდე, რაც იმასთანაა დაკავშირებული, რომ მოსახლეობაში აკრძალული მსუბუქი ნარკოტიკებიდან მარიხუანა საკმაოდ პოპულარულია, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა ამისათვის ითვალისწინებს 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

„სამედიცინო კანაბისის უკრაინის ასოციაციის“ ექსპერტთა მონაცემებით, კანაბინოიდების გამოყენება პაციენტებს ეხმარება მწვავე და ქრონიკული დაავადებების დაძლევაში, კრუნჩხვების დროს, გარდა ამისა ეფექტურია დეპრესიებისა და სხვა ფსიქიკური მდგომარეობის დარღვევებისას. როგორც უკრაინის პრეზიდენტმა მის გამოსვლაში 2019 წელს აღნიშნა, ჯერ არ არის დრო, მარიხუანას ლეგალიზაციაზე მსჯელობისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიღების.

<https://www.rbc.ua/rus/news/bitva-konoplyu-smozhet-ukraina-2020-godu-1577186763.html>

ურუგვაი



მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, სადაც სრულადაა ლეგალიზებული მარიხუანა. 2013 წლის 10 დეკემბერს, ურუგვაის სენატმა მიიღო კანონპროექტი კანაფის გამოზრდის, გაყიდვის, ყიდვის და გამოყენების სრულად დეკრიმინალიზაციის. ამას წინ უძღოდა ურუგვაის პარლამენტის ქვედა პალატის მოწონება ამ კანონის მიმართ 2012 წლის ბოლოს. კანაბისის გაყიდვაზე დაწესებულია სახელმწიფოს მონოპოლია.

მისი ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ 18 წლის ზევით მყოფ პირებს, წინასწარ დარეგისტრირებულ მონაცემების სპეციალურ ბაზაში.

მათ შეუძლიათ სპეციალური ლიცენზიის საშუალებით ყოველ-
თვიურად ავთიაქებში 40 გ-მდე მარიხუანას შეძენა, ან სახლის
პირობებში 6 ძირის გამოზრდა. როგორც ურუგვაის ხელისუფ-
ლებას მიაჩნია, აღნიშნული კანონი გამოიწვევს ნარკომოვაჭრე-
ების შემოსავლის ზრდას, ხოლო მძიმე ნარკოტიკების გამოყე-
ნება რადიკალურად შემცირდება.

<https://ru.euronews.com/2018/01/10/government-supplied-cannabis-uruguay-s-controlled-high>

ყაზახეთი



ყაზახეთში მარიხუანა საკმაოდ პოპულარულია (უმთავრესად კანაფის ველური მცენარეების მშრალი ნაწილების სახით). მომხმარებელთა ძირითად ნაწილს ახალგაზრდობა, შემოქმედი პროფესიის ადამიანები წარმოადგენს. მარიხუანა განსაკუ-

თრებით გავრცელებულია სამხრეთ რეგიონებში, რაც აიხსნება ამ მხარეში ველური კანაფის პოპულაციების სიუხვით.

ყაზახეთის კანონმდებლობის თანახმად, მარიხუანას გამოყენება წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონის დარღვევას, ამასთან ნარკოტიკული თრობის ქვეშ ჩატარებული კანონდარღვევა წარმოადგენს ამ კატეგორიის ადამიანების იძულებით მკურნალობაზე გაგზავნის საფუძველს. ხოლო მარიხუანას შეძენა, შენახვა და ტრანსპორტირება, ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია.

<https://informburo.kz/novosti/mvd-my-govorim-kategoricheskoe-net-legalizacii-marihuany-v-kazahstane.html>

შვეიცარია



კანაფი შვეიცარიის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოჰყავდათ. არქეოლოგები ნახულობენ კანაფის თესლებს გვიანი ნეოლიტის ეპოქის შრეებში (5000-3000 წწ. ახ. წ. აღ.-მდე). მეკანაფეობამ თავის განვითარების პიკს XVIII, ხოლო თანდა-

თანობით დაკლებას XIX-XX საუკუნეებში მიაღწია, რასაც 1957 წელს კულტურის გაშენების აკრძალვა მოჰყვა. 1994 წლიდან კვლავ ნებადართულია სამრეწველო კანაფის კულტივირება. ამჟამად, ქვეყანაში არსებობს მთელი რიგი მსხვილი საწარმოების, რომლებიც სპეციალიზირებულია კანაფის გამოზრდასა და დამუშავებაზე, ასევე საკმაოდ ბევრი კომპანიაა, რომლებიც აწარმოებენ საკვები პროდუქტების ფართო ასორტიმენტს კანაფის თესლების, ზეთისა და ესენციის დამატებით.

ქვეყანაში ლეგალიზებულია ფსიქოაქტიური თვისებების კანაფის რეცეპტით გაყიდვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. ოფიციალურ ნებართვას გამაუმტკივნეველი თვისებების მქონე მცენარის გამოყენებაზე ღებულობენ შიდსით, დამბლით, ონკოლოგიური დაავადებებით, გაფანტული სკლეროზით, ტურეტის სინდრომით, გენდგინტონის ქორეით, პარკინსონით, ანორექსიით, ნაწლავების ანთებითი დაავადებებით, რევმატოიდული ართრიტით, ნევროპათიური ტკივილებით, გულის რევითა და პირღებინებით, დეპრესიის ზოგიერთი სახის, ობსესურკომპულსიური დარღვევებით, ტიკებით, შაკიკით, გლაუკომით, ეპილეპსიით დაავადებულები.

<http://tku.org.ua/page/824>; <https://vk.com/@konopelhemp-konoplya-v-shveicarii>

შვედეთი



მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ნებადართულია ტექნიკური კანაფის გამოყენება მარტოოდენ კვების პროდუქტების სახით, 2017 წლის თებერვალში შვედეთი შევიდა ევროპის ქვეყნების სიაში, სადაც კანაფს თერაპიული მიზნებისათვის იყენებენ. სამედიცინო კანაფის ლე-

გალიზაციის მომხრეები ეყრდნობიან სამედიცინო ჟურნალ PNAS, რომლის ფურცლებზე გადმოცემულია კანაფის ეფექტური მოხმარება თერაპიული მიზნებისათვის ეპილეფსიის, გაფანტული სკლეროზის, ქრონიკული ტკივილების შეტევების, ასევე მისი უნარი გააუმჯობესოს კიბოთი დაავადებულთა საერთო მდგომარეობა ქიმიოთერაპიით მკურნალობის შემდეგ გულის რევის საწინააღმდეგოდ. რეფორმის მომხრეები საზოგადოების ყურადღების აქცენტირებას იმ ფაქტის მიმართაც ახდენენ, რომ ბოლო დრომდე შვედეთი რჩებოდა ევროპის ყველაზე კონსერვატიულ ქვეყნად კანაფის მიმართ, იმ დროს როდესაც სხვა ქვეყნებში, მათ შორის უახლეს მეზობლებში ამა თუ იმ სახით აღიარებულ იქნა კანაბისის სამკურნალო თვისებები და დაკანონდა კბდ-ზეთის გამოყენება. მაგ.: ნორვეგიის მოქალაქეები 2015 წლიდან მიემგზავრებიან „სამედიცინო მივლინებით“ ნიდერლანდებში, ხოლო გასული წლის შემოდგომით ქვეყნის ხელისუფლებამ ნება დართო კანაფის ზეთის აუცილებელი რაოდენობის ფოსტით იმპორტირებას.

2018 წლიდან დანიაში სტარტი აიღო სამედიცინო კანაფის გავრცელების ტესტირებულმა სისტემამ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 500 ადამიანი, ხოლო ფინეთში მძიმედ დაავადებულებს მიეცათ ნებართვა კანაბინოიდური ზეთის განსაზღვრული რაოდენობის იმპორტირების.

მედიკოსთა მტკიცებით, სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ცალკეულ ქვეყნებში ცხოვრობს ათასობით ადამიანი, რომელ-

თათვისაც კანაფის ზეთი გადარჩენისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. პაციენტების რაოდენობა, რომლებიც ლეგალურად იყენებს თერაპიულ კანაფს, ათეულ ათას ადამიანს ითვლის.

<http://tku.org.ua/ru/news/5471>

ჩეხეთი



არქეოლოგთა მტკიცებით, ჩეხეთში კანაფის გამოყენების უძველესი კვალი აღმოაჩინეს მორავიაში, მცენარის გაქვავებული ნაწილების სახით, რომელიც მიეკუთვნება VIII ს-ს ახ. წ. აღ.-მდე. კანაფი მოჰყავდათ როგორც გლეხებს, ისე ფეოდა-

ლებს. მას იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებით.

XX ს-ში დაწესდა სხვადასხვა რეგულაციები და შეზღუდვები, დაკავშირებული კანაფის ნარკოტიკულ თვისებებთან. ბოლო დროს, კანონების ნაწილობრივი შესუსტების გამო, პარალელურად იზრდება ინტერესი კანაფის სხვადასხვა დარგში გამოყენების ირგვლივ. მისგან ამზადებენ მაიკებს, კურტკებს, გამძლე თოკებს, ფეხსაცმელს, ჩანთებს, ლეიბებს, მალამოებს, კოსმეტიკურ სხვადასხვა საშუალებებს და ა. შ. მათი გაყიდვა სრულადაა ლეგალიზებული. ყოველწლიურად აქ ტარდება Cannafest - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფესტივალთაგანი, რომელიც ამ მცენარეს ეძღვნება, სადაც ეცნობიან მცენარის წარსულს და დღევანდლობას, მის პროდუქტებს, და იმ მრავალდონიან სიკეთეს, რომელსაც კანაფი სთავაზობს კაცობრიობას.

ჩეხეთში სამედიცინო მიზნებისათვის მისი გამოყენება რეცეპტით შესაძლებელია, მხოლოდ ზოგიერთი დაავადებების მიმართ, კერძოდ: ქრონიკული ტკივილები, შიდსი, ტურეტის სინდრომი და ზოგიერთი სხვ. იმ აფთიაქებისათვის, რომლებიც რეცეპტით გასცემენ კანაბისეულ პრეპარატებს, აუცილებელია წამლების სახელმწიფო ბიუროს ნებართვა.

ლეგალურია ტექნიკური კანაფის, რომლის ტგკ -ს შემცველობა 0,3 % შეადგენს და დათესილია 100 კვ მ ფართობზე, საკუთარი საჭიროებისათვის გამოყენება. ტგკ-ს მაღალი პროცენტის შემცველი კანაფის ჯიშების გამოზრდა, გაშრობა, შენახვა, გამოყენება და გაყიდვა სისხლის სამართლებრივი დანაშაულია.
<http://ptel.cz/2019/01/konoplya-v-chexii-vchera-segodnya-i-zavtra/>

ჩინეთი



აღმოსავლური კულტურა ინახავს ყველაზე არქაულ წერილობით მტკიცებულებებს კანაფზე. ჰაშიმი ძველ ჩინეთში, ჩინელი იმპერატორის შენ-ნუნის (2737 წ. ახ.წ.აღ.-მდ) სამკურნალო წიგ-

ნის თანახმად გამოიყენებოდა როგორც გამაუმტკივნეული საშუალება ხველებისა და ფალარათის სამკურნალოდ. ახალ წ.აღ.-მდე მეთხუთმეტე საუკუნითაა დათარიღებული ჩინელი ექიმების მოწმობები კანაფის გამოყენებაზე, როგორც გამაუმტკივნეული საშუალების რევმატიული და ნიკრისის ქარის დაავადებებისას. ცოტა მოგვიანებით კანაფის გამოყენება დაიწყეს ნერვული აშლილობისას.

ვარაუდობენ, რომ სწორედ კანაფის იყენება თავის გამაუმტკივნეულ ფხვნილ „მა ფეი სანში“ ექიმი ხუა ტო ახ. წ.აღ. III ს-ში. ოთხი საუკუნის შემდგომ ტანების დინასტიის დროს კანაფის ფოთლების წვენს იყენებდნენ მძიმე ტრავმების, მაგ.: ძვლების მოტეხილობისას.



კანაფის სასმელების (ჩაისა და რძის სახით)
გამოყენება ძველ აღმოსავლეთში.

„თუ ვინმე მოიხმარს ძალიან ბევრს, ნახავს უამრავ მოჩვენებას და ირბენს როგორც გაგიჟებული. ხოლო თუ მიიღებს ცოტ-ცოტას, მაგრამ ხანგრძლივად, დაამყარებს კავშირს ღმერთთან“ - ნათქვამია კანაბისზე ახ. წ.აღ.-ის I ან II საუკუნეში შექმნილ სამედიცინო ტრაქტატში „შენ-ნუნის ფესვებისა და ბალახის კანონი“. თქმულების თაბახმად, ტრაქტატის ავტორი იან დი, ჩინეთის სამი ლეგენდარული მმართველიდან ერთ-ერთია, რომელმაც გამოიგონა გუთანი და ადამიანებს შეასწავლა მიწათმოქმედება.


1985 წელს, პეკინმა მოაწერა ხელი ფსიქოტროპული ნივთიერებების კონვენციას. კანაბისი ცნეს როგორც საშიში ნარკოტიკი და მიიღეს მკაცრი სასჯელი მის წარმოებაზე, გამოყენებასა და გავრცელებაზე. ხელისუფლების მიერ მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თუ ჩხრეკისას პირს აღმოაჩნდებოდა 150 კგ კანაფის დაუმუშავებელი ფოთლები, 5 კგ დამუშავებული ან 10 კგ ფისი (ჰაშიში) - სიკვდილით ისჯებოდა.

ამჟამად, ნებადართულია კანაფის გამოზრდა ჩინეთის მხოლოდ ორ პროვინციაში - ხეილუნცზიანის და იუნანის.

<https://ru.wikipedia.org/wiki/Марихуана>;

<https://lenta.ru/articles/2017/08/30/travostan/>

ხორვატია



2019 წლის 15 ოქტომბერს ხორვატიაში ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება კანაფის შემოტანის და რეცეპტების საშუალებით მარიხუნას შემცველი სამკურნალო საშუალებების გავრცელებისა და ლეგალიზაციის შესახებ.

ხორვატია შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც კანაფის გამოყენება სამკურნალო მიზნით დაშვებულია. მას იყენებენ ნევროლოგიაში, ონკოლოგიაში, სხივურ თერაპიასა და მედიცინის სხვა სფეროებში. კვლევებმა აჩვენა, რომ კანაფის პრეპარატებს მოაქვთ შვება კიბოთი, გაფანტული სკლეროზით, შიდსით და სხვა მძიმე დაავადებულთათვის. მკურნალობის ერთთვიანი კურსის რეცეპტს წერს ოჯახის ექიმი.

<https://openmonte.com/ne-tolko/3268.html>

კანაფის კულტურის მუზეუმები მსოფლიოში

ამჟამად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს კანაფის კულტურის მუზეუმები, რომელთაგანაც აღსანიშნავია: ბარსელონა (კატალონიის დედაქალაქი, ესპანეთში მადრიდის შემდეგ მეორე დიდი ქალაქი), ბერლინი (გერმანიის დედაქალაქი), ამსტერდამი (ნიდერლანდების დედაქალაქი), მონტევიდეო (სამხრეთ ამერიკა, ურუგვაის დედაქალაქი), ვალენსია (ესპანეთი), ქ. ბლინი (საფრანგეთი), მინსამურას მუზეუმი (იაპონია), დუბლინი



(ირლანდია), ლუბლიანა (უკრაინა), გამილტონი (კანადა), ვილიანი (ლატვია) და სხვ., ხოლო ქ. სანტა-კრუზში (კალიფორნია, აშშ) შექმნილია კანაფის მუზეუმის ელექტრონული ვერსია.

მათ შორის ყველაზე ცნობილი **The Hash Marihuana Hemp Museum**, გაიხსნა ამსტერდამში (ნიდერლანდების დედაქალაქი) 1991-93 წლებში, ცნობილი მეკანაფის ბენ დროკერსის როგორც კერძო კოლექცია. ამ მუზეუმის ექსპოზიცია უმთავრესად ეთმობა ფსიქოტროპულ კანაფს, მაგრამ გვხვდება სტენდები, რომელიც სათეს კანაფს ეძღვნება. აქ თავმოყრილია კანაფის პროდუქციის 6000 უნიკალური ექსპონატი. მუზეუმის განცალკევებულ სადგომში მინით დაფარულ ექსპოზიციაში განლაგებულია მომქმედი ჰიდროპონიკის სათბური 400 და 1000 ვატიაანი ნათურებით აღჭურვილი და კანაფის მძლავრი ბუჩქებით. სათბურის შესაქმნელად საჭირო ყველა კომპონენტის შექმნა, თესლების ჩათვლით შესაძლებელია მუზეუმის გასასვლელში.



ახალი ზელანდიის ქ. დანიდინში 2013 წლის ოქტომბერში გაიხსნა კანაფის მუზეუმი, რომელიც ცნობილია აგრეთვე „კანაფის ლეგალიზაციის სახლის“ სახელით. მას შემდეგ ტურისტების ნაკადი არ იკლებს. ექსპოზიციებში წარმოდგენილია კანაფის კულტურის ისტორია ახალ ზელანდიაში, მისი სასარგებლო თვისებები, კანონმდებლობა კანაფთან მიმართებით და ა.შ.

პოზიციებში წარმოდგენილია კანაფის კულტურის ისტორია ახალ ზელანდიაში, მისი სასარგებლო თვისებები, კანონმდებლობა კანაფთან მიმართებით და ა.შ.



საფრანგეთში კანაფის მუზეუმი **Musee du Chanvre** (სამრეწველო კანაფის მუზეუმი) მდებარეობს ქალაქ ბლიგნში (Bligny-sur-Ouche). და სრულად ეძღვნება სათესი კანაფის გამოზრდას და მის გადამამუშავებას ადრინდელ ეპოქაში. დამთვალიერებლები ეცნობიან სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობას, სართავებს, საქსოვ დაზგებს, ბაგირების

ნიმუშებს, კანაფის ტილოსაგან დამზადებულ ქსოვილებსა და სამკერვალო თუ სხვადასხვა ნაკეთობებს. მუზეუმის კედლები დაფარულია იმ შენობების ფოტოებით, რომლებიც აშენებულია კანაფის ბოჭკოს გამოყენებით.



ბერლინის (გერმანიის დედაქალაქი) მუზეუმი **Hanf Museum** გაიხსნა 1993 წელს სადაც წარმოდგენილია ფოტოსურათები, სურათები და ისტორიული დოკუმენტები კანაფის გამოზრდის თემაზე. ამ მუზეუმის უპირატესობა ისაა, რომ ის ხელმისაწვდომია ინტერნეტ ქსელში



Le Musée du Fumeur, სახელწოდებით „მწველის მუზეუმი“ გაიხსნა 2002 წელს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში. ექსპოზიცია ყურადღებას უთმობს კაცობრიობის მიერ ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებას.

უხვადაა წარმოდგენილი ყველა ყალიონი და ნარგილა, მათი გამოგონების დღიდან ცნობილები, აგრეთვე გრაფიურები და სურათები ამ თემაზე.




ესპანეთში მუნიციპალური მუზეუმი **Museo del Cáñamo** გაიხსნა 2000-იან წლებში ქ. ვალენსიაში, მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ფართოდ კულტივირებულ სამრეწველო კანაფის რეგიონში. მუზეუმის თანამშრომლები აწარმოებენ აქტიურ სამუშაოებს რეგიონში კანაფის მრეწველობის რენიშისათვის, რისთვისაც აწყობენ სხვადასხვა სახის ინფორმაციულ ღონისძიებებს და მთლიანად მონაწილეობენ მთელ რიგ ბიზნეს-პროექტებში, რომელიც მიმართულია ქვეყანაში მეკანაფეობის განვითარებისათვის.



Hash Marihuana Cáñamo @ Hemp Museum Barcelona მსოფლიოში ყველაზე დიდი მუზეუმია ბარსელონაში, გაიხსნა 2012 წელს.

მდებარეობს გოთიკურ უბანში და უკავია მორნაუს სასახლე, XVI ს-ის არქიტექტურის ძეგლი საერთო ფართობი 900 კვ. მეტრს შეადგენს, მუზეუმის ექსპონატები დამთვალიერებელს მოუთხრობს კანაფის სხვადასხვა დანიშნუ-

ლებით გამოყენებაზე: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, გელები, წამლები და სხვა მრავალი.



იაპონიაში მიასამურას მუზეუმი მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელში, ტოკიოდან ახლოს მდებარე კუნძულ ხონსიუს დასავლეთ სანაპიროზე. ეს არის სოფლის სახლი, რომელიც მთლიანად აშენებულია კანაფისაგან. 1966 წელს ის გამოცხადდა ეროვნულ ძეგლად. 1960 წლამდე სოფ მიასამურას რაიონი წარმოადგენდა მეკანაფეობის

საერთო იაპონურ ცენტრს, რომელიც თანდათანობით იქნა განადგურებული 1948 წელს აშშ-ის საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულების "Cannabis Control Act" თანახმად, რომელიც აწესებდა მკაცრ კონტროლს ამ მცენარის კულტურასთან დაკავშირებით. ამჟამად კანაფი მხოლოდ სამუზეუმო ფასეულობას წარმოადგენს.



აშშ-ში კერძო ვირტუალური მუზეუმი USA hemp museum მოიცავს 1700 ნაკეთობას დამზადებულს კანაფისაგან და მისი გადამუშავების ტექნოლოგიას დაწყობული უძველესი ჩინური იეროგლიფებიდან ულტრა თანამედროვე ტექნოლოგიით დამთავრებული, რომელიც მიმართულია გლობალური გათბობის საშიშროების აცილების მიმართულე-

ბასთან.




ქ. სანტა-კრუზში (კალიფორნია, აშშ) კანაფის მუზეუმის ელექტრონულ ვერსიაში დემონსტრირებულია არა მხოლოდ ისტორიული ასპექტი ორივე ნახევარსფეროში კანაფის გამოზრდის, არამედ მოცემულია თანამედროვე ტენდენციები მცენარის კულტივირებისა მსოფლიოს 31 ქვეყანაში.



ამერიკული ორგანიზაციის The Hemp and Cannabis Foundation მიერ ორგანიზებულია კანაფის ვირტუალური მუზეუმი, სადაც სადემონსტრაციოდ წარმოდგენილია სამკურნალო მიზნებისათვის გამოყენების კანაფის ათასწლოვანი ისტორია.

იტალიაში კანაფის ექსპოზიციის მუზეუმში **Museo della vita contadina in Romagna** წარმოდგენილია არა მხოლოდ ისტორიული ასპექტი მცენარის კულტივირებისა და გადამამუშავების ქვეყნის ცენტრში, არამედ ახდენს თანამედროვე მეკანაფეობის, როგორც სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიანი დარგის პერსპექტივების დემონსტრირებას.



ბელგიაში - თანამედროვე ბელგიის, გერმანიის, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის ტერიტორიის ნაწილთან.



2016 წლის ბოლოს ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში გაიხსნა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მარიხუანას პირველი

მუზეუმი. აქვე არსებობს ბოტანიკური ბაღი, სადაც მნახველებს შეუძლიათ იხილონ კანაფის კულტურის სხვადასხვა ჯიშები.



ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში 2015 წელს გაიხსნა კანაფის მუზეუმი და სამზარეულო, სადაც მზადდება სხვადასხვა სახის კვებითი პროდუქტები კანაფისაგან.



უკრაინაში, 2011 წელს ლუბინას საცდელ სადგურის შენობაში გაიხსნა სათესი კანაფის მუზეუმი - სტაციონარული გამოფენა. სადაც თავმოყრილია ძველი და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოზრდისა და

გადამუშავების მეტად მნიშვნელოვანი სასარგებლო ინფორმაცია, წარმოდგენილია ტექნიკური კანაფის პროდუქციის ნიმუშები, რომლებიც მზადდება, როგორც უკრაინაში, ისე ევროპაში, აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. მსოფლიო ისტორიაში მეკანაფეობის განვითარების მონაცემებთან ერთად, დარგის განვითარების სხვადასხვა ასპექტებში, სტენდებზე ასახულია მსოფლიოში ყველაზე რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო კულტურის გამოზრდისა და გადამუშავების თანამედროვე მიმართულებები, აგრეთვე პროდუქციის ნიმუშები, რომლებიც მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ბაზარზე მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა.



„გამარჯობა კანაფო“ - ასეთი რეკლამის ფარი შეიძლება იხილოთ კანადის ქალაქ გამილტონში, რომელიც ტორონტოდან ერთი საათის სავალზეა. მაღაზია-მუზეუმი დაარსდა გასულ წელს. აქ ხდება ლეგალურად გაყიდვა კანაფისა და მისი პროდუქტების. განსხვავებით ნიდერლანდების კოფემოპებიდან, სადაც აბსოლუტურად ლეგალურად შეიძლება მსუბუქი ნარკოტიკების გასინჯვა, აქ მხოლოდ მათი ყიდვაა შესაძ-

ლებელი. ყოველდღიურად მას ნახულებს 400-დან 700-მდე სხვადასხვა ასაკის ადამიანი. შტატ ონტარიოში არსებულ 50 მაღაზიიდან, ეს ერთ-ერთი მათგანია. მისი მეპატრონე ოლივერ კოპოლინო აღნიშნავს, რომ მოთხოვნილება კანაფის პროდუქტებზე გიგანტურია, მიმწოდებლები ვერც კი ასწრებენ საქონლის მოტანას, რომ ისინი უცბად იყიდება.

რუსეთში მეკანაფეობის სპეციალიზირებული მუზეუმი არ არის, თუმცა ექსპოზიციები, რომელიც ეხება სათესი კანაფის გამოზრდასა და გადამუშავებას, არსებობს რამდენიმე ისტორიულ და სამხარეო მუზეუმში. ყველაზე ფართოდ ექსპონატები წარმოდგენილია მუზეუმ-ნაკრძალში, რომელიც მდებარეობს კიჟის (კარელია) კუნძულზე.



იტალიაში კანაფის მუზეუმები სხვადასხვა ქალაქშია განლაგებული. ერთ-ერთი მათგანია დაბა სან-პანკრაციოში. ექსპოზიციის ნაწილი ეძღვნება კულტურის ისტორიას იტალიაში, კანაფისაგან დამზადებულ ნართსა და ქსოვილებს, მათ გადასამუშავებელ დანადგარებს. მუ-

ზეუმის ირგვლივ მდებარეობს კანაფის მინდორი. დამთვალიერებლები ეცნობიან მისი გამოზრდის წესებს. იტალიის კიდევ ერთი მუზეუმი Museo della Canapa მდებარეობს პერუდჟოს ოლქში.



ინდუსტრიული კანაფის ეკოლოგიური სახლი - მუზეუმი გახსნილია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

<https://www.rosflaxhemp.ru/fakti-i-cifri/o-konople/konoplyamuzei.html/id/1756>

<http://www.orangesmile.com/extreme/ru/strange-museums/hash-marihuana-hemp-museum.htm>

<https://hasdynamite.site/dublin-kupit-sishka-gashish.html>

ლიტერატურა

- ჯაფარიძე ა. მემცენარეობა გამომც. „განათლება“. თბილისი, 1975.
- ჯაფარიძე ა. ტექნიკური კულტურები გამომც. „განათლება“. თბილისი, 1979.
- Лихварь Д. Вопросы акклиматизации сельскохозяйственных растений Изд. «Урожай». Киев, 1968.
- Макринов И.А. Основы биологической мочки волокнистых растений. Изд. АН СССР. М-Л. 1949.
- Удобрение технических культур. Под редакцией профессора П. Г. Найдина Гос. Изд. Сельскохозяйственной литературы. Москва, 1957.
- Петросян С. Р. Культура безумия. Проблема популярности психоактивных веществ. М. 1998.
- <http://ep-z.ru/posadki/travyi/konoplya>
- https://kopilkaurokov.ru/biologiya/prochee/ekologhiia_rastienii
- <http://wiki-org.ru/wiki/Конопля>
- <http://selekcija.ru/konoplya-botanicheskoe-opisanie.html>
- <http://www.incb.org/e/conv/1971/index.htm>
- <http://www.incb.org/e/conv/1988/index.htm>
- <https://quality-seeds.com/novosti/pol-konopli>
- <https://www.popmech.ru/science/news-495872-konoplya-okazalas-v-30-raz-effektivnee-aspirina/>
- <https://7lafa.com/pageanswer.php?id=35421>
- https://t.semyanich-semena.online/articles/istoricheskie_korni_kush
- <http://ec-dejavu.ru/c-2/Cannabis.html>
- https://t.semyanich-semena.online/articles/istoriya_konopli
- <https://t.semenarnia.zone/tales/kultivirovanie-konopli>
- [http://health-diet.ru/table_calorie_users/406578/;](http://health-diet.ru/table_calorie_users/406578/)
- <https://fitaudit.ru/food/123585>
- <https://www.facebook.com/wineandfoodtourismacademy/posts/1995529604020662/>
- <http://tku.org.ua/page/1051>
- <https://regnum.ru/news/society/2759654.html>
- <http://agrolib.ru/rastenievodstvo/item/f00/s00/e0000910/index.shtml>
- <https://ogorodniki.com/article/semena-i-posev-konopli>
- <https://www.rosflaxhemp.ru/fakti-i-cifri/o-konople/agrotehnika.html>

<http://agrolib.ru/rastenievodstvo/item/f00/s00/e0000910/index.shtml>
<https://ru.wikipedia.org/wiki/Марихуана>
<https://sputnik-georgia.com/reviews/20180209/239238286/kanafi-kanabisi.html>
<https://www.facebook.com/wineandfoodtourismacademy/posts/335330-335330>
[https://pixel.in.ua/konoplja-sohranjala-drevnjuju-derevnju-ot/;](https://pixel.in.ua/konoplja-sohranjala-drevnjuju-derevnju-ot/)
<https://www.vladtime.ru/nauka/476752>
<https://a.hstr420.net/history-of-cannabis-12000-year-with-man/>
www.newpost.ge
<http://www.orangesmile.com/extreme/ru/strange-museums/hash-marihuana-hemp-museum.htm>
<https://hasdynamite.site/dublin-kupit-sishka-gashish.html>
<https://www.florapassionis.com/hemp-future-plant/>
<https://ru.wikiquote.org/wiki/Конопля>
<https://www.florapassionis.com/hemp-future-plant/>
www.ipress.ge
commerciant.ge
<https://zen.yandex.ru/media/zozhmania/chem-polezny-konoplianye-semena-kak-ih-prinimat-i-prorascivat>
www.hanfblute.ru
www.manitobaharvest.com
www.tgctrading.com
www.hanf-zeit.com
www.hempshopper.com
www.antonionadal.com
www.hemperium.com
www.hemperium.nl
<https://www.agrobase.ru/rastenievodstvo/interesnyie-stati/konoplyanoemaslo-polza-i-vred>
<https://my-ecoshop.ru/shampun-konoplya-dlya-ukrepleniya-normalnykh-volos-150-ml-zeytun/>
<https://kover-zefir-ru.livejournal.com/90498.html>
euronews.com/2015/07/29/italy-s-army-bringing-down-the-cost-of-getting-high-on-medical-marijuana

https://www.ebay.com/b/Hemp-Green-Choker-Fashion-Necklaces-Pendants/155101/bn_110115696
<https://hs420.net/forums/topic/12330-kanadcy-postroili-pervyy-v-mire-samolyot-iz-konopli/>
https://ru.aliexpress.com/promotion/promotion_surfing-bracelet-promotion
<https://naviny.by/article/20170623/1498243968-polsha-legalizovala-marihuanu-v-medicinskih-celyah-chto-eto-znachit-dlya>
<https://www.idrobasegroup.com/ru/продукты-и-приложения/club-dei-riparatori/запчасти-аппаратов/расход-материал/герметики>
<https://russian.alibaba.com/g/hemp-textile-machine.html>
<http://www.lookatme.ru/flow/posts/design-radar/123113-mebel-iz-konopli-ot-werner-aisslinger>
<https://np-mag.ru/obraz-zhizni/dliadoma/chto-mozhno-sdelat-iz-konopli-30-veshhej/>
<https://4-20.com.ua/polza-marixuanyi.html>
<http://www.a700.ru/plants/travy/286-konoplya-4.html>
Dan Skye , Healing Field: CBD-Rich Cannabis Is Beginning to Take on a Whole New Dimension (High times)
<https://www.rosflaxhemp.ru/fakti-i-cifri/0-konople/pererabotka.html/id/1438>
<https://dekatop.com/archives/654>
<https://pattayapeople.ru/news/legalizatsiya-marihuany-pattaya-thailand>
<https://112.ua/mir/v-grecii-nachali-vyrashhivat-marihuanu-na-eksport-i-v-lechebnyh-celyah-470355.html>
<https://www.rbc.ua/rus/news/bitva-konoplyu-smozhet-ukraina-2020-godu-1577186763.html>
<https://informburo.kz/novosti/mvd-my-govorim-kategoricheskoe-net-legalizacii-marihuany-v-kazahstane.html>
<https://snob.ru/news/174863/>
https://www.indostan.ru/indiya/105_2746_0.html
<https://lenta.ru/articles/2017/08/30/travostan/>
<https://ru.armeniasputnik.am/columnists/20190422/18207629/konoplyanyj-den-v-erevane-ili-chem-chrevaty-igry-s-marihuanoj-i-alkogolem.html>
<https://o.semyanich-semena.zone/articles/marihuana-v-turcii>

<https://www.vedomosti.ru/business/articles/2018/10/19/784133-legalizatsiya-kanade-eksperiment>
<https://ru.euronews.com/2018/01/10/government-supplied-cannabis-uruguay-s-controlled-high>
<https://www.change.org/p/в-в-путин-легализация-марихуаны-в-россии-мы-за-легализацию>
Источник: <http://www.krasotaimedicina.ru/diseases/narcologic/hashish-addiction>
<http://www.krasotaimedicina.ru/diseases/narcologic/hashish-addiction>
https://pikabu.ru/story/10_zabolevaniy_kotoryie_lechatsya_marikhuano_y_4131751
https://www.mental.ge/2015/11/26/marihuana_10/
<https://ru.wikipedia.org/wiki/Марихуана>
<https://sputnik-georgia.com/reviews/20180209/239238286/kanafi-kanabisi.html>
<https://ru.wikipedia.org/wiki/Марихуана>
Read more:
<https://sputnik-georgia.com/opinion/20180222/239399219/marixuana-mitebi-da-realoba.html>
https://k.semyanich-semena.online/articles/rastenie_konoplya_okryjennoe_mifami
<https://openmonte.com/ne-tolko/3268.html>
<http://www.orangesmile.com/extreme/ru/strange-museums/hash-marihuana-hemp-museum.htm>
<https://hasdynamite.site/dublin-kupit-sishka-gashish.html>

შინაარსი

შესავალი	3
გაეროს კონვენციები ნარკოტიკულ საშუალებათა კონტროლის შესახებ	7
საერთო მონაცემები ჩვეულებრივი (სათესი) კანაფის - <i>Cannabis sativa</i> var. <i>sativa</i> კულტურაზე	11
ბოტანიკური დახასიათება	11
კანაფის სქესი	17
ინდური კანაფის ძირითადი მაჩვენებლები	24
ინდური კანაფის გამოზრდის თავისებურებები	29
ქიმიური შემადგენლობა	31
კულტივაცია	35
ბიოლოგიური თავისებურებები	37
აგროტექნიკა	40
განოციერება	42
თესვა	44
ნათესის მოვლა	45
მოსავლის აღება	45
კანაფის მავნებლები და დაავადებები	47
სათესი კანაფის სამეურნეო გამოყენება	56
კანაფის გამოყენების ისტორიული ფაქტები	59
საინტერესო ცნობები კანაფზე	64
რითია სასარგებლო კანაფი?	70
კანაფის ტექნიკური ჯიშების თანამედროვე გამოყენება	74
თესლების გამოყენების წესები	78
ტექნიკური ანუ ჩვეულებრივი კანაფიდან დაშლადებული ნივთები	84
კანაფის, როგორც ნარკოტიკის გამოყენების ისტორია	117
რომელი კანაფია ნარკოტიკი?	126
კანაფის ნარკოტიკული პროდუქტები	130
მოსაწევად გამოყენებული სუბსტანციები	131
კანაბინოიდებით მოწამლვის სიმპტომები და თავისებურებები	148
ხანგრძლივი დროით გამოყენების ეფექტები	153
კანაბინოიდები და მათი რეცეპტორები	166

ლეგენდები და ფაქტები კანაფსა და მის პროდუქტებზე	170
კანაფის სამკურნალო მაჩვენებლები	181
მითები კანაფზე, სიმართლე და სიცრუე	189
ბიბლიური განკურნება და კანაფი, არის თუ არა კავშირი?	198
კანაფის აკრძალვის ისტორია	200
კანაფის პოპულარობა ჩვენს დროში	202
კანაფის სამართლებრივი სტატუსი	203
მოძრაობები კანაფის ლეგალიზაციისათვის	212
კანაფი და შესაბამისი კანონდებლობა მსოფლიოს რიგ ქვეყნებში (ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა)	214
კანაფის კულტურის მუზეუმები მსოფლიოში	267
ლიტერატურა	275

როზა ბიძინაშვილი

საერთო ცნობები კანაფის კულტურის ავ-კარგიანობაზე

გამომცემლობა „მწიგნობარი“

თბილისი, 2018

Roza Bidzinashvili

**General Information on the Av-Goodness
of Cannabis Culture**

Publishing House “Mtsignobari”

Tbilisi, 2020